



საქართველოს უნივერსიტეტი



რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში

(1995-2014 წწ.)

ავტორი: არჩილ მეტრეველი

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია

საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მალხაზ ბეგიაშვილი

თბილისი

2015

მიმოხილვა

წინამდებარე ნაშრომში განხილულია რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში. საკითხის ირგვლივ მსჯელობა განვითარებულია რელიგიისა და რწმენის თავისუფლების საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოს და უცხო ქვეყნების საკანონმდებლო გამოცდილებების შედარებითი ანალიზის ფონზე. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა, რომელიც რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივ მდგომარეობას განსაზღვრავს და მათი საქმიანობის წესს ადგენს, ნაშრომის ფარგლებში, მიმოხილულია 1995 წლიდან (საქართველოს კონსტიტუციის მიღებიდან) 2014 წლამდე (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის N117 დადგენილების მიღების ჩათვლით).

წინამდებარე ნაშრომის პირველადი მიზანია აღწეროს და კრიტიკულად გაანალიზოს საქართველოში მოქმედი ის საკანონმდებლო რეგულაციები, რომლებიც რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივ მდგომარეობას განსაზღვრავენ, არსებული მდგომარეობის სრულყოფილად გადმოცემის შემდეგ კი წარმოადგინოს მიმდინარე პრობლემებისა და საჭიროებების გადაჭრის ეფექტური და ქმედითი სამართლებრივი საშუალებები. ამ მიზნით, ჩვენ ნაშრომის ძირითადი ტექსტი რამდენიმე ნაწილად დავყავით, რათა შეგვძლებოდა ცენტრალური პრობლემატიკის და მასთან პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებული საკითხების კომპლექსურად წარმოჩენა და შესაბამისად, თანმიმდევრული მსჯელობის განვითარება. შედეგად ნაშრომის ძირითადი ტექსტი სტრუქტურულად ოთხ ნაწილად დაიყო:

1. რელიგიისა და რწმენის თავისუფლების საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩო. ამ ნაწილში ვრცლად იქნება განხილული რელიგიისა და რწმენის თავისუფლება, როგორც საერთაშორისო სამართლით ჩამოყალიბებული უფლებრივი კატეგორია, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივ მდგომარეობას, არამედ რელიგიისა და რწმენის თავისუფლების პერსონალურ (ინდივიდუალურ) ნაწილსაც.

2. რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი მდგომარეობა - ევროპის ქვეყნების კანონმდებლობა. ამ ნაწილში, ჩვენი მიზანია გადმოვცეთ ის სამართლებრივი გამოცდილება,

რაც უცხო ქვეყნებმა ჩამოაყალიბეს რელიგიური გაერთიანებების შექმნის, რეგისტრაციისა და საქმიანობის წესთან დაკავშირებით.

3. რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი მდგომარეობა - საქართველოს

კანონმდებლობა. ამ ნაწილში, ჩვენი მიზანია ზედმიწევნით ავღწეროთ საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის ჩამოყალიბება და განვითარება რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი მდგომარეობის რეგულირებასთან დაკავშირებით.

4. სისტემური სამართლებრივი რეგულირების აუცილებლობა. ტექსტის დასკვნით ნაწილში

ჩვენ დავეყრდნობით რა წინა ნაწილებში აღწერილ ფაქტობრივ გარემოებებს და განვითარებულ კრიტიკულ-ანალიტიკულ მსჯელობას, დავასაბუთებთ, რომ რელიგიური გაერთიანებებისთვის სათანადო სამართლებრივი მდგომარეობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია სისტემური სამართლებრივი რეგულირება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ძირითადი ტექსტი იქნება ერთგვარი მოძრაობა ზოგადიდან კონკრეტულისკენ და პრობლემიდან მისი გადაჭრისკენ. ამდენად, მკაფიოდ წარმოჩნდება თუ რას წარმოადგენს რელიგიისა და რწმენის თავისუფლება ზოგად საერთაშორისო სამართლებრივ ჩარჩოში და რა ადგილი უკავია მასში რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივ მდგომარეობას, როგორც ცალკე კატეგორიას, როგორი გამოცდილება არსებობს უცხო ქვეყნებში აღნიშნული ზოგადი ჩარჩოდან ეროვნული პრატიკის გამოყვანის, ამასთან, როგორია საქართველოს ეროვნული პრაქტიკა და როგორ უნდა გადაიჭრას მასში არსებული პრობლემები.

სარჩევი

შესავალი 4

კვლევის მეთოდები 10

თავი 1. რელიგიისა და რწმენის თავისუფლების საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩო 12

1.1. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1948 წ.) 12

1.2. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (1966 წ.) 16

1.3. დეკლარაცია რელიგიის ან რწმენის საფუძველზე შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (1981 წ.) 25

1.4. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია (1950 წ.) 31

1.5. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაციები და რეზოლუციები 37

1.6. შეჯამება 39

2. რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი მდგომარეობა ევროპის ქვეყნებში 41

2.1. რელიგიური გაერთიანების სამართლებრივი მდგომარეობა - ცნების გაგებისთვის 41

2.2. ზოგადევროპული პრინციპებიდან თვითმყოფად ეროვნულ კანონმდებლობამდე 42

2.3. სახელმწიფოსა და რელიგიური გაერთიანებების ურთიერთობის მოდელები ევროკავშირის ქვეყნებში 52

2.5. შეჯამება 81

2. რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი მდგომარეობა - საქართველოს კანონმდებლობა 83

3.1. რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ზოგადი კონსტიტუციური ჩარჩო 83

3.2. რელიგიური გაერთიანების გაგება საქართველოს კანონმდებლობაში 92

3.3. რელიგიური გაერთიანების რეგისტრაცია და სამართლებრივი სტატუსები 95

2.4. რელიგიური გაერთიანების რეგისტრაციის საფუძვლები 122

2.5. რელიგიური გაერთიანების სამართლებრივი სტატუსის შემადგენელი უფლებები 132

3.5. შეჯამება 137

4. დასკვნა - რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი მდგომარეობის სისტემური რეგულირება 139

4.1. რელიგიური გაერთიანება 139

4.2. რელიგიური გაერთიანების რეგისტრაცია, სამართლებრივი სტატუსი და უფლებები 145

4.3. სპეციალური კანონი, როგორც სისტემური რეგულირების მექანიზმი 154

გამოყენებული ლიტერატურა 163

გამოყენებული ნორმატიული მასალა 168

შესავალი

ნაშრომი - *რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში*, არის მცდელობა სამეცნიერო (აკადემიურ) დონეზე მოხდეს იმ სამართლებრივი რეგულაციების, თეორიებისა და კატეგორიების შესწავლა-ანალიზი, რაც საფუძვლად უდევს საქართველოში რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი სტატუსისა და საქმიანობის წესის საკანონმდებლო უზრუნველყოფას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოში სამართლის მეცნიერება მოკლებულია რელიგიისა და რწმენის თავისუფლების მიმართულებით სათანადო აკადემიურ რესურსებს. წლების მანძილზე ადამიანის უფლებათა ეს სფერო ან სრულიად დავიწყებული იყო ან მისი განხილვა ხდებოდა სხვადასხვა საკითხების ერთიან კონტექსტში, რაც ერთის მხრივ, აკნინებდა მის მნიშვნელობას, მეორეს მხრივ, კი ვერ უზრუნველყოფდა იმ საჭიროებებს, რაც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის დახვეწისთვის აკადემიურ მხარდაჭერაში გამოიხატება. თავის მხრივ, რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებული საჯარო განხილვები გადავსებულია პოპულარული დისკურსებით, მაშინ როდესაც რელიგიისა და რწმენის თავისუფლება მკაფიოდ ჩამოყალიბებულ სამართლებრივ კატეგორიას წარმოადგენს (რელიგიური დისკრიმინაციისა და კონსტიტუციური სეკულარიზმის კვლევა საქართველოში (2014). / სეკულარიზმის კრიზისი და ლოიალობა დომინანტი ჯგუფის მიმართ, (2013).)

მეტიც, ცალკეული ევროპული ქვეყნების აკადემიურ-საგანმანათლებლო ინსტიტუტებში *რელიგიის სამართალი* წარმოადგენს სამართლის დამოუკიდებელ კურსს, რომელიც სისტემურად აღწერს რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ინდივიდუალურ და კორპორატიულ სფეროებს და ეროვნულ საკანონმდებლო ბაზას ანალიზებს საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოს ფონზე. მაგალითად, მოცემული კვლევის ფარგლებში, ჩვენ გავეცანით კლაუს დიტერ კლასსენის სახელმძღვანელოს *რელიგიის სამართალი*. სახელმძღვანელოს წინასიტყვაობაში ავტორი აღნიშნავს:

„მოცემული სახელმძღვანელო წარმოადგენს რელიგიის სახელმწიფო სამართალს. ტრადიციულად, სამართლის ამ სფეროს „სახელმწიფო-საეკლესიო სამართალს“ უწოდებენ, რომლის მეშვეობითაც რეგულირდება სახელმწიფოსა და ეკლესიის სამართლებრივი ურთიერთობები. გერმანიაში მზარდი რელიგიური მრავალფეროვნება სულ უფრო რთულს ხდის პასუხს შეკითხვაზე, თუ როგორ შეიძლება ჯეროვნად განისაზღვროს რელიგია, თუკი ის არ ცნობს „ეკლესიის“ მცნებას როგორც ასეთს. ეს ტენდენციები გათვალისწინებული უნდა იყოს სახელმწიფო სამართლის მიერ, თუკი მას არ სურს დაარღვიოს სახელმწიფოს ნეიტრალიტეტი რელიგიის საკითხებში. ის ღია უნდა იყოს მრავალრიცხოვანი რელიგიების მიმართ. სწორედ ეს არის დასაბუთება იმისა, თუ რატომ ეწოდა მოცემულ წიგნს „რელიგიის სამართალი“.

ეს წიგნი განკუთვნილია არა მარტო იურისტებისათვის, არამედ თეოლოგებისა და რელიგიათა შემსწავლელ მეცნიერთათვის. იმისათვის, რომ არაიურისტებს ამ წიგნის გამოყენება გაუადვილდეთ, დანართში მოცემულია წიგნში ციტირებული ყველა მნიშვნელოვანი ამონარიდი ფედერაციული კანონებიდან, ასევე საერთაშორისო და ევროპული სამართლებრივი ტექსტებიდან.“ (Classen / კლასსენი, 2006).

აღნიშნული სახელმძღვანელო რელიგიისა და რწმენის თავისუფლების საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოს ფონზე, მოიცავს გერმანიის ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრულ ისეთ საკითხებს, როგორცაა: სახელმწიფოს და რელიგიის ურთიერთობის ისტორიული მიმოხილვა; საერთაშორისო და ეროვნული სამართლებრივი წყაროები; რელიგიური გაერთიანების ცნება, დაფუძნებისა და საქმიანობის წესი; სახელმწიფოს და რელიგიური გაერთიანებების ურთიერთობის თანამედროვე პრინციპები; რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ინდივიდუალური ასპექტები; რელიგიისა და რწმენის თავისუფლების კორპორატიული ასპექტები; რელიგიური გაერთიანებების ქონებრივი და ფინანსური საკითხები; რელიგიისა და განათლების საკითხები და ა.შ. ამდენად, ნათელია, რომ გერმანიის აკადემიურ-საგანმანათლებლო ინსტიტუტებში რელიგიის სამართალი მკვიდრდება, როგორც სახელმწიფო სამართლის დამოუკიდებელი მიმართულება.

შესაბამისად, ჩვენი კვლევის ერთი მიზანი, რელიგიის სამართლის, როგორც სახელმწიფო სამართლის დამოუკიდებელი და მნიშვნელოვანი მიმართულების პოპულარიზაციაა. ამ მხრივ, ჩვენი კვლევის ფარგლებში, ჩვენ უკვე გამოვეცით პუბლიკაცია *რელიგიის სამართლის საკითხები*, რომელიც მოიცავს ნაშრომთან დაკავშირებულ სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხს (*მეტრეველი, 2015*).

წინამდებარე ნაშრომის პირველადი აკადემიური მიზანია აღწეროს და კრიტიკულად გაანალიზოს საქართველოში მოქმედი ის საკანონმდებლო რეგულაციები, რომლებიც რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივ მდგომარეობას განსაზღვრავენ, არსებული მდგომარეობის სრულყოფილად გადმოცემის შემდეგ კი წარმოადგინოს მიმდინარე პრობლემებისა და საჭიროებების გადაჭრის ეფექტური და ქმედითი სამართლებრივი საშუალებები. ამ მიზნით, ჩვენ ნაშრომის ძირითადი ტექსტი რამდენიმე ნაწილად დავყავით, რათა შეგვძლებოდა ცენტრალური პრობლემატიკის და მასთან პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებული საკითხების კომპლექსურად წარმოჩენა და შესაბამისად, თანმიმდევრული მსჯელობის განვითარება. შედეგად ნაშრომის ძირითადი ტექსტი სტრუქტურულად ოთხ ნაწილად დაიყო:

1. რელიგიისა და რწმენის თავისუფლების საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩო. ამ ნაწილში ვრცლად იქნება განხილული რელიგიისა და რწმენის თავისუფლება, როგორც საერთაშორისო სამართლით ჩამოყალიბებული უფლებრივი კატეგორია, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივ მდგომარეობას, არამედ რელიგიისა და რწმენის თავისუფლების პერსონალურ (ინდივიდუალურ) ნაწილსაც. მსგავსი მიდგომა ორი მიზეზით არის განპირობებული. მათგან პირველი, უკავშირდება რელიგიისა და რწმენის თავისუფლების იმ მთლიანი სამართლებრივი ჩარჩოს წარმოჩენას, რომლის განუყოფელი ნაწილიცაა რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი მდგომარეობა და, რომელსაც მყარი კავშირები აქვს ამ ერთიანი სივრცის შემადგენელ თითოეულ შრესთან. ხოლო, მეორე მიზეზი თავად საერთაშორისო აქტების ხასიათსა და ფორმას უკავშირდება. რამდენადაც საერთაშორისო სამართალი აყალიბებს ზოგად პრინციპებს, საიდანაც თითოეულმა სახელმწიფომ საკუთარი ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით ადაპტირებული კანონმდებლობა უნდა ჩამოაყალიბოს, ყველა საერთაშორისო აქტი, რომლის

განხილვასაც ჩვენს ნაშრომში ვაპირებთ, ხასიათდება რელიგიისა და რწმენის თავისუფლებისადმი მკაფიო ზოგადობით. შესაბამისად, ჩვენი მცდელობა მდგომარეობს იმაში, რომ კონკრეტულზე მსჯელობას ზოგადის მიმოხილვა წავუმძღვართ, რათა მსჯელობა საერთო კონტექსტიდან განყენებულად არ განვითარდეს და ამით საკითხის მთლიანობა და კონტექსტური აღქმა არ დაზიანდეს. ამდენად, ძირითადი ტექსტის პირველი ნაწილის შედეგი იქნება რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ერთიან სივრცეში რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი მდგომარეობის ადგილის განსაზღვრა, მისი მნიშვნელობის დაფიქსირება და სივრცის სხვა შემადგენლებთან მისი ბმის წარმოჩენა.

2. რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი მდგომარეობა - ევროპის ქვეყნების კანონმდებლობა. ამ ნაწილში, ჩვენი მიზანია გადმოვცეთ ის სამართლებრივი გამოცდილება, რაც უცხო ქვეყნებმა ჩამოაყალიბეს რელიგიური გაერთიანებების შექმნის, რეგისტრაციისა და საქმიანობის წესთან დაკავშირებით. აქ ჩვენ ვეცდებით, ერთის მხრივ, გამოვკვეთოთ სხვადასხვა ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ ჩარჩოსთან. თუ როგორ შეძლეს მათ, საკუთარი ეროვნული თავისებურებათა გათვალისწინებით ჩამოეყალიბებინათ თვითმყოფადი სამართლებრივი რეგულაციები და ამავდროულად, ეს უკანასკნელი, არსებითად ყოფილიყო დაკავშირებული საერთაშორისო სამართლებრივ ჩარჩოსთან. ხოლო, მეორეს მხრივ, წარმოვაჩინოთ უშუალოდ საკანონმდებლო რეგულაციები, როგორც უფლებათა და ურთიერთობათა სისტემური სამართლებრივი რეგლამენტირება. ასევე, ხაზი გავუსვავთ ამგვარი სისტემური რეგულირების აუცილებლობას, სიკეთესა და უპირატესობას. შედეგად, ძირითადი ტექსტის მოცემული ნაწილი პირველ ნაწილთან ერთად იქნება ერთგვარი შესავალი მესამე ნაწილზე გადასასვლელად, რამდენადაც მათში აღწერილი ზოგადი სამართლებრივი ჩარჩო და კონკრეტული საკანონმდებლო რეგულაციები აუცილებელ წანამძღვრად მიგვაჩნია ჩვენს მიერ განსაზღვრული პრობლემატიკის ირგვლივ მსჯელობისთვის. გამომდინარე იქიდან, რომ ქართულ სამართლებრივ სივრცეში, არც საკანონმდებლო დონეზე და არც სამეცნიერო სფეროში პრაქტიკულად არ არსებობს მოცემული საკითხის ირგვლივ სათანადო იურიდიული მასალა და კვალიფიციური აკადემიური კვლევა, საერთაშორისო და უცხო ქვეყნების გამოცდილების წარმოჩენა ფუნდამენტურ მნიშვნელობას იძენს საკვლევი თემატიკის შესახებ აუცილებელი ზოგადი ხედვის ჩამოსაყალიბებლად.

3. რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი მდგომარეობა - საქართველოს

კანონმდებლობა. ამ ნაწილში, ჩვენი მიზანია ზედმიწევნით ავღწეროთ საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის ჩამოყალიბება და განვითარება რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი მდგომარეობის რეგულირებასთან დაკავშირებით. კვლევის პერიოდად განვსაზღვრავთ 1995 – 2014 წლებს. 1995 წლიდან საქართველოს კონსტიტუციამ ჩამოაყალიბა რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების გარანტიები და განსაზღვრა საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსი. ამით დასაბამი დაედო დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობაში რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი მდგომარეობის რეგლამენტირებას. შესაბამისად, ეს იქნება ჩვენი კვლის საწყისი წერტილი. რაც შეეხება 2014 წელს, საქართველოს მთავრობის დადგენილებით საჯარო სამართლის იურიდიულ პირად რეგისტრირებული ოთხი რელიგიური თემის რელიგიურ გაერთიანებებს განესაზღვრათ სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერა, საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ნაწილობრივი და სიმბოლური ანაზღაურების მიზნით. ეს უკანასკნელი წარმოადგენს მიმდინარე ეტაპზე არსებულ ბოლო საკანონმდებლო რეგულირებას, რომელიც რელიგიური გაერთიანების სამართლებრივ მდგომარეობას უკავშირდება. ამდენად, ჩვენი საკვლევი პერიოდიც ამ წერტილზე დასრულდება. შედეგად, ჩვენ წარმოვაჩენთ საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიას, კრიტიკულად გავანალიზებთ თითოეულ საკანონმდებლო სიახლეს და განვსაზღვრავთ სათანადო რეგულირების საჭიროებას.

4. სისტემური სამართლებრივი რეგულირების აუცილებლობა - ჰიპოთეზა. ტექსტის

დასკვნით ნაწილში ჩვენ დავეყრდნობით რა წინა ნაწილებში აღწერილ ფაქტობრივ გარემოებებს და განვითარებულ კრიტიკულ-ანალიტიკულ მსჯელობას, დავასაბუთებთ, რომ რელიგიური გაერთიანებებისთვის სათანადო სამართლებრივი მდგომარეობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია სისტემური სამართლებრივი რეგულირება. აღნიშნული უნდა გამომდინარეობდეს რელიგიური გაერთიანებების არსებული რეალური მდგომარეობებიდან და საჭიროებებიდან, რომელსაც უნდა პასუხობდეს შესაბამისი სამართლებრივი რეგულაციები და გარანტიები, რაც მთლიანობაში უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლებრივ ჩარჩოს. ჩვენ წარმოვადგენთ ჰიპოთეზას, რომლის

თანახმადაც, სისტემური სამართლებრივი რეგულირება, ერთის მხრივ, სასარგებლოა პირველ რიგში თავად რელიგიური გაერთიანებებისთვის, მეორეს მხრივ, კი, აუცილებელია მთლიანად სამართლებრივი სისტემისთვის. სისტემური სამართლებრივი რეგულირების ფორმულად განვსაზღვრავთ შემდეგს: *ფაქტობრივი მდგომარეობა (რეალური საფუძვლები) - შესაბამისი სამართლებრივი სტატუსი (რეგისტრაციის წესი) - შესაბამისი უფლებრივი და ვალდებულებითი მდგომარეობა (საქმიანობის წესი)*, ხოლო რეგულირების ყველაზე ქმედით საშუალებად, სპეციალურ კანონს - *რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შესახებ* (სახელწოდება პირობითა).

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ძირითადი ტექსტი იქნება ერთგვარი მოძრაობა ზოგადიდან კონკრეტულისკენ და პრობლემიდან მისი გადაჭრისკენ. ამდენად, მკაფიოდ წარმოჩნდება თუ რას წარმოადგენს რელიგიისა და რწმენის თავისუფლება ზოგად საერთაშორისო სამართლებრივ ჩარჩოში და რა ადგილი უკავია მასში რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივ მდგომარეობას, როგორც ცალკე კატეგორიას, როგორი გამოცდილება არსებობს უცხო ქვეყნებში აღნიშნული ზოგადი ჩარჩოდან ეროვნული (თვითმყოფადი, თუმცა არა ზოგადისგან განყენებული) პრატიკის გამოყვანის, ამასთან, როგორია საქართველოს ეროვნული პრაქტიკა და როგორ უნდა გადაიჭრას მასში არსებული პრობლემები.

კვლევის მეთოდები

ჩვენი კვლევა მოიცავს დაკვირვების რამდენიმე ობიექტს. უპირველეს ყოვლისა, ეს არის რელიგიისა და რწმენის თავისუფლების საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩო, როგორც სფეროს ყველაზე ფართო სივრცე; უცხო ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობები და რელიგიური გარემო, როგორც საერთაშორისო სტანდარტების ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვის ფორმები; საქართველოს ეროვნული კანონმდებლობა, მისი რეგულირების სფერო, საფუძვლები, რეგულაციები, მათი ნაკლოვანებები საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოს და უცხო ქვეყნების ეროვნულ საკანონმდებლო გამოცდილებათა ფონზე.

შესაბამისად, ჩვენი კვლევის ფარგლებში ძირითადად დავეყრდნობით *მონოგრაფიული კვლევის* მეთოდებს, რაც გულისხმობს საკვლევი თემის/საკითხის სიღრმისეულ და ყოველმხრივ შესწავლას, შედეგად გამოვლენილი და გაანალიზებული იქნება პრობლემის განსხვავებული მხარეები და უზრუნველყოფილი იქნება კვლევის შედეგებისადმი ნდობა. თავის მხრივ, მონოგრაფიული კვლევა მოიცავს კვლევის სხვადასხვა მეთოდებს, კერძოდ: *აღწერითს*, რომელიც გულისხმობს დაკვირვების ობიექტის აღწერას იმგვარად, რომ მისი შინაარსი წარმოჩინდეს ამომწურავად, ანუ მოხდეს საკითხის არსობრივი გააზრება, მაგრამ არა მისი კრიტიკა ან ანალიზი (საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩო, უცხო ქვეყნის კანონმდებლობები, საქართველოს ეროვნული კანონმდებლობა); *კრიტიკულს*, რომელიც გულისხმობს აღწერილის კრიტიკულ გააზრებას და შესაბამისი დასკვნების გამოტანას (საქართველოს ეროვნული კანონმდებლობა); *ანალიტიკურს*, რომელიც მოიცავს გაკეთებულ დასკვნების - პრობლემებისა და მათი გადაწყვეტის გზების გაანალიზებას (საქართველოს ეროვნული კანონმდებლობა, კვლევის დასკვნითი ნაწილი); *არგუმენტირებას*, ანუ პრობლემების გადაწყვეტის გზების ჩამოყალიბებასა და დაცვას (კვლევის დასკვნით ნაწილი). ამასთან, ზოგიერთი მეთოდი გამოყენებული იქნება მთელი კვლევის, ზოგიერთი კი, ნარკვევის ცალკეული ნაწილების მიმართ (ზურაბიშვილი, 2006).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ჩვენი კვლევა უპირატესად მოიცავს რელიგიისა და რწმენის თავისუფლების საკანონმდებლო რეგულირების ფორმებს, როგორც აღწერით და ანალიტიკურ, ასევე, დასკვნით და სარეკომენდაციო ნაწილებში. ამდენად, ცალკეული საკითხების მიმოხილვისას ძირითადად დავეყრდნობით საერთაშორისო და ეროვნულ

სამართლებრივ აქტებს, დეკლარაციებს, რეზოლუციებსა და რეკომენდაციებს, ასევე, მათ განმარტებებს და შესაბამისი ორგანიზაციების (გაეროს ადამიანის უფლებების კომიტეტის, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი, ვენეციის კომისიის, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კვლევითი დეპარტამენტის და ა.შ.) მიერ მომზადებულ დასკვნებს.

აღნიშნული განსაკუთრებულ თავისებურებას სძენს ჩვენს კვლევას, რამდენადაც დასკვნები და თეორიები გამოყვანილი იქნება არა თეორიული ნაშრომების და თეზისების, არამედ, უშუალოდ მოქმედი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე. თავის მხრივ, მსგავსი მიდგომა გაამარტივებს თეორიული მსჯელობის საკანონმდებლო რეგულაციებისადმი მისადაგებას, რაც წარმოადგენს კიდევ ჩვენი კვლევის დასკვნით, სარეკომენდაციო ნაწილს.

პირველ რიგში, ჩვენ აღვწერთ რელიგიისა და რწმენის თავისუფლების საერთაშორისო სამართლებრივ ჩარჩოს და უცხო ქვეყნების საკანონმდებლო გამოცდილებას, რითაც წარმოვაჩენთ, ერთის მხრივ, ზოგად ფუძემდებლურ პრინციპებს, მეორეს მხრივ, კი ეროვნულ კანონმდებლობებში მათი ასახვის პრაქტიკას. მესამე ნაწილში ავღწერთ და გავაანალიზებთ რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი მდგომარეობის მარეგულირებელ საქართველოს კანონმდებლობას. ცალ-ცალკე გამოვყოფთ საკითხებს, რომელთაც კანონმდებლობა მოიცავს და რომელთაც კანონმდებლობა არ არეგულირებს. თითოეულ ამ გჯუფში შემავალ საკითხებს განვიხილავთ კრიტიკულად და გავაკეთებთ შესაბამის დასკვნებს. მას შემდეგ, რაც განვსაზღვრავთ პრობლემებს, ნაშრომის დასკვნით ნაწილში, ჩამოვაყალიბებთ მათი გადაჭრის არგუმენტირებულ გზებს.

თავი 1. რელიგიისა და რწმენის თავისუფლების საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩო მოცემული თავი ემსახურება რელიგიისა და რწმენის თავისუფლების საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოს ჩამოყალიბებისა და განვითარების აღწერას. ამ თავში ჩვენ თანმიმდევრულად და ნაწილობრივ ქრონოლოგიურად მიმოვიხილავთ ყველა იმ საერთაშორისო აქტს, რომლებიც რელიგიისა და რწმენის თავისუფლების თანამედროვე გააზრებას ქმნიან.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი კვლევა უშუალოდ საქართველოს საკანონმდებლო რეგულაციების ანალიზს და მათი დახვეწის მიმართულებების ჩამოყალიბებას ეძღვნება, საკითხის ირგვლივ სრულყოფილი მსჯელობის აუცილებელ კომპონენტად რელიგიისა და რწმენის თავისუფლების საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოს მიმოხილვა მივიჩნით, რადგან ქართული კანონმდებლობა, ისევე, როგორც ნებისმიერი ეროვნული კანონმდებლობა, უნდა შეესაბამებოდეს იმ საერთაშორისო აქტებს, რომელსაც ესა თუ ის ქვეყანაა მიერთებული.

გარდა აღნიშნულისა, როგორც ჩვენი კვლევა ქვემოთ აჩვენებს, საქართველოს კანონმდებლობა რელიგიისა და რწმენის თავისუფლების სამართლებრივი რეგულირების ნაწილში უაღრესად მწირი და არასათანადოდ ორგანიზებულია, რაც დამატებით აჩენს იმის საჭიროებას, რომ მისი დახვეწა საერთაშორისო და უცხო ქვეყნების საუკეთესო გამოცდილების ფონზე მოხდეს.

1.1. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1948 წ.)

რელიგიისა და რწმენის თავისუფლება იმ ფორმით, როგორადაც ის დღეს არის დამკვიდრებული სამართლებრივ ჩამოყალიბებას მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ახლებური გააზრების ფარგლებში იწყებს. რეგლამენტირებული ფორმით რელიგიისა და რწმენის თავისუფლება

საერთაშორისო აქტებში პირველად, სწორედ ამ დროს, 1948 წლის 10 დეკემბერს, ცივილიზებული კაცობრიობის მიერ გაკეთებულ საეტაპო განაცხადში - ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში ჩნდება. დეკლარაციის მე-18 მუხლი აყალიბებს:

„ყოველ ადამიანს აქვს უფლება აზრის, სინდიდისა და რელიგიის თავისუფლებისა; ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას თავისი რელიგიის თუ რწმენის შეცვლისა და თავისუფლებას თავისი რელიგიის თუ რწმენის აღმსარებლობისა, როგორც ერთპიროვნულად, ასევე, სხვებთან ერთად, მოძღვრებაში, ღვთისმსახურებაში და რელიგიურ და რიტუალურ წესჩვეულებათა შესრულებაში საჯარო თუ კერძო წესით“.
(საყოველთაო დეკლარაცია. მუხ. 18.)

რელიგიის თავისუფლების აღნიშნული განსაზღვრება მას აზრისა და სინდიდის თავისუფლებასთან ერთად საერთო კონტექსტში წარმოადგენს. ნიშანდობლივია, რომ მსგავსი კონტექსტი რელიგიისა და რწმენის თავისუფლებამ თითქმის ყველა მომდევნო საერთაშორისო აქტში და უმეტესი ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობაში შეინარჩუნა. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ მოცემულ დეკლარაციაში, საერთო კონტექსტის მიუხედავად, ნორმათა ტექსტი ძირითადად მხოლოდ რელიგიისა და რწმენის თავისუფლებას გნავრცობს, ხოლო აზრის და სინდიდის თავისუფლება მხოლოდ კონტექსტური დათქმით შემოიფარგლება. ზოგადად, თავისუფლებათა ამ ერთობას შეიძლება რწმენისმიერი თავისუფლების ჯგუფი ეწოდოს, რადგან აზრიც (პირადი შეხედულება), სინდიდისიც (პირადი დამოკიდებულება) და რელიგიაც (რელიგიური მრწამსი) სწორედ მყარი შინაგანი რწმენის კატეგორიაში ერთიანდება, რაც ვრცლად განიმარტება და რელიგიურ მრწამსთან ერთად, არარელიგიურ და ათეისტურ მრწამსაც მოიცავს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, თუ პაცეფისტურ შეხედულებებსა და დამოკიდებულებებს (რაც ხშირად, ასევე, რელიგიური მრწამსითაა მოტივირებული) არ ჩავთვლით, არ იცნობს თავისუფლებათა ამ კატეგორიის ფარგლებში აზრის ან სინდიდის თავისუფლების რწმენის თავისუფლებისგან დამოუკიდებელ გაგებას (რელიგიის თავისუფლების სფეროში სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა. მეტრეველი, 2015. გვ: 74-103). ეს ყველაფერი რელიგიური მრწამსის პირად სააზროვნო და სინდიდისისმიერ საწყისებთან მჭიდრო კავშირზე

მიუთითებს, რაც ადამიანის შინაგანი ანთროპოლოგიური ფენომენის და ადამიანური ღირსების უმნიშვნელოვანეს შემადგენელს წარმოადგენს. ამ მცირე განმარტებით ჩვენი მიზანია ხაზი გაესვას რელიგიისა და რწმენის თავისუფლების მაღალ ჰუმანურ ღირებულებას, რათა უკეთ მოხდეს მის დასაცავად და უზრუნველსაყოფად შექმნილი იმ საერთაშორისო აქტებისა და სამართლებრივი ინსტრუმენტების ზოგადი მნიშვნელობის აღქმა, რომელთა მიმოხილვასაც ქვემოთ წარმოვადგენთ. (Domingo, 2015)

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია უნივერსალური მნიშვნელობის მიუხედავად დღემდე მხოლოდ მორალური ზეგავლენის მატარებელ აქტად რჩება და სამართლებრივი ზემოქმედების მექანიზმებს არ შეიცავს. დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა დისკუსია დეკლარაციის სამართლებრივად სავალდებულო აქტად ქცევის შესახებ. ამ მიდგომის მომხრეებსაც და ოპონენტებსაც საკმაოდ მყარი არგუმენტები გააჩნდათ, პირველი მათგანი მიიჩნევდნენ, რომ აქტი, რომლის მოთხოვნათა დაუცველობა ან დარღვევა არ იწვევს სამართლებრივ პასუხისმგებლობას არაქმედითა, ხოლო უკანასკნელთა არგუმენტი განმარტავდა, რომ სანამ დეკლარაცია მორალური ზეგავლენის მქონე დოკუმენტად რჩება მისი უნივერსალურობა გარანტირებულია, სამართლებრივი ხასიათის მინიჭებით კი ამ მნიშვნელობას დაკარგავს და სავალდებულო ძალას მხოლოდ იმ სახელმწიფოთათვის შეიძენს, რომლებიც მას მიუერთდებიან (Davis / დევისი, 2002). ამ დავამ მნიშვნელობა 1966 წელს დაკარგა, როდესაც გაერომ დეკლარაციით ჩამოყალიბებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სამართლებრივი ინსტრუმენტები შექმნა: *საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ* და *საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ*.

რელიგიისა და რწმენის თავისუფლების დეკლარაციული გაგება განიცრცო და სამართლებრივ კატეგორიად იქცა *სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის* მე-18 მუხლით და ფართოდ განიმარტა გაეროს ადამიანის უფლებების კომიტეტის მიერ 1993 წელს მიღებული *22-ე ზოგადი კომენტარით სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-18 მუხლზე* (გაეროს, ევროსაბჭოს, ეუთოს, ვენეციის კომისიისა და ოსლოს კოალიციის დოკუმენტები რელიგიის თავისუფლების შესახებ. 2015. გვ: 35-38). თუმცა, ქრონოლოგიურად აღნიშნულ პაქტს წინ

უსწრებდა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია (1950 წ.), რომლის მე-9 მუხლით - აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება, პირველად შეიქმნა რელიგიისა და რწმენის თავისუფლების დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტი.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით ჩამოყალიბებული რელიგიისა და რწმენის თავისუფლების პირველადი გაგების მიმოხილვის დასასრულს აუცილებლად მოკლედ უნდა შევხვით 1960 წელს გაეროს დისკრიმინაციის პრევენციისა და უმცირესობათა დაცვის ქვეკომიტეტის მიერ მომზადებულ დოკუმენტს - ნარკვევი რელიგიურ უფლებებსა და პრაქტიკასთან დაკავშირებული დისკრიმინაციის შესახებ. დოკუმენტი მომზადებულ იქნა ქვეკომიტეტის სპეციალური მომხსენებლის არკოტ კრიშნასვამის მიერ და მოიცავს ისეთ საკითხებს (ქვესათაურების მიხედვით), როგორცაა: აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების ბუნება, რელიგიის ან რწმენის გამოხატვა, რელიგიურ მრწამთან შეუთავსებელ საქმიანობაზე უარის თქმა, სახელმწიფოს და რელიგიის ურთიერთობის მოდელები, რელიგიური გაერთიანებების სტატუსები და ა.შ. როგორც ნარკვევის შესავალშია აღნიშნული მსგავსი კვლევის აუცილებლობა რელიგიისა და რწმენის თავისუფლების, როგორც ახალი საყოველთაო უფლების, სათანადო განმარტების მნიშვნელობას უკავშირდებოდა. დოკუმენტი საკმაოდ ვრცლად განმარტავს თითოეული საკითხის შემადგენელ ყველა ელემენტს და საკუთარი არსით რელიგიისა და რწმენის თავისუფლების პირველად საერთაშორისო გაგებას აყალიბებს (Krishnaswami / კრიშნასვამი, 1960). სწორედ ეს დოკუმენტი უძღოდა წინ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მიღებას, რომელსაც მომდევნო ქვეთავში მიმოვიხილავთ.

აქვე მოკლედ განვმარტავთ, რომ ჩვენ სპეციალურად ვარღვევთ საერთაშორისო აქტების ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას და გამოვტოვებთ 1950 წელს მიღებულ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპულ კონვენციას, რადგან მართებულად მიგვაჩნია კონტექსტური თანმიმდევრობის დაცვით, პირველ ეტაპზე ამოვწუროთ გაეროს აქტები, ხოლო შემდეგ, შესაბამისი ქრონოლოგიის დაცვით, წარმოვადგინოთ ევროპის საბჭოს აქტები.

1.2. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (1966 წ.)

საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, როგორც უკვე აღინიშნა, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტთან ერთად გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით ჩამოყალიბებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სამართლებრივი ინსტრუმენტებია. შესაბამისად, ამ პაქტებმა, გაიმეორეს, განავრცეს და სამართლებრივი ძალა შესძინეს იმ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც დეკლარაციაშია მოცემული, მათ შორის, აზრის, სინდისისა და რწმენის თავისუფლებას.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-18 მუხლის თანახმად თითოეულ ადამიანს აქვს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება, რომელიც მოიცავს თავისუფლებას ჰქონდეს ან იღებდეს რელიგიასა თუ მრწამსს საკუთარი თავისუფალი არჩევნით და თავისუფლად აღიარებდეს თავის რელიგიასა და მრწამსს როგორც ერთპიროვნულად, ისე სხვებთან ერთად, ეწეოდეს ღვთისმსახურებას და ასრულებდეს რელიგიურ თუ რიტუალურ წეს-ჩვეულებებს, როგორც საჯაროდ, ისე კერძო წესით. ამასთან, არავინ არ უნდა განიცდიდეს იძულებას, რომელიც ლახავს მის თავისუფლებას იქონიოს ან მიიღოს რელიგია თუ მრწამსი საკუთარი არჩევანით. რელიგიისა თუ მრწამსის აღიარების თავისუფლებას შეიძლება დაუწესდეს მხოლოდ ის შეზღუდვები, რომლებიც დადგენილია კანონით და საჭიროა საზოგადოებრივი უშიშროების, წესრიგის, ჯანმრთელობისა და მორალის, ისევე როგორც სხვა პირთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის. პაქტმა მონაწილე სახელმწიფოები აღჭურვა ვალდებულებით, პატივი სცენ მშობელთა და შესაბამის შემთხვევებში, კანონიერ მეურვეთა თავისუფლებას უზრუნველყონ თავიანთი ბავშვების რელიგიური და ზნეობრივი აღზრდა საკუთარი მრწამსის შესაბამისად.

მხოლოდ პაქტის ტექსტზე დაკვირვებითაც ცხადია, რომ გაერომ არა უბრალოდ სამართლებრივ ინსტრუმენტად აქცია დეკლარაციური ტექსტი, არამედ საკმაოდ განავრცო და ახალი უფლებრივი შემადგენლებით შეავსო რელიგიისა და რწმენის თავისუფლება. დეკლარაციისგან განსხვავებით პაქტის შესაბამისი ნორმა ითვალისწინებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: რელიგიური მრწამსის ქონის ან მიღების იძულების აკრძალვა, ბავშვთა

რელიგიური აღზრდის ნაწილში მშობლებისა და კანონიერი მეურვეების უფლებები და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, რელიგიისა და რწმენის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის მიზნები.

რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შეზღუდვის მიზნები მანამდე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაში 1950 წელს გაჩნდა და პაქტის მიღებამდე - 1966 წლამდე, საერთაშორისო სამართლებრივ სივრცეში უკვე არსებობდა. ამ შეზღუდვების კონვენციით განსაზღვრულ პრინციპებს მოგვიანებით განვიხილავთ, აქ კი მოკლედ აღვნიშნავთ, რომ ამ ჩანაწერმა რელიგიისა და რწმენის თავისუფლება ორ *აბსოლუტურ* და *შეზღუდვად* თავისუფლებად დაყო.

პაქტის მე-18 მუხლი 1993 წელს ვრცლად განმარტა გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა (1247-ე სხდომა. ორმოცდამერვე სესია, 1993 წლის 20 ივლისი) საკუთარ *22-ე კომენტარში*. დოკუმენტში უპირველეს ყოვლისა განმარტებულია, რომ აზრის, სინდისისა და რელიგიის (რაც მოიცავს რწმენის თავისუფლებას) თავისუფლება არის ღრმა და მრავლის მომცველი უფლება; ის მოიცავს აზრის თავისუფლებას ყველა საკითხში, პირად მრწამსს და რელიგიისა თუ რწმენის ერთგულებას, გამოხატულს ინდივიდუალურად თუ ჯგუფურად სხვებთან ერთად. ასევე, აღინიშნა, რომ რელიგიის თავისუფლება უნდა განივრცოს რწმენის თავისუფლების ერთიან სივრცეში, რაც მოიცავს, როგორც თეისტურ, ასევე, არათეისტურ და ათეისტურ რწმენას:

„ტერმინები რწმენა და რელიგია გამოყენებულია ფართო გაგებით. მე-18 მუხლი საკუთარ განცხადებაში არ იზღუდება ტრადიციული რელიგიებით ან ინსტიტუციური მახასიათებლებით ან პრაქტიკით ტრადიციული რელიგიების ანალოგიური რელიგიებითა და რწმენებით. შესაბამისად, კომიტეტი შემფოთებით განიხილავს დისკრიმინაციის ნებისმიერ ტენდენციას ნებისმიერი რელიგიის ან რწმენის წინააღმდეგ ნებისმიერი მიზეზით, იმ ფაქტის ჩათვლით, რომ ისინი არიან ახლად ჩამოყალიბებული, ან წარმოადგენენ რელიგიურ უმცირესობებს, რაც შეიძლება დომინანტი რელიგიური გაერთიანების მხრიდან მტრობის საგანი იყოს“. (გაეროს, ევროსაბჭოს, ეუთოს, ვენეციის კომისიისა და ოსლოს კოალიციის დოკუმენტები რელიგიის თავისუფლების შესახებ. 2015. გვ: 35-38).

მნიშვნელოვანი განმარტება გაკეთდა რელიგიისა და რწმენის თავისუფლების *აბსოლუტურ* და *შეზღუდვად* ნაწილებად დაყოფაზე. ამ ნიშნით ერთმანეთისაგან გაიმიჯნა რწმენის თავისუფლება, როგორც *შინაგანი (forum internum)* და რელიგიისა და რწმენის გამოხატვის თავისუფლება, როგორც *გარეგანი (forum externum)* უფლებრივი და ვალდებულებითი კატეგორიები. აღნიშნა, რომ მაშინ, როდესაც რელიგიის თავისუფლება, რომელიც მოიცავს ადამიანის შინაგან რწმენას და გამოხატება კონკრეტული რელიგიური, არარელიგიური ან ათეისტური მრწამსის ქონაში, მიღებაში ან შეცვლაში, არის აბსოლუტური უფლება და ის არ შეიძლება დაექვემდებაროს რაიმე სახის შეზღუდვას, რელიგიის გამოხატვის თავისუფლება, როგორც საკუთარი მრწამსის გარეგანი გამოვლინება, რაც შეხებაში მოდის სხვა უფლებებთან და თავისუფლებებთან, რიგ შემთხვევებში შეიძლება შეიზღუდოს. ასეთი შეზღუდვის მიზნებად განისაზღვრა *საზოგადოებრივი უშიშროება, წესრიგი, ჯანმრთელობა და მორალი, ისევე როგორც სხვა პირთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა (გაეროს, ევროსაბჭოს, ეუთოს, ვენეციის კომისიისა და ოსლოს კოალიციის დოკუმენტები რელიგიის თავისუფლების შესახებ. 2015. გვ: 35-38).*

რამდენადაც რელიგიისა და რწმენის *შინაგანი* თავისუფლება, როგორც *აბსოლუტური* (შეუზღუდავი) უფლებრივი კატეგორია მოიცავს ისეთ თავისუფლებას, როგორცაა, კონკრეტული რელიგიური, არარელიგიური ან ათეისტური მრწამსის ქონის თავისუფლება, ასევე თავისუფლება, პირს ქონდეს არარწმენისმიერი შეხედულებები რელიგიურ, არარელიგიურ ან ათეისტურ მრწამსებთან დაკავშირებით. ეს თავისუფლება, თავისთავად გამომდინარეობს მრწამსის დაუბრკოლებლად არჩევანის თავისუფლებიდან, რაც შეიძლება გამოიხატოს მისი მიღებით, მასზე ურის თქმით ან სხვა მრწამსით შეცვლით. ამ კონტექსტში უმნიშვნელოვანესია ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ამ უფლებებსა და თავისუფლებებს არ შეიძლება დაუდგინდეს რაიმე სახის შეზღუდვები. ნებისმიერი ინდივიდუალური თუ სახელმწიფო პოლიტიკა ან პრაქტიკა, მათ შორის, მორალური ან სამსახურეობრივი ზეგავლენა თუ ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, მუქარა, დაშინება და ა.შ., რომელიც პირს უსპობს ამგვარ თავისუფლებას ან მის საფუძველზე აქცევს განსხვავებულ მდგომარეობაში, მასზე ავრცელებს განსხვავებულ მოპყრობას, ცალსახად უნდა შეფასდეს, როგორც დისკრიმინაცია რელიგიის ან რწმენის ნიშნით. შესაბამისად, ასეთ შემთხვევებში, პირის მიმართ გავრცელდება ანტიდისკრიმინაციული დაცვის სამართლებრივი მექანიზმები.

რელიგიის ან რწმენის გარეგანი თავისუფლება, როგორც შეზღუდვადი კატეგორია, წარმოადგენს განსაკუთრებული რეგულირების სფეროს, რადგან უფლებრივი სამართლებრივი კატეგორიების შეზღუდვა, რომელიც გონივრული და ნაწილობრივ აუცილებელიც კია, თავისთავად საჭიროებს მკაცრ რეგლამენტირებას და მკაფიო განჭვრეტადობას. ამგვარი შეზღუდვები ზოგადად ემყარება კონკრეტულ პრინციპებსა და მიზნებს.

პაქტის მე-18 მუხლის ფარგლებში რელიგიის ან რწმენის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის პრინციპი გულისხმობს, რომ ამგვარი შეზღუდვა დადგენილი უნდა იყოს კანონით. სხვა საერთაშორისო აქტებში ეს პრინციპები განივრცობა დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებლობით და ლეგიტიმური მიზნის პროპორციულობით. ამ უკანასკნელთ შესაბამისი აქტების განხილვისას შევეხებით.

კანონით დადგენა, როგორც თავისუფლების შეზღუდვის პრინციპი, ემყარება სწორედ ზემოხსენებულ გაგებას, რომ ასეთი შეზღუდვა იყოს მკაცრად რეგლამენტირებული, რათა არ მოხდეს უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვა გარდა იმ შემთხვევებისა რაც კანონით პირდაპირაა გათვალისწინებული და ამასთან, ეს დადგენილი შეზღუდვები არ დაექვემდებაროს გადაჭარბებულ ინტერპრეტაციასა და დაუშვებელ განვრცობას. მეორეს მხრივ, უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვები უნდა იყოს მკაფიოდ განჭვრეტადი, რათა თითოეულმა პირმა წინასწარ სრულად იცოდეს კანონმდებლობით დადგენილი რა შეზღუდვები ვრცელდება მის თავისუფლებაზე და ამ უკანასკნელის რეალიზებისას გაითვალისწინოს ისინი. თავისთავად, შეზღუდვები ისე უნდა იქნას დაწესებული და აღსრულებული, რომ ამან მთლიანად მუხლით დადგენილი უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობას არ შეუქმნას საფრთხე ან არსობრივად არ დაამახინჯოს ისინი. მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას, რომ კანონით დადგენა, პირდაპირ არ გულისხმობს, რომ დადგენილი შეზღუდვა სამართლიანია, ანუ ნებისმიერ შეზღუდვის ლეგიტიმურობისთვის საკმარისი არ არის მისი კანონით განსაზღვრა, არამედ შეზღუდვის არსი. შესაბამისად, პრინციპულად დაუშვებელია დისკრიმინაციული ხასიათის შეზღუდვის დაწესება და ა.შ. ამდენად, კანონით დადგენა, როგორც პრინციპი უპირატესად პროცესუალურ დატვირთვას ატარებს და ემსახურება ზემოხსენებულ

რეგლამენტირებულობისა და განჭვრეტადობის მიზნებს, ხოლო შეზღუდვათა არსი გამომდინარეობს თავად რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ერთიანი გაგებიდან და უკავშირდება კონკრეტულ მიზნებს (რელიგიის თავისუფლება, 2004. გვ: 152-177).

პაქტის ამავე მუხლის ფარგლებში, რელიგიის ან რწმენის გამოხატვის თავისუფლება შეიძლება დაექვემდებაროს გარკვეულ შეზღუდვებს შემდეგი მიზნებით: საზოგადოებრივი უშიშროება, წესრიგი, ჯანმრთელობა, მორალი და სხვა პირთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. მნიშვნელოვანია თითოეული მათგნის მოკლედ მიმოხილვა.

რელიგიის ან რწმენის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა საზოგადოებრივი უშიშროების, წესრიგისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფის მიზნით უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ მისი განვრცობა არ მოხდეს ნებისმიერ საზოგადოებრივ აუცილებლობაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა კომიტეტი მიუთითებს, რომ რელიგიისა და რწმენის თავისუფლება ატარებს ფუნდამენტურ ხასიათს და მისი შეზღუდვა საზოგადოებრივი აუცილებლობის ზოგადი გაგებითა და მიზნებისთვის დაუშვებელია, მათ შორის, საგანგებო მდგომარეობის პირობებშიც კი. ამის არგუმენტად კომიტეტი მიუთითებს ამავე პაქტის მე-4 მუხლს:

„1. სახელმწიფოში საგანგებო წესების შემოღების დროს, როცა ერის სიცოცხლე საფრთხეშია და ეს ოფიციალურად გამოაცხადეს ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლიათ გადაუხვიონ პაქტით ნაკისრ თავიანთ ვალდებულებებს იმდენად, რამდენადაც ამას მოითხოვს მდგომარეობის სიმძაფრე, და განახორციელონ ღონისძიებანი იმ პირობით, რომ ეს ღონისძიებანი შეუთავსებელი არ იქნება საერთაშორისო სამართლით დაკისრებულ სხვა ვალდებულებებთან და მათ არ მოჰყვება დისკრიმინაცია მხოლოდ და მხოლოდ რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიისა თუ სოციალური წარმოშობის საფუძველზე.

2. ეს დებულება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს რაიმე გადახვევებს 6,7,8 (1 და 2 პუნქტები), 11,15,16 და 18 მუხლებიდან.“

შესაბამისად, აღნიშნული მიზნით პაქტის მე-18 მუხლით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის გაგება კონკრეტული დანაშაულის რეალურ საფრთხემდე ან პროვოცირებამდე ვიწროვდება. რიგ შემთხვევებში, ამ მიზნებისთვის შესაძლოა დავიწროვდეს *საზოგადოების* გაგებაც, მაგალითად, ასეთი შესაძლოა იყოს *საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება* პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია, რომ ბრალდებულები და მსჯავრდებულები რელიგიისა და რწმენის თავისუფლებას გამოხატავენ ზოგადი შეზღუდულობით (გარემოებითი შესაძლებლობების ფარგლებში), ხოლო ამ ტიპის დაწესებულებებში *საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის* უზრუნველსაყოფად დადგენილია განსაკუთრებული რეგულაციები (ტორიაშვილი, 2013).

საზოგადოებრივი ჯანმრთელობა, როგორც თავისუფლების შეზღუდვის მიზანი ზემოთ აღნიშნულ ზოგად გაგებასთან ერთად, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების კონტექსტში შესაძლოა გულისხმობდეს, ასევე, ისეთი რელიგიური მსახურების ფორმას, პრაქტიკას ან ტრადიციას, რომელიც ფიზიკურ ან ფსიქიკურ (მენტალურ) ზიანს აყენებს მასში მონაწილე ან გარეშე პირებს. ასეთ შემთხვევებში სახელმწიფო დაუბრკოლებლად მოქმედებს გარეშე პირთა ჯანმრთელობის უფლებების დაცვისთვის უზრუნველსაყოფად, თუმცა მნიშვნელოვან პრობლემებს აწყდება კონკრეტული რელიგიური მრწამსის მქონე იმ სრულწლოვანი და ნაწილობრივ არასრულწლოვანი პირებთან დაკავშირებით, რომლებიც საკუთარი არჩევანით (არასრულწლოვნების შემთხვევაში - მათი მშობლების ან კანონიერი მეურვეების არჩევანით) მონაწილეობენ მსგავსი საფრთხის მატარებელ რელიგიურ რიტუალში, მისდევენ რელიგიურ პრაქტიკას ან ტრადიციებს.

განსაკუთრებულ ყურადღებას და მკაფიო განმარტებას საჭიროებს შეზღუდვის ისეთი მიზანი, როგორცაა *საზოგადოებრივი მორალი*, რამდენადაც თავად მორალის ცნების დაკავშირება სამართლებრივ კატეგორიებთან ზოგადად წარმოადგენს გარკვეულ სირთულეს. ამის გათვალისწინებით გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი განმარტავს, რომ:

„მორალის ცნება გამომდინარეობს რიგი სოციალური, ფილოსოფიური და რელიგიური ტრადიციებიდან; შესაბამისად, რელიგიის ან რწმენის აღიარების თავისუფლებასთან დაკავშირებული შეზღუდვები, მორალის დაცვის მიზნით, უნდა

ემყარებოდეს პრინციპებს, რომლებიც არ გამომდინარეობს ექსკლუზიურად რომელიმე ერთი ტრადიციიდან.“ (გაეროს, ევროსაბჭოს, ეუთოს, ვენეციის კომისიისა და ოსლოს კოალიციის დოკუმენტები რელიგიის თავისუფლების შესახებ. 2015. გვ: 35-38).

ამ კონტექსტში აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ზოგადი მიდგომა თავისუფლებათა შეზღუდვის მიზნად საზოგადოებრივი მორალის გამოყენებასთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია, რომ ამ კონტექსტში სასამართლო ფართო მიხედულობის თავისუფლებას ანიჭებს ეროვნულ ხელისუფლებებს, რადგან საზოგადოებრივი მორალი სწორედ ეროვნული თვითმყოფადი კულტურის განუყოფელი ნაწილია, მისგან გამომდინარეობს და მისი უნიფიცირება შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, საზოგადოებრივი მორალის გადაჭარბებული განმარტება და განვრცობა დაუშვებელია, რადგან ამ შემთხვევაში წარმოიშვება საფრთხე, რომ ინდივიდუალური მორალი (თუნდაც კოლექტიური ხასიათის, მაგალითად უმრავლესობის მორალი) იქცეს ზოგად კრიტერიუმად და ამით დაუპირისპირდეს ცალკეული ჯგუფების იგივე კატეგორის ტრადიციულ ზნეობრივ ნორმებს. ამდენად, საზოგადოებრივი მორალი, საბოლოო ჯამში მაინც დაიყვანება ისეთ ფასეულობამდე, რომელიც აყალიბებს საზოგადოებაში, მათ შორის მრავალფეროვან საზოგადოებაში, მშვიდობიანი თანაცხოვრების საყრდენებს და წარმოადგენს დანაშაულის შემაკავებელ ფაქტორს. თავისთავად მორალის დაყვანა მხოლოდ კრიმინალამდე, მაინც არ იქნება მართებული, რამდენადაც კრიმინალის შემთხვევაში სახეზეა რეალური დანაშაული ან ამგვარი დანაშაულის რეალური საფრთხე, საზოგადოებრივი მორალის უგულვებელყოფა კი შესაძლოა არ იწვევდეს დაცულ სიკეთეთა მყისიერ ხელყოფას, არამედ წარმოადგენდეს რეალურ საფრთხეს მათთვის და ქმნიდეს ისეთ გარემოს, სადაც ამ სიკეთეთა დაცვის საზოგადოებრივი მექანიზმები მკვეთრად შემცირდება ან სრულად მოისპობა (Wolfe / ვოლფი, 2000).

საერთაშორისო პაქტმა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ერთიან სივრცეში გააჩინა ახალი უფლებრივი კატეგორია ბავშვის რელიგიურ და ზნეობრივ აღზრდაზე მშობელთა და კანონიერ მეურვეთა უფლების სახით. პაქტის მიღებამდე რამდენიმე წლით ადრე, 1960 წელს გაერომ მიიღო განათლების

მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) მიერ შემუშავებული კონვენცია განათლების სფეროში დისკრიმინაციის წინააღმდეგ, რომელმაც ასევე ვრცლად განმარტა მშობლებისა და კანონიერი მეურვეების უფლება ბავშვთა რელიგიური და მორალური აღზრდის სფეროში:

„აუცილებელია მშობელთა, და, შესაბამის შემთხვევაში, კანონიერი მეურვეების უფლების პატივისცემა, პირველ რიგში აირჩიონ სასწავლო დაწესებულებები მათი შვილებისათვის, საჯარო ხელისუფლების ორგანოების დაწესებულებების გარდა, თუ ეს არჩეული დაწესებულებები შეესაბამება იმ მინიმალურ საგანმანათლებლო სტანდარტებს, რომლებიც შესაძლოა დაწესებული ან დამტკიცებული იქნეს სათანადო ორგანოების მიერ, მეორე რიგში კი სახელმწიფოში არსებული კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვით უზრუნველყონ ბავშვების რელიგიური და მორალური განათლება მათი საკუთარი აღმსარებლობის შესაბამისად; და არც ერთი პირი ან პირთა ჯგუფი არ უნდა იყოს იძულებული მიიღოს რელიგიური ინსტრუქციები, რომლებიც მის ან მათ რწმენას არ შეესაბამება.“ (მუხლი 5. B).

ზოგადად, მშობელთა ან კანონიერ მეურვეთა რელიგიური მრწამსი ბავშვის აღზრდისა და განათლების ყველა იმ ნაწილში, რომელშიც რელიგიური ნიშანი განმსაზღვრელია, გადაწყვეტ მნიშვნელობას ატარებს, თუმცა ის აბსოლუტური არ არის. საერთაშორისო სამართლებრივი გარანტიები ასეთ შემთხვევაში მოიცავენ დათქმებს რელიგიური აღზრდისას ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვისა და მისი უნარების (შესაძლებლობების) სავალდებულო გათვალისწინების შესახებ. „ბავშვის საუკეთესო ინტერესები“, ამ კონტექსტში, კონვენციის თანახმად, აუცილებლად გულისხმობს, რომ რელიგიის ან რწმენის წესები, რომლითაც ბავშვი იზრდება ან რელიგიური პრაქტიკა, რომელსაც ბავშვი ასრულებს, ზიანს არ უნდა აყენებდეს მის ფიზიკურ თუ გონებრივ ჯანმრთელობას ან მის სრულ განვითარებას და ამასთან, მშობლების უფლებებსა და ბავშვის ინტერესებს შორის შეუთავსებლობის შემთხვევაში სახელმძღვანელო სწორედ ბავშვის საუკეთესო ინტერესები უნდა იყოს. ეს გარანტი დაცულია ასევე გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციით:

„მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ მშობელთა და შესაბამის შემთხვევაში კანონიერ მეურვეთა უფლებებსა და მოვალეობებს, უხელმძღვანელონ ბავშვს მისი უფლებების იმ მეთოდით განხორციელებაში, რომელიც შეესატყვისება ბავშვის განვითარებად უნარებს.“ (მუხლი 14.2).

ნებისმიერ შემთხვევაში, ბავშვის რელიგიურ აღზრდაზე მშობლისა და კანონიერი მეურვის უფლება სახელმწიფოსთვის წარმოშობს როგორც პოზიტიურ ვალდებულებას, იმგვარად მოაწყოს საჯარო განათლების სისტემა, რომ ეს უფლება მაქსიმალურად რეალიზებული იყოს, ასევე, ნეგატიურ ვალდებულებას, საგანმანათლებლო პროცესში არ იქნეს უგულებელყოფილი მშობელთა და კანონიერ მეურვეთა რელიგიური ინტერესები:

„ყველა ბავშვს აქვს უფლება, ხელი მიუწვდებოდეს რელიგიისა თუ რწმენის საკითხებში განათლებაზე მისი მშობლების ან, შესაბამის შემთხვევაში, კანონიერი მეურვეების სურვილების შესაბამისად და ბავშვს არ უნდა დაამალონ რელიგიის თუ რწმენის საკითხებში განათლების მიღება მისი მშობლებისა და კანონიერი მეურვეების სურვილის საწინააღმდეგოდ“. (1981 წლის დეკლარაცია, მუხლი 5.2.)

ამდენად, ბავშვის აღზრდისა და განათლების პროცესში მშობლების (კანონიერი მეურვეების) რელიგიური კუთვნილება მნიშვნელოვანი და სავალდებულოდ გასათვალისწინებელი ფაქტორია. სახელმწიფოსა და საგანმანათლებლო დაწესებულებების მესვეურთა ვალდებულება, ყურადღება მიაქციონ ბავშვის მშობლების (კანონიერი მეურვეების) რელიგიურ მსოფლმხედველობას, პირველ რიგში, ამ მსოფლმხედველობასთან შესაბამისობას გულისხმობს. თუმცა, თუ რელიგიური მსოფლმხედველობა ზიანს აყენებს ბავშვის ფიზიკურ თუ გონებრივ ჯანმრთელობას ან მის სრულ განვითარებას, ამ დროს დაცული უნდა იქნეს *ბავშვის საუკეთესო ინტერესები*. ნებისმიერ შემთხვევაში, ბავშვისა და მშობლის (კანონიერი მეურვის) რელიგიურ ინტერესებს შორის კავშირის გაწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება უფლებამოსილმა ინსტანციამ - სასამართლომ ან სპეციალურმა საზედამხედველო ორგანომ უნდა მიიღოს და გამოირიცხოს ნებისმიერი ინდივიდუალური, განსაკუთრებით, პედაგოთა და აღზრდელთა გადაწყვეტილება.

1.3. დეკლარაცია რელიგიის ან რწმენის საფუძველზე შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (1981 წ.)

1981 წლის 25 ნოემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო *დეკლარაცია რელიგიის ან რწმენის საფუძველზე შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ*, რომლითაც კიდევ უფრო ვრცლად განმარტა რელიგიისა და რწმენის თავისუფლებით დაცული უფლებები. აღნიშნული აქტით გაერომ განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო არა მხოლოდ რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შინაარსს, არამედ, აქტის მიღების პერიოდში (თანამედროვე პერიოდის ჩათვლით) კაცობრიობის წინაშე მდგარ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას, კერძოდ, დისკრიმინაციას რელიგიის ან რწმენის ნიშნით. სწორედ ამ მიზნით დეკლარაციის პრეამბულური ნაწილი დაიტვირთა ანტიდისკრიმინაციული არსის მატარებელი დათქმებით, ხოლო უშუალოდ ტექსტში რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ვრცელ განმარტებასთან ერთად მოიხაზა დისკრიმინაციის პოტენციური საფრთხის ქვეშ მყოფი ყველა უფლება და თავისუფლება. განისაზღვრა, რომ რელიგიისა და რწმენის თავისუფლება ადამიანის ანთროპოლოგიური ღირსებაა - „*რელიგია და რწმენა, ყველასთვის, ვინც მათ აღიარებს, ცხოვრების გაგების ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია*“ (1981 წლის დეკლარაცია, *პრეამბულა*), ხოლო, რელიგიის ან რწმენის ნიშნით დისკრიმინაცია ამ ღირსების შელახვა - „*რელიგიისა და რწმენის საფუძველზე ადამიანთა დისკრიმინაცია ამკვიდრებს ადამიანის ღირსების შელახვას*“ (1981 წლის დეკლარაცია, *მუხლი 3*).

1981 წლის დეკლარაციის მნიშვნელობის შეფასებისას ტექსასის, ვაკოს, ბელორის უნივერსიტეტის ჯ. მ. დოუსონის ეკლესიისა და სახელმწიფოს შემსწავლელი ინსტიტუტის დირექტორი დერეკ ჰ. დევისი, საკუთარ სტატიაში „*რელიგიის თავისუფლების როგორც ადამიანის საყოველთაო უფლების განვითარება რელიგიის ან რწმენის საფუძველზე შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს 1981 წლის დეკლარაციის როლის განხილვა*“ აღნიშნავს:

„ზოგიერთი ამტკიცებს, რომ 1981 წლის დეკლარაცია წარმოადგენს ყველაზე უფრო მნიშვნელოვან საერთაშორისო დოკუმენტს, რომელიც რელიგიური უფლებების დაცვასა და რელიგიის ან რწმენის ნიადაგზე შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის

აკრძალვას ეხება. თუკი დოკუმენტის მნიშვნელობას სიახლის დანერგვის თვისებების ნიშნით გავზომავთ, მაშინ ყველაზე მნიშვნელოვანი უდავოდ 1948 წლის საყოველთაო დეკლარაცია იქნება. თუკი მნიშვნელობას, ინსტრუმენტების სასამართლოში გამოსადეგობის ნიშნით გავზომავთ, მაშინ ყველაზე მნიშვნელოვანი 1966 წლის პაქტი იქნება. ხოლო, თუკი მნიშვნელობას უფლებების ამომწურობასა და იმ ხარისხს დაუკავშირებთ, რის მიხედვითაც დოკუმენტი საერთაშორისო საზოგადოების მიერ რელიგიური უფლებების განმსაზღვრელად აღიქმება და პატივი მიეცება, მაშინ, ცხადია, 1981 წლის დეკლარაცია „ყველაზე მნიშვნელოვანის“ წოდებას დაიმსახურებს.“ (დევისი, 2002)

მართლაც 1981 წლის დეკლარაციამ უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა რელიგიისა და რწმენის თავისუფლების უფლებრივი სივრცის მოცულობის წარმოჩენაში. მიუხედავად ამისა, დეკლარაციაზე მსჯელობისას ჩვენ არ შევხებით აქტის იმ ნაწილებს, რომლებიც მოიცავს სხვა აქტების კონტექსტში ზემოთ უკვე განხილულ საკითხებს, არამედ, ამ შემთხვევაში წარმოვადგენთ დეკლარაციის მე-6 მუხლს, რომელმაც ვრცლად განმარტა რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შემადგენელი უფლებები, რომლის თანახმადაც რელიგიისა და რწმენის თავისუფლების უფლება, სხვებთან ერთად, მოიცავს ისეთ თავისუფლებებს, როგორცაა ღვთისმსახურება, რელიგიური შეკრება და ამ მიზნებით სათანადო ადგილებისა და შენობების შექმნა და ფლობა; საქველმოქმედო და ჰუმანიტარული დაწესებულებების შექმნა და ფლობა; რელიგიურ ან რწმენისმიერ რიტუალთან ან წეს-ჩვეულებებთან დაკავშირებული აუცილებელი ნივთების და მასალების შესაბამისი მოცულობით წარმოება, შექმნა და გამოყენება; რელიგიის სფეროში შესაბამისი პუბლიკაციების წერა, გამოცემა და გავრცელება; რელიგიის ან მრწამსის სწავლება და ამ მიზნებისთვის შესაფერისი ადგილების შექმნა და ფლობა; ფინანსური და სხვა სახის შემოწირულობების მიღება; სასულიერო ლიდერების მომზადება, დანიშვნა, არჩევა ან მემკვიდრეობით დადგენა ამა თუ იმ რელიგიის ან მრწამსის მოთხოვნებისა და სტანდარტების გათვალისწინებით; დასვენების დღეების დაცვა, დღესასწაულების აღნიშვნა და ცერემონიების შესრულება საკუთარი რელიგიის ან მრწამსის ჩვეულებათა მიხედვით; რელიგიასა და მრწამსთან დაკავშირებით კერძო პირებთან და ერთობებთან კავშირის დამყარება და შენარჩუნება, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეებზე და ა.შ.

მოცემული მუხლი, საერთაშორისო აქტებში პრაქტიკულად უპრეცედენტოა რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შემადგენელი უფლებების დეტალიზების მხრივ. მასში გადმოცემული უფლებები შესაძლოა გაერთიანდეს რამდენიმე ჯგუფში: ღვთისმსახურება, ქველმოქმედება, განათლება, რელიგიური გაერთიანების შიდა ორგანიზება, ფინანსები, ქონება და ინტერრელიგიური ურთიერთობები.

ღვთისმსახურების უფლება ვრცელი განმარტებით მოიცავს საკუთარი რელიგიური მრწამსის რიტუალურ ან ცერემონიალურ გამოხატვას, როგორც ერთპიროვნულად, ასევე ჯგუფურად, განკერძოებით თუ საჯაროდ. ასეთი გამოხატვა შესაძლოა ვლინდებოდეს, როგორც უშუალოდ კულტმსახურებაში, ასევე, გარკვეული რიტუალურ, ტრადიციულ ან ჩვეულებით პრაქტიკაში, მაგალითად, რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნა, უქმე დღეების დაცვა კვების რეგულირება, განსაკუთრებული სამოსის ტარება და ა.შ. ღვთისმსახურების უფლება, ასევე, მოიცავს მისიონერობის უფლებას, რაც განსაკუთრებული მნიშვნელობის უფლება და ურთიერთობის ფორმაა. მისიონერობა, როგორც საკუთარი რელიგიური რწმენის გავრცელების საშუალება რელიგიის გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელოვანი ასპექტია. რელიგიური გაერთიანებები და კერძო პირები (მორწმუნეები) სარგებლობენ უფლებით თავისუფლად იქადაგონ საკუთარი რელიგიური მრწამსი და ეცადნონ მის გავრცელებას სხვა რელიგიური მიმდინარეობას მიკუთვნებული პირების, მათ შორის, არათეისტებისა და ათეისტების, კონკრეტულ რელიგიურ მრწამსზე მოქცევის მიზნით. ასეთ შემთხვევაში რელიგიისა და რწმენის თავისუფლებას ორმხრივი გამოწვევა აქვს, ერთი ეს არის მისიონერის თავისუფლება გაავრცელოს საკუთარი რელიგიური მრწამსი, ხოლო მეორე - ადვოკატის თავისუფლება ნებისმიერი სახის იძულების ან ზემოქმედების გარეშე გააკეთოს სასუთარი არჩევანი. ეს უკანასკნელი უზრუნველყოფილი უნდა იქნეს რელიგიურ გაერთიანებასთან ურთიერთობის ყველა ეტაპზე, როგორც მასთან შეერთებისას, ასევე მასში ყოფნისა და მისი დატოვებისას (რელიგიურ ურთიერთობათა რეგულირების ზოგიერთი ასპექტი (სექტა), 2002).

რელიგიური გაერთიანებების უმეტესობა ღვთისმსახურებასთან ერთად მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევს სოციალურ მსახურებას. ხშირ შემთხვევაში, ეს გარკვეულ დოქტრინალურ ვალდებულებასაც წარმოადგენს. ამდენად, რელიგიური გაერთიანებების

მიმართ დაცული უნდა იყოს უფლება დაუბრკოლებლად განახორციელონ საკუთარი საქველმოქმედო საქმიანობა. ამ მიზნებისთვის მათ უნდა შეეძლოთ შექმნან შესაბამისი დაწესებულებები და მოხილიზება გაუკეთონ ფინანსურ, ქონებრივ და ადამიანურ რესურსებს.

რელიგიური განათლების უფლება რამდენიმე შემადგენელს მოიცავს, მათ შორის, მშობელთა (და შესაბამის შემთხვევებში კანონიერ მეურვეთა) უფლებას საკუთარი რელიგიური მრწამსის შესაბამისად აღზარდონ ბავშვები, რომლის შესახებაც ვრცლად ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, ასევე, რელიგიური გაერთიანებების უფლებას შექმნან საკუთარი საგანმანათლებლო დაწესებულებები და სახელმწიფოს თავისუფლებას, რელიგიური გარემოს გათვალისწინებით, საჯარო სკოლებში უზრუნველყოს რელიგიის შესახებ სწავლება.

რელიგიური გაერთიანებები რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ფარგლებში სარგებლობენ უფლებით შექმნან საკუთარი რელიგიური (სასულიერო) სასწავლებლები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან რელიგიური განათლება მისცენ საკუთარ მრევლს და მოამზადონ საკუთარი სასულიერო პირები. ამ მხრივ, სახელმწიფოს აქვს პოზიტიური ვალდებულებები რელიგიური გაერთიანებების მიმართ, რაც მსგავსი განათლების შესაძლებლობას უზრუნველყოფს. რელიგიური გაერთიანებების ავტონომიურობის პრინციპი სახელმწიფოს უფლებას არ აძლევს უშუალოდ ჩაერიოს ამ ტიპის განათლების მიღების რეგულირებაში, თუმცა სახელმწიფოს აქვს ლეგიტიმური ინტერესი და უფლება, იცნობდეს რელიგიური განათლების ფორმასა და შინაარსს. გარდა აღნიშნულისა, სახელმწიფოს აქვს უფლება დააწესოს გარკვეული ნეიტრალური და მინიმალური კრიტერიუმები ზოგადსაგანმანათლებლო საგნებში, რათა რელიგიური (სასულიერო) განათლება წინააღმდეგობაში არ მოვიდეს ზოგადი განათლების ერთიან მიზნებთან. ამასთან, რელიგიური (სასულიერო) განათლების უზრუნველყოფის თვალსაზრისით სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება შესაძლოა მოიცავდეს გარკვეულ ადმინისტრაციულ (განათლების დამადასტურებელი მოწმობების აღიარება და სხვ.) დახმარებასაც. (Shedd, 1959)

საჯარო სკოლებში რელიგიის შესახებ სწავლება მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული მრავალფეროვანი რელიგიური გარემოს დაცვასთან და ფუნდამენტალიზმისა და რელიგიური ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან. ამ კატეგორიებს შორის კავშირი

ზედმიწვევითაა წარმოჩენილი ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებულ რეკომენდაციაში - რელიგია და განათლება:

„რელიგიური ასპექტი დამახასიათებელია მრავალი პრობლემისთვის, რომელთაც თანამედროვე საზოგადოება აწყდება, როგორცაა არატოლერანტული ფუნდამენტალისტური მოძრაობები და ტერორისტული აქტები, რასიზმი და ქსენოფობია, და ეთნიკური კონფლიქტები“ და „რელიგიების კარგი ზოგადი ცოდნა და ტოლერანტული შეგნება, როგორც ამის შედეგი, აუცილებელია დემოკრატიული მოქალაქების განსახორციელებლად“. (გაეროს, ევროსაბჭოს, ეუთოს, ვენეციის კომისიისა და ოსლოს კოალიციის დოკუმენტები რელიგიის თავისუფლების შესახებ. 2015. გვ: 192-194).

აღნიშნული რეკომენდაციით ერთმანეთს არის შეპირისპირებული განათლება, შემწყნარებლობა, დემოკრატია და რელიგიური ფუნდამენტალიზმი, ტერორიზმი, ექსტრემიზმი. ამდენად რელიგიის შესახებ სწავლება წარმოდგენილია, როგორც დემოკრატიულ საზოგადოებაში რელიგიური მრავალფეროვნებისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულების ჩამოყალიბების ქმედითი საშუალება. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, რომ რელიგიათა შესახებ სწავლება განუყოფლად იყოს დაკავშირებული ადამიანის უფლებებთან და რელიგიისა და რწმენის თავისუფლებასთან, რამდენადაც რელიგიის შესახებ სწავლება არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ რელიგიების შესახებ ინფორმაციის მიწოდებით, არამედ მოსწავლას უნდა უყალიბებდეს მრავალფეროვნებისადმი შემწყნარებლურ დამოკიდებულებას და ადამიანის რელიგიურ-ანთროპოლოგიური ღირსების სათანადო აღქმას. ხსენებულ რეკომენდაციაში ევროპის საბჭომ ასევე მიუთითა, რომ რელიგიის შესახებ საჯარო სკოლებში სწავლების ფორმა ევროპის მასშტაბით უნიფიცირებული არ არის. გამომდინარე იქიდან, რომ ევროპაში თანადროულად არსებობს განსხვავებული რელიგიური გარემოს მქონე სახელმწიფოები, მათ უნდა ჰქონდეთ მიხედულების თავისუფლება ისე მოაწყონ საკუთარი განათლების სისტემა, როგორადაც მათ გარემოში უფრო ქმედითი და შედეგიანი იქნება. ამ მხრივ, ევროპაში საჯარო სკოლებში რელიგიის შესახებ სწავლების მოდელები განსხვავდება ერთმანეთისგან რელიგიის შესახებ სწავლების არ არსებობის, ინტერრელიგიური სწავლებისა და უშუალოდ კონფესიური სწავლების პრაქტიკით და

თითოეული მათგანი, კონკრეტული სახელმწიფოს რელიგიური გარემოს გათვალისწინებით, მიჩნეულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციასთან თანხმობაში მყოფად (გაეროს, ევროსაბჭოს, ეუთოს, ვენეციის კომისიისა და ოსლოს კოალიციის დოკუმენტები რელიგიის თავისუფლების შესახებ. 2015. გვ: 192-194).

რელიგიური გაერთიანების შიდა ორგანიზების თავისუფლება მოიცავს, როგორც უშუალოდ რელიგიური გაერთიანების თვითგანსაზღვრისა და შიდა სტრუქტურული მოწყობის თავისუფლებას, ასევე, შესაბამისი ლიდერების მომზადების, დანიშვნის, არჩევის ან მემკვიდრეობით დადგენის უფლებას შესაბამისი რელიგიის ან მრწამსის მოთხოვნებისა და სტანდარტების გათვალისწინებით. უფლებათა აღნიშნული სპექტრი სახელმწიფოს მხრიდან მონაწილეობის დაუშვებლობას გულისხმობს, თუმცა, არსებობს გამონაკლისი და განსაკუთრებული შემთხვევები, როდესაც რელიგიური და საზოგადოებრივი ინტერესების ბალანსის დაცვის მიზნით სახელმწიფო მაინც აღჭურვილია გარკვეული ჩარევის უფლებამოსილებით. მაგალითად, თუ რელიგიური გაერთიანების დოგმატური სწავლება ან მმართველობითი სტრუქტურა გულისხმობს მის მიმდევართა მიმართ იძულებას გაერთიანებაში ყოფნასთან დაკავშირებით, რაც გამოიხატება პირის მიერ კონკრეტული რელიგიური გაერთიანების დატოვების თავისუფლების აღკვეთაში, სახელმწიფო უფლებამოსილია, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების (თავისუფალი არჩევანის) დაცვის მიზნით და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოს დარღვეული უფლების დაცვა (რელიგიურ ურთიერთობათა რეგულირების ზოგიერთი ასპექტი (სექტა), 2002).

რელიგიური გაერთიანების ფინანსები და ქონება წარმოადგენს რელიგიის გამოხატვის თავისუფლების გარანტიას და მოიცავს ისეთ უფლებებს, როგორცაა კულტმსახურების ადგილების (საკულტო-რელიგიური დანიშნულების შენობა-ნაგებობების) შექმნისა და ფლობის უფლება, კულტმსახურებისთვის საჭირო რიტუალური ნივთების წარმოება შექმნა და გავრცელება, ასევე, სათანადო ფინანსური რესურსის მობილიზების უფლება კანონით დადგენილი პირობებით და ა.შ. თითოეული ამ უფლებათაგანი შეიძლება დაექვემდებაროს სახელმწიფოს მხრიდან გარკვეულ კონტროლს და შეზღუდვებს, თუმცა ამგვარმა

რეგულაციებმა არ უნდა მოსპოს რელიგიური გაერთიანების მიერ ღვთისმსახურებისთვის საჭირო ქონებისა და ფინანსების მოპოვებისა და ფლობის უფლება.

ინტერრელიგიური ურთერთობების თავისუფლება არსებითად რელიგიურ გაერთიანებათა თავისუფალი არჩევანის სივრცეს განეკუთვნება, რაც საკუთარი რელიგიური დოქტრინითა და დოგმატიკით რეგულირდება. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს მაღალ ინტერესს განეკუთვნება რელიგიათა შორის მშვიდობიანი დიალოგის წარმოება, რადგან აღნიშნული ხელს უწყობს მრავალფეროვან რელიგიურ გარემოში მშვიდობიან და შემწყნარებლურ თანაცხოვრებას და ქმედითი მექანიზმია რელიგიური დაპირისპირებებისა და შუღლის გაღვივების წინააღმდეგ. ამდენად, საზოგადოებაში რელიგიური მშვიდობის დაცვის მიზნით შესაძლოა სახელმწიფო მხარს უჭერდეს და ხელს უწყობდეს ინტერრელიგიურ დიალოგს, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში ეს თავად რელიგიური გაერთიანებების ინიციატივა უნდა იყოს და არა სახელმწიფოს მხრიდან შექმნილი სავალდებულო ურთიერთობის ფორმა (Aydingun / აიდინგუნი, 2013).

1.4. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია (1950 წ.)

რელიგიისა და რწმენის თავისუფლების დაცვის პირველი სამართლებრივი მექანიზმი 1950 წელს ევროპის საბჭოს ეგიდით შეიქმნა. *ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია*მ გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეკლარაციის მიღებიდან ორი წლის შემდეგ ვრცლად განმარტა აღნიშნული უფლება და მოგვიანებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (1959 წელი) შექმნით რელიგიისა და რწმენის თავისუფლების დაცვის ყველაზე მოქნილ და ქმედით სამართლებრივ ინსტრუმენტად იქცა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, როგორც კონვენციით გარანტირებული უფლებების დაცვის თანამედროვე მართლმსაჯულებითი ინსტიტუტი, სასამართლო წარმოებას პრეცედენტული სამართლის ფორმით ადასრულებს, რაც უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გარდა, მათ არსობრივ განმარტებებსაც მოიცავს. შესაბამისად,

აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების კონვენციურ შინაარსს ჩვენც სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ფონზე განვიხილავთ, რომელიც კონვენციის მე-9 მუხლთან მიმართებით ჩამოყალიბდა:

„1. ყველას აქვს უფლება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებისა; ეს უფლება მოიცავს რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებას და აგრეთვე, თავისუფლებას, როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად, საქვეყნოდ ან განკერძოებით, გააცხადოს თავისი რელიგია თუ რწმენა აღმსარებლობით, სწავლებით, წესების დაცვითა და რიტუალების აღსრულებით.

2. რელიგიის ან რწმენის გაცხადების თავისუფლება ექვემდებარება მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის თუ მორალის, ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.“

2011 წელს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კვლევითმა დეპარტამენტმა მოამზადა ანალიტიკური დოკუმენტი *რელიგიის თავისუფლების სფეროში სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა*, რომელიც 2013 წელს განახლდა და დღეს წარმოადგენს სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ყველაზე ვრცელ და ავტორიტეტულ მიმოხილვას. აღნიშნული დოკუმენტის ფარგლებში რელიგიისა და რწმენის თავისუფლებამ მოიცვა ისეთი სფეროები, როგორცაა *რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შინაგანი და გარეგანი ასპექტები, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ინდივიდუალური და კოლექტიური ასპექტები და ურთიერთობა სახელმწიფოსა და რელიგიურ თემებს შორის.*

რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შინაგან და გარეგან ასპექტებს ზემოთ უკვე შევეხეთ, შესაბამისად აქ აღარ განვიხილავთ ამ ორი კატეგორიის მთელ სპექტრს, არამედ ჩვენი მსჯელობის გასამყარებლად მხოლოდ სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე ჩამოყალიბებულ თეზისურ განმარტებას მოვიხმობთ:

„კონვენციის მე-9 მუხლით გარანტირებულ თავისუფლებებს ორი, შინაგანი და გარეგანი ასპექტი აქვთ. „შინაგანი“ ასპექტით ეს არის აბსოლუტური თავისუფლება: ფუნდამენტური იდეები და მრწამსები, რომელიც ადამიანის სულის სიღრმეში წარმოიშვება, შეუძლებელია თავისთავად აყენებდნენ ზიანს საზოგადოებრივ წესრიგს და შესაბამისად, არ შეიძლება სახელმწიფო ორგანოების მხრიდან შეზღუდვებს დაექვემდებარონ. მაშინ, როდესაც ეს თავისუფლება „გარეგანი“ ასპექტის ფარდობითია. ეს ფარდობითობა ლოგიკურია, რადგან, რამდენადაც ეს საკუთარი რელიგიური მოსაზრებების აღმსარებლობის თავისუფლებაა, საზოგადოებრივი წესრიგი შეიძლება საფრთხის ქვეშ აღმოჩნდეს.“ (რელიგიის თავისუფლების სფეროში სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა. მეტრეველი, 2015. გვ: 74-103. პარ. 15).

დამატებით ხაზგასმით ავლნიშნავთ, რომ რელიგიის გამოხატვის თავისუფლების კონტექსტში მნიშვნელოვანია დათქმა, რომლის მიხედვითაც რელიგიისა და რწმენის თავისუფლება არ იცავს რელიგიით ან რწმენით მოტივირებულ ნებისმიერ ქმედებას. სხვაგვარად, რომ ვთქვათ კონვენციის მე-9 მუხლით დაცული უფლების შინაგანი ასპექტი, როგორც შეუზღუდავი უფლება უშუალოდ კავშირშია ადამიანის შინაგან სამყაროსთან და არ ამართლებს მის ნებისმიერ საჯარო ქცევას, ამდენად, რელიგიით ან რწმენით მოტივირებული ქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას, შეუსაბამობის შემთხვევაში კი ამგვარ ქმედებებზე გავრცელდება კონვენციით განსაზღვრული შეზღუდვები.

რელიგიისა და რწმენის გამოხატვის თავისუფლება, როგორც უფლება, არსებითად გამომდინარეობს ზოგადად გამოხატვის თავისუფლების უფლებიდან. შესაბამისად რელიგიისა და რწმენის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის პრინციპები და მიზნები განხილული უნდა იქნეს, როგორც კონვენციის მე-9 მუხლის, ასევე, კონვენციის მე-10 მუხლის - გამოხატვის თავისუფლების, ერთიან კონტექსტში. შეზღუდვების მიზნებს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-18 მუხლის განხილვისას უკვე შევხებით, ამავე მუხლის ფარგლებში გავანალიზებთ რელიგიისა და რწმენის გამოხატვის შეზღუდვის ერთი პრინციპი - *კანონით გათვალისწინება*. კონვენციის მე-9 მუხლის ფარგლებში კი ჩვენ წარმოვადგენთ კიდევ ერთ კონვენციურ პრინციპს, კერძოდ, *აუცილებლობას დემოკრატიულ საზოგადოებაში* და გამოხატვის თავისუფლების

შეზღუდვის ზოგად მიდგომას, პრინციპს - სამართლიან ბალანსს ანუ *შეზღუდვის პროპორციულობას ლეგიტიმურ მიზანთან*.

აუცილებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში თავისთავად მოიცავს შეზღუდვის იმ მიზნებს, რომელთა მიმართაც კონკრეტული თავისუფლების შეზღუდვა შეიძლება მოხდეს. კონვენციის მე-9 მუხლის ფარგლებში ეს მიზნებია: *საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესები, საზოგადოებრივი წესრიგი, ჯანმრთელობა, მორალი, ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა*. ამდენად, შეზღუდვის აუცილებლობაზე მსჯელობა ამ მიზნების გათვალისწინების გარეშე დაუშვებელი:

„განყენებული მსჯელობა იმაზე, იყო თუ არა შეზღუდვა აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში, შეუძლებელია. იგი ყოველთვის გულისხმობს შესაბამის კანონიერ მიზანთან მიმართებას. შეზღუდვა აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში კონვენციით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე კანონიერი მიზნის დასაცავად.“ (გოცირიძე, ე. 2008. გვ. 209).

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით *აუცილებლობა* დემოკრატიულ საზოგადოებაში წარმოადგენს ეროვნული სასამართლოების შეფასების საგანს, მიუხედავად ამისა, ნებისმიერ შემთხვევაში დაცული უნდა იყოს შეფასების მაღალი სტანდარტი, რაც ნიშნავს, რომ შეზღუდვის აუცილებლობა განპირობებული უნდა იყოს *მაღალი და მკაფიო საზოგადოებრივი ინტერესით*. ეს უკანასკნელი გულისხმობს, რომ უფლების განხორციელება რეალურ ზიანს უნდა აყენებდეს კანონით დაცულ ლეგიტიმურ მიზანს ან გულისხმობდეს ასეთი ზიანის რეალურ საფრთხეს, ხოლო, უფლების შეზღუდვა ნამდვილად იქნება ამ ზიანის (საფრთხის) არიდების საშუალება.

სახელმწიფოს მხრიდან რელიგიის და რწმენის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის აუცილებლობა, თავისთავად თვითკმარი პირობა არ არის, არამედ მოითხოვს მეორე ელემენტსაც, რაც დაადგენს ამგვარი *შეზღუდვის პროპორციულობას ლეგიტიმურ მიზანთან*. აღნიშნული პრინციპი, დემოკრატიულ საზოგადოებაში უფლების შეზღუდვის *აუცილებლობასთან* ერთად, წარმოადგენს სასამართლო შეფასების საგანს, რაც მდგომარეობს იმის დადგენაში თუ რამდენად არსებით კავშირშია შეზღუდული უფლება და დაცული

მიზანი და რამდენად თანაზომიერი იყო უფლების შეზღუდვა დაცული მიზნის ანუ სავარაუდო ზიანის ხარისხთან და შეიძლება თუ არა სხვა ნაკლებად შემზღუდავი ღონისძიების განხორციელება. ამდენად შეზღუდვის თანაზომიერება ლეგიტიმურ მიზანთან არსებითად წარმოადგენს *სამართლიან ბალანსს* შეზღუდულ უფლებასა და დაცულ მიზანს შორის:

„თანაზომიერების პრინციპი, მიუხედავად იმისა, რომ სიტყვა „თანაზომიერი“ კონვენციისა თუ მისი ოქმების არც ერთ დებულებაში გამოყენებული არ არის, გამოხატავს მთელი კონვენციის გამჭოლ უმნიშვნელოვანეს იდეას და ასრულებს გადამწყვეტ როლს დაპირისპირებული ინტერესების სამართლიანი დაბალანსების სფეროში.“ (გოცირიძე, ე. 2008. გვ. 236)

რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ინდივიდუალური და კოლექტიური ასპექტები ერთიანი უფლებრივი სივრცის შემადგენელი და ერთმენთთან მჭიდრო კავშირში მყოფი კატეგორიებია. კონვენციის მე-9 მუხლის თანახმად რელიგიის აღმსარებლობა ან რწმენის გამოხატვა შესაძლოა, როგორც *ინდივიდუალურად*, ასევე, *კოლექტიურად*. შესაბამისად ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიღო რა მხედველობაში აღნიშნული, განმარტა, რომ რელიგიის გამოხატვის თავისუფლება იცავს რელიგიური გაერთიანებების უფლებებსაც, ანუ წარმოადგენს კოლექტიურ უფლებასაც. ამდენად რელიგიისა და რწმენის თავისუფლება განიცდობა რელიგიური გაერთიანებების მიმართ და გულისხმობს მათ ავტონომიურობასა და დამოუკიდებლობას სახელმწიფოსგან და თვითორგანიზების თავისუფლებას:

„რამდენადაც რელიგიური თემები ტრადიციულად და ყველგან ორგანიზებული სტრუქტურების ფორმით არსებობენ, მე-9 მუხლი განმარტებული უნდა იქნას კონვენციის მე-11 მუხლის ფონზე, რომელიც გაერთიანებების ცხოვრებას სახელმწიფოს მხრიდან გაუმართლებელი ჩარევისგან იცავს. ამ თვალსაზრისით, მორწმუნეთა უფლება რელიგიის თავისუფლებაზე, რომელიც საკუთარი რელიგიის კოლექტიურად აღმსარებლობის უფლებას მოიცავს, გულისხმობს, რომ მორწმუნეებს შეუძლიათ, გაერთიანდნენ თავისუფლად, სახელმწიფოს მხრიდან ჩარევის გარეშე. რეალურად, რელიგიური თემების ავტონომია დემოკრატიულ საზოგადოებაში

პლურალიზმის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და ამგვარად, უშუალოდ ექცევა მე-9 მუხლით გათვალისწინებული დაცვის ქვეშ.“ (რელიგიის თავისუფლების სფეროში სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა. მეტრეველი, 2015. გვ: 74-103, პარ. 20).

რელიგიური გაერთიანებების შიდა ავტონომიურობის მნიშვნელოვანი ელემენტია შრომითი უფლებები. აღნიშნული წარმოადგენს თავისუფლებას საკუთარი თანამშრომლების შერჩევისას გამოყენებული იქნას სპეციფიური კრიტერიუმები, რომლებიც სხვა სახის ორგანიზაციებში დისკრიმინაციულად შეფასდებოდა, მათ შორის, რელიგიური კუთვნილება და სქესი, ასევე გარკვეული სახის მორალურ-ზნეობრივი მოთხოვნები და ა.შ.

ურთიერთობა სახელმწიფოსა და რელიგიურ თემებს შორის განსაკუთრებული სპეციფიურობით ხასიათდება და განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. ზოგადად აღიარებულია, რომ ევროპის მასშტაბით საზოგადოებაში რელიგიის როლის და სახელმწიფოსა და რელიგიური გაერთიანებების ურთიერთობების რეგულირების უნივერსალური მოდელი არ არსებობს (Otto-Preminger-Institute v. Austria. პარ. 50). რელიგიისა და რწმენის თავისუფლების გარანტირებული უფლებების დაცვით თითოეული სახელმწიფო, საკუთარი ეროვნული რეალობის გათვალისწინებით, თავად განსაზღვრავს ამ ურთიერთობათა მოდელს, რომლებიც მკაცრი სეკულარიზმიდან სახელმწიფო რელიგიამდე მერყეობს (Tulkens, 2009).

რელიგიურ გაერთიანებებთან ურთიერთობაში სახელმწიფო საკუთარ თავს განსხვავებულ სარწმუნოებთა და მრწამსთა აღიარებისა და პატივისცემის გარანტად უნდა წარმოიდგენდეს და დისტანცირებული იყოს რელიგიურ მრწამსთა და მათი გამოხატვის ფორმების ლეგიტიმურობის შეფასებისგან. გარდა აღნიშნულისა, რელიგიური ნეიტრალიტეტი სახელმწიფოს მხრიდან, უნდა ვლინდებოდეს არა მხოლოდ რელიგიურ დოქტრინათა ლეგიტიმურობის შეფასებისგან თავის შეკავებაში, არამედ რელიგიურ გაერთიანებათა თვითორგანიზებაში ჩაურევლობაშიც (Katz, 1953). მაგალითად, სახელმწიფო არ უნდა მონაწილეობდეს ერთი რელიგიური გაერთიანების იძულებით გაყოფაში ან მსგავსი რელიგიური გაერთიანებების იძულებით გაერთიანებაში:

„სახელმწიფო ზომები, რომლებიც მიღებულია გაყოფილი რელიგიური თემის ერთი იერარქიის მხარდასაჭერად ან მიმართულია თემის იძულებისკენ, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ მიიღოს ერთიანი მმართველობა, წარმოადგენს რელიგიის თავისუფლების ხელყოფას. დემოკრატიულ საზოგადოებაში, სახელმწიფოს არ აქვს აუცილებლობა, მიიღოს ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ რელიგიური თემები დარჩნენ ან მოექცნენ ერთიანი მმართველობის ქვეშ. რეალურად, ასეთ შემთხვევებში, ხელისუფლების როლი არის არა დამაბულობის მიზეზის გამოვლენა, პლურალიზმის აღკვეთის გზით, არამედ დაპირისპირებულ ჯგუფებს შორის შემწყნარებლური დამოკიდებულების უზრუნველყოფა“. (რელიგიის თავისუფლების სფეროში სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა. მეტრეველი, 2015. გვ: 74-103, პარ. 33).

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ რელიგიისა და რწმენის თავისუფლების დაცვის ნაწილში ეროვნულ სახელმწიფოებთან მიმართებით ერთგვარი მრავალფეროვნებისა და თვითმყოფადობის აღიარების ზოგადევროპული პრინციპი ჩამოაყალიბა. რაც, გულისხმობს იმ თავისებურებების სავალდებულო გათვალისწინებას, რომლებიც სახელმწიფოებს ერთმანეთისგან განარჩევს ისტორიული, კულტურული, სოციალური თუ სხვა ფაქტორების მიხედვით. რამდენადაც განსხვავებულ საზოგადოებებში ერთი და იგივე მიზნები, ამ შემთხვევაში, რელიგიის თავისუფლებით გათვალისწინებული უფლებებით დაუბრკოლებლად და სრულფასოვნად სარგებლობა, განსხვავებული გზებითა და საშუალებებით მიიღწევა, სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, საკუთარი ეროვნული კანონმდებლობა ამ თავისებურებათა გათვალისწინებით ჩამოაყალიბონ. (Fox & Flores, 2009)

1.5. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაციები და რეზოლუციები

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა საკუთარ რეკომენდაციებსა და რეზოლუციებში ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით წევრი სახელმწიფოებისთვის განსაკუთრებით ფასეულ პრინციპებს ადგენს, მათ შორისაა, მთელი რიგი რეკომენდაციები და რეზოლუციები რელიგიისა და რწმენის თავისუფლების დაცვასთან დაკავშირებით. ეს

დოკუმენტები მნიშვნელოვან შინაარს ატარებენ და ვრცლად განიხილავენ უფლებრივ და ურთიერთობით საკითხებს, როგორც ზოგადევროპულ ჭრილში, ასევე, ზოგიერთ შემთხვევებში, კონკრეტული სახელმწიფოების მიმართ. ჩვენ ამ ნაწილში მხოლოდ ავლწერთ რიგ რეკომენდაციებსა და რეზოლუციებს, ხოლო მათ შინაარსს შემდგომ მსჯელობებში მოვიშველიებთ.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებული ზოგადი ხასიათი რეკომენდაციები და რეზოლუციები რელიგიისა და რწმენის თავისუფლებასთან დაკავშირებით მოიცავს შემდეგ დოკუმენტებს : *რეზოლუცია 1928 - რელიგიასა და რწმენასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებებისა და რელიგიური თემების ძალადობისაგან დაცვის შესახებ, რეზოლუცია 1510 - გამოხატვის თავისუფლებისა და რელიგიური რწმენის პატივისცემის შესახებ, რეზოლუცია 1846 - რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის ყველა ფორმასთან ბრძოლის შესახებ, რეზოლუცია 787 - რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის ყველა ფორმასთან ბრძოლის შესახებ, რეკომენდაცია 1987 - რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის ყველა ფორმასთან ბრძოლის შესახებ, რეკომენდაცია 1804 - სახელმწიფო, რელიგია, სეკულარობა და ადამიანის უფლებები, რეკომენდაცია 1396 - რელიგია და დემოკრატია და რეკომენდაცია 1202 - დემოკრატიულ საზოგადოებაში რელიგიური შემწყნარებლობის შესახებ.*

მნიშვნელოვანია ის ყურადღება, რაც საპარლამენტო ასამბლეამ ევროპაში ისლამის საკითხებს დაუთმო. ამ მიმართულებით მიღებულია შემდეგი რეკომენდაციები და რეზოლუციები: *რეზოლუცია 1743 - ევროპაში ისლამის, ისლამიზმისა და ისლამოფობიის შესახებ, რეზოლუცია 1605 - ექსტრემიზმის პრობლემის წინაშე მყოფი ევროპელი მუსლიმი თემების შესახებ, რეკომენდაცია 1927 - ევროპაში ისლამის, ისლამიზმისა და ისლამოფობიის შესახებ და რეკომენდაცია 1831 - ექსტრემიზმის პრობლემის წინაშე მყოფი ევროპელი მუსლიმი თემების შესახებ.*

რეზოლუციებისა და რეკომენდაციების ცალკე ჯგუფს ქმნის სექტებისა და ახალი რელიგიური გაერთიანებების შესახებ შემუშავებული დოკუმენტები: *რეზოლუცია 1992 - არასრულწლოვანთა დაცვა სექტების უკიდურესი ქმედებებისგან, რეკომენდაცია 1412 -*

სექტების არალეგალური საქმიანობის შესახებ და რეკომენდაცია 1178 - სექტები და ახალი რელიგიური მოძრაობების შესახებ.

ცალკე დაეთმო ყურადღება სინდისისა და რელიგიის თავისუფლებით დაცულ უფლებას სამხედრო სამსახურზე უარის თქმის შესახებ - *რეკომენდაცია 1518 - სამხედრო სამსახურზე კეთილსინდისიერი უარის უფლებით სარგებლობა ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში* და რელიგიისა და განათლების საკითხებს - *რეკომენდაცია 1720 - რელიგია და განათლება.*

ამ აღწერილობითი მიმოხილვით ჩვენ გვსურს წარმოვაჩინოთ, ერთის მხრივ, ევროპის საპარლამენტო ასამბლეის მაღალი ინტერესი რელიგიისა და რწმენის თავისუფლების მიმართ, ხოლო, მეორეს მხრივ, ამ უფლებრივი სივრცის ფართო მოცულობა. ამასთან, აღნიშნული რეკომენდაციები და რეზოლუციები უნდა შეფასდეს, როგორც პოლიტიკურ-სამართლებრივი ინსტრუმენტები ზოგადევროპული ხედვებისა და პრაქტიკის ჩამოსაყალიბებლად.

1.6. შეჯამება

რელიგიისა და რწმენის თავისუფლების დაცვის საერთაშორისო გარანტიების მიმოხილვითი აღწერით ჩვენ წარმოვაჩინეთ ის საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც რელიგიისა და რწმენის თავისუფლებას აყალიბებს და სავალდებულოდ გასათვალისწინებელია ეროვნული კანონმდებლობების ფორმირებისას.

საერთაშორისო აქტების აღწერისას ჩვენ ვეცადეთ დაგვეცვა, როგორც ქრონოლოგიური თანმიმდევრობა, ასევე, ხაზგასმით წარმოგვეჩინა მათი მნიშვნელობა და ურთიეთკავშირი. თითოეული აქტის განხილვისას ჩვენ მიმოვიხილეთ, მხოლოდ ის საკითხები, რაც ავსებდა და აფართოვებდა წინა აქტების მიერ ჩამოყალიბებულ უფლებრივ და ურთიერთობის სფეროებს.

საბოლოოდ, წინამდებარე თავი უნდა შეფასდეს, როგორც რელიგიისა და რწმენის თავისუფლების დაცვის ზოგადი საერთაშორისო სამართლებრივი მიმოხილვა, რომელიც მოიცავს: რელიგიისა და რწმენის თავისუფლებას ზოგადად, რელიგიისა და რწმენის გამოხატვის თავისუფლებას და მისი შეზღუდვის მიზნებსა და პრინციპებს, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შინაგან და გარეგან, ინდივიდუალურ და კოლექტიურ ასპექტებს, ასევე, რელიგიისა და განათლების საკითხებს, ბავშვის რელიგიური აღზრდისა და განათლების ნაწილში მშობლებისა და კანონიერი მეურვეების უფლებებს, სახელმწიფოს და რელიგიური გაერთიანებების ურთიერთობის საფუძვლებსა და პრინციპებს და ა.შ. ამდენად, ჩვენ წარმოვადგინეთ რელიგიისა და რწმენის თავისუფლება როგორც ერთიანი და ვრცელი სამართლებრივი კატეგორია, რითაც გარკვეული შესავალი გავაკეთეთ ეროვნული კანონმდებლობების გასაანალიზებლად, რომელსაც მომდევნო თავი დაეთმო.

2. რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი მდგომარეობა ევროპის ქვეყნებში

ამ თავში, ჩვენი მიზანია გადმოვცეთ ის სამართლებრივი გამოცდილება, რაც ევროპის ქვეყნებმა ჩამოაყალიბეს რელიგიური გაერთიანებების შექმნის, რეგისტრაციისა და საქმიანობის წესთან დაკავშირებით. ეს გამოცდილება, ერთის მხრივ, მოიცავს ევროპის ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობის მიმართებას საერთაშორისო სამართლებრივ ჩარჩოსთან, ხოლო, მეორეს მხრივ, უშუალოდ ეროვნულ საკანონმდებლო რეგულაციებს რელიგიისა და რწმენის თავისუფლების, როგორც უფლებათა და ურთიერთობათა სისტემურ სამართლებრივ რეგლამენტირებას. ევროპის ქვეყნების კანონმდებლობის მიმოხილვა შემოიფარგლება, მხოლოდ რელიგიური გაერთიანების სამართლებრივი მდგომარეობის ანალიზითა და იმ ქვეყნების გამოცდილებათა წარმოჩენით, რომლებიც სახელმწიფოსა და რელიგიური გაერთიანებების ურთიერთობის განსხვავებულ მოდელებს ქმნიან.

2.1. რელიგიური გაერთიანების სამართლებრივი მდგომარეობა - ცნების გაგებისთვის

ჩვენი კვლევისთვის უმნიშვნელოვანესია განვმარტოთ *რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი მდგომარეობის* ცნება. ამ ცნების ქვეშ ჩვენ ვგულისხმობთ იმ სამართლებრივ კატეგორიას, რომელიც მოიცავს კონკრეტული რელიგიური გაერთიანების საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულირებების სისტემურ ერთობლიობას. კერძოდ, რელიგიური თემის მიერ რელიგიური გაერთიანების დაფუძნებას და შესაბამისი უფლებამოსილებებით აღჭურვას. ეს მოიცავს სამ თანმიმდევრულ შემადგენელს:

პირველი: რელიგიური გაერთიანების დაფუძნების წესი - კონკრეტული სამართლებრივი სტატუსის მოსაპოვებლად რეგისტრირების შესაბამისი საფუძვლების გათვალისწინებით;

მეორე: დაფუძნებული რელიგიური გაერთიანებისთვის რეგისტრირების საფუძვლების შესაბამისი სამართლებრივი სტატუსის მინიჭება;

მესამე: კონკრეტული სამართლებრივი სტატუსის რელიგიური გაერთიანების აღჭურვა სტატუსის შესაბამისი უფლებამოსილებებით.

ამდენად, რელიგიური გაერთიანების სამართლებრივი მდგომარეობა მოიცავს მის მიერ კონკრეტული სამართლებრივი სტატუსის მოსაპოვებლად შესაბამისი იურიდიული საფუძვლების მიხედვით რეგისტრირებას, უშუალოდ სამართლებრივ სტატუსს და ამ სტატუსის შესაბამის უფლებამოსილებებს. ჩვენი კვლევის ფარგლებში სწორედ ამ სისტემური სამართლებრივი კატეგორიის ფარგლებში გავანალიზებთ რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივ მდგომარეობას საქართველოში.

2.2. ზოგადევროპული პრინციპებიდან თვითმყოფად ეროვნულ კანონმდებლობამდე

ჩვენი კვლევის მიზანია საქართველოში რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი მდგომარეობის გაანალიზება რელიგიისა და რწმენის თავისუფლების საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოს და ევროპის ქვეყნების საკანონმდებლო გამოცდილებათა ფონზე. ეს არის ერთგვარი სვლა ზოგადიდან კონკრეტულსკენ, რაც უმნიშვნელოვანესი პოლიტიკურ-სამართლებრივი პროცესია და მოითხოვს აუცილებელი ბალანსის დაცვას, ზოგად სტანდარტებსა და ეროვნულ რეალობებს შორის. ამ მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია კვლევის ამ ნაწილში, ვრცლად ვიმსჯელოთ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.

რელიგიასთან, თუ ნებისმიერ სხვა სფეროსთან დაკავშირებული ეროვნული კანონმდებლობის შემუშავებისას, აუცილებელია ორი უმნიშვნელოვანესი ფაქტორის გათვალისწინება: პირველი არის ის რეალობა, რაც მოცემულ სფეროში მიმდინარე პერიოდში ობიექტურად არსებობს, ხოლო მეორე - ის მიზანი, რაც კანონმდებლობის საშუალებით, მომავალში უნდა იქნას მიღწეული. ეს პრინციპი, რომელიც თავისი არსით შუალედურია, წარმოადგენს ჯანსაღი კანონმდებლობის ფორმირების უმთავრეს საფუძველს. მისი დაცვის გარეშე, მხოლოდ არსებული ობიექტური მდგომარეობის ასახვა კანონმდებლობას ერთ ადგილზე გაყინავს და სახელმწიფოს თუ საზოგადოების განვითარების შესაძლებლობას

მოსპობს, ხოლო ჯერ არ არსებული, მხოლოდ სასურველი მიზნის დაკანონება, ყოველგვარი რეალობის გათვალისწინების გარეშე, კანონმდებლობას უბრალოდ ქმედითობას მოუშლის და ე.წ. „მკვდარ ნორმებს“ წარმოშობს. ამდენად, პირველ რიგში უნდა გაიზომოს მანძილი რეალურ მდგომარეობასა და სასურველ მიზანს შორის, მოიძებნოს შუა წერტილი და სწორედ იქ დაფიქსირდეს კანონი.

„საზოგადოდ, საერთაშორისო ნორმებით, კონკრეტულად კი - ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ მიჩნეულია, რომ „შეფასების თავისუფლება“ რომელიც გარკვეულწილად, სახელმწიფოებს, მათი ისტორიული თუ კულტურული სხვაობის გათვალისწინებით, სხვა სახელმწიფოს კანონებისა და პოლიტიკისგან განსხვავებული კანონებისა და პოლიტიკის მიღებისა და განხორციელების საშუალებას აძლევს. თუმცა, ამ შეფასების თავისუფლების პატივისცემა მნიშვნელოვანია, ის არ უნდა განიმარტოს ისეთ თავისუფლებად, რომელიც ძირს გამოუთხრის ადამიანის უფლებათა ღირებულების არსს. აუცილებელი არაა სხვადასხვა სახელმწიფოს კანონები ერთმანეთის იდენტური იყოს, თუმცა, ამ მხრივ გარკვეული მოქნილობა, უნდა არსებობდეს, თანაც ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს ძირითადი უფლებების დაცვა.“ (გაეროს, ევროსაბჭოს, ეუთოს, ვენეციის კომისიისა და ოსლოს კოალიციის დოკუმენტები რელიგიის თავისუფლების შესახებ. 2015. გვ: 45-93 პარ. 6)

მოცემული ტექსტი მკაფიოდ და ერთმნიშვნელოვნად ადგენს სახელმწიფოთა თავისუფლებას, საკუთარი ისტორიული და კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით დაადგინონ საკუთარი კანონმდებლობა რელიგიის შესახებ და გაატარონ შესაბამისი პოლიტიკა. ამ გაგებით, მრავალფეროვნებისა და თვითმყოფადობის პრინციპი გულისხმობს სახელმწიფოთა თვითგანსაზღვრების მაქსიმალურ თავისუფლებას ყველაფერში, რაც განსხვავებულია და აუცილებელ ერთობას ყველაფერში, რაც საერთოა. თავის მხრივ, ეს აუცილებელი ერთობა წარმოადგენს თვითგანსაზღვრების თავისუფლების ზღვარს. ეუთოს ზემოთციტირებული რეკომენდაციის თანახმად კი, ეს განსხვავების სივრცე მოიცავს ისტორიულ და კულტურულ სფეროებს, ერთიანობის სივრცე კი - ადამიანის ძირითად უფლებებს, როგორც უმაღლეს ღირებულებას.

სახელმწიფოთა დისკრეციული უფლება - თვითონ დაადგინონ კანონმდებლობა რელიგიის შესახებ, როგორც ევროპული სტანდარტი, დაცულია ისეთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტით, როგორცაა ამსტერდამის ხელშეკრულება (1997/1999). ხელშეკრულების მე-11 დეკლარაცია - ეკლესიებისა და არაკონფესიური ორგანიზაციების სტატუსის შესახებ (Declaration on the status of churches and non-confessional organisations), ადგენს:

„ევროპის კავშირი პატივს სცემს და წინასწარ არ განსჯის ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებების თუ თემების სტატუსს, დადგენილს წევრ სახელმწიფოთა ეროვნული კანონმდებლობების მიერ.“

თავისი მნიშვნელობით, ამსტერდამის ხელშეკრულება ევროკავშირის სადამფუძნებლო აქტია, რაც გულისხმობს, რომ მასში გადმოცემული დეკლარაციები ზოგადევროპულ ფასეულობებს გამოხატავს. ეს კონკრეტული დეკლარაცია კი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს სახელმწიფოთა დისკრეციულ უფლებას - თავად დაადგინონ ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივ სტატუსს და მასთან დაკავშირებულ უფლებებსა და ვალდებულებებს განსაზღვრავს. დათქმა, რომ ეროვნული კანონმდებლობის წინასწარ ეჭვქვეშ დაყენება და მისი გადასინჯვა ევროკავშირის მიზანს არ წარმოადგენს, სხვა მნიშვნელობებს შორის, უნდა გულისხმობდეს სახელმწიფოთა თავისუფლებას, თავად განსაზღვრონ ის სამართლებრივი სისტემა და ინსტრუმენტები, რითაც მიღწეული უნდა იქნას რელიგიური თემებისა და გაერთიანებების უფლებების დაცვა. აქედან გამომდინარე, საკმაოდ ნათელია, რომ ევროპული სტანდარტი, რელიგიური კანონმდებლობის დადგენისას, ისევე, როგორც ზოგადად კანონმდებლობის შემუშავებისას, გულისხმობს ერთობას მიზანთან მიმართებით და დამოუკიდებლობას საშუალებების შერჩევისას, რამდენადაც, ეს უკანასკნელი სწორედ იმ გარემოებებით არის განპირობებული, რაც ევროპის კავშირში შემავალი ქვეყნების ისტორიულ, კულტურულ, სოციალურ და სხვა სახის თავისებურებებს წარმოადგენს.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ მრავალფეროვნება და თვითმყოფადობა მხოლოდ ზოგადი პრინციპი კი არა, არამედ კონკრეტული უფლებებისა და ურთიერთობების საკანონმდებლო რეგულირების განმსაზღვრელი ფაქტორიცაა. ევროპის საბჭოს 1720-ე რეკომენდაცია - რელიგია და განათლება (2005), ვრცლად და კომპლექსურად მიმოიხილავს

ევროპაში რელიგიური განათლების საკითხებს. ამ რეკომენდაციის თანახმად, რელიგიების კარგი ზოგადი ცოდნა ტოლერანტული დამოკიდებულების საფუძველია, ხოლო სასწავლო სილაბუსების შედგენისას, ქვეყნების თავისებურებების გათვალისწინება სწორი რელიგიური განათლების წინაპირობა:

„სახელმწიფო ხელისუფლებებმა უნდა იზრუნონ მასწავლებლების მომზადებაზე და შეადგინონ სილაბუსები, რომლებიც ადაპტირებული იქნება ქვეყნების თავისებურებებთან და მოსწავლეთა ასაკთან.“ (გაეროს, ევროსაბჭოს, ეუთოს, ვენეციის კომისიისა და ოსლოს კოალიციის დოკუმენტები რელიგიის თავისუფლების შესახებ. 2015. გვ: 192-194)

რელიგიური განათლების კონტექსტში, ქვეყნის თავისებურებები აუცილებლად გულისხმობს იმ გარემოებების გათვალისწინებას, თუ რომელი რელიგიური თემები და რელიგიური გაერთიანებებია წარმოდგენილი ქვეყანაში და რა მასშტაბებით, რა როლს ასრულებენ ისინი საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში და სოციალურ ურთიერთობებში, ისტორიული და თანამედროვე პერსპექტივით, როგორია მოსახლეობის რელიგიური განწობა (რელიგიურობა) ზოგადად და ა.შ.

წარმოდგენილი წყაროები და შემოთავაზებული მსჯელობა საკმარისია იმაში დასარწმუნებლად, რომ მრავალფეროვნება და თვითმყოფადობა, როგორც რელიგიის შესახებ კანონმდებლობის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი, მკაფიოდ და ცალსახად არის დაცული მთელ რიგ საერთაშორისო და რეგიონალურ სამართლებრივ აქტებში. ის წარმოადგენს ზოგადევროპულ პრინციპს, რომლის დაცვა და საკუთარ კანონმდებლობაში ასახვაც ევროპული სახელმწიფოს მახასიათებელი ნიშანია. ამ პრინციპის ფუძემდებლური მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ საერთო ღირებულებები არ შეიძლება წარმოადგენდეს რაღაც აბსტრაქტულ კატეგორიას, რომელთან ბმაც სახელმწიფოებს საკუთარი ღირებულებებით არ აქვთ. ამის საპირისპიროდ, საერთო ღირებულება მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული სახელმწიფოთა ინდივიდუალურ ღირებულებით სისტემებთან. ამასთან, დაცული უნდა იყოს ერთიანობისა და განსხვავებულობის ზღვარიც, განსაკუთრებით კი, ეროვნული კანონმდებლობების ნაწილში, რადგან მრავალფეროვნება და თვითმყოფადობა თავადვე წარმოადგენს ძირითად ევროპულ ფასეულობას.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ თვითმყოფადობა, როგორც ზოგადევროპული პრინციპი და მისგან ობიექტურად გამომდინარე განსხვავებული მდგომარეობა, ნიშანდობლივი არ არის მხოლოდ სახელმწიფოთა რელიგიურ პოლიტიკასა თუ რელიგიურ კანონმდებლობასთან ერთიანი მიდგომებისთვის. ამ პოლიტიკური და საკანონმდებლო მახასიათებლებით ერთმანეთისგან განსხვავდებიან სახელმწიფოები, თუმცა განსხვავების მეორე შრე უშუალოდ ამა თუ იმ ქვეყანაში არსებულ რელიგიურ გაერთიანებათა სამართლებრივ მდგომარეობაში, სამართლებრივ სტატუსშიც გამოიხატება.

რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი სტატუსების განსხვავებულობა, როგორც სამართლებრივი პრინციპი, გულისხმობს კანონმდებლობის იმგვარად ფორმირებას, რომ ყველა რელიგიურ გაერთიანებას ქონდეს საკუთარი სურვილისა და მდგომარეობის შესაბამისი სამართლებრივი სტატუსის მოპოვებისა და მასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობებით პროპორციულად სარგებლობის შესაძლებლობა.

სამართლებრივი სტატუსის განსხვავებულობა შესაძლოა გამოვლინდეს განსხვავებული მახასიათებლების გათვალისწინების საფუძველზე, როგორც სხვადასხვა სახის იურიდიული პირის სტატუსის შეთავაზებაში, ასევე, ერთი კატეგორიის იურიდიული პირებისთვის განსხვავებული მოცულობის უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრაში.

უფლება-მოვალეობების განსხვავებულობა გულისხმობს ისეთ საკანონმდებლო რეგულირებას, სადაც რელიგიური გაერთიანების მიერ ამ უფლებებითა და მოვალეობებით - რელიგიური განათლება, რელიგიური წარმომადგენლობა სახელმწიფო და საჯარო ინსტიტუტებში („კაპელანის ინსტიტუტი“) და ქონება და ფინანსები, სარგებლობა დაკავშირებულია მის სამართლებრივ სტატუსთან და ამ უკანასკნელის მიხედვით, სხვადასხვა მოცულობითაა გათვალისწინებული.

რელიგიური გაერთიანებები, რომლებიც სარგებლობენ მაღალი სამართლებრივი სტატუსითა და მდგომარეობით, ფლობენ უფლებას, მათი ისტორია (კულტუროლოგიული და ნაწილობრივ, დოქტრინალური შინაარსით) ისწავლებოდეს საჯარო სკოლებში; მათ მიმართ მოქმედებს რიგი ფინანსური და ქონებრივი შეღავათები, რაც გულისხმობს გადასახადებისგან ნაწილობრივ ან სრულ გათავისუფლებას და ა.შ.; სახელმწიფო და საჯარო ინსტიტუტებში,

როგორცაა სასჯელაღსრულების, სამხედრო და სამედიცინო დაწესებულებები ამ რელიგიური გაერთიანებების წარმომადგენელი სასულიერო პირები წარმოადგენენ შტატის თანამშრომლებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ დაწესებულებების მუშაკთა რელიგიურ მსახურებას. ამგვარი წარმომადგენლობა, როგორც წესი, ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. ამ უფლებებისა და მოვალეობების მოცულობა, მაგალითად, საგადასახადო შეღავათები, იცვლება იმის მიხედვით, თუ რა სამართლებრივ სტატუსს ფლობს კონკრეტული რელიგიური გაერთიანება. (რელიგიის თავისუფლება, 2004. გვ: 477-483).

ამ პრინციპის რეალური საკანონმდებლო იმპლემენტაციის საილუსტრაციოდ გამოდგება გერმანიის ფედერაციის კანონმდებლობა აღმსარებლობის თავისუფლების შესახებ, რომლის მიხედვითაც განსხვავებული სამართლებრივი სტატუსის რელიგიური გაერთიანებები - 1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი; ან 2. საზოგადოებრივი არამომგებიანი ორგანიზაცია, სარგებლობენ უფლებებით და მოვალეობებით, რომელთაგან ნაწილი ერთი კონკრეტული სამართლებრივი სტატუსის შემადგენელია, ნაწილი კი საერთოა ორივე სტატუსის რელიგიური გაერთიანებებისთვის. მაგალითად:

„რელიგიურ გაერთიანებებს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი, განსაკუთრებული თანამშრომლობა აქვთ მიწის მთავრობასთან. მაგალითად, მათ აქვთ უფლება, დააწესონ საეკლესიო გადასახადი, რომლის გადახდაც სავალდებულოა ამ კონფესიის წევრებისათვის. მათ აქვთ უფლება, ასწავლონ რელიგიური მოძღვრება საჯარო სკოლებში, აღასრულონ რელიგიური მსახურება შეიარაღებულ ძალებში, სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში, ჰოსპიტალებსა და სხვა საჯარო დაწესებულებებში სპეციალურად დანიშნული ღვთისმსახურის მეშვეობით. ისინი თანამშრომლობენ სახელმწიფოსთან სოციალური უზრუნველყოფის სფეროში საკუთარი საქველმოქმედო ორგანიზაციების მეშვეობით.

(...) რელიგიური გაერთიანებები, რომლებიც სარგებლობენ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით, საკუთარი წევრებისაგან შემოწირულობებს კრებენ სავალდებულო საეკლესიო გადასახადის დაწესებით.

რელიგიური გაერთიანებები, რომლებიც სარგებლობენ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით, გათავისუფლებული არიან გადასახადის გადახდისაგან. სხვა რელიგიურმა გაერთიანებებმა შეიძლება მოითხოვონ საგადასახადო შეღავათები საქველმოქმედო აქციების განხორციელებისას.“
(აღმსარებლობის თავისუფლება, 2002. გვ 83-84)

მსგავსი უფლებრივი და მდგომარეობითი განსხვავება არ უნდა იქნას გაგებული, როგორც სახელმწიფოს მხრიდან ცალკეული რელიგიური გაერთიანებისთვის უპირატესობის მინიჭება და სხვების კი დისკრიმინაციულ მდგომარეობაში ჩაყენება. ზოგადად, სახელმწიფო, რაც უფრო დისტანცირებული იქნება რელიგიური უფლებებიდან და რელიგიური ურთიერთობებიდან, მით უკეთ მოხერხდება ამ უკანასკნელთა გარანტირება.

საკითხის ამგვარ გააზრებას აუცილებლად მოყვება მსჯელობა იმის შესახებ, იქნება თუ არა დისკრიმინაციული, განსხვავებული ობიექტური მდგომარეობის განსხვავებულ სამართლებრივ მდგომარეობად კონვერტირება და რამდენად შესაძლებელია რელიგიის თავისუფლებით დაცული სიკეთეები განსხვავებულად ვრცელდებოდეს სხვადასხვა სუბიექტებზე. ამ პრობლემის გადაწყვეტა რელიგიის თავისუფლების პერსონალური და ინსტიტუციონალური სფეროების ურთიერთგამიჯნვით უნდა ვცადოთ.

ადამიანის რელიგიური უფლებებისა და რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი მდგომარეობის ერთმანეთისგან გამიჯნვა, როგორც რელიგიური უფლებების ფუძემდებლური პრინციპი, გულისხმობს კანონმდებლობის იმგვარად ფორმირებას, რომ ადამიანის რელიგიური უფლებები - რელიგიისა და რწმენის თავისუფლება, დაცული და გარანტირებული იყოს დამოუკიდებელი ნორმებით, ხოლო რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი მდგომარეობა - სამართლებრივი სტატუსი და მასთან დაკავშირებული უფლებები და მოვალეობები - დამოუკიდებელი ნორმებით. დაუშვებელია ადამიანის რელიგიისა და რწმენის თავისუფლებაზე რაიმე გავლენას ახდენდეს ფაქტი, რომ ის რელიგიური თემი, რომელსაც ესა თუ ის ადამიანი მიეკუთვნება, არის რეგისტრირებული თუ არარეგისტრირებული, სარგებლობს რაიმე შეღავათებით თუ მოქცეულია კანონისმიერ შეზღუდვებში ან სხვ. შეუძლებელია ამ რელიგიის მიმდევარს რაიმე ფორმით აკრძალოს ან შეეზღუდოს რწმენის ან აღმსარებლობის თავისუფლება. ისევე, როგორც რელიგიური

გაერთიანების რაიმე უპირატესი პოზიტიური მდგომარეობა, მაგალითად, სახელმწიფო რელიგიის სტატუსი, ვერ უზრუნველყოფს ამ თავისუფლებათა უკეთ განხორციელებას.

მიუხედავად ამისა, რელიგიის ან რწმენის საფუძველზე რაიმე სახის დისკრიმინაცია, იმდენად ფაქიზი საკითხია, რომ მისგან პერსონალური ასპექტის გამორიცხვის შემდეგაც, ინსტიტუციონარული ასპექტის კიდევ უფრო უკეთ განმარტება არსებითი მნიშვნელობის მატარებელია. უპირველეს ყოვლისა, ისევ დისკრიმინაციის პერსონალურ ასპექტს უნდა შევხვით. დისკრიმინაციის აღმოფხვრის გარანტიას წარმოადგენს კანონის წინაშე თანასწორობის დაცვის პრინციპი, რომლის თანახმადაც:

„თითოეული ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე კანონით თანაბარი დაცვის უფლება აქვს. ამ მხრივ უნდა აიკრძალოს ყოველგვარი დისკრიმინაცია და კანონი უნდა უზრუნველყოფდეს ყველა პირის თანასწორ და ეფექტურ დაცვას რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ეროვნული და სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადების თუ სხვა გარემოებების გამო დისკრიმინაციისაგან.“
(საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მუხლი 26)

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მოცემული მუხლის კომენტარებისას, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა განსაზღვრა, რომ ტერმინი დისკრიმინაცია მოცემული პაქტით განმარტებული არ არის და ამ შემთხვევაში, მისი შინაარსის გასაგებად უნდა მოხდეს გაეროს „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ საერთაშორისო კონვენციით“ (1965) ჩამოყალიბებული „რასობრივი დისკრიმინაციის“ განსაზღვრების განზოგადება, კერძოდ, კონვენციის 1-ლი მუხლი მიუთითებს, რომ დისკრიმინაცია:

„ნებისმიერი განსხვავება, გამონაკლისი, შეზღუდვა ან უპირატესობის მინიჭება, რასის, კანის ფერის, საგვარეულო, ეროვნული თუ ეთნიკური წარმომავლობის ნიშნებით, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ ან საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში ადამიანის

უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა თანასწორობის საწყისებზე ცნობის, გამოყენების ან განხორციელების მოსპობას ან შელახვას.“

აქვე კომიტეტი მიუთითებს, რომ თანასწორობის საფუძველზე, უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა, ნებისმიერ შემთხვევაში, ერთგვაროვან მოპყრობას არ ნიშნავს. ამის მაგალითად კომიტეტი ასახელებს სიკვდილით დასჯის აკრძალვას 18 წელს მიუღწეველი პირებისა და ორსულთა მიმართ, არასრულწლოვან დამნაშავეთა მიმართ განსხვავებულ მოპყრობას პენიტენციალურ სისტემაში, პოლიტიკური უფლებებით სარგებლობისას მოქალაქეობის ცენზის დადგენას და სხვ. ამდენად, დისკრიმინაცია თავისი არსით „ერთგვაროვანთა“ განსხვავებად არის განმარტებული და არა „ნებისმიერთა“ განსხვავებად. თუკი ეს არსობრივი მახასიათებელი ნიშანდობლივია კანონის წინაშე თანასწორობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპის პერსონალური ასპექტისთვის, კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას ის ამ პრინციპის ინსტიტუციონარულ ასპექტში იძენს.

რელიგიის თავისუფლების ინსტიტუციონალური ასპექტი, რელიგიური გაერთიანებების (ორგანიზაციების) განსხვავებული სამართლებრივი სტატუსის კონტექსტში, დისკრიმინაციის სწორედ ამ სიღრმისეულ გაგებას ეფუძნება. ამასთან, ისიც უნდა აღნიშნოს, რომ „განსხვავებულთა“ მიმართ განსხვავებულად მოპყრობა არა მხოლოდ არადისკრიმინაციულია, არამედ არსობრივად სამართლიანიც, რადგან დისკრიმინაცია თანაბარ მდგომარეობაში მყოფი სუბიექტების მიმართ სახელმწიფოს განსხვავებულ მოპყრობასთან ერთად, განსხვავებულ ობიექტურ მდგომარეობაში მყოფ პირთა მიმართ ერთგვაროვან მოპყრობასაც გულისხმობს. (რელიგიის თავისუფლების სფეროში სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა. მეტრეველი, 2015. გვ: 74-103).

სახელმწიფოსა და რელიგიურ გაერთიანებებს შორის ურთერთობებში ეს განსხვავებულობა შეიძლება ეფუძნებოდეს ქვეყანაში ამა თუ იმ რელიგიის გავრცელების მასშტაბებსა და ისტორიულ პერიოდს (ხანგრძლივობას), მის როლს ქვეყნის ისტორიაში, კულტურისა და სოციალური ურთერთობების ჩამოყალიბებაში, მიმდევრების რაოდენობას და ა.შ.
გამომდინარე აქედან:

„სახელმწიფოს მიერ რომელიმე რელიგიური ორგანიზაციისათვის გარკვეული უპირატესობის მინიჭება არ შეიძლება ჩაითვალოს სხვა რელიგიური ორგანიზაციების მიმართ დისკრიმინაციულ მოპყრობად, მათი თანასწორობის პრინციპის დარღვევად, თუ არსებობს ასეთი განსხვავებული დამოკიდებულებისათვის ობიექტური და გონივრული საფუძველი“. (ხეცურიანი, 2013. გვ. 41)

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც დაკავშირებულია განსხვავებულ მოპყრობასთან, არის ამგვარი დამოკიდებულების შედეგიანობა. აღნიშნული გულისხმობს, რომ განსხვავებული მოპყრობა წარმოადგენს, არა მხოლოდ, რეალურად არსებული მდგომარეობის უბრალოდ პატივისცემას, არამედ მისი გათვალისწინება აუცილებელია დასახული შედეგის მისაღწევად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აბსოლუტურად მსგავსი რელიგიური კანონმდებლობა არ ნიშნავს, რომ ყველა ქვეყანაში, ყველა საზოგადოებაში, ის მსგავს შედეგს გამოიღებს და პირიქით, განსხვავებული კანონმდებლობა, თავისთავად ამ განსხვავების გამო, წინასწარ არ უნდა ქმნიდს განცდას, რომ რომელიმე ქვეყანა უკეთ იცავს რელიგიის თავისუფლებას და სხვა ნაკლებად. დასაწყისშივე მკაფიოდ აღვნიშნეთ, რომ მრავალფეროვნება და თვითმყოფადობა, როგორც ზოგადევროპული პრინციპი, გულისხმობს სახელმწიფოთა თვითგანსაზღვრების მაქსიმალურ თავისუფლებას ყველაფერში, რაც განსხვავებულია და აუცილებელ ერთობას ყველაფერში, რაც საერთოა. ეს ზოგადი განსაზღვრება, მსჯელობის დასასრულს, შეგვიძლია კონკრეტულ ფორმულამდე დავიყვანოთ - რელიგიის თავისუფლება, რაც მოიცავს რელიგიური მოთხოვნილებების მაქსიმალურად და დაუბრკოლებლად დაკმაყოფილებასა და მშვიდობიან რელიგიურ თანაცხოვრებას, შესაძლოა, სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა საზოგადოებაში განსხვავებული საშუალებებით დამკვიდრდეს, რისთვისაც ყველა სახელმწიფო ინდივიდუალურად უნდა განსაზღვრავდეს საკუთარ რელიგიურ პოლიტიკასა და მისგან გამომდინარე, რელიგიურ კანონმდებლობას.

და ბოლოს, მრავალფეროვნება და თვითმყოფადობა, როგორც ზოგადევროპული პრინციპი გულისხმობს იმ თავისებურებების სავალდებულო გათვალისწინებას, რაც სახელმწიფოებს ერთმანეთისგან განარჩევს ისტორიული, კულტურული, სოციალური თუ სხვა ფაქტორების მიხედვით. რამდენადაც, განსხვავებულ საზოგადოებებში, ერთი და იგივე მიზნები, ამ შემთხვევაში, რელიგიის თავისუფლებით გათვალისწინებული უფლებებით

დაუბრკოლებლად და სრულფასოვნად სარგებლობა, განსხვავებული გზებითა და საშუალებებით მიიღწევა, სახელმწიფოები ვალდებული არიან, საკუთარი ეროვნული კანონმდებლობა ამ თავისებურებათა გათვალისწინებით ჩამოაყალიბონ.

2.3. სახელმწიფოსა და რელიგიური გაერთიანებების ურთიერთობის მოდელები ევროკავშირის ქვეყნებში

ევროკავშირის ქვეყნების სოციო-რელიგიური და სამართლებრივი თავისებურებები სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთობის მრავალფეროვან გამოცდილებას ქმნის, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა ერთის მხრივ სრულ შესაბამისობაში მოდის რელიგიისა და რწმენის თავისუფლების საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოსთან, მეორეს მხრივ კი წევრი-ქვეყნების კულტურისა და ეროვნული იდენტურობის თვითმყოფადობას ასახავს.

„ერთმანეთისგან განსხვავებულ სისტემებს გამოცდილების კუთხით ისტორიაში ბევრი საერთო აქვს და ყველა ეს სისტემა საერთო ქრისტიანულ საფუძველზეა აგებული. ზოგადად, ევროპის სამართალთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ სამოქალაქო-საეკლესიო სამართალი განსაკუთრებით ქრისტიანობაშია ფესვგადგმული. თუმცა, ამავე დროს, არ უნდა დავივიწყოთ ის წვლილიც, რომელიც ევროპის კულტურაში ისლამმა და იუდაიზმმა შეიტანა. დღესდღეობით ეს ორივე რელიგია მნიშვნელოვანი ფაქტორია ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოთა უმეტესობისთვის, რაც საეკლესიო სამართალმა მხედველობაში უნდა მიიღოს. და ბოლოს, არსებობს უამრავი მცირერიცხოვანი რელიგიური თემი, ხშირ შემთხვევაში მჭიდრო კავშირით დიდ გაერთიანებებთან, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, რომლებიც სამოქალაქო-საეკლესიო სამართლის სტრუქტურის ერთ-ერთ სოციალურ ფაქტორს ქმნის“. (რობერსი, 2011. გვ: 663)

ევროპის მასშტაბით სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთობების მრავალფეროვანი სისტემები სამ ძირითად მოდელად შეგვიძლია გავაერთიანოთ.

პირველი მოდელი ხასიათდება ამა თუ იმ რელიგიის *დომინანტური* მდგომარეობით, მაგალითად, სახელმწიფო რელიგიის სტატუსით, რაც გამოიხატება სახელმწიფოსა და კონკრეტული რელიგიურ გაერთიანებას შორის მჭიდრო კავშირით, როცა ეს უკანასკნელი უფლებრივი ნიშნით მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვა რელიგიებისგან. ფინეთის მაგალითზე ეს შეიძლება იყოს არა ერთი, არამედ ორი რელიგიური გაერთიანება - ლუთერული და მართლმადიდებლური ეკლესიები. ევროპის მასშტაბით დომინანტური, სახელმწიფო რელიგიის მოდელის კლასიკური მაგალითებია: ინგლისი, დანია, საბერძნეთი და ფინეთი. (North & Gwin, 2004)

მეორე მოდელი სახელმწიფოსაგან რელიგიის მკვეთრი გამოყოფის საფუძვლებზე დგას და სახელმწიფოსა და რელიგიის *გამიჯვნის* სისტემას ქმნის, სადაც კანონმდებლობა მკაფიოდ განსაზღვრავს დაცულ სფეროებს და საზღვრებს, რომელთა დარღვევაც დაუშვებელია. მოცემული მოდელი, რომლის საუკეთესო მაგალითსაც საფრანგეთი წარმოადგენს, ხასიათდება სეკულარიზმის მაღალი დონით, თუმცა, სახელმწიფოს და რელიგიის აბსოლუტური ურთიერთგამიჯნვა, პრაქტიკულად ვერ ხერხდება. არსებობს რიგი საკითხები, მაგალითად ისტორიული ან კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მატარებელი საკულტო ნაგებობები, რომელთა მოვლა-პატრონობაც სახელმწიფოს რელიგიური გაერთიანებებთან შეთანხმებით უწევთ და სხვ. სახელმწიფოსა და რელიგიის გამიჯვნის მოდელს საფრანგეთის გარდა, ვხვდებით ირლანდიაშიც, თუმცა ევროპის მასშტაბით ამ მოდელის კლასიკური ფორმები უკიდურესად მცირეა. (Engineer, 1995)

მესამე მოდელი, რომელსაც შეიძლება *თანამშრომლობის* მოდელი ეწოდოს, წარმოადგენს ერთგვარ შუალედს დომინანტურობასა და გამიჯვნის მოდელებს შორის. ეს არის სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთობის ტიპი, რომელიც ამ ორი სუბიექტის არსობრივი ურთიერთგამიჯვნის ფუნდამენტზე დგას, მაგრამ მთელ რიგ საკითხებში სახელმწიფოსა და რელიგიური გაერთიანებების ფუნქციურ თანამშრომლობას გულისხმობს. ასეთი საკითხი შეიძლება იყოს, მაგალითად რელიგიური განათლება საჯარო სკოლებში და სხვ. მსგავსი მოდელის ურთიერთობები ჩამოყალიბებულია ისეთ ქვეყნებში, როგორცაა: გერმანია,

ბელგია, პოლონეთი, ესპანეთი, იტალია, უნგრეთი, ავსტრია, ბალტიისპირეთის ქვეყნები და პორტუგალია. (Pradhan, 2004).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამა თუ იმ ქვეყანაში სახელმწიფოს და რელიგიის ურთერთაღქმა და ურთიერთდამოკიდებულება არსებითად გამომდინარეობს მათი ისტორიული გამოცდილებიდან და სოციალური რეალობებიდან. თავის მხრივ, ზემოთ აღწერილი მოდელები არ წარმოადგენს აბსოლუტური სახის უნივერსალურ ფორმებს და ერთი და იგივე მოდელიც კი, ხშირ შემთხვევაში, მნიშვნელოვნად განსხვავდება ცალკეული ქვეყნების მაგალითზე.

„სამართლებრივი და თეორიული მოსაზრებების თანახმად, ასეთი კლასიფიკაცია ფარდობითი და საკამათოც კია იმ არსებული სოციალური გარემოებების ფონზე, რომელიც სხვანაირ კლასიფიკაციას გვთავაზობს. ირლანდიაში, სადაც კათოლიკეები უმრავლესობაში არიან, კათოლიციზმის გავლენა სახელმწიფოზე სავარაუდოდ უფრო ძლიერი და პირდაპირია, ვიდრე ეს საკონსტიტუციო დებულებებითაა ფორმულირებული. იგივენაირად სოციალური შესაბამისობის საკითხთან მიმართებაში, საბერძნეთი უფრო ახლო დგას ესპანეთსა და იტალიასთან, ვიდრე დანიასთან ან გაერთიანებულ სამეფოსთან“. (რობერსი, 2011. გვ: 665)

რაც შეეხება რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივ მდგომარეობას ევროპის ქვეყნებში, ეს მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული სწორედ სახელმწიფოსა და რელიგიის ურთერთობის იმ მოდელთან, რომელიც ამა თუ იმ ქვეყანაშია ჩამოყალიბებული. ამ მხრივ, ერთი და იმავე მოდელის შიგნით არსებული მრავალფეროვნება კიდევ უფრო იზრდება და თვალსაჩინო ხდება. ამ ნაწილში ჩვენ მოკლედ წარმოვადგენთ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში არსებულ სოციო-რელიგიურ რეალობებსა და სამართლებრივ სისტემებს, მანამდე კი, რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი მდგომარეობის ერთგვარ მოდელებს ჩამოვყალიბებთ. ეს მოდელები სახელმწიფოსა და რელიგიური გაერთიანებების ურთერთობის მოდელების მსგავსად უნივერსალური და ერთგვაროვანი არ არის, მაგრამ ევროპის ქვეყნებში რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი მდგომარეობის ერთგვარ კლასიფიკაციას და იერარქიას მაინც წარმოადგენს.

რელიგიურ გაერთიანებათა სამართლებრივი სტატუსების და მასთან დაკავშირებული უფლებების ძირითადი იერარქია შემდეგი სახისაა:

პირველ ადგილზეა *ტრადიციული (ისტორიული) რელიგიური გაერთიანება*, რომელიც განსაკუთრებული უფლებებითა და შეღავათებით სარგებლობს ქონებრივ და ფინანსურ; საგანმანათლებლო; ჯანდაცვის, შეიარაღებული ძალების და პენიტენციურ სისტემაში რელიგიური წარმომადგენლობის საქმიანობის სფეროებში და ა.შ. ასეთი რელიგიური გაერთიანებები, ძირითადად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით სარგებლობენ. მეორე ადგილზეა *რეგისტრირებული (აღიარებული) რელიგიური გაერთიანება*, რომელიც ასევე სარგებლობს გარკვეული სპეციალური უფლებებითა და შეღავათებით. რელიგიურ გაერთიანებათა ეს ტიპი შეიძლება იყოს როგორც საჯარო, ასევე კერძო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მატარებელი. ბოლო ადგილზე დგას კერძო სამართლის იურიდიულ პირებად *ასოციაციების სახით რეგისტრირებული ან არარეგისტრირებულ რელიგიური გაერთიანება*, რომელიც სარგებლობს შესაბამისი სამართლებრივი გარანტიებით, მაგრამ რაიმე განსაკუთრებული უფლებები და შეღავათები მასზე არ ვრცელდება. (Fox & Sandler, 2009)

რელიგიურ გაერთიანებათა აღიარებისა და რეგისტრაციისთვის სავალდებულო წინაპირობები, ძირითად შემთხვევებში, ერთმანეთს ემთხვევა და რელიგიური გაერთიანების ისტორიულ ხანდაზმულობას, მიმდევართა რაოდენობას, დოქტრინის შინაარსს, ქვეყნის კულტურულ და სოციალურ პროცესებში მონაწილეობას და ა.შ. უკავშირდება. ეს პირობები, ქვეყნების მიხედვით განსხვავდება, როგორც მასშტაბებით ასევე იერარქიულად და მათი დაკმაყოფილების დონის მიხედვით რელიგიური თემი იღებს ან ვერ იღებს რეგისტრაციას, რეგისტრაციის მიღების შემთხვევაში კი, იერარქიული სისტემის არსებობისას, იკავებს შესაბამის ადგილს. რელიგიურ გაერთიანებათა სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებული შეღავათები და უფლებები ძირითადად მოიცავს ფინანსურ და ქონების სფეროს, საგანმანათლებლო საქმიანობის სფეროს და სხვადასხვა სახელმწიფო და საჯარო დაწესებულებებში რელიგიური წარმომადგენლობის („კაპელანის ინსტიტუტი“) უფლებას.

ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში რელიგიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის მოდელები, ასევე, რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი მდგომარეობა ასეთია:

ბელგია

ბელგიის კონსტიტუციით უზრუნველყოფილია რელიგიის თავისუფლება (მუხ. 20). კანონმდებლობა ყველა რელიგიის თანასწორობას ცნობს, მაგრამ ქვეყანაში ოფიციალურად აღიარებულია ექვსი რელიგია: კათოლიკური, პროტესტანტული, იუდაური, ანგლიკანური, ისლამი და მართლმადიდებლური. ექვსი აღიარებული რელიგიიდან კათოლიკური რელიგია ყველაზე მნიშვნელოვანია, რაც სტატისტიკური მონაცემებითაც დასტურდება (მოსახლეობის 70%-ზე მეტი კათოლიკეა). კათოლიკურ ეკლესიას სამართლებრივი თვალსაზრისით, არ აქვს მინიჭებული განსაკუთრებული პრივილეგიები, რასაც ვერ ვიტყვით მის ფაქტობრივ მდგომარეობაზე. (ტორფსი, 2011).

ბელგიური კანონმდებლობით რელიგიური გაერთიანების მიერ სამართლებრივი სტატუსის მოპოვების საფუძველი, პირველ რიგში, მისი სოციალური და კულტურული აქტიურობაა, გარდა ამისა, კანონმდებლობით განსაზღვრულია კონკრეტული პირობები: ა) მიმდევართა რაოდენობა; ბ) ორგანიზებულობა; გ) ისტორიული ხანდაზმულობა (ათეული წლები) და სხვ.

საინტერესოა ბელგიური გამოცდილება, რომლის მიხედვითაც ეკლესიებს და საეკლესიო სტრუქტურებს არ აქვს იურიდიული პირის სტატუსი. იურიდიული პირის სტატუსი ენიჭება ეკლესიის საერო საჭიროებებზე პასუხისმგებელ საეკლესიო ადმინისტრაციებს.

ჩეხეთი

2002 წლის კანონით რელიგიური თავისუფლებისა და ეკლესიებისა და რელიგიური ასოციაციების ადგილის შესახებ მოქმედებს რეგისტრაციის ორსაფეხურიანი სისტემა. პირველ კატეგორიაში ერთიანდებიან ჯგუფები, რომლებსაც ჰყავთ მინიმუმ 300 სრულწლოვანი მიმდევარი და რეგისტრაციის გავლის საფუძველზე იღებენ შეზღუდულ საგადასახადო შეღავათებს. მეორე კატეგორიაში ისეთი ჯგუფები შედიან, რომელთა

მიმდევრების რაოდენობა ქვეყნის მოსახლეობის მინიმუმ 0.1%-ს შეადგენს (დაახ. 10.000) და დარეგისტრირებულია პირველ საფეხურზე სულ მცირე 10 წლის მანძილზე.

არარეგისტრირებულ ჯგუფებს არ აქვთ ქონების ფლობის უფლება, მაგრამ შეუძლიათ შექმნან ასოციაციები ამ მიზნით მანამ, სანამ თავად მიიღებენ რეგისტრაციას. (ტრეტერა, 2011).

დანია

კონსტიტუციით ევანგელურ-ლუთერული ეკლესია არის დანიის „სახალხო ეკლესია“ (folkekirke) და ამის გამო ის სახელმწიფოს მხარდაჭერით სარგებლობს. დანიის მოსახლეობის უმრავლესობა (80%-ზე მეტი) ამ ეკლესიას ეკუთვნის. სახელმწიფო მხარს უჭერს სახალხო ეკლესიას ეკონომიკურ, სამართლებრივ და პოლიტიკურ სფეროებში. დანიის მონარქი ვალდებულია იყოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის წევრი, თუმცა სხვა მოქალაქეებს უფლება აქვთ, გაერთიანდნენ საზოგადოებებში, რათა თავიანთი სცენ ღმერთს იმ სახით, რომელიც შეესაბამება მათ რწმენას, თუ ასეთი საზოგადოებების სწავლება ან მოქმედება არ ეწინააღმდეგება მორალისა და საზოგადოებრივი წესრიგის ნორმებს.

„სახალხო ეკლესიის“ და სახელმწიფოს ერთმანეთისგან ოფიციალურად განცალკევება შეუძლებელია. ამისთვის საჭიროა დანიის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა, რაც საკმაოდ რთულ პროცედურასთან არის დაკავშირებული.

კანონის შესაბამისად სხვა რელიგიური ერთეულები სამ ჯგუფად იყოფა: 1. აღიარებული რელიგიური საზოგადოებები, 2. ქორწინების ჩატარების უფლების მქონე საზოგადოებები და 3. ოფიციალურად არაღიარებული საზოგადოებები.

საინტერესო კატეგორიაა ქორწინების ჩატარების უფლების მქონე საზოგადოება. ამ სტატუსის მოსაპოვებლად აუცილებელია, რომ რელიგიური საზოგადოება იყოს ნათლად განსაზღვრული ორგანიზაციული სტრუქტურის და წარმომადგენლობის მქონე რელიგიური მიმდინარეობა. აღიარების შედეგად, რომელიც მხოლოდ საქორწინო რიტუალების

ჩატარების უფლებით შემოიფარგლება, უფლებამოსილ სასულიერო პირებს არ აქვთ სამართლებრივი ძალის სამოქალაქო ნათლობის ჩატარების და პერსონალური ინფორმაციის რეგისტრირების უფლება. ასეთი რეგისტრაციის უფლება აქვს მხოლოდ სახალხო ეკლესიის მრევლის მოძღვარს. (დუბევი, ი., სახელმწიფო და ეკლესია დანიაში. 2011. გვ: 63-88).

გერმანია

გერმანიაში ყველაზე მრავალრიცხოვანი მიმდევრები ჰყავს კათოლიკურ და პროტესტანტულ ეკლესიებს. სახელმწიფოსა და ფედარალურ მიწებს გაფორმებული აქვთ კონკორდატები ცალკეულ ეკლესიებთან. რელიგიურ გაერთიანებათა მნიშვნელოვან ნაწილს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი აქვს. თუმცა, რელიგიური გაერთიანებებისთვის ეს სტატუსი სხვა საჯარო სამართლის იურიდიული პირებისგან იმ ნიშნით განსხვავდება, რომ რელიგიური გაერთიანებები და სახელმწიფო სტრუქტურულად და უფლებრივად ერთმანეთისგან არის გამიჯნული. ყველა რელიგიურ გაერთიანებას შეუძლია მიიღოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი, თუკი ის აჩვენებს საკუთარი წევრების საკმაო რაოდენობას და გაერთიანების ორგანიზებულობას. არსებობს სამოქალაქო სამართლით გარანტირებული ასოციაციის სტატუსის მოპოვების შესაძლებლობაც. (რობერსი, 2011. გვ: 89-108).

გერმანიაში სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთობის მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის გამოცდილება, როდესაც ქვეყანის ორად გაყოფამ და განსხვავებულმა პოლიტიკურ-სამართლებრივმა რეჟიმებმა განსხვავებული ურთიერთობის ფორმები წარმოშვა. გერმანიის აღმოსავლეთ ნაწილში ეკლესიები ცდილობდნენ დამოუკიდებლობა მოეპოვებინათ სოციალისტური რეჟიმისგან, ხოლო დასავლეთ ნაწილში მათი აქტიურობა უფრო მეტად დაკავშირებული იყო საზოგადოებრივ ცხოვრებაში რელიგიური მიზნების განხორციელებასთან. (Moltmann, 1986).

ესტონეთი

ესტონეთში ნებისმიერი რელიგიური გაერთიანება კერძო სამართლის იურიდიულ პირს წარმოადგენს. ესტონეთის კანონმდებლობა ცნობს რელიგიური ორგანიზაციების ხუთ სხვადასხვა ტიპს: 1. ეკლესია; 2. კონგრეგაცია; 3. კონგრეგაციათა ასოციაცია; 4. მონასტერი და 5. რელიგიური საზოგადოება.

1. ეკლესია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს: მასში ნებაყოფლობით უნდა შედიოდეს, სულ მცირე, სამი კონგრეგაცია, რომლებიც, საუკეთესო შემთხვევაში, მოწყობილი არიან ეპარქიული სისტემით; ეკლესია უნდა მოქმედებდეს თავისი შინაგანაწესის თანახმად; უნდა მართავდეს მმართველი საბჭო და გატარებული უნდა იყოს რეესტრში.

2. კონგრეგაცია არის ფიზიკურ პირთა ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომლებიც ერთ საერთო რწმენას აღიარებენ. კონგრეგაცია მოქმედებს შინაგანაწესით. მას ხელმძღვანელობს არჩეულ მმართველთა საბჭო და გატარებულია რეესტრში.

3. კონგრეგაციათა ასოციაცია არის, სულ მცირე, სამი ნებაყოფლობით გაერთიანებული კონგრეგაციის ერთობლიობა, რომლებიც ერთ საერთო რწმენას აღიარებენ და მოქმედებენ შინაგანაწესით; მას ხელმძღვანელობს არჩეულ მმართველთა საბჭო და გატარებულია რეესტრში.

4. მონასტერი არის ერთი საერთო რწმენის აღმსარებელ ფიზიკურ პირთა ნებაყოფლობითი სათემო გაერთიანება, რომელიც შესაბამისი ეკლესიის წესებითა ან საკუთარი შინაგანაწესით მოქმედებს; მას ხელმძღვანელობს არჩეული ან დანიშნული მონასტრის წინამძღვარი და გატარებულია რეესტრში.

5. რელიგიური საზოგადოებების საქმიანობას არეგულირებს კანონი არამომგებიანი ორგანიზაციების შესახებ.

რელიგიური გაერთიანების სამართლებრივი ქმედუნარიანობა იწყება მისი რელიგიური გაერთიანებების რეესტრში შეტანით. კანონით აკრძალული არ არის დაურეგისტრირებელი რელიგიური გაერთიანებების საქმიანობა, თუმცა, ამ შემთხვევაში ისინი არ ჩაითვლებიან

იურიდიულ პირებად და, შესაბამისად, ვერ ისარგებლებენ შესაბამისი უფლებებითა და დახმარებით. (კვიციანი, 2011).

საბერძნეთი

საბერძნეთის კონსტიტუციით მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიაა, მართლმადიდებელი ეკლესია კი სახელმწიფო სტრუქტურის ნაწილი. შესაბამისად, ის სხვა რელიგიებთან შედარებით უპირატესობებით სარგებლობს.

მართლმადიდებლური ეკლესია საჯარო სამართლის იურიდიული პირია. საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი მინიჭებული აქვთ ასევე ებრაულ და ისლამურ რელიგიურ გაერთიანებებს. სხვა რელიგიური ჯგუფები კერძო სამართლის იურიდიული პირები არიან და უფლება არა აქვთ ფლობდნენ ქონებას, მათ შეუძლიათ შექმნან სპეციალური იურიდიული პირები ამ მიზნით. (პაპასტატისი, 2011).

ესპანეთი

ესპანეთი საერო (სეკულარული) სახელმწიფოა, თუმცა მოსახლეობის დაახლოებით 80% კათოლიკური ეკლესიის მიმდევარია, რაც ამ რელიგიის ძლიერ სოციალურ პოზიციას განაპირობებს. კონსტიტუციის თანახმად, საჯარო ხელისუფლება მხედველობაში იღებს ესპანეთის საზოგადოების რელიგიურ მრწამსს და ინარჩუნებს შესაბამის თანამშრომლობას კათოლიკურ ეკლესიასთან და სხვა რელიგიურ გაერთიანებებთან.

1980 წელს მიღებული კანონი რელიგიის თავისუფლების შესახებ აღიარებს რელიგიის კოლექტიურ და ინდივიდუალურ თავისუფლებას და განსაზღვრავს რელიგიური

გაერთიანებების ადგილს ესპანეთის სამართლებრივ სისტემაში. ეს კანონი არ ეხება კათოლიკურ ეკლესიას, რომლის სამართლებრივი სტატუსიც ვატიკანთან გაფორმებული კონკორდატით განისაზღვრება.

ესპანეთის კანონმდებლობით ეკლესიებს, სარწმუნოებრივ და რელიგიურ გაერთიანებებს, ასევე მათ ფედერაციებს უფლება აქვთ მიიღონ იურიდიული პირის სტატუსი შესაბამის საჯარო რეესტრში (კანონი რელიგიის თავისუფლების შესახებ, 7/1980, მუხ. 5 (1)). კანონი აწესებს რეგისტრაციის მოთხოვნებს – რეგისტრაცია შეიძლება მოხდეს განცხადების საფუძველზე, რომელსაც თან ერთვის ესპანეთში ორგანიზაციის დაფუძნების დამადასტურებელი უტყუარი დოკუმენტები, აგრეთვე ინფორმაციას მისი რელიგიური მიზნების, დენომინაციის ან იდენტურობის სხვა მახასიათებლების, წარმომადგენლობითი ორგანოების, მათი უფლებამოსილებებისა და რეკვიზიტების შესახებ (იქვე, მუხ. 5 (2)).

არსებობს უფრო ფართო პრივილეგიების მიღების შესაძლებლობა, რისთვისაც აუცილებელია სახელმწიფოსთან ხელშეკრულების გაფორმება. ამ მიზნით სამმა რელიგიურმა გაერთიანებამ შექმნა თავისი ფედერაციები – ესპანეთის პროტესტანტული ეკლესიების ფედერაცია, ესპანეთის ებრაული თემის ფედერაცია და ისლამური კომისია – რის საფუძველზედაც გააფორმეს ხელშეკრულება სახელმწიფოსთან.

რელიგიურ უმცირესობებს შეუძლიათ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პრივილეგიების მიღება რომელიმე ზემოჩამოთვლილ ფედერაციაში გაწევრიანებით.

იერარქიულად კათოლიკური ეკლესია კონკორდატების მეშვეობით მაქსიმალურ უფლებებს იღებს და შესაბამისად პირველ ადგილზე დგას. მეორე ადგილზე ის რელიგიური უმცირესობები არიან, რომელთაც სახელმწიფოსთან ხელშეკრულებები აქვთ გაფორმებული. მესამე ადგილზე არიან შესაბამის რეესტრში აღრიცხული რელიგიური ჯგუფები, ხოლო ბოლო ადგილს სპეციფიკური სამართლებრივი სტატუსის გარეშე არსებული რელიგიური ჯგუფები იკავებენ. (იბანი, 2011).

საფრანგეთი

საფრანგეთი წარმოადგენს სეკულარულ ქვეყანას, რომელიც მყარად მისდევს რელიგიური გაერთიანებების არაღიარების პოლიტიკას. მიუხედავად ამისა, კანონმდებლობა მაინც ადგენს ზოგად წესებს რელიგიური გაერთიანებებისთვის, თუმცა ეს არ არის კანონმდებლობა რელიგიური გაერთიანებების შესახებ, არამედ, გარკვეული სამართლებრივი რეგულაციები, რომლებიც გამოიყენება რიგ ინსტიტუტებსა და გაერთიანებებთან მიმართებით.

საფრანგეთში მოქმედი 1905 წლის კანონი, რომელიც ადგენს სახელმწიფოსგან რელიგიის გამოყოფას, ამავდროულად განსაზღვრავს რელიგიური გაერთიანებების უფლებას მიიღონ სახელმწიფო კონფისკაციაში მოყოლილი ქონება. კანონის თანახმად, ამგვარი ორგანიზაციები - რელიგიური ასოციაციები, ჩამოყალიბებული უნდა იქნას უშუალოდ რელიგიური მიზნებისთვის და არ ეწეოდნენ სამეწარმეო საქმიანობას. რელიგიური ასოციაციის ფორმირება და სიდიდე უკავშირდება მისი მიმდევრების რაოდენობას. ასოციაციები, ჩამორთმეული ქონების გარდა იღებენ სახელმწიფო სუბსიდიებს მათ საკუთრებაში არსებული კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე საკულტო ნაგებობების მოვლა-პატრონობის მიზნით. სხვა შემოსავლები ამოიწურება ნებაყოფლობითი შემოწირულობებით. რელიგიური ასოციაციები სარგებლობენ ასევე საგადასახადო შეღავათებით, რაც მნიშვნელოვანი ფინანსური მხარდაჭერაა სახელმწიფოს მხრიდან. დღეის მდგომარეობით ასეთი ასოციაციები აქვთ პროტესტანტებსა და იუდეველებს.

საფრანგეთის კანონმდებლობა იძლევა საშუალებას რელიგიურმა ჯგუფებმა საქმიანობა აწარმოონ, როგორც საეპარქიო ასოციაციებმა (კათოლიკე ეკლესიის შემთხვევაში) ან კულტურულმა ასოციაციებმა (მაგალითად მუსლიმური მიმდინარეობის „ყურანის სკოლები“ და სხვ.). საფრანგეთში ისტორიულად მოქმედი რელიგიური ორდენები 1905 წლის კანონის შემდეგ სამართლებრივი საფუძვლების გარეშე მოქმედებდნენ, თუმცა 1987 წელს მათ მიიღეს სამართლებრივი აღიარებისა და ასოციაციის სტატუსის მოპოვების შესაძლებლობა.

საფრანგეთის თავისებურებას წარმოადგენს სამი რეგიონის (Haut-Rhin, Bas-Rhin, Moselle) განსაკუთრებული რელიგიურ-სამართლებრივი მოწყობა. ეს რეგიონები 1870 წელს

გერმანული მმართველობის ქვეშ აღმოჩნდა და იქ გერმანული კანონმდებლობა ვრცელდებოდა. რეგიონები საფრანგეთს 1918 წელს დაუბრუნდა და მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ მათ ტერიტორიაზე არ გავრცელებულიყო 1905 წლის კანონი რელიგიისა და სახელმწიფოს გამიჯვნის შესახებ. შესაბამისად დღეს ამ რეგიონებში ადგილობრივი კანონმდებლობა ადგენს აღიარებული (სახელმწიფო) რელიგიის სტატუსს და განსაზღვრავს პირდაპირ ფინანსურ სუფსიდირებას ეკლესიისთვის. (ბასდევა-გოდემე, 2011).

იტალია

იტალიაში რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი სტატუსის მხრივ განსაკუთრებული ადგილი კათოლიკურ ეკლესიას უკავია, რაც მიმდევრების რაოდენობის გარდა, სხვა მთელი რიგი ისტორიული მიზეზებითაა განპირობებული. ვატიკანთან იტალიის ურთიერთობა კონკორდატით და სხვა ნორმატიული აქტებით რეგულირდება.

შუალედური პოზიცია უკავიათ იმ კონფესიებს (ვალდენზიელებს, მეშვიდე დღის ადვენტისტებს, ებრაელებს, ევანგელისტ-ბაპტისტებს, ლუთერელებს), რომლებსაც სახელმწიფოსთან ხელშეკრულებები აქვთ გაფორმებული. ეს ის ჯგუფებია, რომლებიც იტალიაში დიდი ხნის განმავლობაში არსებობდნენ ან, რომელთაც იტალიის კანონებთან არათავსებადი ნიშნები არ ახასიათებს.

ყველაზე დაბალ საფეხურზეა არაღიარებული ჯგუფები, რომელთა საქმიანობაც რეგულირდება კანონით ასოციაციების შესახებ. მათზე არ ვრცელდება სხვადასხვა მნიშვნელოვანი პრივილეგია, რაც გარანტირებულია კონკორდატის ან ხელშეკრულებების საფუძველზე. (ფერარი, 2011).

ლიტვა

რელიგიური გაერთიანების ცნება განსაზღვრულია ლიტვის რესპუბლიკის კონსტიტუციასა და „რელიგიური გაერთიანებებისა და ასოციაციების შესახებ“ კანონში. ამ კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, რელიგიური გაერთიანება იმ ინდივიდთა ჯგუფია, რომელსაც აერთიანებს ერთი და იგივე რელიგიური მისწრაფება. ასოციაცია უნდა შეიცავდეს საერთო ხელმძღვანელობის მქონე, სულ მცირე, ორ რელიგიურ გაერთიანებას. სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, რელიგიური გაერთიანებები და ასოციაციები წარმოადგენს საზოგადოებრივ (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს.

რელიგიური გაერთიანებებისა და ასოციაციების რეგისტრაცია არ არის სავალდებულო, თუმცა დაურეგისტრირებელი რელიგიური გაერთიანება ვერ გახდება სამართლის სუბიექტი. კანონი განსაზღვრავს რელიგიური გაერთიანებებისა და ასოციაციების სამ განსხვავებულ კატეგორიას: 1. ტრადიციული რელიგიური გაერთიანება; 2. აღიარებული რელიგიური გაერთიანება; 3. არატრადიციული რელიგიური გაერთიანებები.

1. კანონის მიხედვით ტრადიციული რელიგიური გაერთიანებები და ასოციაციებია ის რელიგიური გაერთიანებები და ასოციაციები, რომლებიც ლიტვის ისტორიული, სულიერი და სოციალური მემკვიდრეობის ნაწილია. ტრადიციული რელიგიური გაერთიანებების დაფუძვნება აღიარებულია კონსტიტუციით. ტრადიციულობა გულისხმობს სპეციალურ მდგომარეობას სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობაში, რაც გამოწვეულია რელიგიური გავლენით საზოგადოების განვითარებაზე. შესაბამისად, ტრადიციული რელიგიური გაერთიანებები იღებენ იმ უფლებებს, რაც სხვა სტატუსის მქონე რელიგიურ გაერთიანებებს არ აქვთ.

2. რელიგიურმა გაერთიანებამ შესაძლოა მიიღოს აღიარებული რელიგიური გაერთიანების სტატუსი იმ შემთხვევაში, თუ იგი წარმოადგენს ისტორიული, სულიერი და სოციალური მემკვიდრეობის ნაწილს, არის „მოწონებული“ სახელმწიფოს მიერ და მისი სწავლება და წესჩვეულებები არ ეწინააღმდეგება კანონსა და მორალს.

3. არატრადიციულ რელიგიურ გაერთიანებასა და ასოციაციას შეიძლება მიენიჭოს სახელმწიფოს მიერ აღიარებული რელიგიური გაერთიანებისა და ასოციაციის სტატუსი მათი პირველადი რეგისტრაციიდან 25 წლის შემდეგ. თუკი მოთხოვნა უარყვეს, მისი თავიდან განხილვა ხდება უარიდან 10 წლის შემდეგ. (კუზნეკონიევე, 2011).

უნგრეთი

უნგრეთში ოთხი რელიგიური გაერთიანება რეგისტრირებულია როგორც „ისტორიული რელიგია“, ესენია: რომის კათოლიკური ეკლესია, რეფორმირებული ეკლესია, ლუთერული ეკლესია და ებრაელთა თემი.

ეკლესიების რეგისტრაციას აწარმოებენ საოლქო სასამართლოები გაერთიანებების, პოლიტიკური პარტიების ან ფონდების მსგავსად. 1990 წლამდე დარეგისტრირებული ეკლესიების ხელახალი რეგისტრაცია ხდება ავტომატურად. სხვა რელიგიურმა საზოგადოებებმა, რომელთაც სურთ რეგისტრაციის გავლა, უნდა წარადგინონ 100 კერძო პირის, როგორც დამფუძნებლის, თანხმობა და წესდება.

ყველა რეგისტრირებულ ეკლესიას თანაბარი უფლებები და მოვალეობები აქვთ. თუმცა თანასწორობა არსებობს სამართლებრივი სტატუსის და არა სოციალური მნიშვნელობის მიხედვით. საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილების შესაბამისად, ეკლესიების მიმართ თანასწორი მიდგომა არ გამორიცხავს ცალკეული ეკლესიების ფაქტობრივი სოციალური როლის გათვალისწინებას.

ეკლესიებს მინიჭებული აქვთ იურიდიული პირის სტატუსი. ამასთან, მათი შიდა საორგანიზაციო ერთეულები, როგორებიცაა: ინსტიტუტები ან ეპარქიები აგრეთვე სამართლებრივი ერთეულებია, თუკი ეკლესიის წესდება ამას ითვალისწინებს.

იმის გამო, რომ სამართლებრივი სისტემა დაბრკოლების გარეშე იძლევა რელიგიების რეგისტრაციის საშუალებას და უზრუნველყოფს სამართალსუბიექტობის მინიჭებას, ახალ

რელიგიურ მოძრაობებს და განცალკევებულ ჯგუფებს ადვილად შეუძლიათ გამოიყენონ იგივე სამართლებრივი რეჟიმები, როგორც ტრადიციული ეკლესიები იყენებენ. (შანდა, 2011).

ავსტრია

ავსტიაში რელიგიურ ორგანიზაციების სტატუსს აწესრიგებს კანონები „ეკლესიების აღიარების შესახებ და რელიგიური თემების შესახებ“. ურთიერთობა სახელმწიფოსა და რომის კათოლიკურ ეკლესიას შორის ეფუძნება ვატიკანთან დადებულ კონკორდატს.

აღნიშნული კანონით დაშვებულია სამი სახის რელიგიური გაერთიანება: 1. ოფიციალურად აღიარებული რელიგიური საზოგადოებები, 2. რელიგიური კონფესიური თემები და 3. ასოციაციები.

ოფიციალურად აღიარებული რელიგიური საზოგადოებები საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით სარგებლობენ, დანარჩენები კი - კერძო სამართლის იურიდიული პირის. (პოტუზი, 2011).

სლოვაკეთი

სლოვაკეთის კონსტიტუციის შესაბამისად ეკლესიები და რელიგიური გაერთიანებები განსაკუთრებული ტიპის სამართლებრივი ერთეულები არიან, რომელთაც კონსტიტუციით აქვთ მინიჭებული სპეციალური სტატუსისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა უფლება.

კანონით „ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებების სტატუსის და რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლების შესახებ“ (1991) ეკლესია ან რელიგიური გაერთიანება არის იურიდიული პირი.

სახელმწიფო ცნობს მხოლოდ რეგისტრირებულ ეკლესიებს და რელიგიურ გაერთიანებებს. აღნიშნული კანონის შესაბამისად, მარეგისტრირებელი ორგანოა კულტურის სამინისტრო. ეკლესიამ ან რელიგიურმა ორგანიზაციამ შეიძლება მოითხოვოს რეგისტრაცია იმ შემთხვევაში, თუ მის შემადგენლობაში შედის სლოვაკეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები, სულ მცირე, 20.000 (ოციათასი) სრულწლოვანი პირი. (მორავციკოვა, 2011).

ფინეთი

ფინეთში ორი აღიარებული (სახელმწიფო) რელიგიაა: ევანგელურ-ლუთერული და მართლმადიდებლური. მათ მიკუთვნებული აქვთ თვითმართვადი საჯარო სამართლის იურიდიული პირების სტატუსი.

სახელმწიფო ეკლესიის საჯარო სამართლის ბუნება ვლინდება იმ ფაქტშიც, რომ ორივე ეკლესიას აქვს თავისი საკუთარი შიდა სასამართლო სისტემა. ლუთერული ეკლესიის ავტონომია უფრო „ძლიერი“ ავტონომიაა იმ გაგებით, რომ მხოლოდ ეკლესიას შეიძლება წაუყენონ წინადადებები საეკლესიო კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ. ხოლო ეკლესიის მიერ პარლამენტში წარმოდგენილი კანონის პროექტში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია, პარლამენტი მას ან იღებს წარმოდგენილი სახით ან უარყოფს მთლიანად.

სხვა რელიგიური საზოგადოებები, კერძო სამართლის სუბიექტებია, რომლებიც საქმიანობას წარმართავენ კანონით „რელიგიის თავისუფლების შესახებ“. რეგისტრაციის შემდეგ მათ ეძლევათ სრული სამართლებრივი ქმედითობა, როგორც ავტონომიურ იურიდიულ პირებს. (ჰაიკილა, კნუუტილა, შაინინი, 2011).

ლატვია

ლატვია მყარად დგას სეკულარიზმის პრინციპზე, რაც გულისხმობს სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთმანეთისგან გამიჯნვას. სახელმწიფო დაწესებულებები ზედამხედველობენ და არეგულირებენ რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობის არსებულ კანონმდებლობასთან შესაბამისობას. ლატვიაში მოქმედი საეკლესიო საქმეების საბჭო არეგულირებს სახელმწიფოსა და რელიგიურ გაერთიანებებს შორის ურთერთობებს და რელიგიური გაერთიანებების მოთხოვნისას დახმარებას უწევს მათ საორგანიზაციო და სამართლებრივი საკითხების მოგვარებაში. (ბალოდისი, 2011)

ლატვიის რესპუბლიკაში არ არსებობს სახელმწიფო რელიგია და სახელმწიფო და ეკლესია გამიჯნულია ერთმანეთისგან. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოსა რელიგიურ გაერთიანებებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის მოდელი მოქმედებს. ლატვიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან არსებობს საეკლესიო საქმეების საბჭო, რომელიც აერთიანებს აღიარებული რელიგიების წარმომადგენლებს. ეს რელიგიებია: რომაულ-კათოლიკური, ლუთერული, მართლმადიდებელი, ძველმორწმუნეები, მეშვიდე დღის ადვენტისტები, ბაპტისტები, მეთოდისტები, იუდეველები.

გარდა აღნიშნულისა, ლატვიის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში მოქმედებს სექტორული პოლიტიკის დეპარტამენტი, რომლის შემადგენლობაშიც არის რელიგიის საქმეთა ოფისი, რომელიც უზრუნველყოფს რელიგიურ საკითხებში სახელმწიფო პოლიტიკის შექმნას, კოორდინაციას და განხორციელებას, ასევე, რელიგიური ორგანიზაციების თხოვნის შესაბამისად მათ უწევს აუცილებელ კონსულტაციასა და დახმარებას. ოფისი საკუთარ საქმიანობას ახორციელებს რელიგიის საქმეთა საკონსულტაციო საბჭოსა და მარეგისტრირებელი ორგანოს (ნოტარიუსი / სამეწარმეო რეესტრი) საშუალებით. ამდენად, ლატვიის რესპუბლიკაში არსებობს რელიგიის საკითხების მარეგულირებელი კარგად ორგანიზებული სახელმწიფო სტრუქტურები.

ლატვიის რესპუბლიკაში 2009 წლიდან საჯარო რეესტრმა დაიწყო რელიგიური ორგანიზაციებისა და მათი დაწესებულებების რეგისტრაცია. საჯარო რეესტრს რელიგიური ორგანიზაციებისა და მათი დაწესებულებების რეესტრში ჩანაწერები შეაქვს განცხადების, ან

სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, ხოლო იუსტიციის სამინისტროს მიერ შექმნილი სტრუქტურული ერთეული მხარს უჭერს სახელმწიფოსა და რელიგიური ორგანიზაციების ურთიერთობას.

რელიგიური ორგანიზაციის ან მისი დაწესებულების რეგისტრაციამდე, საჯარო რეესტრი ითხოვს იუსტიციის სამინისტროს დასკვნას, რელიგიური ორგანიზაციის დებულებაში მითითებული მიზნებისა და ამოცანების ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის შესახებ, აგრეთვე, ხომ არ შეუძლია რელიგიურ ორგანიზაციის საქმიანობას საფრთხე შეუქმნას ადამიანის უფლებებს, სახელმწიფოს დემოკრატიულ წყობილებას, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, კეთილდღეობასა და მორალს. დასკვნის მისაღებად იუსტიციის სამინისტრო, თავის მხრივ, უსაფრთხოების პოლიციას და სხვა სამართალდამცავ დაწესებულებებს სთხოვს მოსაზრებას. თუ წარმოდგენილ დასკვნაში მითითებულია რელიგიური ორგანიზაციის ან მისი დაწესებულების რეგისტრაციაზე უარი, საჯარო რეესტრი იღებს გადაწყვეტილებას რეგისტრაციაზე უარის შესახებ.

საჯარო რეესტრი რელიგიური ორგანიზაციების და მათი დაწესებულებების რეგისტრაციას აწარმოებს „რელიგიური ორგანიზაციების შესახებ“ კანონის და სხვა ნორმატიული აქტების თანახმად.

კანონის თანახმად რელიგიური გაერთიანება, რომელიც წამოიწყებს საქმიანობას, პირველად, ლატვიის რესპუბლიკაში და არ მიეკუთვნება სახელმწიფოში უკვე რეგისტრირებულ არც ერთ რელიგიურ გაერთიანებას, 10 წლის განმავლობაში ყოველწლიურად, ხელახლა უნდა დარეგისტრირდეს მარეგისტრირებელ ორგანოში. ამ პერიოდში, ხელახალი რეგისტრაცია უნდა გაიაროს ამ რელიგიური გაერთიანების 10 სამრევლომ (კონგრეგაციამ). რელიგიური ორგანიზაციის ხელახალი რეგისტრაციისას, მარეგისტრირებელი დაწესებულება უნდა დაეყრდნოს იუსტიციის სამინისტროს შეხედულებას რელიგიური ორგანიზაციის წინა პერიოდში განხორციელებული საქმიანობის მარეგულირებელ აქტებთან შესაბამისობასთან დაკავშირებით. კანონის მოთხოვნათა თანახმად, ხელახალი რეგისტრაციის ათ წლიანი პერიოდი უნდა იყოს უწყვეტი. ნებისმიერ ეტაპზე, მათ შორის, მე-10 წელს, ხელახალი რეგისტრაციის გაუვლელობის ან 10-ზე ნაკლები სამრევლოს (კონგრეგაციის) არსებობის შემთხვევაში, აღნიშნული პერიოდი აითვლება თავიდან.

ლატვიის რესპუბლიკის კანონი „რელიგიური ორგანიზაციების შესახებ“ რელიგიური გაერთიანებების დაფუძნების, რეგისტრირებისა და საქმიანობის წესის შესახებ მთელ რიგ სამართლებრივი მოთხოვნებს ადგენს:

სამრევლოს (კონგრეგაციის) დაფუძნებისთვის საჭიროა არანაკლებ ოცი ლატვიის მოქალაქე, რომელმაც მიაღწია თვრამეტი წლის ასაკს, ხოლო თვრამეტწლამდე ახალგაზრდები შესაძლებელია შეუერთდნენ კონგრეგაციას მშობლის ან მეურვის წერილობით თანხმობით. ერთი დენომინაციის ათმა (ან მეტმა) კონგრეგაციამ, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან ლატვიის რესპუბლიკაში, შესაძლებელია დააფუძნონ რელიგიური გაერთიანება (ეკლესია). ამასთან, ერთი დენომინაციის კონგრეგაციამ სახელმწიფოში შესაძლებელია დააფუძნოს მხოლოდ ერთი რელიგიური გაერთიანება. (მუხლი 7)

კანონით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად დარეგისტრირებულმა ორგანიზაციებმა, შესაძლებელია ჩამოაყალიბონ ინსტიტუციები, რომელთა საქმიანობა და მიზანი არ არის მოგების მიღება, სადამფუძნებლო დოკუმენტში გაწერილი საქმიანობის მიზნებისათვის. საეკლესიო სასწავლო, სამონასტრო, მისიონერული, სადიაკვნო და მათი მსგავსი დაწესებულებები. ამ დაწესებულებებმა უნდა იმოქმედონ მოქმედი კანონმდებლობისა და მათი სადამფუძნებლო დოკუმენტის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია შესაბამისი რელიგიური ორგანიზაციის მიერ. რელიგიური ორგანიზაციის დაწესებულებების დაფუძნება, რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, თუ დამფუძნებლები მიიღებენ შესაბამის გადაწყვეტილებას, ხორციელდება რელიგიური ორგანიზაციის სადამფუძნებლო დოკუმენტით (წესდებით) გათვალისწინებული პროცედურით. (მუხლი 7¹)

რელიგიური ორგანიზაციები და მათი დაწესებულებები რეგისტრირდებიან „რელიგიური ორგანიზაციებისა და მათი დაწესებულებების რეესტრში“, რეგისტრაციას კი ახორციელებს ლატვიის რესპუბლიკის მეწარმეთა რეესტრი - მარეგისტრირებელი დაწესებულება.

რელიგიური ორგანიზაციის ან მისი დაწესებულების რეგისტრაციის წინ, მარეგისტრირებელი დაწესებულება ითხოვს იუსტიციის სამინისტროსგან დასკვნას რელიგიური ორგანიზაციებისა და მათი დაწესებულებების სადამფუძნებლო დოკუმენტით განსაზღვრული სამოქმედო მიზნებისა და ამოცანების მარეგულირებელ აქტებთან

შესაბამისობასთან დაკავშირებით, ასევე შესაძლებელია თუ არა რელიგიური ორგანიზაციის საქმიანობამ (სწავლებებმა) საფრთხე შეუქმნას ადამიანის უფლებებს, ქვეყნის დემოკრატიულ წყობილებას, საჯარო უსაფრთხოებას, კეთილდღეობას ან მორალს. რელიგიური ორგანიზაციები და მათი დაწესებულებები რეგისტრირდებიან რელიგიური ორგანიზაციებისა და მათი დაწესებულებების მარეგისტრირებელ რეესტრში ჩანაწერის გაკეთებით. კონგრეგაცია (სამრევლო), რომელიც წამოიწყებს საქმიანობას, პირველად, ლატვიის რესპუბლიკაში და არ მიეკუთვნება სახელმწიფოში უკვე რეგისტრირებულ არც ერთ რელიგიურ გაერთიანებას (ეკლესიას), 10 წლის განმავლობაში ყოველწლიურად, ხელახლა უნდა დარეგისტრირდეს (შემდგომში - ხელახალი რეგისტრაცია) მარეგისტრირებელ ორგანოში. რელიგიური ორგანიზაციის ხელახალი რეგისტრაციისას, მარეგისტრირებელი დაწესებულება უნდა დაეყრდნოს იუსტიციის სამინისტროს შეხედულებას რელიგიური ორგანიზაციის წინა პერიოდში განხორციელებული საქმიანობის მარეგულირებელ აქტებთან შესაბამისობათან დაკავშირებით. მარეგისტრირებელი დაწესებულება, შესაბამის რელიგიურ ორგანიზაციას ხელახალი რეგისტრაციისათვის, რელიგიური ორგანიზაციის რეგისტრაციის სერთიფიკატში მითითებული ვადის ამოწურვამდე 3 თვით ადრე უგზავნის შეხსენებას. რელიგიური ორგანიზაციის ხელახალი რეგისტრაციისთვის დოკუმენტაცია მარეგისტრირებელ დაწესებულებაში უნდა იყოს წარმოდგენილი რეგისტრაციის ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს ორი თვისა. (მუხლი 8)

კანონის მე-9 მუხლის თანახმად, კონგრეგაციის რეგისტრაციასთან დაკავშირებულ განაცხადს, რელიგიური ორგანიზაციის მიერ უფლებით აღჭურვილი პირის მიერ, უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტაცია: სადამფუძნებლო დოკუმენტი; კონგრეგაციის დამფუძნებელთა ჩამონათვალი (სახელი, გვარი, საცხოვრებელი ადგილი, პირადი ნომერი და ხელმოწერა); კონგრეგაციის დაფუძნებასთან დაკავშირებული შეხვედრის ოქმები, დამტკიცებული სადამფუძნებლო დოკუმენტი, ხელმძღვანელობისა და აუდიტის კომისიების შემადგენლობა (სახელი, გვარი, პირადი ნომერი და პირების ოფიციალური წოდება), ასევე ოფიციალური პირები, რომელთაც უფლება აქვთ წარმოადგინონ რელიგიური ორგანიზაცია (სახელი, გვარი და ამ პირთა პირადი ნომრები) და სახელმწიფო გადასახადის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ხოლო, რელიგიური გაერთიანების (ეკლესიის) რეგისტრაციასთან დაკავშირებულ განაცხადს, რელიგიური ორგანიზაციის მიერ უფლებით აღჭურვილი პირის მიერ, უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტაცია: სადამფუძნებლო დოკუმენტი; რელიგიური გაერთიანების დამფუძნებელ კონგრეგაციათა ჩამონათვალი, რომელიც დამტკიცებულია კონგრეგაციათა ხელმძღვანელების მიერ; რელიგიური გაერთიანების დაფუძნებასთან დაკავშირებული ოქმები, მისი ადმინისტრაციული ორგანოები, ხელმძღვანელობისა და აუდიტის კომისიების შემადგენლობა (სახელი, გვარი, პირადი ნომერი და პირების ოფიციალური წოდება), ასევე ოფიციალური პირები, რომელთაც უფლება აქვთ წარმოადგინონ რელიგიური ორგანიზაცია (სახელი, გვარი და ამ პირის პირადი ნომერი); და, სახელმწიფო გადასახადის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ეპარქიის რეგისტრაციასთან დაკავშირებულ განაცხადს, რელიგიური ორგანიზაციის მიერ უფლებით აღჭურვილი პირის მიერ, უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტაცია: სადამფუძნებლო დოკუმენტი; რელიგიური გაერთიანების გადაწყვეტილება ეპარქიის დაფუძნებასთან დაკავშირებით; ინფორმაცია, მმართველობითი ორგანოს შემადგენლობასთან დაკავშირებით (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, პირის ოფიციალური წოდება), ასევე ოფიციალური პირები, რომელთაც უფლება აქვთ წარმოადგინონ ეპარქია (სახელი, გვარი და ამ პირის პირადი ნომერი) და სახელმწიფო გადასახადის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

საეკლესიო სასწავლო, სამონასტრო, მისიონერული ან სადიაკვნო დაწესებულებების რეგისტრაციასთან დაკავშირებულ განაცხადს, რელიგიური ორგანიზაციის მიერ უფლებით აღჭურვილი პირის მიერ, უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტაცია: სადამფუძნებლო დოკუმენტი; რელიგიური გაერთიანების (ეკლესიის) ან ეპარქიის გადაწყვეტილება საეკლესიო სასწავლო, სამონასტრო, მისიონერული ან სადიაკვნო დაწესებულებების დაფუძნებასთან დაკავშირებით; ინფორმაცია, ოფიციალურ პირთან დაკავშირებით, რომელიც უფლებამოსილია წარმოადგინოს რელიგიური ორგანიზაციის დაწესებულება (სახელი, გვარი, პირადი ნომერი) და სახელმწიფო გადასახადის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

რელიგიური ორგანიზაციის ხელახალ რეგისტრაციისთან დაკავშირებულ განაცხადს, რელიგიური ორგანიზაციის მიერ უფლებით აღჭურვილი პირის მიერ, უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტაცია: რელიგიური გაერთიანების სადამფუძნებლო დოკუმენტში (წესდებაში) მითითებული უმაღლესი გადაწყვეტილების მიმღები დაწესებულების მიერ, მიღებული გადაწყვეტილება რელიგიური ორგანიზაციის ხელახალ რეგისტრაციისთან დაკავშირებით და სახელმწიფო გადასახადის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

რელიგიური ორგანიზაციის მიერ უფლებით აღჭურვილმა პირმა უნდა დაერთოს განაცხადს ცვლილებთან დაკავშირებით მმართველობით ან აუდიტის კომისიის შემადგენლობაში ან ცვლილება წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა შემადგენლობაში რელიგიური ორგანიზაციის სადამფუძნებლო დოკუმენტში მითითებული პროცედურის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილება რელიგიური ორგანიზაციის მმართველობითი ან აუდიტის კომისიის შემადგენლობაში ან წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების შემადგენლობაში მათი სახელების, გვარების, პირადი ნომრებისა და ოფიციალური წოდების მითითებით.

რელიგიური გაერთიანების დაწესებულების მიერ უფლებამოსილებით აღჭურვილი პირმა უნდა დაერთოს ცვლილებასთან დაკავშირებით, სადამფუძნებლო დოკუმენტით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილება, რელიგიური ორგანიზაციაში ან მის დაწესებულებაში მათი წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების ცვლილებასთან დაკავშირებით სახელის, გვარის, პირადი ნომრის, პირის ოფიციალური წოდების მითითებით, წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის ცვლილების რეგისტრაციის განაცხადზე.

სადამფუძნებლო დოკუმენტში დამატების რეგისტრაციასთან დაკავშირებულ განაცხადს, რელიგიური გაერთიანების ან მისი დაწესებულების უფლებით აღჭურვილი პირის მიერ, უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტაცია:

სადამფუძნებლო დოკუმენტში მითითებული პროცედურების შესაბამისად, რელიგიური გაერთიანების ან მისი დაწესებულების მიერ, მიღებული გადაწყვეტილება სადამფუძნებლო დოკუმენტში დამატების განხორციელებასთან დაკავშირებით; სადამფუძნებლო

დოკუმენტის (წესდების) ტექსტის ახალი ფორმულირება (ორ ეგზემპლარად) და სახელმწიფო გადასახადის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

სახელმწიფო გადასახადის გადახდა ხდება რელიგიური ორგანიზაციის ან მისი დაწესებულების რეგისტრაციისთვის, ხელახალი რეგისტრაციისთვის, სადამფუძნებლო დოკუმენტში დამატების რეგისტრაციისთვის და რეგისტრაციის სერთიფიკატის განმეორებითი გაცემისათვის. სახელმწიფო გადასახადის ოდენობა და გადახდის პროცედურა განისაზღვრება კაბინეტის მიერ.

კანონის მე-9¹ მუხლი ცალკე ჩამოთვლის რეესტრში შესატან ინფორმაციას და ცნობების ნუსხას, რომელიც დაცული უნდა იყოს ყველა რეგისტრირებული რელიგიური ორგანიზაციის შესახებ. ეს ცნობები: სახელწოდება; სამართლებრივი ფორმა [კონგრეგაცია (სამრევლო), რელიგიური გაერთიანება (ეკლესია), ეპარქია]; დენომინაციური კუთვნილება; საქმიანობის მიზნები; დაფუძნებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების თარიღი; საქმიანობის ტერიტორია; იურიდიული მისამართი (ხელმძღვანელობის მდებარეობა); რელიგიური ორგანიზაციის მმართველობითი დაწესებულების წევრთა, ასევე წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა - სახელები, გვარები, პირადი ნომრები; რეგისტრაციის ნომერი (ერთად დაწერილი თერთმეტციფრიანი სარეგისტრაციო კოდი); რეგისტრაციის ვადა და ხელახალი რეგისტრაციისთვის დროის პერიოდი; ინფორმაცია რელიგიური ორგანიზაციის მოქმედების შეწყვეტის, მოქმედების განახლების, რეგისტრაციიდან ამოღების, გადახდისუუნარობისა და რეორგანიზაციის შესახებ; ინფორმაცია, გადახდისუუნარობის შემთხვევაში, გაკოტრების მმართველის დანიშვნასთან დაკავშირებით, გაკოტრების მმართველის სახელის, გვარის, პირადი ნომრისა და სამუშაო ადგილის მისამართის მითითებით; ჩანაწერის გაკეთების თარიღი და სხვა ინფორმაცია, თუ ამგვარი ინფორმაცია პირდაპირ გათვალისწინებულია კანონით.

ხოლო უშუალოდ რელიგიური ორგანიზაციის სადამფუძნებლო დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს შემდეგი მონაცემები: რელიგიური ორგანიზაციის სახელწოდება და დენომინაციური კუთვნილება. აღნიშნული სახელწოდება მკაფიოდ უნდა განსხვავდებოდეს კანონით დადგენილი პროცედურების შესაბამისად რეგისტრირებული ან რეგისტრაციაზე განაცხადგაკეთებული რელიგიური ორგანიზაციის ან მისი დაწესებულების

სახელწოდებისგან, ასევე, სახელწოდება უნდა განსხვავდებოდეს ნებისმიერ სხვა მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრირებულ ან რეგისტრაციაზე განაცხადგაკეთებული დაწესებულების სახელწოდებისგან; სახელწოდება არ უნდა შეიცავდეს სამართლებრივ ფორმასთან, საქმიანობის მიზნებთან და რელიგიური გაერთიანების სახეობასთან დაკავშირებით მცდარ ინფრომაციას; სახელწოდება, კონგრეგაციის (სამრევლოს) რელიგიური გაერთიანების (ეკლესიის) კუთვნილებასთან დაკავშირებით არ უნდა იყოს შეცდომაში შემყვანი, თუ კონგრეგაცია (სამრევლო) არ აღიარებს კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ რელიგიურ გაერთიანებასთან (ეკლესიასთან) მის კუთვნილებას; რელიგიური ორგანიზაციის ვალდებულებები, რომ საკუთარი საქმიანობის განხორციელებისას დაიცავს ლატვიის რესპუბლიკის კონსტიტუციასა და კანონებს; რელიგიური საქმიანობის მიზნები და სწავლების ამოცანები (საღმრთო წერილი, დოგმატიკა, დენომინაციური თავისებურებანი), რელიგიური ცერემონიების ფორმები; რელიგიური ორგანიზაციის სტრუქტურის არჩევის პროცედურა, მმართველი და აუდიტის კომისიის კომპეტენცია. რელიგიური ორგანიზაციის სამოქმედო ტერიტორია და მმართველი ორგანოს მდებარეობა; სამრევლოს წევრთა მიღებისა და გარიცხვის პროცედურა, მათი უფლებები და მოვალეობები; რელიგიური ორგანიზაციის უფლებები და მოვალეობები, მისი ქონება და ფინანსური რესურსები და რელიგიური ორგანიზაციის ლიკვიდაციის პროცედურა და ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების შემდგომი გამოყენება. (მუხლი 10)

კანონის მოთხოვნათა დაცვით რეგისტრირებული რელიგიური გაერთიანების უფლებრივ მდგომარეობას და საქმიანობის წესს განმარტავს კანონის მე-13 და მე-14 მუხლები, რომელთა თანახმადაც რელიგიური ორგანიზაცია, მისი რეგისტრაციის მომენტიდან იძენს იურიდიული პირის სტატუსს. საეკლესიო სასწავლო, სამონასტრო, მისიონერული ან სადიაკვნო დაწესებულებების სტატუსს განსაზღვრავს რელიგიური გაერთიანება (ეკლესია) ან ეპარქია. მხოლოდ რეგისტრირებულ რელიგიურ გაერთიანებებს (ეკლესიებს) ან ეპარქიებს აქვთ უფლება დააფუძნონ საეკლესიო სასწავლო, სამონასტრო, მისიონერული ან სადიაკვნო დაწესებულებები. მხოლოდ რეგისტრირებულ რელიგიურ ორგანიზაციებს და მათ მიერ დაფუძნებულ ორგანიზაციებს აქვთ უფლება, გამოიყენონ რელიგიური ორგანიზაციის სახელწოდებები და ემბლემები, მათ ფორმებსა და ბეჭდებზე.

რელიგიური ორგანიზაციები ნიშნავენ და ათავისუფლებენ სასულიერო პირებს სადამფუძნებლო დოკუმენტების მიხედვით, ხოლო ასაქმებენ სხვა თანამშრომლებს და უშვებს მათ სამსახურიდან შრომითი კანონმდებლობის მიხედვით; რელიგიური ორგანიზაციის საქმიანობა ეფუძნება შესაბამისი დენომინაციის კანონიკურ წესებს და მის სადამფუძნებლო დოკუმენტს; რელიგიური საქმიანობა საჯარო ადგილებში შესაძლებელია შესრულდეს, მხოლოდ რელიგიური ორგანიზაციების მიერ ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეთანხმებით. რელიგიური ორგანიზაციის მიერ საკუთარი საქმიანობის განხორციელებისას არ უნდა დაირღვეს საჯაროს წესრიგის დაცვის ნორმები; უცხოელი სასულიერო პირების ან მისიონერების მოწვევა, შესაძლებელია მხოლოდ რელიგიური ორგანიზაციის მიერ რელიგიური საქმიანობის შესასრულებლად, ლატვიის რესპუბლიკაში კანონით დადგენილი წესით მათთვის ბინადრობის ნებართვის ორგანიზების საშუალებით; რელიგიურმა ორგანიზაციებმა, შესაძლებელია შეასრულონ რელიგიური საქმიანობა საავადმყოფოებში, სახლებში, საპატიმრო ადგილებში და ეროვნული არმიის ერთეულებში თუ იქ წარმოდგენილი პირები გამოხატავენ ამის სურვილს. ამ მიზნით წინასწარ განსაზღვრული დრო და ადგილი თანხმდება შესაბამისი დაწესებულების ადმინისტრაციასთან. რელიგიური გაერთიანებების საქმიანობა ეროვნული შეიარაღებული ძალების ერთეულებში, ხორციელდება თავდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული დანაწესების დაცვით. ლატვიის რესპუბლიკაში, კაპელანები მსახურებენ კაპელანის სამსახურის შესახებ კაბინეტის რეგულაციების მიხედვით; რელიგიური ორგანიზაციებისა და მორწმუნეთა საქმიანობის შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ადგილი აქვს ლატვიის რესპუბლიკის კონსტიტუციისა და კანონების დარღვევას; რელიგიური ორგანიზაციები, არაუგვიანეს ყოველი წლის 1 მარტისა, იუსტიციის სამინისტროს წარუდგენენ მოხსენებას მათ საქმიანობასთან დაკავშირებით, კაბინეტის მიერ განსაზღვრული პროცედურების დაცვით.

ლატვიის კანონმდებლობით რელიგიურ ორგანიზაციების საქმიანობა, ასევე, მოიცავს ეკონომიკურ (სამეწარმეო) საქმიანობას, რომელსაც განსაკუთრებული შინაარსის გამო, კანონის ცალკე მუხლი არეგულირებს. კანონის თანახმად, რელიგიურ ორგანიზაციებს უფლება აქვთ ეწეოდნენ ეკონომიკურ საქმიანობას. თუ რელიგიური ორგანიზაციის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი ერთი კალენდარული წლის

განმავლობაში 500-ჯერ აღემატება მინიმალური თვიური ხელფასის იმ ოდენობას, რაც შესაბამის დროის პერიოდში განსაზღვრულია მთავრობის მიერ, აღნიშნულმა ორგანიზაციამ უნდა დააფუძნოს საკუთარი კომპანია, რომელიც დარეგისტრირდება მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით. რელიგიურ ორგანიზაციებს უფლება აქვთ ეწეოდნენ სამეწარმეო საქმიანობას მეწარმეთა საქმიანობის შესახებ კანონის მიხედვით. რელიგიური ორგანიზაციებსა და მათ დაწესებულებებს შორის ურთიერთობები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ასევე მათი სადამფუძნებლო დოკუმენტით ან ცალკე შეთანხმებით. ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი და სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული მოგება გამოიყენება სადამფუძნებლო დოკუმენტით გაწერილი მიზნებისთვის, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით. რელიგიური ორგანიზაციები აწარმოებენ საბუღალტრო აღრიცხვას, ადგენენ მოხსენებას და იხდიან გადასახადებს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით. (მუხლი 15)

კანონის მე-16 მუხლით დარეგულირებულია, ასევე, რელიგიური ორგანიზაციის ქონებრივი საკითხები, კერძოდ ქონების წარმოშობისა და სარგებლობის წესები: რელიგიურ ორგანიზაციებს, შესაძლებელია საკუთრებაში ჰქონდეთ მოძრავი და უძრავი ქონება. მხოლოდ, რელიგიური ორგანიზაციების მართვით ინსტიტუტებს აქვთ უფლება მართონ უძრავი ქონება, თუ სადამფუძნებლო დოკუმენტით სხვა რამ არ არის განსაზღვრული; თუ ლატვიის რესპუბლიკაში რეგისტრირებული რელიგიური ორგანიზაციის სასულიერო ცენტრი მდებარეობს უცხო ქვეყანაში, ამ უკანასკნელს არ შეუძლია საკუთრებაში ჰქონდეს ამ ორგანიზაციის უძრავი ქონება ან ქონება, რომელიც აღიარებულია კულტურულ ძეგლად; სამლოცველოების, ხელოვნების და სხვა კულტურულ ძეგლებად აღიარებული ღირებულებების მოვლა-პატრონობა ხორციელდება რელიგიური ორგანიზაციების მიერ, კულტურულ ძეგლთა დაცვის შესახებ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად; აკრძალულია, სამლოცველოებისა და სარიტუალო საგნების უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენება ან მათ მიმართ თანხის დაბრუნების მიზნით კრედიტორის მოთხოვნის საფუძველზე სასამართლოში საქმის წარმოების დაწყება.

მოცემული კანონით, ლატვიაში სისტემურად რეგულირდება, არა მხოლოდ რელიგიური თემის მიერ რელიგიური ორგანიზაციის დაფუძნება და საქმიანობა, არამედ მისი

ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია, რაც მთლიანობაში ქმნის რელიგიური გაერთიანების სამართლებრივი მდგომარეობის სისტემური რეგულირების ერთიან საკანონმდებლო გარანტიებს.

კანონის მე-17 მუხლის თანახმად, კონგრეგაციებისა და რელიგიური გაერთიანებების ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია, დასაშვებია სადამფუძნებლო დოკუმენტში გაწერილი პროცედურების შესაბამისად; ეპარქიის საქმიანობა სრულდება, თუ მისი დამფუძნებელი რელიგიური გაერთიანება მიიღებს საქმიანობის დასრულების შესახებ გადაწყვეტილებას, სადამფუძნებლო დოკუმენტში გაწერილი პროცედურის შესაბამისად; რელიგიური ორგანიზაციის ან მისი დაწესებულების ლიკვიდაციასთან, საქმიანობის შეწყვეტასთან ან რეორგანიზაციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება უნდა ეცნობოს მარეგისტრირებელ დაწესებულებას; კონგრეგაცია, რომელიც გამოეყოფა რომელიმე რელიგიურ გაერთიანებას ექვემდებარება რეგისტრაციას ამ კანონის მე-8 მუხლის მე-4 პარაგრაფის მიხედვით. მოცემული დანაწესი არ ვრცელდება იმ დენომინაციებზე, რომელთა კანონიკური სამართალი არ უშვებს კონგრეგაციის ავტონომიურ მოქმედებას; თუ რელიგიური ორგანიზაცია, რომელსაც მიღებული აქვს ლიკვიდაციასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება, მისი საქმიანობის განახლებას გადაწყვეტს, ამ უკანასკნელმა უნდა აცნობოს მარეგისტრირებელ ორგანოს აღნიშნულის შესახებ. თუ იმგვარი რელიგიური ორგანიზაციას, რომელიც განთავისუფლებულია რელიგიური ორგანიზაციებისა და მისი დაწესებულებების რეგისტრაციისგან, მიღებული აქვს ლიკვიდაციასთან ან რეორგანიზაციასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება და გადაწყვეტს საქმიანობის განახლებას, ექვემდებარება რეგისტრაციას ამ კანონის დანაწესების მიხედვით.

რელიგიური ორგანიზაცია ან მისი დაწესებულება წყვეტს საქმიანობას თუ: რელიგიური ორგანიზაციის მიერ, მისი სადამფუძნებლო დოკუმენტის მოთხოვნათა შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილებით; თუ რელიგიურ გაერთიანებაში გაერთიანებული კონგრეგაციების რაოდენობა შემცირდება იმ მინიმალურ ოდენობაზე მეტად ვიდრე განსაზღვრულია ამ კანონის მე-7 მუხლის მე-2 პარაგრაფით და ერთი წლის განმავლობაში ვერ გაიზრდება ამ კანონით განსაზღვრულ ოდენობამდე; სასამართლოს გადაწყვეტილების

გადაწყვეტილებით ან კანონით ან სადამფუძნებლო დოკუმენტით განსაზღვრული სხვა საფუძვლით.

უშუალოდ სასამართლო გადაწყვეტილებით რელიგიური ორგანიზაციის საქმიანობა შესაძლებელია შეწყდეს თუ: რელიგიური ორგანიზაციის საქმიანობა წინააღმდეგობაშია ლატვიის რესპუბლიკის კონსტიტუციასთან, სხვა მარეგულირებელ აქტებთან ან სადამფუძნებლო დოკუმენტთან; რელიგიური ორგანიზაცია წააქეზებს სხვებს არ დაიცვან კანონი; რელიგიური ორგანიზაცია მისი საქმიანობით საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს დემოკრატიულ წყობილებას, საჯარო წესრიგს და მშვიდობას, ასევე, სხვა პირთა ჯანმრთელობას, მორალს ან მარეგულირებელი აქტებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. (მუხლი 18)

რელიგიური ორგანიზაციის საქმიანობის შეწყვეტა იწვევს შემდეგ შედეგებს: რელიგიური ორგანიზაციის საქმიანობის შეწყვეტის შესახებ, სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღეს ან რელიგიური ორგანიზაციის ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას რელიგიურმა ორგანიზაციამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება მისი საკუთრების უფლების გადაცემასთან დაკავშირებით სადამფუძნებლო დოკუმენტში (წესდებაში) გაწერილი პროცედურის მიხედვით. თუ არ არსებობს უფლებამონაცვლე, ქონება გადადის სახელმწიფო საკუთრებაში; თუ რელიგიური ორგანიზაციის საქმიანობა შეწყდა, შრომითი უფლებები რელიგიური ორგანიზაციის ყველა დასაქმებულთან წესრიგდება შრომის კანონით გასაზღვრული პროცედურებით. (მუხლი 19)

აქ ვრცლად არის მოყვანილი „რელიგიური ორგანიზაციების შესახებ“ ლატვიის რესპუბლიკის კანონის ის მუხლები, რომლებიც ეხება ლატვიაში რელიგიური გაერთიანების სამართლებრივ მდგომარეობას, კერძოდ, რელიგიური გაერთიანების რეგისტრაციის საფუძვლები და წესი, შესაბამისი სამართლებრივი სტატუსი და თანმდევი უფლებები.

გარდა აღნიშნულისა საყურადღებოა ლატვიის რესპუბლიკაში რელიგიისა და განათლების რეგულირების საკითხები. 1998 წელს ლატვიის რესპუბლიკის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ რვა აღიარებულ რელიგიასთან ერთად შექმნა საბჭო, სკოლაში რელიგიური განათლების რეგულირებასთან დაკავშირებული წინადადებების მოსამზადებლად. 2004

წელს შემუშავებულ იქნა სტანდარტი 1-3 კლასებისთვის, რომელიც ითვალისწინებს არჩევით ინტერრელიგიურ ქრისტიანულ სწავლებას. გარდა აღნიშნულისა, საჯარო სკოლას შეუძლია სამინისტროსთან შეთანხმებით შექმნას განსხვავებული სასწავლო პროგრამა. სასკოლო არჩევითი პროგრამები, რელიგიის სწავლების ნაცვლად ითვალისწინებს ეთიკის გაკვეთილებს. არჩევანს აკეთებს მოსწავლის მშობელი ან უფლებამოსილი პირი. 10-12 კლასებში ისწავლება „კულტუროლოგია“, რომელიც მოიცავს რელიგიის კომპონენტს. სასკოლო პედაგოგების მომზადება ხორციელდება უნივერსიტეტების თეოლოგიურ ფაკულტეტებზე. ამ ფაკულტეტებზე, ზოგადად, სწავლება მიმდინარეობს ან დენომინაციური (კათოლიკური ან ლუთერული) ან ზოგადქრისტიანული მიმართულებით. მნიშვნელოვანია, რომ სკოლებში აკრძალული არ არის სამლოცველოების მოწყობა და რელიგიური სიმბოლოების განთავსება. (ბალოდისი, 2011)

საკულტო-რელიგიური შენობების მშენებლობის რეგულირებასთან დაკავშირებით საგულისხმოა, რომ ლატვიის რესპუბლიკაში არ არსებობს სპეციალური რეგულაცია საკულტო-რელიგიური დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობის შესახებ. აღნიშნული საკითხი წარმოადგენს მუნიციპალიტეტების დისკრეციულ უფლებამოსილებას.

დაბოლოს, ლატვიის რესპუბლიკაში რელიგიის ძირითადად საკითხებს კონსტიტუციისა და „რელიგიური ორგანიზაციების შესახებ“ კანონის გარდა არეგულირებს სვადასხვა ნორმატიული აქტები. მათ შორის, ლატვიის რესპუბლიკის კონსტიტუციის ნორმებით აღიარებულია რელიგიის თავისუფლების ზოგადევროპული პრინციპები. გარდა ამისა, კონსტიტუციის პრეამბულა ხაზს უსვამს ლატვიის ერისა და სახელმწიფოს ფორმირებაში ქრისტიანული ფასეულობების მნიშვნელობას. სპეციალური კანონი „რელიგიური ორგანიზაციების შესახებ“ არეგულირებს შემდეგ საკითხებს: რელიგიური ორგანიზაციების კონცეფცია; მოსახლეობის თანასწორობა მათი რელიგიური შეხედულების მიუხედავად; სახელმწიფოსა და რელიგიური ორგანიზაციების ურთიერთობის საფუძვლები; რელიგიური ორგანიზაციები და განათლება; რელიგიური ორგანიზაციის დაფუძნების პროცედურა; რელიგიური ორგანიზაციების დაწესებულებები; რელიგიური ორგანიზაციებისა და მათი დაწესებულებების რეგისტრაცია; მარეგისტრირებელ დაწესებულებაში წარსადგენი დოკუმენტები; რეესტრში შესატანი ინფორმაცია; რელიგიური ორგანიზაციების

სადამფუძნებლო დოკუმენტი (წესდება); რელიგიური ორგანიზაციების უფლებები; რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობა; რელიგიური ორგანიზაციების ეკონომიკური და სამეწარმეო საქმიანობა; რელიგიური ორგანიზაციების ქონება; რელიგიური ორგანიზაციების ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია და ა.შ.

გარდა კონსტიტუციისა და სპეციალური კანონისა, ლატვიის რესპუბლიკაში რელიგიის სფეროს არეგულირებს რიგი სხვა კანონები და აქტები: შრომის კანონი; კანონი უძრავი ქონების დაბეგვრის შესახებ; სისხლის სამართლის კანონი; ლატვიის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი; მინისტრთა კაბინეტის რეგულაცია - წესდებაზე საეკლესიო საბჭოს საქმეების შესახებ; რეგულაციები კაპელანის სამსახურის შესახებ.

2.5. შეჯამება

ჩვენი კვლევის მოცემულ ნაწილში ჩვენ გადმოვეცით ის სამართლებრივი გამოცდილება, რაც უცხო ქვეყნებმა ჩამოაყალიბეს რელიგიური გაერთიანებების შექმნის, რეგისტრაციისა და საქმიანობის წესთან დაკავშირებით. ცალკეული ქვეყნების პოლიტიკურ-სამართლებრივი თავისებურებებისა და რეგულაციების განსაზღვრამდე ჩამოვყალიბეთ *რელიგიური გაერთიანების სამართლებრივი მდგომარეობის* ცნება და მისი გაგება ჩვენი კვლევის ფარგლებში. ამ ცნების ქვეშ ჩვენ ვგულისხმობთ იმ სამართლებრივ კატეგორიას, რომელიც მოიცავს კონკრეტული რელიგიური გაერთიანების საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულირებების სისტემურ ერთობლიობას. კერძოდ, რელიგიური ჯგუფის მიერ რელიგიური გაერთიანების დაფუძნებას და შესაბამისი უფლებამოსილებებით აღჭურვას.

ასევე, გამოვკვეთეთ სხვადასხვა ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ ჩარჩოსთან და იმ გამოცდილების გაანალიზებით თუ როგორ შეძლეს მათ, საკუთარი ეროვნული თავისებურებათა გათვალისწინებით ჩამოეყალიბებინათ თვითმყოფადი სამართლებრივი რეგულაციები და ამავდროულად, ეს უკანასკნელი,

არსებითად ყოფილიყო დაკავშირებული საერთაშორისო სამართლებრივ ჩარჩოსთან, ჩვენ გამოვკვეთეთ ზოგადვეროპული პრინციპი, რომელიც გულისხმობს იმ თავისებურებების სავალდებულო გათვალისწინებას, რაც სახელმწიფოებს ერთმანეთისგან განარჩევს ისტორიული, კულტურული, სოციალური თუ სხვა ფაქტორების მიხედვით.

ლატვიის რესპუბლიკის საკანონმდებლო გამოცდილების მაგალითზე ჩვენ წარმოვაჩინეთ რელიგიის სფეროს სისტემური საკანონმდებლო რეგულირების მიზანშეწონილობა და უპირატესობა, როგორც უფლებათა და ურთიერთობათა სისტემური სამართლებრივი რეგლამენტირების სათანადო მექანიზმი.

შედეგად, ტექსტის მოცემული ნაწილი პირველ ნაწილთან ერთად იქნება ერთგვარი შესავალი მესამე ნაწილზე გადასასვლელად, რამდენადაც მათში აღწერილი ზოგადი სამართლებრივი ჩარჩო და კონრეტული საკანონმდებლო რეგულაციები აუცილებელ წანამდგრად მიგვაჩნა ჩვენს მიერ განსაზღვრული პრობლემატიკის ირგვლივ მსჯელობისთვის. გამომდინარე იქიდან, რომ ქართულ სამართლებრივ სივრცეში, არც საკანონმდებლო დონეზე და არც სამეცნიერო სფეროში პრაქტიკულად არ არსებობს მოცემული საკითხის ირგვლივ სათანადო იურიდიული მასალა და კვალიფიციური აკადემიური კვლევა, საერთაშორისო და უცხო ქვეყნების გამოცდილების წარმოჩენა ფუნდამენტურ მნიშვნელობას იძენს საკვლევით თემატიკის შესახებ აუცილებელი ზოგადი ხედვის ჩამოსაყალიბებლად.

2. რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი მდგომარეობა - საქართველოს კანონმდებლობა

წინამდებარე თავის მიზანია გაანალიზოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა, რომელიც ადგენს სამართლებრივ რეგულაციებს რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაციის, უფლებამოვალეობების შექმნისა და საქმიანობის წესებთან დაკავშირებით. ამ კვლევის ფარგლებში, ჩვენ გავანალიზებთ საქართველოს კანონმდებლობის ჩამოყალიბებასა და განვითარებას 1995 წლიდან 2014 წლამდე. ამ პერიოდის განსაზღვრა უკავშირდება, ერთის მხრივ, დამოუკიდებელი საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციას, როგორც რელიგიისა და რწმენის თავისუფლების რეგლამენტირების საწყის აქტს, ხოლო, მეორეს მხრივ, 2014 წელს, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, საჯარო სამართლის იურიდიულ პირად რეგისტრირებული ოთხი რელიგიური კონფესიის რელიგიურ გაერთიანებებისთვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ნაწილობრივი და სიმბოლური ანაზღაურების მიზნით, სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერის განსაზღვრას. ანალიზს კი რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ზოგადი კონსტიტუციური ჩარჩოს მიმოხილვით დავიწყებთ.

3.1. რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ზოგადი კონსტიტუციური ჩარჩო

საქართველოში აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება, მოქმედი კონსტიტუციით არის აღარებული და დაცული. კონსტიტუციის მე-19 მუხლი უშალოდ წარმოადგენს *სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლების* უზენაეს სამართლებრივ გარანტიას.

აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლების ზოგად კონსტიტუციურ ჩარჩოში ჩვენ ვგულისხმობთ ყველა იმ ძირითად კონსტიტუციურ ნორმათა ერთობლიობას, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად უკავშირდება რელიგიის თავისუფლების ფართო სივრცეს და მასთან

დაკავშირებულ უფლებათა, თავისუფლებათა და ურთიერთობათა უზენაეს სამართლებრივ გარანტიებს აყალიბებს. ამასთან, ზოგადი კონსტიტუციური ჩარჩო, ირიბი ნორმების მეშვეობით, ადამიანის უფლებათა ერთიან სფეროში რელიგიისა და რწმენის თავისუფლების კონტექსტურ გააზრებას ქმნის.

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლთან ერთად, ღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლების ზოგად კონსტიტუციურ ჩარჩოს კონსტიტუციის (მოქმედი რედაქციის, 2015 წ.) შემდეგი მუხლები ქმნიან: საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლი *აღიარებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას* და განსაზღვრავს *საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის დამოკიდებულებას სახელმწიფოსთან*; მე-14 მუხლი *კრძალავს ადამიანთა მიმართ დისკრიმინაციას სხვადასხვა დაცული ნიშნით*, მათ შორის, *რელიგიური კუთვნილების ნიშნით*; კონსტიტუციის 24-ე და 25-ე მუხლები *გამოხატვის თავისუფლების* ზოგად საკონსტიტუციო გარანტიებს ქმნიან, რაც თავისთავად მოიცავს *რელიგიის გამოხატვის თავისუფლებას*; 26-ე მუხლი, ერთის მხრივ, იცავს *გაერთიანების თავისუფლებას*, მათ შორის, *რელიგიური ნიშნით გაერთიანების თავისუფლებას*, ხოლო, მეორეს მხრივ, *დაუშვებლად აცხადებს ისეთი საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური გაერთიანების შექმნას და მასში მონაწილეობას, რომლის მიზანიც რელიგიური მუდლის გაღვივებაა*; კონსტიტუციის 38-ე მუხლი კი განსაზღვრავს *საქართველოს მოქალაქეთა თანასწორობას სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში*, მათ შორის, *რელიგიური კუთვნილების მიუხედავად*. ჩვენი კვლევის ამ ნაწილში, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ზოგად კონსტიტუციურ ჩარჩოს სწორედ კონსტიტუციის ამ ნორმების ერთიან კონტექსტში მიმოვიხილავთ.

საკითხზე არსებით მსჯელობამდე, მოკლედ გვინდა შევხვით საქართველოს კონსტიტუციით დამკვიდრებულ ტერმინს - „*აღმსარებლობის თავისუფლება*“ - შინაარსს და მის ეტიმოლოგიურ და სამართლებრივ მიზანშეწონილობას. ჩვენი დაკვირვებით ტერმინი *აღმსარებლობა*, ქართულში ატარებს ორმხრივ გრამატიკულ შინაარსს. ერთის მხრივ, *აღმსარებლობა* არის არსებითი სახელი (კონკრეტული რელიგიური მიმდინარეობა) და წარმოადგენს ტერმინ *რელიგიის* სინონიმს, ხოლო, მეორეს მხრივ, *აღმსარებლობა*, როგორც ზმნა *რელიგიის გამოხატვის* (კონკრეტული რელიგიური პრაქტიკის) მნიშვნელობას

ატარებს. ორივე დატვირთვით აღმსარებლობა რელიგიის დამკვიდრებული გაგების შეზღუდული სინონიმია და მთლიანად ვერ მოიცავს იმ უფლებებს, თავისუფლებებს, ურთიერთობასა და მოქმედებებს, რაც საერთაშორისოდ დამკვიდრებული ტერმინით - *რელიგია*, გადმოიცემა. *რელიგია*, როგორც რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შემადგენელი ტერმინი, ვრცლად განიმარტება და რელიგიური მიმდინარეობის გარდა, მოიცავს სხვადასხვა სახის შეხედულებებს რელიგიის შესახებ, მაშინ, როდესაც აღმსარებლობა, უშუალოდ დაკავშირებულია, მხოლოდ კონკრეტულ რელიგიურ დოქტრინასთან (გაეროს, ევროსაბჭოს, ეუთოს, ვენეციის კომისიისა და ოსლოს კოალიციის დოკუმენტები რელიგიის თავისუფლების შესახებ. 2015. გვ: 35-38). რელიგიის გამოხატვის ნაწილშიც აღმსარებლობა უფრო კონკრეტული რელიგიური პრაქტიკის, ვიწრო სასულიერო-რიტუალური დატვირთვით შემოიფარგლება და მის მიღმა რჩება რელიგიის გამოხატვის ისეთი ფორმები, როგორცაა, მაგალითად, რელიგიური განათლება და სხვ. გარდა აღნიშნულისა, ტერმინი აღმსარებლობა მეტწილად წარმოადგენს რუსული ტერმინის - *“Вероисповедание”*, კალკს და მიზანშეწონილი იქნება ქართულ კანონმდებლობაში დამკვიდრდეს საერთაშორისო ფორმულირების - *“Religion and Belief”* - შესატყვისი ფორმულირება - „*რელიგია და რწმენა*“. ამდენად, ჩვენ მიგვაჩნია, რომ რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ზოგადი სამართლებრივი ჩარჩოს დახვეწა ქართულ კანონმდებლობაში ამ მხრივაც უნდა განვითარდეს და ერთის მხრივ, უნდა გაფართოვდეს რელიგიისა და რწმენის თავისუფლების სრულყოფილ სივრცემდე, მეორეს მხრივ, კი თანხმობაში მოვიდეს საერთაშორისო ფორმულირებებთან.

რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ზოგადი საკონსტიტუციო ჩარჩოს ცენტრში დგას საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლი - *სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება*:

„1. ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება.

2. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.

3. დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს.“

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის და სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტების მსგავსად, საქართველოს კონსტიტუცია რელიგიისა და რწმენის თავისუფლებას ადამიანის შინაგანი თავისუფლების სხვა კატეგორიებთან - აზრთან და სინდისთან, ერთიან კონტექსტში განიხილავს, რაც ადამიანის შინაგანი განზომილების სინდისისმიერი და რწმენისმიერი შემადგენლების აღიარებისა და დაცვის მკაფიო ხაზგასმას. ამ უფლებათა ერთიანი კონტექსტის რაობას ჩვენ საერთაშორისო აქტების მიმოხილვისას შევხებით და რამდენადაც საქართველოს კონსტიტუციის წინამდებარე ნორმა, სწორედ ამ საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოს ეროვნული ანარეკლია, აქ ამ საკითხზე აღარ განვმეორდებით. თუმცა, მნიშვნელოვანია მოკლედ შევხებით *სიტყვის თავისუფლებას* ამ კონტექსტში, რამდენადაც მისი მოთავსება უფლებათა ამ ერთობაში გარკვეულ გამონაკლისს წარმოადგენს და საერთაშორისო აქტებისგან განსხვავებულ ფორმულირებას ქმნის. (Tarr, 1988)

სიტყვის თავისუფლება, თავისი არსით, არ წარმოადგენს ადამიანის შინაგან თავისუფლებას (Forum Internum), არამედ, სწორედ შინაგანი კატეგორიების - აზრის, შეხედულების, იდეების, დამოკიდებულების გამოხატვის საშუალება ანუ ადამიანის გარეგან თავისუფლებას (Forum Externum), რაც მოცემულ მუხლთან ერთად დაცულია საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლით. თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კონსტიტუციის 24-ე მუხლი აზრის გამოხატვის თავისუფლებას იცავს არა მხოლოდ სიტყვის თავისუფლების ნაწილში, არამედ უფრო ვრცლად, მის გამოხატვას ნებისმიერ კანონით დაცულ ფორმაში, იქნება ეს ხელოვნება თუ სხვა („ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით.“ (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 24.). შესაბამისად, ჩვენი დაკვირვებით მიზანშეწონილი იქნებოდა *სიტყვის თავისუფლება* მე-19 მუხლის ნაცვლად, საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლით ყოფილიყო გარანტირებული:

„სიტყვის თავისუფლება, რომელიც კონსტიტუციის მე-19 მუხლშია მოხსენიებული, გულისხმობს აზრების, შეხედულებების, იდეების, მათ შორის კრიტიკისა და

პროტესტის გამოხატვის უფლებას. „აზრის თავისუფლებისაგან“ განსხვავებით, იგი გულისხმობს სწორედ ამ შეხედულებათა გამოთქმას, გამოხატვას. არსებითად, იგი არაფრით განსხვავდება აზრის გამოხატვის თავისუფლებისაგან, რომელსაც კონსტიტუციის 24-ე მუხლი იცავს. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ 24-ე მუხლით დაცული უფლება გულისხმობს აზრის გამოხატვას არა მარტო სიტყვით, არამედ ნებისმიერი სხვა საშუალებით (მაგალითად, ხელოვნების ნაწარმოებით). ამის გათვალისწინებით, გამართლებული იქნებოდა „სიტყვის თავისუფლების“ კონსტიტუციის მე-19 მუხლიდან ამოღება.“ (საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, 2013. გვ 159).

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლი რელიგიისა და რწმენის თავისუფლებას, საერთაშორისო აქტებისგან განსხვავებით, მოკლე ფორმულირებით გვთავაზობს, ის მაინც არ უნდა იქნეს აღქმული ვიწრო გაგებით, არამედ, გაფართოვდეს, სწორედ საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოს მთლიან უფლებრივ და ურთერთობით სივრცეში. კონსტიტუციური ფორმულირება - *ყოველ ადამიანს აქვს აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება*, თავისთავად მოიცავს, როგორც თავისუფლების შინაგან, ასევე, გარეგან ასპექტებს და რელიგიის გამოხატვის სრულ უფლებრივ სპექტრს. ამის პირდაპირი დასტურია ამავე მუხლის მე-3 პუნქტი, რომელიც კრძალავს რელიგიისა და რწმენის გამოხატვის შეზღუდვას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი გამოვლინება ლახავს სხვათა უფლებებს.

მნიშვნელოვანია წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმადაც *დაუშვებელია ადამიანის დევნა აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ*. აღნიშნული ნორმა, ერთის მხრივ, კრძალავს ადამიანის დევნას რელიგიის ან რწმენის გამო, ხოლო, მეორეს მხრივ, იცავს ადამიანის თავისუფლებას - არ გამოთქვას საკუთარი შეხედულებები რელიგიის ან რწმენის შესახებ.

რელიგიის ან რწმენის გამო ადამიანის დევნის აკრძალვა სახელმწიფოს წინაშე წარმოშობს მკაფიო ნეგატიურ ვალდებულებას, რაც ადამიანის ამგვარი მოპყრობისგან დაცვის სათანადო სამართლებრივი მექანიზმების შექმნის ვალდებულებაში გამოიხატება. ამ მიმართულებით, მნიშვნელოვანია განიმარტოს რაში შეიძლება ვლინდებოდეს ადამიანის დევნა რელიგიის ან

რწმენის გამო. უპირველეს ყოვლისა, აღნიშნული გულისხმობს ადამიანის დევნას საკუთრივ რელიგიური კუთვნილების ან რწმენის გამო და მოიცავს მისი თავისუფლების ხელყოფის ნებისმიერ ფორმას, იქნება ეს ფიზიკური, ფსიქოლოგიური ძალადობა, შვეიწროება, უფლებრივი შეზღუდვა ან უფლებების სრული უგულვებელყოფა, სამსახურებრივი ან მორალური ზეგავლენა, მუქარა, დაშინება, შანტაჟი თუ დისკრიმინაციული მოპყრობა და ა.შ. ასევე, საგულისხმოა, რომ რელიგიის ან რწმენის გამოდევნა შესაძლოა პირის მიმართ ისეთ ქმედებებში გამოიხატოს, რომელიც ხელს უშლის მისი მხრიდან უშალოდ საკუთარი რელიგიის გამოხატვას ან კონკრეტული რელიგიური მრწამსისა თუ შეხედულებების იძულებით შეცვლას და სხვა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ რელიგიისა და რწმენის თავისუფლება, როგორც შინაგანი უფლება, აბსოლუტურ უფლებათა კატეგორიას განეკუთვნება და შესაბამისად, მოცემული კონსტიტუციური აკრძალვაც აბოლუტური ხასიათისაა:

„ზემოაღნიშნული აკრძალვა აბსოლუტურია და მას შეესაბამება ადამიანის აბსოლუტური უფლება, არ იდევნებოდეს საკუთარი შეხედულებების, რწმენისა თუ რელიგიური კუთვნილების გამო. ამ უფლების აბსოლუტურობა თავისთავად მიანიშნებს იმაზე, რომ სახელმწიფოს იმავდროულად ეკისრება ძლიერი პოზიტიური ვალდებულება, დაიცვას ადამიანი და ადამიანთა ჯგუფები კერძო პირთა, მათ შორის სხვა რელიგიური ჯგუფების ან უმრავლესობის რელიგიის წარმომადგენელთა უკანონო მოქმედებებისაგან.“ (საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, 2013. გვ 167).

ადამიანის იძულება - გამოთქვას შეხედულებები რელიგიის ან რწმენის შესახებ, თავისთავად მოიცავს, როგორც საკუთრივ პირადი რელიგიური მრწამსის ან რწმენის გამჟღავნების იძულებას, ასევე, ზოგადად რელიგიის ან რწმენის შესახებ საკუთარი შეხედულებების გამოთქმის იძულებას. მოცემული ფორმულირებით, ადამიანის თავისუფლება გაამჟღავნოს ან არ გაამჟღავნოს საკუთარი რელიგიური მრწამსი, რწმენა ან შეხედულებები მათ შესახებ, წარმოადგენს თავისუფლების ნეგატიური რეგლამენტირებას - არ იყოს იძულებული იმოქმედოს საკუთარი თავისუფალი არჩევანის გარეშე. ამასთან, რელიგიის ან რწმენის ნიშნით ადამიანის დევნის აკრძალვის მსგავსად, აღნიშნული აკრძალვაც აბსოლუტური ხასიათისაა და დაუშვებელია მისი ხელყოფა.

მნიშვნელოვანი საკითხი, რაც მოცემული პუნქტით დაცულ უფლებებთან დაკავშირებით უნდა განიმარტოს, არის ამავე მუხლის მე-3 პუნქტი, რომელიც მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებებს, რაც სიტყვასიტყვითი გაგებით, საკუთარი რელიგიური მრწამსის, რწმენის ან მათ შესახებ პირადი შეხედულებების გაცხადების თავისუფლებას და რელიგის ან რწმენის ნიშნით დევნისგან თავისუფლებასაც მოიცავს, განიხილავს, როგორც შეზღუდვადს გარკვეულ შემთხვევებში, კერძოდ, *სხვა პირთა უფლებების დაცვის მიზნით*. რამდენადაც უკვე განიმარტა, კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტით დაცული უფლებები აბსოლუტურია, შესაბამისად, მათი ხელყოფის აკრძალვაც აბსოლუტურია, მათზე ამავე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვის გავრცელება დაუშვებელია და ეს უკანასკნელი, მხოლოდ მოცემული მუხლის პირველ პუნქტთან, ამ შემთხვევაში, რელიგიის ან რწმენის გამოხატვასთან მიმართებით უნდა იქნას გაგებული:

„ძალზე სათუთაა, რომ მე-19 მუხლის მე-3 პუნქტით დაშვებული გამონაკლისები ამ უფლებაზე გავრცელდეს, რამდენადაც მასში საუბარია სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლების შეზღუდვაზე, „თუკი მათი გამოვლინება ლახავს სხვათა უფლებებს“. შესაბამისად, ვინაიდან მოცემულ შემთხვევებში საქმე შეეხება ნეგატიურ თავისუფლებას, ანუ სწორედ მათი გამოვლენაზე უარის თქმას, მე-3 პუნქტით დაშვებული გამონაკლისი მასზე ვერ გავრცელდება. სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, დაიცვას ადამიანი კერძო პირთა მხრიდან უკანონო იძულებისაგანაც.“ (საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, 2013. გვ 168).

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლი რელიგიისა და რწმენის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას მხოლოდ ერთი მიზნით უშვებს - *სხვათა უფლებების დაცვა*:

„დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს.“

წინამდებარე რეგულაცია განსხვავდება რელიგიისა და რწმენის გამოხატვის თავისუფლების დაცვის საერთაშორისო ინსტრუმენტებით განსაზღვრული რეგულაციისგან და არსებითად თავისუფლების უფრო მაღალ სტანდარტს აწესებს. თუ აღნიშნულ საკითხს

ევროკონვენციასთან მიმართებით განვიხილავთ, უნდა ითქვას, რომ კონვენცია და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ ზღუდავს ეროვნულ კანონმდებლობებს დააწესონ კონვენციასთან შედარებით უფრო მაღალი სტანდარტები. შედარებისთვის, ევროკონვენცია რელიგიისა და რწმენის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის მიზნებად განიხილავს სხვადასხვა გარემოებებს: *საზოგადოებრივი უსაფრთხოება, საზოგადოებრივი წესრიგი, ჯანმრთელობა, მორალი და სხვათა უფლებები და თავისუფლებები*, საქართველოს კონსტიტუცია კი მხოლოდ *სხვათა უფლებებით* შემოიფარგლება. თავისთავად *სხვათა უფლებები* ამ კონტექსტში არსებითად ვრცლად განიმარტება და მოიცავს არა მარტო საქართველოს კონსტიტუციის რეგლამენტირებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, არამედ, იმ საჯარო ინტერესებსაც, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად უკავშირდება ცალკეული ინდივიდების უსაფრთხოებას. (საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, 2013. გვ 170).

მოცემული ნორმის კომენტირებისას, პირველ რიგში, ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ფორმულირების მიუხედავად საქართველოს კონსტიტუცია რელიგიისა და რწმენის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის პრინციპებს ისევე ითვალისწინებს, როგორც საერთაშორისო აქტები. კერძოდ, საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოთი ასეთი შეზღუდვის საფუძვლად აღიარებული პრინციპები - *კანონით გათვალისწინება, აუცილებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში და პროპორციულობა ლეგიტიმურ მიზანთან*, პირდაპირ გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციის მე-7 და 39-ე მუხლებიდან, რომელთა თანახმად, ადამიანის უფლებები და მათი დაცვის გარანტიები, საქართველოს კონსტიტუციაში მათი ფორმულირების მიუხედავად, მოიცავს იმ საყოველთაოდ აღიარებულ გაგებას, რასაც საერთაშორისო დემოკრატიული სამართლებრივი ჩარჩო გულისხმობს.

„სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.“
(საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 7).

„საქართველოს კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობენ კონსტიტუციის პრინციპებიდან.“ (საქართველოს კონსტიტუცია, მუცლი 39).

ამდენად, ეჭვს არ იწვევს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო ჩარჩო რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შეზღუდვის პრინციპების, პირდაპირი დათქმის არ არსებობის მიუხედავად, თავისთავად მოიაზრებს. რაც შეეხება შეზღუდვის მიზანს - *სხვათა უფლებები*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, რწმენის თავისუფლება (რაც თავის თავში მოიცავს რელიგიის თავისუფლებას) წარმოადგენს რა სასიცოცხლოდ აუცილებელ უფლებას, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის თავისუფლებას, თვითმყოფადობასა და თვითრეალიზაციას, სწორედ ასეთი მაღალი მნიშვნელობიდან გამომდინარე ხშირად კონკურირებადია *ადამიანის სხვა უფლებებთან*, კერძოდ: *სხვა პირთა ამავე თავისუფლებასთან ან სხვა უფლებებთან და თავისუფლებებთან*. ასეთ შემთხვევებში კი სახელმწიფოს წარმოეშვება პოზიტიური ვალდებულება, დაპირისპირებულ უფლებათა და თავისუფლებათა ეფექტურად სარგებლობა მათ შორის სამართლიანი ბალანსის დაცვით უზრუნველყოს, რაც თავის მხრივ, თითოეული მათგანის კანონიერ და გონივრულ შეზღუდვაში გამოიხატება. აღნიშნული შეზღუდვა კი, როგორც ასეთი, გამომდინარეობს განსხვავებული მრწამსისა და რელიგიური შეხედულებების მქონე პირთა შორის ჰარმონიული თანაცხოვრების მიზნიდან, რაც თავისთავად გულისხმობს პირის ვალდებულებას, საკუთარი თავისუფლება შეზღუდოს სხვა პირთა ასეთივე თავისუფლებით - *ეს არის რწმენის ფუნდამენტური თავისუფლების თანმდევი ვალდებულება. (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, 1/1/477. II.37-8).*

ამდენად, საქართველოს კონსტიტუციით ჩამოყალიბებული რელიგიისა და რწმენის თავისუფლების საკონსტიტუციო ჩარჩო არსებითად შეესაბამება და გამომდინარეობს, როგორც ზოგადად ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, ასევე, კონკრეტულად, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოდან. მეტიც, როგორც აღინიშნა, საქართველოს კონსტიტუცია რელიგიისა და რწმენის გამოხატვის დაცვასთან დაკავშირებით უფრო მაღალ სტანდარტსაც კი გვთავაზობს, ვიდრე, მაგალითად,

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია ან საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ. შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული რელიგიისა და რწმენის თავისუფლება სრულყოფილად განიმარტება მისი საერთაშორისო სამართლებრივი გაგების ფონზე.

3.2. რელიგიური გაერთიანების გაგება საქართველოს კანონმდებლობაში

წინა თავში, სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობათა ანალიზისას, ჩვენ უკვე განვმარტეთ თუ რას ნიშნავს რელიგიური გაერთიანების სამართლებრივი მდომარეობა ზოგადად და როგორ გამომდინარეობს ის რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ზოგადი კონტექსტიდან. ამ ქვეთავში ჩვენ წარმოვადგენთ იმ მწირ განმარტებას, რასაც *რელიგიური გაერთიანების* შესახებ საქართველოს კანონმდებლობა გვთავაზობს.

საქართველოს კანონმდებლობაში ცნების მნიშვნელობით *რელიგიური გაერთიანება (რელიგიური ორგანიზაცია)* მხოლოდ ორ ნორმატიულ აქტში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსსა და საქართველოს საგადასახადო კოდექსში გვხვდება. აქედან, სამოქალაქო კოდექსი, მხოლოდ რელიგიური გაერთიანების რეგისტრაციის რეგულაციებს გვთავაზობს და არაფერს განმარტავს თვითონ გაერთიანების რაობის შესახებ, ხოლო საგადასახადო კოდექსი, რელიგიურ ორგანიზაციის გაგებას უშუალოდ საგადასახადო მიზნებიდან გამომდინარე აყალიბებს. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 33-ე მუხლის თანახმად:

„რელიგიურ ორგანიზაციად ითვლება ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია რელიგიური საქმიანობის განსახორციელებლად და ასეთად რეგისტრირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით.“

აღნიშნული ფორმულირებით რელიგიური ორგანიზაციის (გაერთიანების) ცნება აერთიანებს ორ სავალდებულო ნიშანს: 1. რელიგიური საქმიანობა და 2. რეგისტრაცია. უკანასკნელთან დაკავშირებით ჩვენ ავღნიშნეთ, რომ საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსი ისე აყალიბებს რელიგიური გაერთიანების რეგისტრაციის წესს, რომ მისი რაობის შესახებ

არაფერს განსაზღვრავს, ხოლო პირველი ნიშანი - *რელიგიური საქმიანობა*, ისევ საგადასახადო კოდექსშია (მე-11 მუხლი) მოცემული, რომლის თანახმადაც რელიგიურ საქმიანობად ითვლება დადგენილი წესით რეგისტრირებული რელიგიური ორგანიზაციის (გაერთიანების) საქმიანობა, რომლის მიზანია აღმსარებლობისა და სარწმუნოების გავრცელება, მათ შორის, ისეთი გზით, როგორცაა: რელიგიური წეს-ჩვეულებების, ცერემონიების, ლოცვების, სხვა საკულტო მოქმედებათა ორგანიზება და ჩატარება; მორწმუნეთათვის შესაძლებლობის მიცემა, ჰქონდეთ ან გამოიყენონ სამლოცველო შენობები და სარიტუალო ნაგებობები რელიგიურ მოთხოვნათა როგორც ერთობლივად, ისე ინდივიდუალურად დასაკმაყოფილებლად; გ) რელიგიური დელეგაციების, მომლოცველების, სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლების მიღებისა და გამგზავრების ორგანიზება, ეროვნული და საერთაშორისო რელიგიური თათბირების, ყრილობების, სემინარების ორგანიზება, ამ ღონისძიებათა ჩატარების პერიოდში მათი მონაწილეების სასტუმროებით (სხვა საცხოვრებლით), ტრანსპორტით, კვებითა და კულტურული მომსახურებით უზრუნველყოფა; დ) მონასტრების, სამონასტრო ეკლესიების, სასულიერო-სასწავლო დაწესებულებების შენახვა, ამ სასულიერო-სასწავლო დაწესებულებების მოსწავლეთა და მსმენელთა სწავლება, საქველმოქმედო ორგანიზაციების (საავადმყოფოები, თავშესაფრები, მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლები) შენახვა, აგრეთვე კანონიკური წესებით განპირობებული სხვა ანალოგიური საწესდებო საქმიანობა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-11 მუხლის თანახმად რელიგიურ საქმიანობას უთანაბრდება იმ რელიგიური ორგანიზაციების (გაერთიანებების) საწარმოთა საქმიანობა, რომლებიც გამოსცემენ რელიგიურ (საღვთისმსახურო) ლიტერატურას ან აწარმოებენ რელიგიური დანიშნულების საგნებს; ამ ორგანიზაციების (გაერთიანებების) ან მათი საწარმოების საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია რელიგიური (საღვთისმსახურო) ლიტერატურის ან რელიგიური დანიშნულების საგნების რეალიზაციასთან (გავრცელებასთან); აგრეთვე ასეთი საქმიანობით მიღებული ფულადი სახსრების გამოყენება რელიგიური საქმიანობის განსახორციელებლად.

წინამდებარე მუხლის პირველი ნაწილი რელიგიურ საქმიანობად განმარტავს დადგენილი წესით რეგისტრირებული რელიგიური გაერთიანების ნებისმიერ ისეთ საქმიანობას *რომლის*

მიზანია აღმსარებლობისა და სარწმუნოების გავრცელება და ამით თითქოს ერთგვარ ზოგად ნორმას წარმოადგენს, მაგრამ ყველა საქმიანობა, რომელიც ამ დათქმის შემდეგ არის დაზუსტებული არსებითად რელიგიური გაერთიანების საქმიანობის მხოლოდ ქონებრივ და ფინანსურ ასპექტებს მოიცავს, მათ შორის, რელიგიური ორგანიზაციების საწარმოთა საქმიანობას. ამდენად, ერთის მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული ნორმა სრულიად კანონზომიერად შემოიფარგლება საგადასახადო, სამეწარმეო, ფინანსური და ქონებრივი ასპექტებით, რამდენადაც ის საგადასახადო კოდექსის ზოგად ჩარჩოშია მოქცეული, ხოლო, მეორეს მხრივ, არაფერს გვეუბნება უშუალოდ რელიგიური გაერთიანების ზოგად რაობაზე. ამდენად, საქართველოს კანონმდებლობით მოცემული განსაზღვრებები იმდენად მწირი და არასრულია, რომ ჩვენ ვერ ვიტყვით თუ რას ნიშნავს *რელიგიური გაერთიანება*, როგორც ასეთი და შესაბამისად, რა ტიპის და მიზნების ერთობა შეიძლება დაფუძნედეს და დარეგისტრირდეს რელიგიურ გაერთიანებად.

ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს ისეთ მგრძობიარე საკითხზე, როგორცაა ზოგადად *რელიგიის* ცნების სამართლებრივი განმარტების მიზანშეუწონლობა. თუმცა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავება *რელიგიისა* და *რელიგიური გაერთიანების* ცნებების სამართლებრივი რეგლამენტირების ლეგიტიმურობას შორის არსებითია. რელიგიის გაგება, როგორც რელიგიისა და რწმენის თავისუფლებით დაცული შინაგანი თვითგანსაზღვრის სივრცე, ცხადია არ და ვერ დაექვემდებარება სამართლებრივ კატეგორიებში მოქცევას, ამისგან განსხვავებით კი, რელიგიური გაერთიანების, როგორც სამართლებრივი ურთერთობების სუბიექტის მკაფიო იურიდიული განმარტება, არა თუ მიზანშეწონილი, აუცილებელიც კია სრულფასოვანი სამართლებრივი ურთერთობებისთვის. სხვა საკითხია, თავად რელიგიური ჯგუფის თავისუფლება დარეგისტრირდეს თუ არა რელიგიურ გაერთიანებად. თუმცა, თავის მხრივ, ამ თავისუფლების რეალიზებისთვისაც მნიშვნელოვანია არსებობდეს სრულყოფილი განმარტება თუ რას ნიშნავს *რელიგიური გაერთიანება*.

3.3. რელიგიური გაერთიანების რეგისტრაცია და სამართლებრივი სტატუსები

ჩვენ უკვე ავლიშნეთ, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ გვთავაზობს არც რელიგიის ცნების სამართლებრივ განსაზღვრებას, რაც სრულიად შეესაბამება რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ზოგად სამართლებრივ ჩარჩოს და არც რელიგიური გაერთიანების ცნების ზოგად სამართლებრივ განმარტებას, საგადასახადო მიზნებთან დაკავშირებული რელიგიური საქმიანობის ვიწრო განსაზღვრების კონტექსტის გარდა. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს კანონმდებლობა, რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი მდგომარეობის რეგლამენტირების ნაწილში, რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაციის წესის რეგულირებით იწყება.

1995 წელს კონსტიტუციის მიღებით დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფომ პირველად მოახდინა რელიგიური გაერთიანების სამართლებრივი მდგომარეობის ასახვა საკანონმდებლო აქტში. საქართველოს უზენაესი კანონის მე-9 მუხლი, პირველადი რედაქციით, *ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის* სამართლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით მიუთითებდა მხოლოდ ერთ ელემენტზე, ეს იყო *ეკლესიის დამოუკიდებლობა სახელმწიფოსგან*:

„სახელმწიფო აღიარებს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში, ამასთან ერთად აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას, ეკლესიის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსგან.“ (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 9 (პირველი რედაქცია))

მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული უფრო მეტად სახელმწიფოს ისტორიულ-პოლიტიკურ განაცხადს წარმოადგენდა, ვიდრე, რეალურ სამართლებრივ ნორმატივს, რადგან ამ პერიოდისთვის საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას არანაირი სამართლებრივი სტატუსი არ გააჩნდა. შესაბამისად, კონსტიტუციური ნორმა ვერ პოულობდა გაგრძელებას მიმდინარე კანონმდებლობაში. თუმცა, სახელმწიფოსა და ეკლესიის დამოუკიდებლობის კონსტიტუციური გარანტი სახელმწიფოს სეკულარულობის მკაფიო განაცხადი იყო და რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი მდგომარეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანს საყრდენს ქმნიდა. ამასთან, კონსტიტუციის მე-19 მუხლი, რომელიც რელიგიისა და რწმენის

თავისუფლების ზოგად ჩარჩოს ქმნის თავისთავად თავიდანვე მოიცავდა რელიგიური გაერთიანებების კორპორაციულ უფლებებს, თუმცა, მართლმადიდებელი ეკლესიის მსგავსად მასაც არ ჰქონია ნორმატიული გაგრძელება მიმდინარე კანონმდებლობაში, სანამ, 1997 წელს საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსში არ დაფიქსირდა რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაციის რეგულირების პირველადი ნორმა.

აქ ჩვენ იერარქიულად განვიხილავთ საქართველოს კანონმდებლობას და ამდენად, დავარღვევთ ქრონოლოგიას, რომლის მიხედვითაც შემდეგი ნორმა რელიგიური გაერთიანებების შესახებ 1997 წელს საქართველოს სამოქალაქო კოდექსში გაჩნდა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის რეგულაციების ჩამოყალიბებისა და განვითარების შესახებ ჩვენ ქვემოთ ვიმსჯელებთ.

1995 წლის კონსტიტუციის პირველი რედაქციით განსაზღვრული დებულება (მე-9 მუხლი) 2001 წელს გადაიხედა და შესწორდა. ეს პერიოდი მნიშვნელოვანი ეტაპია საქართველოს თანამედროვეობაში სახელმწიფოსა და რელიგიებს შორის სამართლებრივი ურთიერთობის მხრივ. 2001 წელს კონსტიტუციური ცვლილებების შედეგად, საქართველოს სამართლებრივ სივრცეში პირველად გაჩნდა სახელმწიფოს და რელიგიური გაერთიანების (1997 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის შემდეგ) სამართლებრივი ურთიერთობის მარეგლამენტირებელი კანონმდებლობა, კერძოდ, შესწორდა კონსტიტუციის მე-9 მუხლი და გაჩნდა ახალი სამართლებრივი ინსტიტუტი *კონსტიტუციური შეთანხმება*. 2001 წლის 30 მარტის ცვლილების (საქართველოს 2001 წლის 30 მარტის კონსტიტუციური კანონი N826-სსმI, N9, 10.04.2001 წ., მუხ. 33.) შედეგად კონსტიტუციის მე-9 მუხლი შემდეგი სახით ჩამოყალიბდა:

- „1. სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას. ამასთან, ერთად აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსგან.
2. საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა განისაზღვრება კონსტიტუციური

შეთანხმებით. კონსტიტუციური შეთანხმება სრულად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, კერძოდ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სფეროში.“

ცვლილებების შედეგად სრულყოფილად ჩამოყალიბდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სახელწოდება და ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ნაცვლად დაფიქსირდა საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია. ასევე კონსტიტუციით შეიქმნა საკონსტიტუციო შეთანხმების სამართლებრივი ინსტიტუტი, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის შემდეგ, ნორმატიული აქტების იერარქიაში რიგით მეორეა და აღემატება საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და აქტებს, თუმცა კონსტიტუციითვე განიმარტა, რომ კონსტიტუციური შეთანხმება სრულად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, კერძოდ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სფეროში. კონსტიტუციური შეთანხმების მაღალ სამართლებრივ და პოლიტიკურ ღირებულებას ისიც მიუთითებს, რომ მას დებს საქართველოს პრეზიდენტი (კონსტიტუციის 73-ე მუხლი) და ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი (კონსტიტუციის 66-ე მუხლი).

აღნიშნული საკონსტიტუციო ცვლილებების შემდეგ 2002 წლის 14 ოქტომბერს საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ ეკლესიას შორის დაიდო კონსტიტუციური შეთანხმება, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცდა 22 ოქტომბერს. საქართველოს პარლამენტის 2002 წლის N1697-IX დადგენილებით, კონსტიტუციურ შეთანხმების დამტკიცებასთან ერთად განისაზღვრა მისი თანმდევი საკანონმდებლო აქტების შემუშავების აუცილებლობა - საქართველოს პარლამენტი ადგენს:

„1. დამტკიცებულ იქნეს ქ. მცხეთაში 2002 წლის 14 ოქტომბერს ხელმოწერილი კონსტიტუციური შეთანხმება „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის“.

2. „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის“ კონსტიტუციური შეთანხმების დებულებათა განხორციელების მიზნით საქართველოს პარლამენტის ინტერფრაქციულმა ჯგუფმა

პარლამენტის კომიტეტებთან ერთად შეიმუშაოს და საგაზაფხულო სესიის დასრულებამდე საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს შესაბამისი საკანონმდებლო აქტები, მათ შორის, კანონპროექტი „სახელმწიფოსა და საქართველოს საპატრიარქოს შორის კულტურული მემკვიდრეობის საკუთრების სფეროში უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ“.

შედეგად, 2002 წლის 22 ოქტომბრიდან საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ შეიძინა საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი (კონსტიტუციური შეთანხმება, მუხლი 1). კონსტიტუციურმა შეთანხმებამ, ასევე, განმარტა აღნიშნული სამართლებრივი სტატუსის მოპოვების საფუძვლები:

„- მართლმადიდებლობა, ევროპის ერთ-ერთი ტრადიციული აღმსარებლობა, საქართველოში ისტორიულად სახელმწიფო რელიგია იყო, რომელმაც ჩამოაყალიბა მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურა, ეროვნული მსოფლმხედველობა და ფასეულობები;

- საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია;

- საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულია საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლი ქვეყნის ისტორიაში და მისი დამოუკიდებლობა სახელმწიფოსაგან.“ (კონსტიტუციური შეთანხმება, პრეამბულა).

უმალოდ კონსტიტუციური შეთანხმების ტექსტით კი განისაზღვრა მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსი, საქმიანობის ფორმები და ურთერთობა სახელმწიფოსთან. ტექსტის თანახმად მართლმადიდებელი ეკლესია წარმოადგენს *ისტორიულად ჩამოყალიბებულ საჯარო სამართლის სუბიექტს, – სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სრულუფლებიან საჯარო სამართლის იურიდიულ პირს*, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს კანონიკური სამართლისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად; სახელმწიფომ აღიარა აღსარებისა და საეკლესიო საიდუმლოს დაცვის ვალდებულება და შექმნა გარანტიები სასულიერო პირისთვის, არ გაამჟღავნონ ის ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა,

როგორც სულიერი მოძღვრისთვის; სახელმწიფომ აღიარა ეკლესიის მიერ შესრულებული ჯვრისწერა, თუმცა სამართლებრივ ურთიერთობებში სავალდებულოდ განსაზღვრა ქორწინების სახელმიფო რეგისტრაცია; სასულიერო პირები განთავისუფლდნენ სამხედრო სავალდებულო სამსახურისგან და სახელმწიფომ და ეკლესიამ გამოთქვა მზადყოფნა სამხედრო-საჯარისო ფორმირებებში, საპატიმროებში და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში შეიქმნას მოძღვრის (“კაპელანის“) ინსტიტუტი; განისაზღვრა საჯარო სკოლებში მართლმადიდებლური სარწმუნოების სწავლების ნებაყოფლობითობა და ეკლესიისა და სახელმწიფოს მიერ გაცემული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ურთიერთაღიარების ვალდებულება; ჩამოყალიბდა რეგულაციები ეკლესიის ქონებრივ, ფინანსურ და სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით; გაიმიჯნა სახელმწიფოს და ეკლესიის უფლებამოვალეობები საერთო ეროვნული საგანძურისა და კულტურული მემკვიდრეობის სარგებლობასა და დაცვასთან დაკავშირებით; სახელმწიფომ აიღო ვალდებულება ეკლესიასთან შეთანხმებით აწარმოოს მოლაპარაკებები სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე არსებულ მართლმადიდებლურ ძეგლებთან დაკავშირებით.

კონსტიტუციური შეთანხმება დამტკიცებული იქნა ასევე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის მიერ 2002 წლის 17 ოქტომბერს.

შედეგად, კონსტიტუციური შეთანხმებით, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ, სისტემურად განიმარტა ერთი კონკრეტული რელიგიური გაერთიანების სამართლებრივი მდგომარეობა - სამართლებრივი სტატუსის მოპოვების საფუძვლები - სამართლებრივი სტატუსი - სამართლებრივი სტატუსის თანმდევი უფლებამოვალეობანი, რითაც სახელმწიფომ საკითხისადმი ერთიანი მიდგომის მნიშვნელობა წარმოაჩინა. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი კვლევის ფარგლებში მეცნიერული ინტერესის საგანს უშუალოდ სისტემური მიდგომა წარმოადგენს და არა კონკრეტული რელიგიური გაერთიანების უფლებამოვალეობანი ან სოციო-პოლიტიკური ასპექტები, ამდენად ჩვენ არ შევალთ იმ საკითხების მიმოხილვაში, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უფლებრივ მდგომარეობას უკავშირდება და რაც თავისთავად, დამოუკიდებელი კვლევის ფარგლებში, უდავოდ მოითხოვს არსებით შესწავლას და ანალიზს.

საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის სამართლებრივი მდგომარეობა სისტემურად ასე გამოიყურება:

სამართლებრივი სტატუსის მოპოვების საფუძვლები: 1. რელიგიური გაერთიანების ისტორიულობა, რაც მოიცავს რელიგიური გაერთიანების ისტორიულ კავშირს საქართველოსთან და მის განგრძობითობას (საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულია საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლი ქვეყნის ისტორიაში); 2. რელიგიური გაერთიანების მიმდევართა რაოდენობა (საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია); და 3. რელიგიური გაერთიანების მონაწილეობა საერთო ეროვნული კულტურის, მსოფლმხედველობისა და ფასეულობების ჩამოყალიბებაში (მართლმადიდებლობა, ევროპის ერთ-ერთი ტრადიციული აღმსარებლობა, საქართველოში ისტორიულად სახელმწიფო რელიგია იყო, რომელმაც ჩამოაყალიბა მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურა, ეროვნული მსოფლმხედველობა და ფასეულობები). სწორედ ეს სამი ნიშანი უდევს საფუძვლად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ შესაბამისი სამართლებრივი სტატუსის მოპოვებას.

სამართლებრივი სტატუსი: ზემოხსენებულ საფუძვლებზე დაყრდნობით საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას მიენიჭა (კანონით იქნა აღიარებული) საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი ([მართლმადიდებელი] ეკლესია წარმოადგენს ისტორიულად ჩამოყალიბებულ საჯარო სამართლის სუბიექტს, – სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სრულუფლებიან საჯარო სამართლის იურიდიულ პირს). მოცემული სამართლებრივი სტატუსით მართლმადიდებელი ეკლესია აღიჭურვა კონკრეტული უფლებამოვალეობებით.

სამართლებრივი სტატუსის თანმდევი უფლებამოვალეობები: ზოგადად რელიგიური გაერთიანების უფლებამოვალეობები მრავალფეროვანია და უფლებებისა და ურთიერთობების ფართო წრეს მოიცავს. როგორც სხვადასხვა ქვეყნების პრაქტიკამ აჩვენა, რელიგიური გაერთიანების სამართლებრივი სტატუსი შესაძლოა განსხვავდებოდეს, ანუ სახელმწიფო ადგენდეს ორი ან მეტი სამართლებრივი სტატუსის მოპოვების შესაძლებლობას. შესაბამისად განსხვავდება ამ სტატუსთა თანმდევი უფლებამოვალეობანიც. ამასთან,

რელიგიის და რწმენის თავისუფლება, კორპორატიული უფლებების ნაწილში აწესებს მინიმალურ ზღვარს, რაც ყველა რელიგიური გაერთიანებისთვის უნდა იყოს გარანტირებული, მაგალითად, გაერთიანების (რეგისტრაციის) თავისუფლება და ა.შ. ამას გარდა, არსებობს უფლებათა და ურთიერთობათა რიგი, რომელთა შინაარსი და მოცულობა სწორედ კონკრეტულ სამართლებრივ სტატუსს უკავშირდება. როგორც წესი, ესენია: ფინანსური და ქონებრივი საკითხები, განათლების საკითხი და რელიგიური წარმომადგენლობა („კაპელანის“ ინსტიტუტი).

საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭებით მიიღო შემდეგი უფლებამოვალეობები:

ქონებრივი და ფინანსური: სახელმწიფომ დაადასტურა XIX-XX საუკუნეებში (განსაკუთრებით 1921-90 წლებში), სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის პერიოდში, ეკლესიისათვის მატერიალური და მორალური ზიანის მიყენების ფაქტი და როგორც ჩამორთმეული ქონების ნაწილის ფაქტობრივმა მფლობელმა აიღო ვალდებულება მატერიალური ზიანის ნაწილობრივ კომპენსაციაზე; ეკლესიის საკუთრება და ქონებრივი უფლებები დაცული იქნა კანონით; განისაზღვრა, რომ ეკლესია უშუალოდ არ ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას; ასევე, განისაზღვრა ეკლესიის დაფინანსების წყაროები და ეკლესიის მიერ წარმოებული საღვთისმსახურო პროდუქცია – მისი დამზადება, შემოტანა, მიწოდება და შემოწირულობა, ასევე არაკომერციული მიზნით არსებული ქონება და მიწა განთავისუფლდა გადასახადებისაგან; სახელმწიფომ ეკლესიის საკუთრებად ცნო საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებული მართლმადიდებლური ტაძრები, მონასტრები (მოქმედი და არამოქმედი), მათი ნანგრევები, აგრეთვე, მიწის ნაკვეთები, რომლებზეც ისინია განლაგებული და მიეთითა, რომ ზემოაღნიშნულ ნაგებობათა დაცვის ზონები, მათი მოვლა-პატრონობისა და სარგებლობის წესები განისაზღვრება შესაბამისი სახელმწიფო სამსახურის მიერ მოქმედი კანონმდებლობით და ეკლესიასთან შეთანხმებით. (კონსტიტუციური შეთანხმება, 2002)

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ფინანსური საქმიანობის საშეღავათო გარანტიები წარმოდგენილია ასევე საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომელიც ეკლესიას დამატებით ათავისუფლებს *მოგებისა და დამატებითი ღირებულების*

გადასახადისგან სხვადასხვა ნაწილში (საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 99 და 168) და საქართველოს კანონში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ განსაზღვრულია, რომ კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი (ამ შემთხვევაში მართლმადიდებელი ეკლესია) განთავისუფლებულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მისი სახსრებისა და ქონების ხარჯვისა და გამოყენების კონტროლისგან. (საქართველოს კანონი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ, მუხლი 17.2.ზ.)

განათლება: კონსტიტუციური შეთანხმებით სახელმწიფომ და ეკლესიამ ერთობლივად აღიარეს, რომ საჯარო სკოლებში და სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში მართლმადიდებლური სარწმუნოების სწავლება ნებაყოფლობითია, ამასთან, დაცულ იქნა ეკლესიის უფლება ასეთი სასწავლო პროგრამების არსებობის შემთხვევაში პროგრამის შედგენა და პედაგოგთა დანიშვნა ხორციელდება ეკლესიის წარდგინებით. ცხადია, ამ შემთხვევაში საუბარი ეხება მხოლოდ მართლმადიდებლური სარწმუნოების კონფესიურ სწავლებას.

კონსტიტუციური შეთანხმებით, ასევე, აღიარებულ იქნა, რომ სახელმწიფო და ეკლესია კანონმდებლობით დადგენილი წესით ორმხრივად და გათანაბრებულად აღიარებენ შესაბამისი სასწავლო დაწესებულებების მიერ გაცემულ განათლების დამადასტურებელ დოკუმენტებს, სამეცნიერო ხარისხებსა და წოდებებს (კონსტიტუციური შეთანხმება, მუხლი 5). აღნიშნულის მიუხედავად, წლების განმავლობაში არ არსებობდა ქანონქვემდებარე ნორმატიული რეგულაცია, რომელიც ამ უფლების რეალიზებას მოახდენდა. 2012 წლის 28 დეკემბერს საქართველოს კანონში უმაღლესი განათების შესახებ (2011 წ.) შევიდა ცვლილებები (საქართველოს კანონი №187 - ვებგვერდი, 29.12.2012წ.), რითაც განისაზღვრა მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი განათლების პროცესის წარმართვისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირების წესი. 2013 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით (N115/ნ. 23.08.2013) დამტკიცდა საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ 2005 წლიდან 2013 წლის პირველ იანვრამდე გაცემული/გასაცემი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების აღიარების წესის. ამ

ცვლილებებითა და დამატებებით, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საგანმანათლებლო დაწესებულებები პრაქტიკულად განათლების მარეგულირებელი ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში მოექცა, თუმცა, უმეტეს ნაწილში, მის მიმართ განსაკუთრებული რეგულაციები განისაზღვრა.

რელიგიური წარმომადგენლობა („კაპელანის“ ინსტიტუტი): რელიგიური წარმომადგენლობა განსაკუთრებული ტიპის სახელმწიფო და საჯარო ინსტიტუტებში გულისხმობს ამ ინსტიტუტების თანამშრომელთათვის რელიგიური ღვთისმსახურების უზრუნველყოფის მიზნით სასულიერო პირის მიმაგრებას. როგორც წესი, ამ სასულიერო პირთა ანაზღაურება გარანტირებულია სახელმწიფოს მიერ და რიგ შემთხვევებში ისინი წარმოადგენენ დაწესებულებათა შტატის თანამშრომლებს. (რელიგიის თავისუფლება, 2004. გვ: 477-483).

კონსტიტუციური შეთანხმების მეოთხე მუხლი, ადგენს: „სახელმწიფო ეკლესიასთან შეთანხმებით უზრუნველყოფს სამხედრო-საჯარისო ფორმირებებში, საპატიმროებსა და თავსუფლების აღკვეთის ადგილებში მოძღვრის ინსტიტუტის შექმნას და ამასთან დაკავშირებით შესაბამისი სამართლებრივი აქტების მიღებას.“ კონსტიტუციური შეთანხმებით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ აღიარებული ეს უფლება მიმდინარე პერიოდში უკვე დანერგილია საქართველოს თავდაცვის სისტემაში, სადაც მართლმადიდებელი სასულიერო პირები საქმიანობონ სამოქალაქო შტატში და ასრულებენ სულიერი მოძღვრის ფუნქციას საქართველოს სამხედრო-საჯარისო ფორმირებებში. კონსტიტუციურ შეთანხმებამდე ერთი წლით ადრე, 2001 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომელიც არ წარმოადგენს სამართლებრივი ძალის მქონე დოკუმენტს, თუმცა საკუთარი შინაარსით მნიშვნელოვანია, რადგან დეტალურად განმარტავს „კაპელანის“ ინსტიტუტის რაობას. ხელშეკრულების თანახმად საქართველოს იუსტიციის სამინისტრო უზრუნველყოფს სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში ღვთისმსახურებისა და ლოცვებისათვის სათანადო პირობებისა და გარემოს შექმნას. ამ მიზნით საქართველოს იუსტიციის სამინისტრო თითოეულ სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში გამოყოფს სამლოცველოსათვის აუცილებელ ფართს და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან ერთად კეთილმოაწყობს მათ.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ყოველ სასჯელალსრულებით დაწესებულებასა და იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო პოლიციაში მიავლენს მოძღვრებს სადმართო ლიტურგიის და სხვა საეკლესიო წესების აღსრულების მიზნით. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია გასწევს კოორდინირებას და უზრუნველყოფს სხვა კონფესიების მსახურთა მოწვევას ამ კონფესიის წარმომადგენელ მსჯავრდებულთა რელიგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო იღებს პასუხისმგებლობას სასჯელალსრულებით დაწესებულებებში მოძღვართა უსაფრთხოებასა და დაუყოვნებლივ გადაადგილებაზე.

მხარეები უზრუნველყოფენ სისტემატური შეხვედრების ორგანიზებას, ერთის მხრივ, სასულიერო პირებს, მეორეს მხრივ, პატიმრებს, მსჯავრდებულებსა და იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლებს შორის. მხარეები ადასტურებენ თავიანთ მზადყოფნას სასჯელალსრულების ცალკეული დაწესებულებების საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სულიერ მეურვეობაში ეტაპობრივი გადაცემის შესახებ. ეკლესიის სულიერ მეურვეობაში სასჯელალსრულების ცალკეული დაწესებულების ეტაპობრივი გადაცემის წესისა და პირობების დასადგენად და გადაცემის პროცესის უზრუნველსაყოფად შეიქმნას ერთობლივი კომისია. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, ორმხრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ერთობლივად მოამზადებენ და განიხილავენ იმ ნორმატიული აქტების პროექტებს, აგრეთვე, სხვა საკითხებს, რომლებიც იქნება მხარეთა საერთო ინტერესების საგანი.

აქ მოცემული მიმოხილვით ჩვენ გვსურდა საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მაგალითზე წარმოგვედგინა რელიგიური გაერთიანების სამართლებრივი მდგომარეობის სისტემური რეგულირების რაობა. ქვემოთ, ჩვენ განვიხილავთ საქართველოს კანონმდებლობას ერთიანობაში, რელიგიური გაერთიანებების მიმართ არსებულ ზოგად რეგულაციებს.

რამდენადაც საქართველოში არ არსებობს სპეციალური კანონი, რომელიც რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივ სტატუსს, მათი დაფუძნების, რეგისტრაციისა და საქმიანობის წესს სისტემურად განსაზღვრავდა, ჩვენ კონტექსტურად განვიხილავთ ამ სფეროს მოწესრიგების მიზნით შემუშავებულ ნორმებს სხვადასხვა ნორმატიულ აქტებში.

რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაციის წესს საქართველოს კანონმდებლობაში სამოქალაქო კოდექსი (1997 წ.) ადგენს. კოდექსის პირველადი რედაქციით რელიგიური გაერთიანებების დარეგისტრირება შესაძლებელი იყო მხოლოდ *საჯარო სამართლის იურიდიული პირის* სტატუსით (მუხლი 1509). კოდექსი ასევე მიუთითებდა, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობას არეგულირებდა საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“. შესაბამისად, ამ პერიოდისთვის (1997 – 2005 წლები) რელიგიური ჯგუფები გაერთიანების შემთხვევაში ვალდებულნი იყვნენ დაფუძნებულიყვნენ, როგორც საჯარო სამართლის იურიდიულ პირები:

„1. სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად ითვლებიან: (...)

ე) საჯარო მიზნების მისაღწევად კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციები (პოლიტიკური პარტიები, რელიგიური გაერთიანებები და სხვა); (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. მუხლი 1509. პირველი რედაქცია)

აღნიშნული რეგულაცია ფუნდამენტურად ეწინააღმდეგებოდა რელიგიის თავისუფლების არსს, კერძოდ, რელიგიური გაერთიანებების თავისუფლების, თვითორგანიზებისა და სახელმწიფოსგან გამიჯნულობის (ჩაურევლობის) ბაზისურ პრინციპებს (აღმსარებლობის თავისუფლება ეუთოს წევრ ქვეყნებში, 2002). საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ (1999 წელი) საჯარო სამართლის იურიდიული პირის ცნების განმარტებისას (მუხლი 2) პირდაპირ მიუთითებს, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირი ეს არის ორგანიზაცია, რომელიც *სახელმწიფო კონტროლით* დამოუკიდებლად ახორციელებს საკუთარ საჯარო უფლებამოსილებას:

„1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი, საკანონმდებლო და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ,

სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტით შექმნილი, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას.“

პრობლემას წარმოადგენდა, თავად რეგულირების არაქმედითობა, რადგან ბუნებრივია, რომ ვერც კანონით და ვერც სამთავრობო დაწესებულების ხელმძღვანელის ადმინისტრაციული აქტით რელიგიური ორგანიზაცია ვერ დაფუძნდება. ამის შედეგად 2002 წლამდე, სანამ კონსტიტუციური შეთანხმება გაფორმდებოდა საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შორის, საქარველოში მოქმედი არც ერთი რელიგიური გაერთიანება, მათ შორის საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია, რეგისტრირებული არ იყო. მართლმადიდებელი ეკლესიის გამოკლებით, სხვა რელიგიური გაერთიანებების მიმართ ეს დაბრკოლება სამოქალაქო კოდექსისი 2005 წლის ცვლილებამდე გაგრძელდა. რაც, სერიოზული დაბრკოლება იყო რელიგიური გაერთიანებებისთვის, რადგან მათ არ შეეძლოთ ყოფილიყვნენ სამოქალაქო ურთიერთობათა სრულყოფილი მონაწილეები. (აღმსარებლობის თავისუფლება ეუთოს წევრ ქვეყნებში, 2002. გვ 6).

აღნიშნული რეგულაცია არსობრივ წინააღმდეგობაში მოდიოდა საქართველოს კონსტიტუციასთან, რომლის 26-ე მუხლი გაერთიანების თავისუფლებას ადგენს და თავისთავად არ გამორიცხავს საკუთარი სფეროდან რელიგიურ გაერთიანებებს. მიუხედავად ამისა, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2001 წელს იეჰოვას მოწმეთა საქმეზე (3კ/599 22.02.2001) მსჯელობისას განმარტა, რომ დაუშვებელია რელიგიური გაერთიანების რეგისტრირება კავშირის სახით და მათი დაფუძვნებისას დაცული უნდა იყოს სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნა რელიგიური გაერთიანებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირების სახით რეგისტრირების შესახებ:

„ვიდრე კანონით არ განსაზღვრულა რელიგიური ორგანიზაციების, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირების, შექმნის, ორგანიზაციისა და საქმიანობის წესი,

სამოქალაქოკოდექსის 1509-ე მუხლის პირველი ნაწილის “ე” ქვეპუნქტის თანახმად, დაუშვებელია კერძოსამართლის იურიდიული პირების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების გამოყენება.“

სასამართლომ ასევე განმარტა, რომ იეჰოვას მოწმეთა კავშირი გაუქმდა მხოლოდ კანონის მოთხოვნათა დარღვევის გამო და ამ გადაწყვეტილების საფუძველი კონკრეტული რელიგიური გაერთიანების მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა არ ყოფილა. ამასთან, რელიგიური ჯგუფის დაურეგისტრირებლობა თავისთავად არ წარმოადგენს რელიგისა და რწმენის თავისუფლების შეზღუდვას. სასამართლომ საკუთარი გადაწყვეტილების არგუმენტად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მაგალითი მოიშველია და აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ ქართული მართლმადიდებლური ეკლესია არ არის დარეგისტრირებული სასამართლოში, ეს ზიანს არ აყენებს მართლმადიდებლური აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლებას.

რელიგიური გაერთიანებების მდგომარეობას ისიც ამძიმებდა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის (1984 წ.) 199-ე მუხლი ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას რელიგიურ გაერთიანებათა ხელმძღვანელების მიმართ, თუკი ისინი თავს აარიდებდნენ ამ გაერთიანებათა რეგისტრაციას სახელმწიფო მმართველობის ორგანოებში. შედეგად, მოქმედი კანონმდებლობა ქმნიდა სამართლებრივ ჩიხს რელიგიური გაერთიანებებისთვის, რაც გამოიხატებოდა, ერთის მხრივ დარეგისტრირების შეუძლებლობაში, მეორეს მხრივ კი დაურეგისტრირებლობის გამო პასუხისმგებლობაში.

2005 წელს საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შევიდა ცვლილებები და 1509-ე მუხლიდან ამოღებულ იქნა „რელიგიური გაერთიანებები“; განახლებული რედაქცია კი ასე ჩამოყალიბდა:

„1. სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად ითვლებიან: (...)

ე) საჯარო მიზნების მისაღწევად კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციები (პოლიტიკური პარტიები და სხვა);“

სამოქალაქო კოდექსის ცვლილებასთან ერთად, ახალმა საკანონმდებლო პაკეტმა, ცვლილებები შეიტანა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსშიც და გაუქმდა პასუხისმგებლობა რელიგიური გაერთიანების რეგისტრაციის თავის არიდების გამო. ამდენად, 2005 წელს ქართულმა კანონმდებლობამ რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაციის ახლებური და არსებითად უფრო თავისუფალი რეგულაციები დაადგინა. რელიგიურ გაერთიანებებს გაუჩნდათ შესაძლებლობა დარეგისტრირებულიყვნენ კერძო სამართლის იურიდიულ პირებად - არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებად (ა(ა)იპ). თუმცა, ამ პერიოდისთვის, 2002 წლის საკონსტიტუციო შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია უკვე აღიარებული იყო საჯარო სამართლის იურიდიულ პირად. შესაბამისად, იმდროინდელმა კანონმდებლობამ ავტომატურად დაადგინა რელიგიურ გაერთიანებებს შორის სამართლებრივი სტატუსის განსხვავებულობა. ერთის მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია და მეორეს მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები - სხვა რელიგიური გაერთიანებები. ამასთან, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსიდან რელიგიური გაერთიანების დაურეგისტრირებლობის გამო პასუხისმგებლობის ამოღებამ, რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაცია არასავალდებულო და თავისუფალი გახადა.

კანონმდებლობით დადგენილი განსხვავება საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და სხვა რელიგიურ გაერთიანებებს შორის მალევე გახდა კრიტიკის ობიექტი და წლების განმავლობაში გრძელდებოდა დავა რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი სტატუსების არსებით გათანაბრებასთან დაკავშირებით. ეს საკითხი საბოლოოდ 2011 წელს გადაწყდა, როდესაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მორიგი ცვლილებები შევიდა. კოდექსის 1509-ე მუხლის 1-ლ ნაწილს - *სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს*, დაემატა შემდეგი შინაარსის „ზ“ პუნქტი: *„ამ კოდექსის 1509¹ მუხლით გათვალისწინებული რელიგიური გაერთიანებები“* და ახალი 1509¹ მუხლი - *რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაციის წესი*:

1. რელიგიური გაერთიანებები შეიძლება დარეგისტრირდნენ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილი არ ზღუდავს რელიგიური გაერთიანებების უფლებას, დარეგისტრირდნენ, როგორც ამ კოდექსით გათვალისწინებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები, აგრეთვე ეწეოდნენ საქმიანობას, როგორც ამ კოდექსით გათვალისწინებული არარეგისტრირებული კავშირი.

3. რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაციას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

4. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო უფლებამოსილია საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დაარეგისტრიროს საქართველოსთან ისტორიული კავშირის მქონე რელიგიური მიმდინარეობა ან ის რელიგიური მიმდინარეობა, რომელიც ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში კანონმდებლობით მიჩნეულია რელიგიად.

5. საჯარო სამართლის იურიდიულ პირად რეგისტრირებულ რელიგიურ გაერთიანებაზე არ ვრცელდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონი.

6. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაციის მიმართ მოქმედებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციისთვის დადგენილი წესი და მათი უფლებამოსილება განისაზღვრება ამ კოდექსის პირველი კარის მეორე თავით.“

ამ უკანასკნელი ცვლილების (მოქმედი რედაქციის) თანახმად რელიგიური გაერთიანებები შეიძლება დარეგისტრირდნენ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად, არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებად ან ეწეოდნენ საქმიანობას, როგორც არარეგისტრირებული კავშირი.

უპირველეს ყოვლისა, უნდა განიმარტოს, რომ აღნიშნული რეგულაციით რელიგიური ჯგუფების მიმართ აღიარებულია გაერთიანებისა და თვითორგანიზების თავისუფლება და

მათი რეგისტრირება წარმოადგენს არასავალდებულო მოთხოვნას. საყურადღებოა ასევე, სამი შემოთავაზებული სამართლებრივი სტატუსის, როგორც თავისუფალი არჩევანის რაობა. კოდექსით გათვალისწინებული რეგისტრაციისა და საქმიანობის ფორმების არჩევა თავად რელიგიური ჯგუფების არჩევნის საგანია და მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ მათგანს შესაძლოა განსხვავებული საფუძვლები ან პროცედურები ჰქონდეს, რეალურად მათი მოპოვება არ არის დაკავშირებული რელიგიური ჯგუფების არსებით დიფერენცირებასთან, არც რეგისტრაციის მომენტისთვის და არც რეგისტრაციის შემდგომი უფლებამოსალობების მხრივ. რეალურად, ეს არის ნომინალური განსხვავება და მოცემული ნორმა, დეკლარირებული სამის ნაცვლად, მხოლოდ ორ არჩევანს იძლევა, რადგან ამავე მუხლის მე-6 პუნქტი არსობრივად ერთმანეთთან აიგივებს საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს. ამდენად, რეალურად შემოთავაზებულია მხოლოდ ორი შესაძლებლობა: *1. კერძო სამართლის იურიდიული პირი, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ნომინალური სახელწოდებით ან ამ სახელწოდების გარეშე და 2. არარეგისტრირებული კავშირი.* მიუხედავად იმისა, რომ შემოთავაზებული არჩევანი მინიმალური ხასიათისაა, მაინც მნიშვნელოვანი და აუცილებელი საკანონმდებლო უზრუნველყოფაა. რელიგიური გაერთიანების საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი, კი როგორც ცალკე სამართლებრივი ინსტიტუტი მნიშვნელოვან განმარტებას, საჭიროებს, როგორც არსობრივად, ასევე ამ სტატუსის მატარებელი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და სხვა რელიგიური გაერთიანებების რეალური სამართლებრივი მდგომარეობის შედარების მხრივ.

როგორც ითქვა, თანამედროვე (2015 წ.) ქართული კანონმდებლობა რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივ სტატუსს ნომინალურ დონეზე ერთგვაროვნად განსაზღვრავს: კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული ყველა რელიგიური გაერთიანება საჯარო სამართლის იურიდიულ პირს (სსიპ) წარმოადგენს. ნახსენები „ნომინალურობა“ კი იმაში მდგომარეობს, რომ რეალურად არცერთი ტიპის რელიგიური გაერთიანების სამართლებრივი სტატუსი არ თავსდება სსიპ-ს იმ იურიდიულ დეფინიციისაში, რომელიც „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონშია (1999 წ.) გადმოცემული. ამასთან, რელიგიური გაერთიანებების სტატუსის განსაზღვრისას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (მუხლი 1509¹) პირდაპირ მიუთითებს, რომ:

„5. საჯარო სამართლის იურიდიულ პირად რეგისტრირებულ რელიგიურ გაერთიანებებზე არ ვრცელდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონი.

6. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაციის მიმართ მოქმედებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციისათვის დადგენილი წესი და მათი უფლებამოსილება განისაზღვრება ამ კოდექსის პირველი კარის მეორე თავით.“

კანონის ეს ნორმა პირდაპირ და ცალსახად ადგენს, რომ სსიპ-ის სამართლებრივი სტატუსი, რომელიც დადგენილი წესით რეგისტრირებულ რელიგიურ გაერთიანებებს მიენიჭება, რეალურად მოიცავს არა სსიპ-ის, არამედ კერძო სამართლის იურიდიული პირის (კსიპ) სამართლებრივი სტატუსის იურიდიულ შინაარსს. 1509¹ მუხლის მე-6 ნაწილის უკანასკნელი დათქმა - *„მათი უფლებამოსილება განისაზღვრება ამ კოდექსის პირველი კარის მეორე თავით“*, რელიგიურ გაერთიანებებს სწორედ კსიპ რეგულაციების ქვეშ აქცევს, რადგან სსკ-ის პირველი კარის მეორე თავი იურიდიული პირები, ამ უკანასკნელს ეხება. შედეგად, სახეზეა იურიდიული პირი, რომელიც ნომინალურად, სახელობითად წარმოადგენს სსიპ-ს, რეალურად ანუ იურიდიული შინაარსით კი კსიპ-ია.

ჩვენი მსჯელობის თემას არ წარმოადგენს ამ საკანონმდებლო ცვლილებების საფუძვლები და მიზნები. შექმნილი სურათი კი ერთმნიშვნელოვნად ცხადყოფს, რომ საქმე იურიდიულ ნონსენსთან გვაქვს. მოცემული სამართლებრივი რეგულაცია სსკ-ის 1509-ე მუხლში გადმოცემულ საჯარო სამართლის იურიდიული პირის ცნებასთან არსობრივ კოლიზიაში მოდის. კერძოდ, საუბარია 1509-ე მუხლის „გ“ პუნქტის დათქმასთან, რომელიც ადგენს, რომ სსიპ-ები არიან ის იურიდიული პირები, *„რომლებიც არ არიან ჩამოყალიბებული სამოქალაქო კოდექსის ან მეწარმეთა შესახებ კანონით განსაზღვრული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით“*. რეალურად, რელიგიური გაერთიანებები შინაარსობრივად, სწორედ სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის (ა(ა)იპ) ფორმით, მაგრამ არა სახელით, არიან ჩამოყალიბებული. ამ კოლიზიიდან თავის დახსნა შესაძლებელია, თუკი ჩვენი პოზიციის არგუმენტირებას იმგვარად შევეცდებით, რომ ერთმანეთისაგან გავმიჯნავთ იურიდიული

პირების ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას და მათი რეგისტრაციის წესებს. თუმცა, მსჯელობა ამ მიმართულებითაც აუცილებლად შევა ჩიხში, რადგან იურიდიული პირის რეგისტრაციის წინაპირობას აუცილებლად წარმოადგენს მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა. ზოგადად, სამართლებრივად შეუძლებელია ერთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის იურიდიული პირი, მაგ., ა(ა)იპ შეიქმნას იმ წესით, რა წესითაც მეორე ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის იურიდიული პირი - სსიპ იქმნება, მაგალითად კანონით. იურიდიული ლოგიკა მოითხოვს, რომ ეს წესრიგი დაცული იყოს საპირისპირო შემთხვევაშიც, სსიპ-ის კსიპ-ისთვის გათვალისწინებული რეგისტრაციის წესით შექმნისას, თუმცა ამ მოთხოვნას ქართული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

ამით ჩვენ ამოვწურავთ მსჯელობას რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი სტატუსის იურიდიული შინაარსის შესახებ და შევეცდებით განვმარტოთ მართლმადიდებელი ეკლესიის სამართლებრივი სტატუსის იურიდიული შინაარსი (რასაც ნაწილობრივ ზემოთ უკვე შევხეთ) სხვა რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი სტატუსის იურიდიულ შინაარსთან მიმართებით.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, როგორც რელიგიური გაერთიანების სტატუსის სამართლებრივი საფუძვლები საქართველოს კონსტიტუციიდან (1995 წ.) მომდინარეობს. კონსტიტუციის მე-9 მუხლი პირველი ნაწილი სამართლებრივად საინტერესო შინაარსს ატარებს, კერძოდ, მასში თითქოს ერთმანეთშია არეული ადამიანის (ინდივიდუალური) რელიგიური უფლებები, იგულისხმება რელიგიისა და რწმენის თავისუფლება და რელიგიური გაერთიანების სამართლებრივი სტატუსი. აღრევის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანის რელიგიური უფლებები და იმ რელიგიური გაერთიანების სამართლებრივი სტატუსი, რომელსაც ის მიეკუთვნება ერთი და იგივე არ არის. შესაძლოა ითქვას, რომ რიგ საკითხებში ეს ორი ერთმანეთს არ განაპირობებს. მაგალითად, ადამიანის რწმენის თავისუფლება, საერთოდ არ არის დაკავშირებული იმ რელიგიური გაერთიანების სტატუსთან, რომელსაც ეს ადამიანი საკუთარ თავს მიაკუთვნებს. იქნება ეს რელიგიური გაერთიანება რეგისტრირებული თუ არარეგისტრირებული, ექნება მას საჯარო თუ კერძო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი, ისარგებლებთ თუ არა რაიმე საგასახადო შეღავათებით, რა საფეხურზე იქნება ის წარმოდგენილი რელიგიური

გაერთიანებების იერარქიაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სხვ. ამ ყველაფრის მიუხედავად ადამიანის რელიგიური უფლება - რწმენის თავისუფლება, უპირობოდ გარანტირებულია. შესაბამისად, კონსტიტუციის მე-9 მუხლის პირველ პუნქტში ფორმულირებული განსაზღვრება, რომ *სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას, ამასთან ერთად აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსგან*, არსებითად არათანმიმდევრულია, რადგან წინადადება იწყება ადამიანის რელიგიური უფლებების და თავისუფლებების გარანტირებით და ამ კატეგორიას მიბმული აქვს რელიგიური გაერთიანების სამართლებრივი სტატუსი. უკეთესი იქნებოდა თუ წინადადება: *„სახელმწიფო აცხადებს რელიგიისა და რწმენის სრულ თავისუფლებას“*, იქნებოდა დამოუკიდებელი კონსტიტუციური ნორმა, როგორც ადამიანის ინდივიდუალური რელიგიური თავისუფლების გარანტი. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კონსტიტუცია ცალკე, მე-19 მუხლით განსაზღვრავს ადამიანის რელიგიურ უფლებებსა და თავისუფლებებს და ადგენს მათი დაცვის გარანტიებს. შესაბამისად, აუცილებელია, ჩვენს მიერ ცალკე გამოყოფილი ნორმა სწორედ ამ მუხლში გადმოცემულ ნორმებთან იქნეს შეჯერებული.

შემდეგი საკითხი კონსტიტუციის მოცემული მუხლის იმავე, პირველ ნაწილში უკავშირდება სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ერთმანეთისაგან გამიჯნულობის და დამოუკიდებლობის იურიდიულ განსაზღვრებას. განსაზღვრება: *„სახელმწიფო (...) აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსგან“*, უდაოდ მართებულია, რადგან ის მართლმადიდებელი ეკლესიისა და სახელმწიფოს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლობას ადგენს. ზოგადად, სახელმწიფოსა და რელიგიური გაერთიანების დამოუკიდებლობა და გამიჯნულობა თავისთავადი კონსტიტუციური პრინციპი უნდა იყოს და არა რაიმე ნიშნით განპირობებული მოცემულობა. ამასთან, კონსტიტუცია უნდა უზრუნველყოფდეს სახელმწიფოსგან ყველა რელიგიური გაერთიანების გამიჯნულობას და არა მხოლოდ ერთი

ან რამდენიმე მათგანის. არსებითად, სწორედ ეს არის მოცემული კონსტიტუციური ნორმის გაუგებარი ასპექტი.

შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის პირველ პუნქტში გადმოცემული ნორმა, არასრულყოფილია და რიგ გაუგებრობებს შეიცავს და შესაძლოა რელიგიურ გაერთიანებათა მიმართ დისკრიმინაციული დამოკიდებულების მაპროვოცირებლადაც კი მოგვევლინოს. ამ პრობლემის თავიდან ასაცილებლად საკმარისი იქნებოდა მოცემული მუხლის პირველი პუნქტები შემდეგი ზოგადი ნორმების დადგენით შემოფარგლულიყო:

„1. სახელმწიფო აცხადებს რელიგიისა და რწმენის სრულ თავისუფლებას.“

„2. სახელმწიფო აღიარებს რელიგიური გაერთიანებების დამოუკიდებლობას სახელმწიფოსგან.“

მოცემული ნორმები იქნებოდა მყარი და საერთო საფუძველი ყველა რელიგიური უფლებისა და ყველა რელიგიური გაერთიანების სამართლებრივი მდგომარეობის შემდგომი საკანონმდებლო რეგულაციისათვის. ასეთ შემთხვევაში დათქმა: *„სახელმწიფო აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში“* თავისუფლად მოთავსდებოდა მოცემული მუხლის მომდევნო პუნქტში და თემატურად და სამართლებრივად დაუკავშირდებოდა ამ ნაწილში გადმოცემულ დადგენილებას მართლმადიდებელ ეკლესიასთან ურთიერთობის დამოუკიდებელი სამართლებრივი დოკუმენტით - კონსტიტუციური შეთანხმებით დარეგულირების შესახებ. არსებითად სწორედ ეს დათქმა შეიძლებოდა ყოფილიყო საქართველოს სახელმწიფოსთან მართლმადიდებელი ეკლესიის სხვა რელიგიური გაერთიანებებისაგან განსხვავებული ურთიერთობის საფუძველი. ასეთ შემთხვევაში, კონსტიტუციის მე-9 მუხლის მომდევნო პუნქტი შემდეგი შინაარსის იქნებოდა:

„3. სახელმწიფო აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში. საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა განისაზღვრება კონსტიტუციური

შეთანხმებით. კონსტიტუციური შეთანხმება სრულად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, კერძოდ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სფეროში.“

ნორმათა მსგავსი ფორმულირება მკვეთრად გამიჯნავდა ერთმანეთისგან ადამიანის რელიგიურ უფლებებს და რელიგიურ გაერთიანებათა სამართლებრივი მდგომარეობის განმსაზღვრელ კონსტიტუციურ პრინციპებს, ასევე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და სხვა რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებულ კონსტიტუციურ გარანტიებს. აღნიშნული დაკვირვების შინაარსი მოიცავს ზოგად სამართლებრივ საკითხებს, რასაც აუცილებლად ჩავუღრმავდებით, თუმცა, მსჯელობის ამ ნაწილის დასაწყისში აღვნიშნეთ, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის სამართლებრივი სტატუსის კონსტიტუციურ საფუძვლებს შევხებოდით. შესაბამისად, დავუბრუნდებით მართლმადიდებელ ეკლესიასთან დაკავშირებულ საკონსტიტუციო ნორმებს (მე-9 მუხლი) და მათ შემდეგი სახით შევაჯამებთ; ერთადერთი კონსტიტუციური ნორმა მართლმადიდებელი ეკლესიის შესახებ, ეს არის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის უკანასკნელი დათქმა, რომელიც მის სახელმწიფოსგან დამოუკიდებლობას შეეხება. ამავე მუხლის მეორე პუნქტი, არსებითად ბლანკეტური ნორმაა და მოცულობის მიუხედავად მხოლოდ კონსტიტუციურ შეთანხმებასთან გადამისამართებას წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, კონსტიტუციურ გარანტიად უნდა განვიხილოთ ის საკანონმდებლო განსაზღვრება, რომელიც საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ურთიერთობების მარეგულირებელ ნორმატიულ ბაზად კონსტიტუციურ შეთანხმებას განსაზღვრავს. რამდენადაც კონსტიტუციური შეთანხმება, როგორც მაღალი იერარქიული დონის ნორმატიული აქტი, თავისთავად მიუთითებს მის მიერ რეგულირებადი სამართლებრივი ურთიერთობების და ამ ურთიერთობების მონაწილე სუბიექტების მნიშვნელობაზე. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მართლმადიდებელ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის მარეგულირებლად კონსტიტუციური შეთანხმების განსაზღვრა, როგორც კონსტიტუციური ნორმა, თავისი იურიდიული შინაარსით მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული სამართლებრივი სტატუსის საკანონმდებლო გარანტიას წარმოადგენს.

კონსტიტუციური შეთანხმების მოცემული იერარქიული მდგომარეობა, მიუთითებს იმაზე, რომ სახელმწიფოს დამოკიდებულება მართლმადიდებელ ეკლესიასთან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ეს განსაკუთრებული მნიშვნელობა – კონსტიტუციური შეთანხმების პრეამბულაში შემდეგი განსაზღვრებებითაა გადმოცემული:

„- მართლმადიდებლობა, ევროპის ერთ-ერთი ტრადიციული აღმსარებლობა, საქართველოში ისტორიულად სახელმწიფო რელიგია იყო, რომელმაც ჩამოაყალიბა მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურა, ეროვნული მსოფლმხედველობა და ფასეულობები;

- საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია;

- საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულია საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლი ქვეყნის ისტორიაში (...).“

მოცემული ფორმულირება მკაფიოდ განმარტავს მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული მდგომარეობის შინაარსს და წარმოადგენს პირდაპირ საფუძველს მისი, როგორც რელიგიური გაერთიანების უპირატესი სამართლებრივი მდგომარეობისა. ამ ქვეთავში ჩვენი კვლევის მიზანია რელიგიურ გაერთიანებათა სამართლებრივი სტატუსის მხოლოდ იურიდიული შინაარსის ანალიზი და არა ამ სტატუსის წინაპირობებისა და საფუძველების მიმოხილვა. შესაბამისად, აქ ჩვენ არ შევუდგებით ჩამოთვლილი საფუძველების ირგვლივ დეტალურ მსჯელობას. თუმცა, რამდენადაც ამ საკთხს უკვე შევეხეთ, მოკლედ აღვნიშნავთ, რომ რელიგიური მოძღვრების ტრადიციულობა (როგორც ევროპისთვის, ასევე საქართველოსთვის), ამ რელიგიური გაერთიანების განსაკუთრებული როლი ქვეყნის ისტორიაში, მის მიერ ქვეყნის ეროვნული და კულტურული ფასეულობების ფორმირება, ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის ამ რელიგიურ გაერთიანებისადმი მიკუთვნება, ანუ ყველა ჩამოთვლილი ნიშანი, რეალურად წარმოადგენს ამ რელიგიური გაერთიანებისათვის, სხვა რელიგიურ გაერთიანებათაგან (რომლებიც მსგავსი ნიშნებით არ ხასიათდებიან) განსხვავებული, უპირატესი სამართლებრივი სტატუსის მინიჭების

საფუძველს. ამასთან, არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ევროპული კანონმდებლობის შესაბამისადაც.

მართლმადიდებელი ეკლესიის სამართლებრივი სტატუსის იურიდიული შინაარსის უშუალო განხილვას კვლავ იმ ნიშნის შესახებ მსჯელობით განვაგრძობთ, რასაც კონსტიტუციური გარანტიების ანალიზისას შევხებით, ეს არის სახელმწიფოს და მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთდამოუკიდებლობა.

კონსტიტუციის მე-9 მუხლი ცალმხრივად, მხოლოდ სახელმწიფოს მიერ აცხადებს მართლმადიდებელ ეკლესიას მისგან დამოუკიდებელ სუბიექტად. კონსტიტუციური შეთანხმება (მუხლი 1.1.) კი ამ ნორმას ორმხრივ ლეგიტიმაციას ანიჭებს:

„1. სახელმწიფო და ეკლესია ადასტურებენ მზადყოფნას ითანამშრომლონ ურთიერთდამოუკიდებლობის პრინციპის დაცვით, ქვეყნის მოსახლეობის საკეთილდღეოდ.“

ამ ნორმის თანახმად საქართველოს სახელმწიფო და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ერთმანეთისაგან გამიჯნული და ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სამართალსუბიექტები არიან. ეს მოცემულობა უდაოდ „პარალელიზმის“ ხასიათის მატერებელია. სახეზეა ორი სამართალსუბიექტი, რომლებიც ერთმანეთისაგან უბრალოდ დამოუკიდებელნი კი არ არიან (როგორც მაგ, სხვა სსიპ სახელმწიფოსთან მიმართებაში), არამედ, ორივე მათგანი სრულყოფილი, თვითკმარი სუბიექტია და ერთმანეთისაგან არაფრით არიან განპირობებულნი.

შემდეგი ნორმა კონსტიტუციური შეთანხმებიდან (მუხლი 1.2.), არსებითად სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთდამოუკიდებლობის, როგორც პრინციპის, რეალურ სამართლებრივ ურთიერთობებში იმპლემენტაციის ფორმებს მოიცავს:

„სახელმწიფო და ეკლესია უფლებამოსილნი არიან დადონ შეთანხმებები ერთობლივი ინტერესების სხვადასხვა სფეროში, რომელთა განხორციელების მიზნითაც მხარეთა მიერ მიიღება შესაბამისი აქტები.“

ამ ორ სუბიექტს შორის ურთიერთობის ფორმად შეთანხმებების დადება, რომელიც ორმხრივი ურთიერთობაა, კიდევ ერთი მკაფიო მითითებაა მათ თანასწორობაზე. ციტირებული პუნქტების (1-ლი და მე-2) და საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის შეჯამებით ვიღებთ კონსტიტუციური დონის გარანტიას საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სრული ურთიერთდამოუკიდებლობისა და სრული ურთიერთგამიჯვნის შესახებ.

ყველაზე მნიშვნელოვანი ნორმა კონსტიტუციურ შეთანხმებაში, რომელიც მართლმადიდებელი ეკლესიის სამართლებრივი სტატუსის იურიდიულ შინაარსს ეხება, არის ამავე პირველი მუხლის მომდევნო - მე-3 პუნქტი. ამ პუნქტში გადმოცემული სამართლებრივი განსაზღვრებით სრულად ამოიწურება მართლმადიდებელი ეკლესიის სამართლებრივი სტატუსი. მე-3 პუნქტში ვკითხულობთ:

„ეკლესია წარმოადგენს ისტორიულად ჩამოყალიბებულ საჯარო სამართლის სუბიექტს - სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სრულუფლებიან საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საეკლესიო (კანონიკური) სამართლის ნორმებით, საქართველოს კონსტიტუციის, ამ შეთანხმებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.“

მსჯელობის გამარტივების მიზნით, მოცემული ნორმა უნდა გავყოთ სამ ნაწილად და თითოეული მათგანი ცალ-ცალკე განვიხილოთ. პირველ რიგში, უნდა განვმარტოთ, რას ნიშნავს დათქმა: „ისტორიულად ჩამოყალიბებული საჯარო სამართლის სუბიექტი - სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სრულუფლებიან საჯარო სამართლის იურიდიულ პირი“.

საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ არ იცნობს სსიპ-ის ფორმირების მსგავს განმარტებას. მოცემული კანონი (მუხლი 2) მკაფიოდ განმარტავს, თუ როგორ იქმნება სსიპ. სსიპ შეიძლება შეიქმნას: ა) შესაბამისი კანონით; ბ) საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით; გ) კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით; დ) ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტით; ე) ქალაქ თბილისის მთავრობის ნორმატიული აქტით (მხოლოდ ქალაქ თბილისში).

შესაბამისად, კანონი არ იცნობს ისტორიულად ჩამოყალიბებული საჯარო სამართლის სუბიექტის სახელმწიფოს მიერ სრულუფლებიან საჯარო სამართლის იურიდიულ პირად აღიარებას, როგორც სსიპ შექმნის სამართლებრივ შესაძლებლობას. მეორეს მხრივ, კონსტიტუციური შეთანხმება მართლმადიდებელი ეკლესიის სსიპ-ად ჩამოყალიბების საფუძველად არ მიუთითებს არც ერთ ზემოთჩამოთვლილ კანონისმიერ მოთხოვნას. სახეზე გვაქვს აშკარა კოლიზია. თუმცა, ეს არ არის გადაულახავი დაბრკოლება, რადგან ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის (მუხლი 7.4.) თანახმად:

„საქართველოს კონსტიტუციურ შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას და კონსტიტუციურ კანონს, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა ყველა სხვა ნორმატიული აქტის მიმართ.“

ამ პრინციპის თანახმად წინააღმდეგობა, რომელსაც კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ სსიპ-ს შექმნის ფორმების განსაზღვრისას წარმოშობს, არ შეიძლება ხელისშემშლელი დაბრკოლება იყოს იმ სსიპ-ს შექმნისთვის, რომელიც უფრო მაღალი იერარქიული ნორმატიული აქტით, კონსტიტუციური შეთანხმებითაა შექმნილი. შესაბამისად, საკანონმდებლო ბაზაში არსებული კოლიზიური ნორმები არ ქმნის დაუძლეველ დაბრკოლებას და არ იწვევს სამართლებრივი ურთიერთობების შეფერხებას. ნებისმიერ შემთხვევაში, აუცილებელია კანონმდებლობის იმდაგვარი დახვეწა, რომ მსგავსი კოლიზიური ნორმების არსებობა გამოირიცხოს. ამისთვის საკმარისი იქნება საქართველოს კანონის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ იმ ნორმას, რომელიც სსიპ-ის შექმნის საფუძველს ჩამოთვლის, სხვა საფუძველთან ერთად დაემატოს შემდეგი:

„საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმების საფუძველზე სახელმწიფოს მიერ აღიარება“. ამასთან, რამდენადაც მართლმადიდებელი ეკლესიის სამართლებრივი სტატუსი თავისი იურიდიული შინაარსით განსხვავდება სსიპ-ს ზოგადი შინაარსისგან, აუცილებელია ამ ცვლილებას დაემატოს განსაზღვრება: *„საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმებით სახელმწიფოს მიერ აღიარებული სსიპ-ის მიმართ მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებული რეგულაციები.“*

აქ ნახსენები შინაარსობრივი განსხვავება საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, როგორც სსიპ-ს და სხვა სსიპ-ებს, მათ შორის სსკ-ის 1509¹ მუხლით დადგენილი წესით

რეგისტრირებული რელიგიური გაერთიანებებს შორის, წარმოადგენს კონსტიტუციური შეთანხმების პირველი მუხლის მე-3 პუნქტის მეორე განსახილველ ნაწილს.

ამ შემთხვევაში განსხვავება ორი სახისაა: პირველი განსხვავება მართლმადიდებელ ეკლესიასა და სხვა რელიგიურ გაერთიანებებს შორის ერთმნიშვნელოვანი და მკაფიოა, რადგან სსკ-ის 1509¹ მუხლი პირდაპირ განსაზღვრავს, რომ დადგენილი წესით რეგისტრირებული რელიგიური გაერთიანებები შინაარსობრივად საერთოდ არ არიან სსიპ-ები, არამედ კსიპ-ები, რადგან მათზე სწორედ ამ უკანასკნელისთვის სსკ-ის შესაბამისი ნორმებით დადგენილი რეგულაციები ვრცელდება.

მეორე შემთხვევაში - მართლმადიდებელი ეკლესიის სხვა სსიპ-ებთან შედარებისას კვლავ კოლიზია იკვეთება. ამ შემთხვევაშიც სახეზეა წინააღმდეგობა კონსტიტუციურ შეთანხმებასა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონს შორის. ამ უკანასკნელის დადგენილება (მუხლი 2), რომ:

„საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის (...) ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას...“

წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციური შეთანხმების (და საქართველოს კონსტიტუციის) განსაზღვრებასთან, რომ მართლმადიდებელი ეკლესია დამოუკიდებელია სახელმწიფოსგან (კონსტიტუციური შეთანხმება მუხლი 1. პუნქტი 1.), რაც გამორიცხავს სახელმწიფოს მხრიდან რაიმე სახის კონტროლს, მათ შორის საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობაში. საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ (მუხლი 11.1.) სახელმწიფო კონტროლის დეფინიციას შემდეგნაირად ადგენს:

„საჯარო სამართლის იურიდიული პირი ექვემდებარება სახელმწიფო კონტროლს, რაც გულისხმობს მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.“

სახელმწიფოს მხრიდან პრინციპულად გამორიცხულია მართლმადიდებელი ეკლესიის საქმიანობის მიზანშეწონილობის ან ეფექტიანობის, რაიმე სახით ზედამხედველობა. სახელმწიფოსა და რელიგიური გაერთიანების ურთიერთგამიჯვნის და ურთიერთდამოუკიდებლობის პირობებში ეს იურიდიულად და არსობრივად შეუძლებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნებოდა ფუნქციური და უფლებამოსილების სფეროთა აღრევა. გარდა ამისა, ზემოთ მოცემული ნორმის მომდევნო კომპონენტი სახელმწიფო კონტროლი საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობაში წინააღმდეგობაში მოდის ასევე საქართველოს კანონთან „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ (მუხლი 3.1.), კერძოდ:

„სახელმწიფო აუდიტის სამსახური არის სახელმწიფო საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის უმაღლესი ორგანო, რომელიც ახორციელებს აუდიტს.“

მოცემული საკანონმდებლო რეგულაციებისთვის თვალის თანმიმდევრული გადაცნებით ვიღებთ შემდეგ სურათს: მართლმადიდებელი ეკლესია არის სსიპ (კონსტიტუციური შეთანხმება მუხლი 1. პუნქტი 3.) - სსიპ-ის საქმიანობას აკონტროლებს სახელმწიფო (საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ მუხლი 11. პუნქტი 1.) - სახელმწიფო აკონტროლებს სსიპ-ის საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობას (იქვე.) - სსიპ-ის საფინანსო ეკონომიკურ საქმიანობის კონტროლს ახორციელებს სახელმწიფო აუდიტის სამსახური (საქართველოს კანონი „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ მუხლი 3. პუნქტი 1.) - თუმცა, საბოლოოდ კანონი „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ (მუხლი 17.2.) თავად გამორიცხავს კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებული სსიპ-ს შემოწმებას:

„2. საქართველოს კონსტიტუციითა და ამ კანონით განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად სახელმწიფო აუდიტის სამსახური ამოწმებს:

(...) ზ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახსრებისა და ქონების ხარჯვასა და გამოყენებას. წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის (საჯარო სამართლის კორპორაციის) საქმიანობას სახელმწიფო აუდიტის სამსახური ამოწმებს სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიერ გადაცემული ქონების ან/და სახსრების ხარჯვისა

და გამოყენების ფარგლებში. ამ ქვეპუნქტის მოქმედება არ ვრცელდება საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე, დამოუკიდებელ მარეგულირებელ ორგანოზე...“

შედეგად, სახეზეა სსიპ - მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც სრულიად გამიჯნულია სახელმწიფოსაგან, აქვს სამართლებრივი ავტონომია და თავის საქმიანობაში არ ექვემდებარება სახელმწიფოს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის არ იქმნება სახელმწიფოს მიერ, არამედ ხდება მისი ასეთად აღიარება; მისი საქმიანობა არ მიეკუთვნება სახელმწიფოს პოლიტიკური და მმართველობითი მიზნების სივრცეს; ის თავის საქმიანობაში არ კონტროლდება სახელმწიფოს მიერ. ამ ნიშნებით მართლმადიდებელი ეკლესია გაცილებით მაღალი (უპირატესი) სამართლებრივი სტატუსით სარგებლობს, ვიდრე სხვა სსიპ-ები და სხვა რელიგიური გაერთიანებები, რომლებიც თუმცა ნომინალურად სსიპ-ებს წარმოადგენენ, მაგრამ მათი რეალური იურიდიული შინაარსი - კსიპ, სახელმწიფო კონტროლის გარკვეულ შესაძლებლობას მოიცავს.

2.4. რელიგიური გაერთიანების რეგისტრაციის საფუძვლები

ზემოთ ჩვენ ვიმსჯელებთ რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი სტატუსის შესახებ და გავაკეთებთ დასკვნა, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი ფორმა - საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ), რომელიც გარანტირებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით (სსკ) რეგისტრირებული და საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებული ყველა რელიგიური გაერთიანებებისთვის, თავისი იურიდიული შინაარსით მკვეთრად განსხვავდება სსიპ-ის იმ იურიდიული დეფინიციისაგან, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობა (კერძოდ საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ და სხვ.) იცნობს. ამჯერად, ჩვენ აღარ მივუბრუნდებით ამ პრობლემას, რადგან ის მოცემულ საკითხზე არსებით გავლენას არ ახდენს და მათ შორის ურთიერთკავშირიც მინიმალურია. ჩვენი დაკვირვების ობიექტს წარმოადგენს ის იურიდიული საფუძვლები, რაც საქართველოს კანონმდებლობით

რელიგიური გაერთიანების მიერ სსიპ-ის სტატუსის მოპოვებისთვისაა გათვალისწინებული. ეს საფუძვლები გადმოცემულია საქართველოს კონსტიტუციაში (1995 წ.), საქართველოს კონსტიტუციურ შეთანხმებაში საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის (2002 წ.) და საქართველოს სამოქალაქო კოდექსში (1997 წ.).

საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლი ადგენს:

„სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას, ამასთან ერთად აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსგან.“

საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმების პრეამბულაში აღნიშნულია:

„მართლმადიდებლობა, ევროპის ერთ-ერთი ტრადიციული აღმსარებლობა, საქართველოში ისტორიულად სახელმწიფო რელიგია იყო, რომელმაც ჩამოაყალიბა მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურა, ეროვნული მსოფლმხედველობა და ფასეულობები;

საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია;

საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულია საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლი ქვეყნის ისტორიაში და მისი დამოუკიდებლობა სახელმწიფოსგან.“

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509¹ მუხლის მე-4 პუნქტი რელიგიური გაერთიანების რეგისტრაციის აუცილებელ წინაპირობად შემდეგ გარემოებებს მიუთითებს:

„საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო უფლებამოსილია საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დაარეგისტრიროს საქართველოსთან ისტორიული კავშირის მქონე რელიგიური მიმდინარეობა, ან ის

რელიგიური მიმდინარეობა, რომელიც ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში კანონმდებლობით მიჩნეულია რელიგიად.“

ამ საკანონმდებლო საფუძვლების დაჯგუფება შემდეგი სახით შეიძლება:

1. ისტორიულობა (რაც მოიცავს საქართველოსთან ისტორიულ კავშირს და განსაკუთრებულ როლს ქვეყნის ისტორიაში) - საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლი; კონსტიტუციური შეთანხმების პრეამბულა და სსკ 1509¹ მუხლი;
2. ეროვნული კულტურის, მსოფლმხედველობისა და ფასეულობების ჩამოყალიბება - კონსტიტუციური შეთანხმების პრეამბულა;
3. მიმდევართა რაოდენობა - კონსტიტუციური შეთანხმების პრეამბულა;
4. ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში კანონმდებლობით რელიგიად მიჩნევა - სსკ 1509¹ მუხლი.

სახეზე გვაქვს ოთხი განსხვავებული და დამოუკიდებელი იურიდიული საფუძველი, რომელსაც ქართული კანონმდებლობა საქართველოში რელიგიური გაერთიანებისთვის სსიპ სამართლებრივი სტატუსის მოპოვების წინაპირობად განსაზღვრავს. რამდენადაც ის წყაროები, რომლებიც ამ იურიდიულ საფუძვლებს ადგენენ წარმოადგენენ, ერთის მხრივ, მართლმადიდებელი ეკლესიის, ხოლო, მეორეს მხრივ, სხვა რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი უფლებების ექსკლუზიურ მარეგულირებლებს, მათში გადმოცემული იურიდიული საფუძვლებიც განირჩევა რელიგიური გაერთიანებათა შესაბამისი დაჯგუფების მიხედვით. თუმცა, ერთი მათგანი წარმოადგენს საერთო საფუძველს, როგორც მართლმადიდებელი ეკლესიისთვის, ასევე სხვა რელიგიური გაერთიანებებისათვის. ეს არის ისტორიულობა (რაც მოიცავს საქართველოსთან ისტორიულ კავშირს და განსაკუთრებულ როლს ქვეყნის ისტორიაში) დარჩენილი სამი საფუძვლიდან ორი - მიმდევართა რაოდენობა და ეროვნული კულტურის, მსოფლმხედველობისა და ფასეულობების ჩამოყალიბება, გათვალისწინებულია მხოლოდ მართლმადიდებელ ეკლესიასთან მიმართებით, ხოლო მესამე საფუძველი ანუ ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში კანონმდებლობით რელიგიად მიჩნევა, იურიდიულ საფუძველს მხოლოდ სსკ-ით რეგისტრირებული რელიგიური

გაერთიანებებისთვის წარმოადგენს. ზოგადად უნდა ითქვას, რომ ისევე, როგორც ბევრი სხვა საკითხი რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივ რეგულაციებში, ეს უკანასკნელიც არასათანადოდ არის დარეგულირებული, ცაკლეული იურიდიული საფუძვლები კი იმდენად ბუნდოვანია, რომ რთულია მათი რეალური შინაარსის გარკვევა.

ისტორიულობა (ისტორიული კავშირი საქართველოსთან და განსაკუთრებული როლი ქვეყნის ისტორიაში), როგორც რელიგიური გაერთიანების მიერ სსიპ-ის სამართლებრივი სტატუსის მოპოვების იურიდიული საფუძველი, გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლით, კონსტიტუციური შეთანხმების პრეამბულით და სსკ 1509¹ მუხლით.

ისტორიულობის ქვეშ ჩვენ გავაერთიანეთ ორი საკანონმდებლო დეფინიცია. მათგან, მართლმადიდებელ ეკლესიასთან დაკავშირებული - განსაკუთრებული როლი ქვეყნის ისტორიაში, ცალსახად აღიარებული და მიღებულია ქართული სახელმწიფოს მიერ საქართველოს კონსტიტუციით. ამასთან, მართლმადიდებლობა საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდა სახელმწიფო რელიგიას, რაც, ასევე აღიარებულია კონსტიტუციური შეთანხმებით და დასტურდება ისტორიული ფაქტებით (ხეცურიანი, 2013). შესაბამისად, მართლმადიდებლობის შემთხვევაში სახეზეა, როგორც რელიგიის, ასევე რელიგიური გაერთიანების ისტორიულობა. თავად „როლი“ შესაძლოა განისაზღვროს როგორც კულტურულ და სახელმწიფოებრივ პროცესებში პოზიტიური მონაწილეობა. რაც, მეტნაკლები მოცულობით სხვა რელიგიებისა და რელიგიური გაერთიანებების ისტორიულ დამსახურებასაც წარმოადგენს. ამ მხრივ, მოცემული წინაპირობა მჭიდროდ უკავშირდება კიდევ ერთ იურიდიულ საფუძველს - *ეროვნული კულტურის, მსოფლმხედველობისა და ფასეულობების ჩამოყალიბებას*, რაც ქართული კანონმდებლობით კონკრეტულად მართლმადიდებელ ეკლასიათან მიმართებაში მოიხსენიება. ეს უკანასკნელი თავის მხრივ, წარმოადგენს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიული მოღვაწეობის ერთგვარ შედეგს, რაც მთლიანად თავსდება ისტორიულობის, როგორც რელიგიური გაერთიანების მიერ სსიპ რეგისტრირების იურიდიული საფუძვლის ერთი ნაწილში - განსაკუთრებული როლი ქვეყნის ისტორიაში. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ კულტურულის გარდა, საუკუნეების მანძილზე საქართველოში მართლმადიდებელი ეკლესია, როგორც ინსტიტუცია, მჭიდროდ

იყო ჩართული სოციალურ და თვით პოლიტიკურ პროცესებშიც კი. ამ მხრივ ცხადი და გასაგებია ისტორიულობის პირველი ნაწილი - განსაკუთრებული როლი ქვეყნის ისტორიაში. თუმცა, ბუნდოვანებას იწვევს მისი მეორე ნაწილი - ისტორიული კავშირი საქართველოსთან.

თვითონ განსაზღვრება - *ისტორიული კავშირი*, სამართლებრივად თითქმის არაფერს ნიშნავს. ამ განსაზღვრების ირგვლივ დაუსრულებლად და უსაზღვროდ შეიძლება კამათი. მის მიერ მოხაზული სივრცე, თუკი ის საერთოდ შემოსაზღვრავს რაიმე სივრცეს, იმდენად დიდია, რომ დამატებით კიდევ საჭიროებს განსაზღვრებებს. კანონი, სამართლის ნორმა კი მით უფრო ღირებულია, რაც მეტი კონკრეტიკის შემცველია და არ წარმოშობს ურთიერთგამომრიცხავი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. კონკრეტიკის არ არსებობის გამო, ჰიპოთეტური მსჯელობის ფარგლებში, „ისტორიული“, შესაძლოა გაგებულ იქნას, როგორც მრავალსაუკუნოვანი, ასევე რამდენიმე (თუნდაც ერთ) წლიანი პერიოდი; ხოლო „კავშირი“ შეიძლება განიმარტოს, როგორც პოზიტიური (ანუ საზოგადოების, სახელმწიფოს მიერ მიღებული, აღიარებული), ასევე ნეგატიური (მიუღებელი, დაგმოხილი) ისტორიული გამოცდილება, როგორც მჭიდრო და ინტეგრალური, ასევე კულტურული და სახელმწიფოებრივი თუ სოციალური პროცესებისგან გამდგარი და ა.შ. მოკლედ, იურიდიულად მოცემული საფუძველი, უფრო სწორად კი ნორმა, რომელიც ამ საფუძველს ადგენს (სსკ 1509¹ მუხლი) უკიდურესად ბუნდოვანი, გაუგებარი და მრავალგვარად ინტერპრეტირებადია, რაც წარმოადგენს პრობლემებისა და წინააღმდეგობის საფუძველს და არა მათი მოგვარების საშუალებას.

ეროვნული კულტურის, მსოფლმხედველობისა და ფასეულობების ჩამოყალიბება. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ რელიგიური გაერთიანების ისტორიულობის შინაარსი მის სახელმწიფოებრივ, საზოგადოებრივ, კულტურულ და სხვა პროცესებში მონაწილეობას მოიცავს. ეს მონაწილეობა, რა თქმა უნდა, მეტნაკლებ აქტიურობას გულისხმობს, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, სახეზეა ორმხრივად თავისუფალი ჩართულობა. ეს არის ბუნებრივი პროცესი, როდესაც რელიგიური გაერთიანების მიერ შექმნილი კულტურული პროდუქტი (როგორც ნივთიერი, ასევე სულიერი) მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს ქვეყნის კულტურის მთლიანობაში. ასეთი ურთიერთობისას რელიგიური გაერთიანება თითქოს გამოდის საკრალური სივრციდან და პროფანულ პროცესებში მონაწილეობს, მაგრამ უპრიანი

იქნებოდა გვეთქვა, რომ მის მიერ ფორმირებული პროფანული კულტურა თავისი შინაარსით საკრალურობას მაინც არ კარგავს, რადგან ან მის (საკრალურის) მიერ, ან მისთვის (საკრალურისთვის) იქმნება. მეორეს მხრივ, სახელმწიფო რელიგიური გაერთიანების მიერ შექმნილ კულტურულ პროდუქტს, როგორი საკრალური სახიათის მატარებელიც არ უნდა იყოს, მაინც პროფანულად აღიქვამს. მაგალითად, რელიგიათა უმრავლესობისთვის სალოცავი ტაძარი უმთავრესად სულიერ სიწმინდეს წარმოადგენს, სახელმწიფო კი ამ უკანასკნელის სიძველეს ან არქიტექტურულ ღირებულებას ანიჭებს მნიშვნელობას და სხვ. ეს დაუძლეველი განსხვავებაა, რომელიც თავისთავად ბუნებრივია. (Grimm, 2009).

ცალკე უნდა შევხვით მსოფლმხედველობას, როგორც რელიგიური გაერთიანების მიერ ფორმირებულ ფენომენს. მიმდინარე სეკულარული პროცესები თითქოს გამორიცხავს საკითხის მსგავს გააზრებას თანამედროვე პერიოდში და ასეთი კავშირის მაძიებლებს ისტორიული წარსულისკენ მიგვითითებს. თუმცა, ეს არასწორია, რადგან თავად სეკულარიზმი, ისევე, როგორც ლიბერალიზმი, დასავლურ ქრისტიანობაზე აღმოცენებული მსოფლმხედველობებია (Stopler, 2014). მეორეს მხრივ, ისტორიული წარსული სულაც არ არის თანამედროვე პროცესებს იმგვარად მოწყვეტილი, რომ მას გავლენა აღარ ქონდეს ამ უკანასკნელზე. მეტიც, თანამედროვე რეალობა სწორედ იმ მსოფლმხედველობით იქმნება, რომელიც ერში (სამოქალაქო გაგებით) მრავალი საუკუნის მანძილზე ყალიბდებოდა. მხოლოდ საქართველოს ისტორიის შესწავლაც კი კმარა იმისთვის, რომ კავშირი ეროვნულ მსოფლმხედველობასა (მათ შორის სოციალური და პოლიტიკურიც კი) და ერში მიმდინარე რელიგიურ პროცესებს შორის ცხადად გამოჩნდეს. ქართულმა საზოგადოებამ და სახელმწიფომ მრავალი საუკუნის წინ გააკეთა არჩევანი ქრისტიანულ რელიგიასა და შესაბამისად დასავლეთზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ არჩევანის რეალიზება საუკუნეების მანძილზე ურთულეს ამოცანას წარმოადგენდა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველო საკუთარი არჩევანის ერთგული ბოლომდე დარჩა, რისი ცხადი მაგალითიც, საქართველოს თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებაა. ქრისტიანული მსოფლმხედველობა საუკუნეების მანძილზე თითქმის ყველა სოციალური და პოლიტიკური პროცესის განმსაზღვრელი იყო. თავისთავად, ქრისტიანობის დომინირებამ არ უნდა შთანთქას სხვა რელიგიებისა და რელიგიური გაერთიანებების როლი ამ პროცესებში. (ხეცურიანი, 2013)

სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს ქვეყნის ცხოვრებაში მიმდინარე პროცესების დაკავშირებას ეროვნულ მსოფლმხედველობასთან და ამით უზრუნველყოს თვითმყოფადობა, რისთვისაც უპირველეს ყოვლისა, ეს უკანასკნელი უნდა იყოს დაცული. ამ მიზნით სახელმწიფო ქმნის სამართლებრივ მექანიზმებს და გარანტიებს, რომლებიც ამ მსოფლმხედველობის წარმომშობი და დამცველი წყაროების ფუნქციონირებას უზრუნველყოფს. სწორედ ამ წყაროებიდან ერთ-ერთ ჯგუფს წარმოადგენს რელიგიური გაერთიანებები, რომელთა ფუნქციონირების უზრუნველყოფა, ამ მხრივ, ეროვნულ მნიშვნელობას იძენს. ამ ფასეულობებიდან რელიგიის მიერ ფორმირებულად უმთავრესად ალბათ სოციალური ურთიერთობები უნდა გამოვყოთ.

სამწუხაროდ, განხილული კრიტერიუმი, როგორც სამართლებრივი ნორმა, დაკავშირებულია მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან და მას საერთო სავალდებულო ხასიათი არ აქვს, რაც, რელიგიის სფეროს მარეგულირებელი ქართული კანონმდებლობის კიდევ ერთი უდიდესი ხარვეზია. თავისი არსით, კონსტიტუციური შეთანხმების პრეამბულაში გადმოცემული ეს კრიტერიუმი, უფრო მეტად ზოგადი შინაარსისა და ფორმის მატარებელია, ვიდრე - კონკრეტული. კონსტიტუციური შეთანხმების ტექსტი, მე-7-მე-9 მუხლები, ასევე მოიცავს სხვა განსაზღვრებებს, რომლებიც პრეამბულის ტექსტან ერთად, რელიგიური გაერთიანების საერთო ეროვნულ კულტურულ პროცესებში სრულფასოვან მონაწილეობაზე ნათლად მიუთითებენ, კერძოდ „სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებულ მართლმადიდებლურ ტაძრებს, მონასტრებს (მოქმედს და არამოქმედს), მათ ნანგრევებს, აგრეთვე, მიწის ნაკვეთებს, რომლებზეც ისინია განლაგებული; ზემოაღნიშნულ ნაგებობათა დაცვის ზონები, მათი მოვლა-პატრონობისა და სარგებლობის წესები განისაზღვრება შესაბამისი სახელმწიფო სამსახურის მიერ მოქმედი კანონმდებლობით და ეკლესიასთან შეთანხმებით; სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს სახელმწიფო დაცვაში (მუზეუმებში, საცავებში) მყოფ საეკლესიო საგანძურს (კერძოდ საკუთრებაში არსებული ნაწილის გარდა); ზემოაღნიშნული საეკლესიო საგანძური, როგორც საერთო-ეროვნული საგანძურის ნაწილი, არის სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთობლივ მფლობელობაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად (წმიდა ნაწილებისა და წმიდა რელიკვიების გარდა); სახელმწიფო და ეკლესია ერთობლივად ზრუნავენ ისტორიულ-კულტურული და არქეოლოგიურ-არქიტექტურული ფასეულობების მქონე საეკლესიო

ნაგებობებისა და საეკლესიო საგანძურის სათანადო დაცვისა და მოვლა-პატრონობისათვის; სახელმწიფო ეკლესიასთან შეთანხმებით, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ამტკიცებს დამატებით წესებს მუზეუმებსა და საცავებში დაცული საეკლესიო საგანძურის სარგებლობის შესახებ, ასევე კულტურულ-ისტორიული ღირებულებების მქონე ტაძრების აღდგენის, რესტავრაცია-კონსერვაციის ან მოხატვის პროექტებს.“

მოცემული სამართლებრივი განსაზღვრებების შეჯერებით და სხვადასხვა ქვეყნის საკანონმდებლო გამოცდილების გონივრული გაზიარების შემთხვევაში, შესაძლებელია ჩამოყალიბდეს ზოგადი სამართლებრივი კრიტერიუმი, რომელიც რელიგიური გაერთიანებისთვის შესაბამისი სამართლებრივი სტატუსის მინიჭების საფუძვლად გაითვალისწინებს ეროვნული კულტურის, მსოფლმხედველობისა და ფასეულობების ჩამოყალიბებაში მისი მონაწილეობის მასშტაბებსა და შეტანილი წვლილის მოცულობას.

მიმდევართა რაოდენობა, რელიგიური გაერთიანების მიერ გარკვეული სამართლებრივი სტატუსის მოპოვებისას, როგორც იურიდიული საფუძველი, მრავალი ევროპული ქვეყნის საკანონმდებლო მოთხოვნას წარმოადგენს. სხვადასხვა ქვეყანაში მიმდევართა რაოდენობა შესაძლოა განსხვავდებოდეს, მაგრამ ძირითად შემთხვევებში, ეს რაოდენობა რამდენიმე ასეულს არ ცდება. ამ მოთხოვნის, ისევე როგორც, ისტორიული ხანდაზმულობის განსაზღვრისას, ქვეყნები ხელმძღვანელობენ (უნდა ხელმძღვანელობდნენ) ზოგადი საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტით, რომლის თანახმადაც რელიგიური გაერთიანების მიერ ამა თუ იმ სამართლებრივი სტატუსის მოპოვებისთვის არ შეიძლება დადგინდეს განსაკუთრებით მკაცრი მოთხოვნები. (გაეროს, ევროსაბჭოს, ეუთოს, ვენეციის კომისიისა და ოსლოს კოალიციის დოკუმენტები რელიგიის თავისუფლების შესახებ. 2015. გვ: 94-131).

ქართულ კანონმდებლობაში მიმდევართა რაოდენობა, როგორც რელიგიური გაერთიანების სამართლებრივი მდგომარეობის საფუძველი, მხოლოდ მართლმადიდებელ ეკლესიასთან მიმართებით, კერძოდ კონსტიტუციური შეთანხმების პრეამბულაში გვხვდება. ამ შემთხვევაშიც მიმდევართა რაოდენობა წარმოადგენს არა ზოგად მოთხოვნას - იურიდიულ საფუძველს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს რელიგიური გაერთიანება, რათა მან შესაბამისი სამართლებრივი სტატუსი მოიპოვოს, არამედ არსებულ რეალობას. რაც

გვაფიქრებინებს, რომ მოცემული დათქმა - საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მართმადიდებელი ქრისტიანია, დოკუმენტის ტექსტში გაკეთდა არა იმის გამო, რომ მიმდევართა რაოდენობა აუცილებელ სამართლებრივ მოთხოვნად - იურიდიულ საფუძვლად გააზრებული, არამედ ამ დათქმით უბრალოდ დაფიქსირდა რეალურად არსებული მდგომარეობა. ნებისმიერ შემთხვევაში, რელიგიის სფეროს მარეგულირებელ ქართულ კანონმდებლობაში მიმდევართა რაოდენობის თუნდაც ამგვარი ფორმით შემოტანა გვადლევს იმედს, რომ სამომავლოდ იურიდიული აზრი სწორედ ამ მიმართულებით განვითარდება და დროთა განმავლობაში აღნიშნული მოთხოვნა რელიგიური გაერთიანებების მიერ გარკვეული სამართლებრივი სტატუსის მოპოვების ზოგად იურიდიულ საფუძვლად იქცევა.

ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში კანონმდებლობით რელიგიად მიჩნევა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509¹ მუხლი რელიგიური გაერთიანებისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მოპოვების ერთ-ერთ იურიდიულ საფუძვლად ამ რელიგიური მიმდინარეობის ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში კანონმდებლობით რელიგიად მიჩნევას განსაზღვრავს. უპირველეს ყოფლისა უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის აღნიშნული დათქმა (მუხლი 1509¹.4.) ტექსტობრივად გაუმართავია, რაც ერთგვარ ბუნდოვანებას ქმნის. ტექსტში ვკითხულობთ:

„საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო უფლებამოსილია საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დაარეგისტრიროს (...) ის რელიგიური მიმდინარეობა, რომელიც ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში კანონმდებლობით მიჩნეულია რელიგიად.“

მნიშვნელოვან ყურადღებას იმსახურებს მოცემული ნორმის ბლანკეტური ხასიათი, რომელიც ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების შესაბამის კანონმდებლობაზე ახდენს გადამისამართებას. ასეთ შემთხვევაში წარმოიშვება ორი მნიშვნელოვანი დაბრკოლება. პირველ შემთხვევაში, შესაძლოა დადგეს ისეთი რელიგიური გაერთიანების რეგისტრაციის პრობლემა, რომელიც ასეთი რეგისტრაციით სარგებლობს მოცემული კატეგორიის ერთ-ერთ ქვეყანაში, მეორეში კი არა. გაუგებარი იქნება რომელი პრეცედენტით უნდა

იხელმძღვანელოს ქართულმა მხარემ. კანონმდებლის ზოგადი განწყობის გათვალისწინებით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს უკანასკნელი დადებით პრეცედენტის მხარეს იქნება. მიუხედავად ამისა, რჩება კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც უკავშირდება რელიგიური გაერთიანების სამართლებრივი სტატუსის დიფერენციაციას ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში. ამ ქვეყნების კანონმდებლობა რელიგიური გაერთიანებებისთვის უმრავლეს შემთხვევაში სხვადასხვა დონის სამართლებრივ სტატუსს ადგენს, ქართული კანონმდებლობა კი მხოლოდ ერთს. ჩნდება კითხვა: მხოლოდ იმ პრეცედენტით უნდა ვიხელმძღვანელოთ, რომელიც ჩვენი კანონმდებლობით განსაზღვრულ სტატუსს - საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, შეესაბამება თუ სხვითაც?

მეორე დაბრკოლება უფრო სიღრმისეული ხასიათისაა. პრობლემას წარმოადგენს უცხო ქვეყნის კანონმდებლობის უპირობო იმპლემენტაცია ეროვნულ კანონმდებლობაში. მოცემული დასარეგულირებელი საკითხისადმი არაარსებითი მიდგომის მკაფიო ილუსტირირებაა. ეროვნული კანონმდებლობის უმთავრესი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ის უნდა ასახავდეს და შეესაბამებოდეს ეროვნულ რეალობას, ამ ცნების ფართო გაგებით. სწორედ ამ ნიშნით, თავად ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების კანონმდებლობა, მათ შორის რელიგიის სფეროს რეგულირების ნაწილში, ხშირ შემთხვევაში, მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან. მნიშვნელოვანია, რომ ქართული სახელმწიფო ორიენტირად ევროპულ სივრცეს ირჩევს, მაგრამ უკეთესი იქნებოდა კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან მიახლოებისას გვეხელმძღვანელა არა კონკრეტული ქვეყნების მაგალითებით, არამედ ზოგადევროპული მნიშვნელობის საერთაშორისო კანონმდებლობითა და საერთაშორისო პრინციპებით. ასეთ შემთხვევაში მოვახერხებთ დავიცვათ ევროპული სტანდარტები და გავითვალისწინოთ ეროვნული რეალობა, რაც კანონმდებლობის გამართული ფუნქციონირების საფუძველი და გარანტი გახდება.

ცალკე საკითხს წარმოადგენს იმ ორგანოს (თანამდებობის პირის) კომპეტენცია, რომლის უფლებამოსილებასაც სსკ-ით გათვალისწინებული იურიდიული საფუძვლების დადგენა წარმოადგენს. გარდა კომპეტენციისა, მნიშვნელოვანია კრიტერიუმების არარსებობა. ისტორიული კავშირის დადგენის კრიტერიუმი, როგორც ავლნიშნეთ, არ არსებობს, ხოლო რელიგიური გაერთიანების სადამფუძნებლო დოკუმენტის მინიმალური მოთხოვნები არც

ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში კანონმდებლობით რელიგიად მიჩნევის მითითებას მოითხოვს. ასეთ შემთხვევაში, რჩება მხოლოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შიდა რეგულაციები - ინსტრუქციები, რაც განსაზღვრავდა ისტორიული კავშირის ან მოცემული კატეგორიის ქვეყნებში კანონმდებლობით რელიგიად მიჩნევის დადგენის პროცედურებს. მსგავსი ინსტრუქციები და პროცედურები არც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შიდა აქტებით არ არის განსაზღვრული.

2.5. რელიგიური გაერთიანების სამართლებრივი სტატუსის შემადგენელი უფლებები

საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მაგალითზე ჩვენ განვიხილეთ რელიგიური გაერთიანების რეგისტრაციის საფუძვლების, სამართლებრივი სტატუსისა და თანმდევი უფლებების სისტემურობა, პრაქტიკული შინაარსის ჩათვლით. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული რელიგიური გაერთიანებების სტატუსთან დაკავშირებული უფლებები, როგორც ასეთი, მნიშვნელოვან სამართლებრივ ინსტიტუტს არ წარმოადგენს. თუ არ ჩავთვლით საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად რეგისტრირებული რელიგიური ორგანიზაციების მიმართ არსებულ საგადასახადო შეღავათებს, პრაქტიკულად ეროვნული კანონმდებლობა სხვა სახის უფლებრივ ან ვალდებულებით დატვირთვას რელიგიური გაერთიანების სამართლებრივ სტატუსთან არ აკავშირებს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად რელიგიური საქმიანობა არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას და შესაბამისად, მასზე არ ვრცელდება საგადასახადო ვალდებულებები. უშუალოდ რელიგიური საქმიანობას კი, კოდექსის თანახმად (მუხლი 11), წარმოადგენს:

1. რელიგიურ საქმიანობად ითვლება დადგენილი წესით რეგისტრირებული რელიგიური ორგანიზაციის (გაერთიანების) საქმიანობა, რომლის მიზანია

აღმსარებლობისა და სარწმუნოების გავრცელება, მათ შორის, ისეთი გზით, როგორცაა:

ა) რელიგიური წეს-ჩვეულებების, ცერემონიების, ლოცვების, სხვა საკულტო მოქმედებათა ორგანიზება და ჩატარება;

ბ) მორწმუნეთათვის შესაძლებლობის მიცემა, ჰქონდეთ ან გამოიყენონ სამლოცველო შენობები და სარიტუალო ნაგებობები რელიგიურ მოთხოვნათა როგორც ერთობლივად, ისე ინდივიდუალურად დასაკმაყოფილებლად;

გ) რელიგიური დელეგაციების, მომლოცველების, სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლების მიღებისა და გამგზავრების ორგანიზება, ეროვნული და საერთაშორისო რელიგიური თათბირების, ყრილობების, სემინარების ორგანიზება, ამ ღონისძიებათა ჩატარების პერიოდში მათი მონაწილეების სასტუმროებით (სხვა საცხოვრებლით), ტრანსპორტით, კვებითა და კულტურული მომსახურებით უზრუნველყოფა;

დ) მონასტრების, სამონასტრო ეკლესიების, სასულიერო-სასწავლო დაწესებულებების შენახვა, ამ სასულიერო-სასწავლო დაწესებულებების მოსწავლეთა და მსმენელთა სწავლება, საქველმოქმედო ორგანიზაციების (სავადმყოფოები, თავშესაფრები, მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლები) შენახვა, აგრეთვე კანონიკური წესებით განპირობებული სხვა ანალოგიური საწესდებო საქმიანობა.

2. რელიგიურ საქმიანობას უთანაბრდება იმ რელიგიური ორგანიზაციების (გაერთიანებების) საწარმოთა საქმიანობა, რომლებიც გამოსცემენ რელიგიურ (საღვთისმსახურო) ლიტერატურას ან აწარმოებენ რელიგიური დანიშნულების საგნებს; ამ ორგანიზაციების (გაერთიანებების) ან მათი საწარმოების საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია რელიგიური (საღვთისმსახურო) ლიტერატურის ან რელიგიური დანიშნულების საგნების რეალიზაციასთან (გავრცელებასთან); აგრეთვე ასეთი საქმიანობით მიღებული ფულადი სახსრების გამოყენება რელიგიური საქმიანობის განსახორციელებლად.“

ამდენად, საქართველოს საგადასახადო კოდექსი ადგენს, რომ მხოლოდ კანონით განსაზღვრული წესით რეგისტრირებული რელიგიური ორგანიზაციის მიერ განხორციელებული გარკვეული საქმიანობა არ წარმოადგენს რელიგიურ საქმიანობას. შესაბამისად, კანონით დადგენილი წესით ანუ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509¹ მუხლის შესაბამისად რელიგიურ გაერთიანებად რეგისტრირება, მიუხედავად მისი სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმისა (იქნება ეს სსიპ თუ ა(ა)იპ) წარმოადგენს საფუძველს მის მიმართ გავრცელდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ფინანსური რეგულაციები (შეღავათები).

უშუალოდ რელიგიური გაერთიანების კონკრეტულ სამართლებრივ სტატუსთან, სამართლებრივ-ორგანიზაციულ ფორმასთან (სსიპ, ა(ა)იპ) დაკავშირებული უფლებრივი შინაარსი საქართველოს კანონმდებლობაში 2014 წელს გაჩნდა. საქართველოს მთავრობის N117 დადგენილებით (27.01.2014) დამტკიცდა „საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების წესი.“ ამ წესის თანახმად საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანი ნაწილობრივ აუნაზღაურდება მხოლოდ იმ რელიგიურ გაერთიანებებს, რომლებიც ამ დადგენილების მიღებამდე საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით არიან რეგისტრირებული (მუხლი 1.3.):

„ეს წესი ვრცელდება საქართველოში ამ დადგენილების მიღებამდე საჯარო სამართლის იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმით რეგისტრირებულ ისლამური, იუდეური, რომაულ-კათოლიკური და სომხური სამოციქულო აღმსარებლობის მქონე რელიგიურ გაერთიანებებზე.“

ამ კონკრეტული ნორმის ანალიზისას ჩვენს ინტერესს არ წარმოადგენს უშუალოდ პირთა წრის კონფესიური შემადგენელი (ისლამური, იუდეური, რომაულ-კათოლიკური და სომხური სამოციქულო აღმსარებლობის მქონე რელიგიურ გაერთიანებები), არამედ, მისი შეზღუდვის ის ნაწილი, რომელიც პირთა წრეს რელიგიურ გაერთიანების სამართლებრივ სტატუსთან საჯარო სამართლის იურიდიულ პირად რეგისტრირებასთან აკავშირებს. ეს ნორმა, ნამდვილად წარმოადგენს რელიგიური გაერთიანების სამართლებრივ სტატუსთან

დაკავშირებულ უფლებრივ კატეგორიას. აღნიშნული დადგენილება, როგორც ამ მხრივ, ასევე, რელიგიური გაერთიანებებისთვის ფინანსური მხარდაჭერის შინაარსით, უმნიშვნელოვანესი სიახლეა და ამდენად სათანადო ანალიზს მოითხოვს.

ზოგადად დადგენილება არ განიხილავს ზარალს, როგორც გაზომვად კატეგორიას, არამედ, როგორც აბსტრაქციას, საბჭოთა პერიოდში რელიგიური გაერთიანებებისა და მორწმუნეთა დევნის საყოველთაოდ აღიარებულ ფაქტს, ზოგად გარემოებას - „საქართველოს მთავრობა აღიარებს საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებულ ზიანს“ (მუხლი 1.2.)

დადგენილების მიღებისას სახელმწიფოს საკუთარი გადაწყვეტილებისთვის საფუძველად არ დაუდია „ზარალის ფაქტი“, როგორც გაზომვადი კატეგორია არამედ, პირიქით, პირდაპირ მიუთითა, რომ:

„საქართველოს მთავრობა ადასტურებს, რომ უცნობია საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ზუსტი ოდენობა და ამდენად ზიანის ანაზღაურება განხორციელდება სიმბოლურად“ (მუხლი 2.1.ა. და 2.1.ბ.)

შესაბამისად, სახელმწიფო კმაყოფილდება ზარალის აბსტრაქტული ფაქტით, როგორც საყოველთაოდ აღიარებული ისტორიული მოვლენით. ამდენად, აღიარება ზარალის მიყენების შესახებ სხვა არაფერია თუ არა მოცემულ პერიოდში რელიგიური გაერთიანებების დევნის საყოველთაოდ ცნობილი ისტორიული ფაქტის აღიარება. შესაბამისად, ამ დადგენილების საფუძველზე რომელიმე რელიგიის მიმართ სიმბოლური ანაზღაურების ფარგლებში ზარალის შესახებ მსჯელობა უნდა იყოს, ასევე აბსტრაქტული და საყოველთაოდ აღიარებული უდავო ფაქტიდან გამომდინარე და არა კონკრეტული რელიგიების კონკრეტულ ზარალთა დათვლიდან.

მოცემული დადგენილების ფარგლებში, ასევე საყურადღებოა „სახელმწიფოს ვალდებულება“ საბჭოთა პერიოდში რელიგიური გაერთიანებებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღნიშნოს, რომ საქართველოს

სახელმწიფო არაა სსრკ-ს სამართალმემკვიდრე და შესაბამისად, მის მიერ მიყენებულ ზარალზე პასუხისმგებელი სუბიექტი. თუმცა, „სამართლიანობის პრინციპზე“ დაყრდნობით ის გრძნობს მორალურ ვალდებულებას ხელი შეუწყოს მისი მოქალაქეების ნეგატიური მდგომარეობის გამოსწორებას.

რამდენადაც სახელმწიფოს არ აინტერესებს ზარალის ოდენობა, როგორც გაზომვადი კატეგორია, არამედ, როგორც აბსტრაქტული ისტორიული ფაქტი, „ანაზღაურებას“ შეუსაბამებს არა გაზომვად ზარალს, არამედ საყოველთაოდ აღიარებულ ფაქტს. ამასთან, რელიგიური დევნის ისტორიული ფაქტი წარმოადგენს „ანაზღაურების“ პოლიტიკის მხოლოდ პირველად ზოგად საფუძველს, კონკრეტულ გაზომვად საფუძველად კი სახელმწიფო მიიჩნევს დევნის და ზარალის შედეგებს აწმყოში. საბჭოთა პერიოდში მიყენებულმა ზარალმა აწმყოში გამოუსწორებელი შედეგები დაუყენა ამ ოთხ კონფესიას ანუ ოთხ რელიგიურ თემს და სახელმწიფომ სამართლიანად მიიჩნია, საკუთარი პოზიციური ვალდებულებების გათვალისწინებით, ხელი შეუწყოს ბენეფიციარ რელიგიურ თემებს მიკუთვნებული საკუთარი მოქალაქეების რელიგიური უფლებების განხორციელებას. სწორედ ამ მიზნით სახელმწიფო უბრუნებს საკულტო ნაგებობებს (არა როგორც მათ ჩამორთმევაზე - ზარალზე, პასუხისმგებელი სუბიექტი, არამედ, როგორც ჩამორთმეული ქონების ფაქტობრივი მფლობელი) მათ შორის, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას და გამოყოფს თანხებს იმ მდგომარეობასთან მიახლოებაში ხელშესაწყობად, რაც ამ რელიგიურ თემებს დევნის და საყოველთაოდ აღიარებული ქონებრივი და მორალური ზიანის არ არსებობის შემთხვევაში აწმყოში ექნებოდათ. მნიშვნელოვანია, რომ მსგავსი სამართლებრივი ლოგიკა საფუძველად უდევს არ მხოლოდ მოცემულ დადგენილებას, არმედ კონსტიტუციურ შეთანხმებასაც საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის (მუხლი 11), რომელზე ბმასაც თავად დადგენილებაც ახდენს:

„სახელმწიფო ადასტურებს XIX-XX საუკუნეებში (განსაკუთრებით 1921-90 წლებში), სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის პერიოდში, ეკლესიისათვის მატერიალური და მორალური ზიანის მიყენების ფაქტს. როგორც ჩამორთმეული ქონების ნაწილის ფაქტობრივი მფლობელი, იღებს ვალდებულებას მატერიალური

ზიანის ნაწილობრივ კომპენსაციაზე (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება 183; 12.04.90).“

ამდენად, სახელმწიფო თანხებს შეუსაბამებს არა ზარალის ოდენობას, არამედ თანამედროვე პერიოდში არსებულ საჭიროებებს, რომლებიც ზარალის შედეგად წარმოიშვა. ამ მხრივ სახელმწიფო დათვლად კრიტერიუმად განიხილავს დღეს მოქმედი რელიგიური გაერთიანებების მიმდევართა, სასულიერო პირთა და საკულტო ნაგებობათა რაოდენობას, როგორც სივრცეს, რომლის მიმართაც მას, საკუთარი ნებით, სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე აღებული აქვს მორალური ვალდებულებები. ცხადია, ასეთ პირობებში სახელმწიფო ანაზღაურების ორიენტირად ვერ დაადგენდა იმ გარემოებას, რომელზეც ის არ არის პასუხისმგებელი, ნაცვლად ამისა, სახელმწიფომ განსაზღვრა საკუთარი პასუხისმგებლობის, საკუთარ მოქელაქეთა მიმართ პოზიტიური ვალდებულების სივრცე, რაც მათთვის რელიგიური საჭიროებების ნაწილობრივ უზრუნველყოფაში გამოიხატება.

3.5. შეჯამება

კვლევის მოცემულ ნაწილში ჩვენი მიზანი იყო საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის აღწერა და ანალიზი. ამ მიზნით, ჩვენ შევარჩიეთ სამართლებრივი აქტები, რომლებიც 1995 წლიდან (საქართველოს კონსტიტუცია) თანამედროვე პერიოდამდე - 2014 წლამდე (მთავრობის დადგენილება N117. 27.01.2014) მოიცავს იმ მწირ სამართლებრივ რეგულირებებს, რაც საქართველოში რელიგიური გაერთიანების რეგისტრირების, შესაბამისი სამართლებრივი სტატუსის მოპოვებისა და თანმდევი უფლებამოსილებებით აღჭურვას უკავშირდება.

საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩოს აღწერამ და ანალიზმა წარმოაჩინა, რომ მოქმედი კანონმდებლობა რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივ მდგომარეობას ვერ აყალიბებს სისტემური სახით, კერძოდ, ბმა რელიგიური გაერთიანების დაფუძნების, სტატუსის მოპოვებისა და თანმდევი უფლებების შეძენის მხრივ პრაქტიკულად არ არსებობს. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, რომლის

მიმართაც კანონმდებლობა გარკვეულ სისტემურობას ავლენს, თუმცა, ამ მხრივაც, კანონმდებლობის არასრულყოფილი სისტემურობა უფრო მისი განვითარების შედეგია, ვიდრე რეგულირების პრინციპული საფუძველი.

კრიტიკულ შეფასებას იმსახურებს, ასევე, რელიგიური გაერთიანებების რეგისტრირების ის საფუძველები და პროცედურა, რასაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს. უპირველეს ყოვლისა, ხაზგასასმელია კანონმდებლის არასათანდო მიდგომა, რეგისტრირების საფუძველების ბუნდოვანება და სათანადო პროცედურების არარსებობა.

მნიშვნელოვანია, ასევე, ისიც, რომ რელიგიური გაერთიანებების მიერ ამა თუ იმ სამართლებრივი სტატუსის მოპოვებას თან არ სდევს სისტემური უფლებრივი კატეგორიები და სტატუსები ამ ნაწილში ერთმანეთისგან არ განსხვავდება. მაშინ, როდესაც სამართლებრივი სტატუსები ერთმანეთისგან განსხვავდება, მათი თანმდევნი უფლებრივი სივრცე, სამართლებრივი ლოგიკიდან გამომდინარე, ასევე, თუნდაც მცირედად, მაგრამ მაინც აუცილებლად უნდა განსხვავდებოდეს.

ზოგადად, უნდა ითქვას, რომ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივ მდგომარეობას სათანადოდ ვერ არეგულირებს, რაც გამოიხატება, როგორც სათანადო რეგულაციების არარსებობაში, ასევე, არსებული ნორმების სამართლებრივ გაუმართაობაში. აღნიშნული ცალსახად უნდა შეფასდეს რელიგიის სფეროს და კერძოდ, რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი მდგომარეობის არასისტემურ რეგულირებად. სწორედ მოცემული მდგომარეობა წარმოადგენს ჩვენი კვლევის ძირითად პრობლემას, რომლის გადაწყვეტის გზებსაც შემდეგ თავში ჩამოვაცალიებთ.

4. დასკვნა - რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი მდგომარეობის სისტემური რეგულირება

მოცემული თავი წარმოადგენს ჩვენი კვლევის დასკვნით ნაწილს, რომელშიც ჩვენ წინა თავებში აღწერილი და გაანალიზებული საკითხების ფონზე თანმიმდევრულად ჩამოვყალიბებთ რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი მდგომარეობის სისტემური საკანონმდებლო რეგულირების ჰიპოთეზას და მოვახდენთ მის არგუმენტირებას.

მოცემული ჰიპოთეზა, ფორმულის სახით ასე განისაზღვრება: ფაქტობრივი მდგომარეობა (რეალური საფუძვლები) - შესაბამისი სამართლებრივი სტატუსი (რეგისტრაციის წესი, მინიჭებული სამართლებრივი სტატუსი) - შესაბამისი უფლებრივი და ვალდებულებითი მდგომარეობა (საქმიანობის წესი).

ჰიპოთეზის უმთავრეს არგუმენტს რელიგიური გაერთიანებებისთვის და მათი მიმდევრებისთვის რელიგიისა და რწმენის თავისუფლებით გარანტირებული უფლებების სრულყოფილად სარგებლობა წარმოადგენს, ხოლო რეგულირების ყველაზე ქმედით საშუალებას - სპეციალური კანონი რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შესახებ.

4.1. რელიგიური გაერთიანება

მსჯელობა რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივ მდგომარეობაზე შეუძლებელია უშუალოდ რელიგიური გაერთიანების არსის განმარტების გარეშე დაიწყოს. როგორც წინა თავში უკვე აღინიშნა რელიგიური გაერთიანების ცნება უპირველეს ყოვლისა თავად რელიგიის ცნებისგან უნდა გაიმიჯნოს, რამდენადაც ამ უკანასკნელის სამართლებრივი დეფინიცია და მკაცრ საკანონმდებლო ჩარჩოში მოქცევა შეუძლებელია.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისისა და ვენეციის კომისიის მიერ ერთბლივად მომზადებულ სახელმძღვანელოში - რელიგიასთან ან რწმენასთან დაკავშირებული კანონმდებლობის გადახედვის ინსტრუქცია, ტერმინის რელიგია დეფინიციასთან დაკავშირებით აღნიშნულია:

„კანონმდებლობაში ხშირად ვხვდებით „რელიგიის“ ცნების ან მასთან დაკავშირებული ცნებების („სექტები“, „კულტები“, „ტრადიციული რელიგია“ და ა. შ.) განმარტების მცდელობას. საერთაშორისო სამართალში ამ ცნებების საყოველთაოდ მიღებული განმარტებები არ არსებობს და ბევრი სახელმწიფო აწყდება სირთულეებს მათი განმარტებისას. არსებობს მტკიცება, რომ ამ ცნებების განმარტება შეუძლებელია იურიდიული მნიშვნელობით, რადგან რელიგიის ცნება შინაგანად ბუნდოვანია. განმარტებასთან დაკავშირებით საერთო შეცდომაა იმის მოთხოვნა, რომ აუცილებელია რწმენა ღმერთისადმი რათა, ესა თუ ის რელიგიად მივიჩნიოთ. ყველაზე მკაფიო კონტრმაგალითებია კლასიკური ბუდიზმი, რომელიც თეისტური არაა, და ინდუიზმი, რომელიც პოლითეისტურია. გარდა ამისა, ისეთი ცნებები, როგორცაა „სექტა“ და „კულტი“, უფრო ხშირად დამამცირებელი ფორმით გამოიყენება, ვიდრე ანალიტიკურით. თუ კანონმდებლობა განმარტებებს შეიცავს, ტექსტი ყურადღებით უნდა შემოწმდეს იმისათვის, რომ ეს განმარტებები არ იყოს დისკრიმინაციული და ზოგ რელიგიას ან ფუნდამენტურ რწმენას არ ამცირებდეს სხვათა ხარჯზე.“ (გაეროს, ევროსაბჭოს, ეუთოს, ვენეციის კომისიისა და ოსლოს კოალიციის დოკუმენტები რელიგიის თავისუფლების შესახებ. 2015. გვ: 45-93).

ამდენად, ტერმინ რელიგიის სამართლებრივი დეფინიცია მთელ რიგ პრობლემებს წარმოშობს, რაც ხშირ შემთხვევაში აზიანებს მთლიანად რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ერთიან სფეროს. ციტირებული საფუძვლების გარდა, ტერმინ რელიგიის იურიდიული ან თუნდაც სხვა სახის განმარტება, კიდევ ერთ დაუძლეველ წინააღმდეგობას აწყდება. კერძოდ, თუ დავუშვებთ, რომ უნდა არსებობდეს ამა თუ იმ იდეოლოგიის ან მრწამსის რელიგიურობის შემოწმების შესაძლებლობა, მაშინ მისი კრიტერიუმების გამოყვანა აუცილებლად მოგვიწევს არსებული რელიგიური დოქტრინების მახასიათებლებიდან. რაც, ერთის მხრივ, გაართულებს მათ ფორმულირებას, რადგან გასათვალისწინებელი იქნება უამრავი სხვადასხვა სახის და ხშირ შემთხვევაში ურთიერთგამომრიცხვი ელემენტი, ხოლო, მეორეს მხრივ, დეფინიცია ამოიწურება არსებული ცოდნით და შეზღუდავს რელიგიის სფეროში სიახლეების სამართლებრივ აღიარებასა და დამკვიდრებას.

მნიშვნელოვანია აგრეთვე ის ფაქტორი, რომ რელიგიის თავისუფლება დიდწილად უკავშირდება არა თავად რელიგიურ დოქტრინებს, არამედ ადამიანის შინაგან რწმენის ფენომენს, რაც, როგორც ადამიანის ბუნებითი თვისება, არ შემოიფარგლება მხოლოდ რელიგიური მრწამსებით. ამდენად, რელიგიის თავისუფლება, როგორც სამართლებრივი კატეგორია, რომელიც ადამიანის შინაგანი რწმენის ფენომენიდან გამომდინარეობს, არსებითად სწორედ ამ ფენომენის ფართო გაგებაზე დგას და მოიცავს ყველა სახის მრწმასს და რიგ რწმენისმიერ პრაქტიკას. შედეგად, საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩო რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ფორმულირებით ჩამოყალიბდა, რამაც მოიცვა ყველა რწმენისმიერი კატეგორია, მათ შორის, ხაზგასმით რელიგიური რწმენა. შესაბამისად, რელიგიისა და რწმენის თავისუფლება, თანამედროვე გაგებით:

„იცავს თეისტურ, არათეისტურ და ათეისტურ რწმენას, ისევე როგორც არცერთი რელიგიის ან რწმენის არაღიარების უფლებას. ტერმინები რწმენა და რელიგია გამოყენებულია ფართო გაგებით (...) [და] არ იზღუდება ტრადიციული რელიგიებით ან ინსტიტუციური მახასიათებლებით ან პრაქტიკით, ტრადიციული რელიგიების ანალოგიური რელიგიებითა და რწმენებით.“ (გაეროს, ევროსაბჭოს, ეუთოს, ვენეციის კომისიისა და ოსლოს კოალიციის დოკუმენტები რელიგიის თავისუფლების შესახებ. 2015. გვ: 35-38).

რელიგიური თემის ორგანიზება რელიგიური გაერთიანების სახით წარმოადგენს რელიგიისა და რწმენის თავისუფლებით დაცული უფლებებით კოლექტიურად სარგებლობის უზრუნველყოფის საშუალებას და ამდენად, პირდაპირ გამომდინარეობს რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ერთიანი უფლებრივ-სამართლებრივი სივრციდან. რელიგიური გაერთიანების ფორმირება რელიგიური თემს საშუალებას აძლევს სამართლებრივ სივრცეში მოქმედებდეს, როგორც ერთიანი სუბიექტი და სარგებლობდეს ეროვნული კანონმდებლობით იურიდიული პირისთვის გათვალისწინებული ყველა უფლებით.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ოფისისა და ვენეციის კომისიის მიერ ერთბლივად მომზადებულ დოკუმენტში - სახელმძღვანელო პრინციპები რელიგიური და რწმენის თემების სამართლებრივი ფორმების შესახებ, განმარტებულია, რომ:

„ამ დოკუმენტის მიზნებისთვის, „რელიგიური ან რწმენის ორგანიზაციები“ არიან რელიგიური და რწმენის თემები, რომლებიც ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში აღიარებული არიან, როგორც დამოუკიდებელი იურიდიული პირი.“ (გაეროს, ევროსაბჭოს, ეუთოს, ვენეციის კომისიისა და ოსლოს კოალიციის დოკუმენტები რელიგიის თავისუფლების შესახებ. 2015. გვ: 94-131).

ამდენად, ჩვენი კვლევის ფარგლებში რელიგიურ გაერთიანებას განვსაზღვრავთ, როგორც ერთი და იგივე რელიგიური მრწამსის მქონე პირთა გაერთიანებას, რომელიც აღიარებულია კანონით ან რეგისტრირებულია კანონით დადგენილი წესით ან საქმიანობას ეწევა, როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული არარეგისტრირებული კავშირი და რომელზეც ვრცელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები.

აქვე, აუცილებელია განიმარტოს, რომ რელიგიისა და რწმენის თავისუფლებით გარანტირებული კოლექტიური უფლებების განხორციელება ყველა შემთხვევაში არ გულისხმობს რელიგიური თემისთვის იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმით დაფუძნებას. სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას წარმოადგენს ამ უფლებებით სარგებლობის იმგვარი საკანონმდებლო გარანტიების არსებობა, რომ რელიგიურ თემს იურიდიული პირის სტატუსის მოპოვება არ წარმოადგენდეს აუცილებლობას ან ასეთი სტატუსის მიღება მინიმალურ ვალდებულებებთან იყოს დაკავშირებული.

„ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი იცავს რელიგიური და რწმენის თემებს, მიუხედავად იმისა, სარგებლობენ თუ არა ისინი იურიდიული პირის სტატუსით.“

„სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ იურიდიული პირის ხელმისაწვდომობა რელიგიური და რწმენის თემებისთვის არ იყოს უფრო რთული, ვიდრე სხვა ტიპის ჯგუფებისა და თემებისთვის.“ (გაეროს, ევროსაბჭოს, ეუთოს, ვენეციის კომისიისა და ოსლოს კოალიციის დოკუმენტები რელიგიის თავისუფლების შესახებ. 2015. გვ: 94-131).

ამდენად მნიშვნელოვანია, რომ რელიგიური გაერთიანების დაფუძვნება იურიდიული პირის სტატუსით რელიგიური თემებისთვის არ წარმოადგენს არც ვალდებულებას და არც ასეთი სურვილის შემთხვევაში არ უნდა ქმნიდეს დისკრიმინაციულ და გადაულახავ წინააღმდეგობებს. (Hofhansel, 2005) ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ იურიდიული პირის სტატუსი შესაძლოა რელიგიურ თემებს განსხვავებულ შესაძლებლობებს აძლევდეს:

„რელიგიურ და რწმენის თემს შეუძლია არჩიოს რელიგიური ორგანიზაციის შექმნა, რათა უზრუნველყოს სამართლებრივ სფეროში მოქმედების შესაძლებლობა.“ (გაეროს, ევროსაბჭოს, ეუთოს, ვენეციის კომისიისა და ოსლოს კოალიციის დოკუმენტები რელიგიის თავისუფლების შესახებ. 2015. გვ: 94-131).

ეს განსხვავებული შესაძლებლობები, სამართლებრივ სფეროში მოქმედების უზრუნველყოფის ნაწილში შესაძლოა გულისხმობდეს, მაგალითად ისეთ უფლებების, როგორცაა საკუთრების უფლება. ანუ რელიგიურ თემს, როგორც ერთიან სუბიექტს, საკულტო ნაგებობების ფლობის (საკუთრების) სამართლებრივ საფუძვლად, შესაძლოა განესაზღვროთ იურიდიულ პირად რეგისტრირების ვალდებულება და ეს წინააღმდეგობაში არ მოვა არც რელიგიისა და რწმენის და არც გაერთიანების თავისუფლებასთან. ამ საკითხის მაღალი მნიშვნელობის კონტექსტში, საყურადღებოა პროფესორ იორამ დინსტეინის განმარტება:

„რელიგიის თავისუფლება, როგორც ინდივიდუალური უფლება, შეიძლება ანულირებულად ჩაითვალოს, თუკი იგი არ მოიცავს რელიგიური ჯგუფის წევრის კოლექტიურ უფლებას სათანადო ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე, რომელიც შესაძლებელს გახდიდა ინდივიდებისათვის ამ თავისუფლების სრული მოცულობით სარგებლობას.“ (Dinstein., Y, 1990, გვ: 168.)

აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულ სპეციფიკას იძენს საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის კრილში. კერძოდ, საქართველოში რელიგიური თემის სახელით რელიგიური გაერთიანების დაფუძვნება შეუძლია ერთ ადამიანსაც კი და ამ მხრივ მარეგისტრირებელი ორგანო არ ითხოვს რაიმე სახის მტკიცებულებას, რომ ეს პირი სრულყოფილად წარმოადგენს იმ რელიგიურ თემს, რომლის რელიგიურ გაერთიანებასაც

აფუძნებს. შესაბამისად, სრულიად შესაძლებელია, რომ მაგალითად ასეულობით ათასი საქართველოს მოქალაქე კონკრეტული რელიგიური თემის სახელით რელიგიური გაერთიანება დააფუძნოს ერთმა ფიზიკურმა პირმა (თავისთავად, დამფუძნებლის რელიგიური კუთვნილების ნამდვილობის შემოწმებაც შეუძლებელია), თუმცა მას არ ქონდეს ასეთი ლეგიტიმაცია მთლიანი რელიგიური თემისგან. ამ იურიდიულ პირს თავისუფლად შეეძლება ჰქონდეს ქონება, მათ შორის, საკულტო ნაგებობები კანონიერ საკუთრებაში. საქართველოს ეროვნულ რეალობაში ეს საკანონმდებლო რეგულაცია პრობლემებს აწყდება ამა თუ იმ რელიგიური თემისთვის საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული და საქართველოს თანამედროვე სახელმწიფოს ფაქტობრივ საკუთრებაში აღმოჩენილი საკულტო ნაგებობების ისტორიული მესაკუთრისთვის დაბრუნების ნაწილში. რეალურად, კონკრეტული კონფესიური კუთვნილების საკულტო ნაგებობა, რომელიც მთლიანად რელიგიური თემის ისტორიულ საკუთრებას წარმოადგენს უნდა გადაეცეს ამ რელიგიური თემის წარმომადგენელ რელიგიურ გაერთიანებას, რომელიც, ზემოთ განხილული სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაძლოა არ სარგებლობდეს რელიგიური თემისგან სრული ლეგიტიმაციით. შედეგად, ათასობით მოქალაქის ისტორიულ-კონფესიური საკუთრება აღმოჩნდება ერთი ან რამდენიმე მოქალაქის კანონიერ საკუთრებაში, ამ რელიგიური თემისგან სრულფასოვანი სამართლებრივი კონტროლის გარეშე.

მნიშვნელოვანი ფაქტორი, რელიგიური გაერთიანების უფლებრივ-სამართლებრივ ასპექტში არის ამ გაერთიანების მიერ საკუთარი მიმდევრების წარმოდგენა სასამართლოში, როდესაც მხარედ გამოდის არა კონკრეტული მორწმუნე ან მათი ჯგუფი, არამედ, მთლიანად რელიგიური გაერთიანება ანუ რელიგიური თემი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კვლევითმა დეპარტამენტმა კონვენციის მე-9 მუხლის პრეცედენტული სამარლის ანალიზისას განმარტა:

„მე-9 მუხლით განმტკიცებული უფლებების უმრავლესობას ინდივიდუალური ხასიათი აქვს, რაც არ შეიძლება სადავო იყოს. მიუხედავად ამისა, ასევე სამართლიანია ის, რომ ზოგიერთ ამ უფლებას კოლექტიური ხასიათი აქვს. ამგვარად, სასამართლომ აღიარა, რომ ეკლესიას ან საეკლესიო ორგანოებს, როგორც ასეთებს, შეუძლიათ საკუთარი მიმდევრების სახელით ახორციელებდნენ რელიგიის თავისუფლებას და

ქეოდნენ საკუთარი რელიგიის აღმსარებლობას.“ (რელიგიის თავისუფლების სფეროში სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა. მეტრეველი, 2015. გვ: 74-103).

ამდენად, რელიგიური თემის მიერ რელიგიური გაერთიანების დაფუძნება არსებითად დაკავშირებულია თემის მიერ რელიგიისა და რწმენის თავისუფლებით დაცული კოლექტიური უფლებების სრულად განხორციელებასთან.

4.2. რელიგიური გაერთიანების რეგისტრაცია, სამართლებრივი სტატუსი და უფლებები

რელიგიური გაერთიანების დაფუძნება, როგორც რელიგიისა და რწმენის თავისუფლებით დაცული უფლებების განხორციელების საშუალება, სახელმწიფოთა წინაშე აჩენს რიგ ვალდებულებებს, როგორცაა, გაერთიანების თავისუფლების დაცვა, რელიგიური თემისთვის თვითორგანიზების უზრუნველყოფა, გაერთიანებისთვის საჭირო საკანონმდებლო პირობების მინიმუმამდე დაყვანა, ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობისა და პოლიტიკის დანერგვა და ა.შ. ამასთან, რელიგიური თემებისთვის გაერთიანების უფლებაზე უარი და იურიდიული პირის სტატუსის მოპოვების შესაძებლობის არ არსებობა, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ხელყოფას და მასში ჩარევას უთანაბრდება.

„იურიდიული პირის სტატუსის უფლებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს რელიგიისა და რწმენის თავისუფლების სრული რეალიზაციისთვის. ამ სფეროში ორგანიზებული საზოგადოებრივი ცხოვრების რიგი ძირითადი ასპექტების შეუძლებელი გახდა ან ძალიან გართულდა იურიდიული პირის სტატუსის ხელმისაწვდომობის გარეშე. ეს მოიცავს საბანკო ანგარიშებს და თემის, მისი წევრების და მისი აქტივების სასამართლო დაცვის უზრუნველყოფას; რელიგიური ნაგებობების საკუთრებაში შენარჩუნებას; ახალი რელიგიური ნაგებობების მშენებლობას; სკოლებისა და უმაღლესი განათლების ინსტიტუტების შექმნასა და ფუნქციონირებას; რელიგიურ მსახურებასა და რიტუალებში გამოყენებული ნივთების უფრო

მასშტაბური წარმოების ხელშეწყობას; პერსონალის დასაქმებას; და მედია საშუალებების შექმნას და მართვას. (გაეროს, ევროსაბჭოს, ეუთოს, ვენეციის კომისიისა და ოსლოს კოალიციის დოკუმენტები რელიგიის თავისუფლების შესახებ. 2015. გვ: 94-131).

ამდენად, სახელმწიფო ვალდებულია შექმნას რელიგიური გაერთიანებების დაფუძვნების ქმედითი პირობები და სათანადო საკანონმდებლო რეგულაციები. უპირველეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს სახელმწიფოს პოლიტიკა, ირჩევს ის განსხვავებული იურიდიული სტატუსების იერარქიულ სისტემას, თუ რელიგიურ გაერთიანებებს სთავაზობს იურიდიული პირების შესახებ ორდინალურ კანონმდებლობას.

საქართველოში, რელიგიურ გაერთიანებებს შორის განსხვავებული სამართლებრივი მდგომარეობა უკვე წარმოადგენს საკანონმდებლო რეალობას. ამ შემთხვევაში იგულისხმება საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობა, რომელიც აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციითა და განსაზღვრულია კონსტიტუციური შეთანხმებით. ამასთან, რელიგიურ გაერთიანებათათვის განსხვავებული სამართლებრივი სტატუსის მინიჭება თავისთავად არ წარმოადგენს რელიგიის ან რწმენის ნიშნით დისკრიმინაციას, რამდენადაც თავისთავად ნებისმიერი სახის დიფერენცირება არ წარმოადგენს დისკრიმინაციას, თუკი ამგვარი დიფერენცირების კრიტერიუმი საფუძვლიანი და ობიექტურია და ლეგიტიმური მიზნის მიღწევას ემსახურება.

ხშირად მიჩნეულია, რომ რელიგიური გაერთიანებებისთვის განსხვავებული სამართლებრივი სტატუსების შეთავაზება და ამ სტატუსების მოსაპოვებლად განსხვავებული იურიდიული საფუძვლების დადგენა დისკრიმინაციულია. როგორც ზემოთ დამოწმებული ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი და გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი ცხადყოფს, რელიგიური გაერთიანებებისთვის განსხვავებული სამართლებრივი სტატუსების უზრუნველყოფა, თუკი ისინი ობიექტური და გონივრული საფუძვლებიდან მომდინარეობს, პირველ რიგში, დისკრიმინაციის დაძლევის ემსახურება და არა პირიქით. გასათვალისწინებელია, რომ ამ შემთხვევაში მნიშვნელობა სამართლებრივი სტატუსების უფლებრივ და ვალდებულებით მხარეს ენიჭება და არა მხოლოდ მათ ნომინალურ სახელწოდებებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი,

მიუხედავად იმისა, რომ რელიგიურ გაერთიანებებს სამ განსხვავებულ სამართლებრივ სტატუსს სთავაზობს, არ ადგენს არც ერთ კონკრეტულ უფლებას ან ვალდებულებას, რომელიც ამ სტატუსით იქნებოდა განპირობებული. განსხვავება, ასეთ შემთხვევაში, აზრს კარგავს. საპირისპიროდ, როდესაც რელიგიური გაერთიანების სამართლებრივი მდგომარეობა გარკვეულ უფლებებსა და ვალდებულებებს მოიცავს, იმის აუცილებლობაც წარმოიშობა, რომ ამ უფლებებით სარგებლობისა და ამ ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობა შემოწმდეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ასეთ შემთხვევაში აუცილებელია რელიგიური გაერთიანების სამართლებრივი მდგომარეობა მის ობიექტურ მდგომარეობას შეესაბამებდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში დაირღვევა არადისკრიმინაციულობის პრინციპი, როგორც მსგავსი ობიექტური მდგომარეობის ანუ შესაძლებლობების მქონე რელიგიური გაერთიანებებისთვის განსხვავებული სამართლებრივი სტატუსის მინიჭებით, ასევე განსხვავებული ობიექტური მდგომარეობის ანუ შესაძლებლობების მქონე რელიგიური გაერთიანებებისთვის ერთი და იგივე სამართლებრივი სტატუსის მინიჭებით.

საქართველოს კანონმდებლობა ეროვნული რელიგიური მრავალფეროვნების ასახვისას ვერ აცდება გარკვეულ დიფერენცირებას. პირველი, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას სახელმწიფოსთან ურთიერთობისა და საკუთარი სტატუსის განსასაზღვრად გაფორმებული აქვს კონსტიტუციური შეთანხმება, რომელიც, შინაარსს, რომ აღარ დავუბრუნდეთ, თავად დოკუმენტის სტატუსით ანიჭებს ერთგვარ გამორჩეულ მდგომარეობას ეკლესიას. მეორეს მხრივ, საქართველოს კანონმდებლობა იურიდიული პირების ნაწილში ადგენს ორ სრულფასოვან შესაძლებლობას - კერძო სამართლის იურიდიულ პირს (ა(ი)პ) და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს (სსიპ). ამასთან, მათ შორის მთელ რიგ განსხვავებებს განსაზღვრავს. შესაბამისად, საქართველოში რელიგიურ გაერთიანებებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, მოიპოვონ მათთვის სასურველი სამართლებრივი სტატუსი და დარეგისტრირდნენ შესაბამისი იურიდიული ფორმით.

მნიშვნელოვანია, რომ რელიგიური გაერთიანებების მიმართ საქართველოს კანონმდებლობა საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესახებ დაიტვირთოს ერთგვარი გარანტიებით, რაც რელიგიურ გაერთიანებებს უზრუნველყოფს სახელმწიფო ჩარევისგან დაცვით და ამდროულად სტატუს მაღალ საჯარო (სამართლებრივ) მნიშვნელობას შეუნარჩუნებს.

შედეგად, კანონმდებლობით დაცული იქნება რელიგიური თემების თავისუფლება დააფუძნონ რელიგიური გაერთიანება, ასეთი გადაწყვეტილების შემთხვევაში კი მათ, საკუთარი სურვილისა და ობიექტური გარემოებების შესაბამისად ექნებათ შესაძლებლობა აირჩიონ ორიდან ერთ-ერთი - ა(ა)იპ ან სსიპ იურიდიული ფორმა.

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობით არ იქნება სავალდებულო რელიგიური გაერთიანების „რელიგიურობის“ შემოწმება (ექსპერტიზა), სახელმწიფო, როგორც საკუთარი მოქალაქეების რელიგიური საჭიროებების უზრუნველყოფის გარანტი, აღჭურვილი უნდა იყოს შესაძლებლობით დაადგინოს ამა თუ იმ რელიგიური გაერთიანების ლეგიტიმური კავშირი შესაბამის რელიგიურ თემთან. არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით მიზანშეწონილია ეს უფლებამოსილება ჰქონდეს სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს, ხოლო მარეგისტრირებელ ორგანოდ დარჩეს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. უფლებამოსილების ამგვარი გადანაწილებით, მარეგისტრირებელი ორგანო განთავისუფლდება ისეთი საკითხების შესწავლისგან, რომელიც არ შედის მის კომპეტენციაში, თუმცა აუცილებელია რელიგიური გაერთიანების დასაფუძნებლად. სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო კი საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში შეისწავლის და მარეგისტრირებელს შუამდგომლობით დაუდასტურებს, რელიგიური გაერთიანების კავშირს შესაბამის რელიგიურ თემთან. ამით სახელმწიფო დაიცავს საკუთარ მოქალაქეებს, რათა მათი რელიგიური თემი, მათივე თანხმობის გარეშე, არ აღმოჩნდეს კონკრეტული რელიგიური გაერთიანების მართვის ქვეშე.

ამდენად, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფორმით რელიგიური გაერთიანების დაფუძნება დაკავშირებული უნდა იყოს, მხოლოდ სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს შუამდგომლობასა და მარეგისტრირებელის პროცედურულ მოთხოვნებთან. ეს სრულიად შეესაბამება იმ მინიმალურ სტანდარტს, რაც შეიძლება რელიგიურ თემს რელიგიური გაერთიანების დასაფუძნებლად დაუდგინოს სახელმწიფომ. ა(ა)იპ-ს ფორმით რეგისტრირებულ რელიგიურ გაერთიანებებზე გავრცელდება კანონით დადგენილი ყველა რეგულაცია. შესაბამისად, რელიგიური თემი რელიგიური გაერთიანების დაფუძნების გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში აღჭურვილი იქნება სრული შესაძლებლობით, განსაკუთრებული დაბრკოლების გარეშე მიიღოს იურიდიული პირის

სტატუსი და სათანადოდ განახორციელოს რელიგიისა და რწმენის თავისუფლებით დაცული კოლექტიური უფლებები.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით რელიგიური გაერთიანების დაფუძნება განსხვავებული უნდა იყოს ა(ა)იპ-ს ფორმით დაფუძნებისას არსებული მოთხოვნებისგან. რამდენადაც, სსიპ-ს სამართლებრივი სტატუსი თავისი არსით წარმოადგენს ერთგვარ პარტნიორობას სახელმწიფოსთა, რაც იდეურად გულისხმობს ამ სტატუსის მატარებელი სუბიექტის თვითგანსაზღვრას, როგორც არა კერძო, არამედ, საყოველთაო მნიშვნელობის ჯგუფისა - რელიგიური თემისა, სახელმწიფო უფლებამოსილია მოითხოვოს ამ ფაქტის სათანადო მტკიცებულება. სხვადასხვა ქვეყნები, რელიგიური გაერთიანებისთვის შედარებით მაღალი სამართლებრივი სტატუსის მინიჭების საფუძვლად განსაზღვრავენ სხვადასხვა დათვლად კატეგორიებს, როგორცაა - მრევლის რაოდენობა, რელიგიის ისტორიულობა, მისი განფენილობა ქვეყანაში და ა.შ. მაშინ, როდესაც ეროვნული კანონმდებლობა რელიგიურ თემებს აძლევს საშუალებას სრულფასოვანი იურიდიული პირის სტატუსი (ჩვენს შემთხვევაში ა(ა)იპ) უპრობლემოდ მოიპოვონ, უფრო მაღალი სტატუსის მოპოვებისთვის დაწესებული მოთხოვნები არ ჩაითვლება რაიმე სახის შეზღუდვად, თუკი ასეთი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში სახელმწიფოს მხრიდან არ იქნება დამატებით დისკრიმინაციული მიდგომები, ანუ გარანტირებული იქნება თანაბარი წვდომა სტატუსზე ყველა რელიგიური თემისთვის ვინც ამ მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

საქართველოს ეროვნულმა კანონმდებლობამ ეს უკანასკნელი რეგულირება შესაძლოა ასე ასახოს:

რელიგიური გაერთიანების რეგისტრაცია საჯარო სამართლის იურიდიულ პირად შესაძლებელია იმ შემთხვევაში თუ რელიგიური ჯგუფი აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

1. საქართველოს ტერიტორიაზე არსებობს 1921 წლიდან;
2. მისი მრევლის რაოდენობა შეადგენს საქართველოს მოსახლეობის მინიმუმ 0.5%-ს;

3. რეგისტრაციის მომენტისთვის საქართველოს ტერიტორიაზე მინიმუმ ათ სხვადასხვა მუნიციპალიტეტში აქვს ორგანიზებული სამრევლო.

ამ მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან დაკავშირებით სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო ამზადებს შუამდგომლობას, რომელზე დაყრდნობითაც სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას რელიგიური ჯგუფის საჯარო სამართლის იურიდიულ პირად რეგისტრირების შესახებ.

ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ჩაითვლება თუ რელიგიური ჯგუფი სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოში წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე არსებობის, არაუგვიანეს 1921 წლისა, დამადასტურებელ ცნობას.

ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ჩაითვლება თუ რელიგიური ჯგუფი სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოში წარმოადგენს მრევლის სავალდებულო რაოდენობის მინიმუმ 20% ხელმოწერას.

ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ჩაითვლება თუ რელიგიური ჯგუფი სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოში წარმოადგენს მინიმუმ ათი მუნიციპალიტეტის მიერ გაცემულ ცნობას მათ ტერიტორიაზე ამ რელიგიური ჯგუფის ორგანიზებული სამრევლოს არსებობის შესახებ, ან ასეთი სამრევლოების რეგისტრაციის მოწმობებს.

მოცემული საკანონმდებლო რეგულირება არსებითად გამართავს რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ეროვნულ საკანონმდებლო ჩარჩოს და რელიგიურ თემებს მისცემს საშუალებას თვითორგანიზების, ავტონომიურობისა და სახელმწიფოს მხრიდან დისტანცირების პირობებში დააფუძნონ რელიგიური გაერთიანებები, რომლებიც ამა თუ იმ რელიგიური თემის სრულფასოვანი და ლეგიტიმური წარმომადგენლები იქნებიან.

რელიგიური გაერთიანების მიერ მოპოვებული კონკრეტული სამართლებრივი სტატუსი მკაფიოდ უნდა ასახავდეს თანმდევ უფლებამოსილებებს. უპირველეს ყოვლისა უნდა განიმარტოს ზოგადად, რა უფლებებით აღიჭურვება რელიგიური გაერთიანება, როგორც იურიდიული პირი, მიუხედავად მისი სტატუსისა. ეროვნული კანონმდებლობა თანაბარ უფლებებს უნდა ანიჭებდეს ა(ა)იპ-ად ან სსიპ-ად რეგისტრირებულ რელიგიურ გაერთიანებებს შემდეგ სფეროებში:

„კანონით აღიარებული ან კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებული რელიგიური გაერთიანებები, ასევე, ის რელიგიური გაერთიანებები, რომლებიც საქმიანობას ეწევიან, როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული არარეგისტრირებული კავშირები, სარგებლობენ შემდეგი უფლებებით:

1. დაუბრკოლებლად შეიკრიბონ და შეასრულონ ღვთისმსახურება, რელიგიური წეს-ჩვეულებები და ეწეოდნენ რელიგიურ საქმიანობას;
2. ააშენონ, შეიძინონ და დაუბრკოლებლად ისარგებლონ შეკრებისა და ღვთისმსახურებისთვის საჭირო საკულტო-რელიგიური შენობა-ნაგებობებით;
3. აწარმოონ, შეიძინონ და დაუბრკოლებლად ისარგებლონ ღვთისმსახურებასთან ან რელიგიურ წესჩვეულებასთან დაკავშირებული რელიგიური დანიშნულების ნივთებით;
4. განახორციელონ რელიგიური განათლება და ამ მიზნით დაარსონ და ფლობდნენ შესაბამის დაწესებულებებს;
5. ეწეოდნენ საქველმოქმედო საქმიანობას და სოციალურ მსახურებას და ამ მიზნით დაარსონ და ფლობდნენ შესაბამის დაწესებულებებს;
6. შექმნან, შეიძინონ და გაავრცელონ რელიგიური ლიტერატურა;
7. კანონით დადგენილი წესით, ფლობდნენ ქონებას და მიიღონ ფინანსური და სხვა სახის შემოწირულობა ფიზიკური და იურიდიული პირებისგან;
8. საკუთარი რელიგიური მრწამსის მიხედვით მოამზადონ, დანიშნონ, აირჩიონ ან მემკვიდრეობით დადგინონ, ასევე, გაათავისუფლონ რელიგიური

ლიდერები და სასულიერო პირები. ამასთან, რელიგიური ლიდერის ან სასულიერო პირის მიმართ რელიგიური გაერთიანება თავისუფალია დაადგინოს საკუთარი რელიგიური მრწამსის შესაბამისი მოთხოვნები, რაც არ ჩაითვლება დისკრიმინაციად რელიგიური ან რწმენის ნიშნით;

9. *დაიცვან საკუთარი რელიგიური მრწამსით გათვალისწინებული დასვენების დღეები აღნიშნონ რელიგიური დღესასწაულები და შეასრულონ რელიგიური ცერემონიები;*

ცხადია, მოცემული ნუსხა ვერ ამოწურავს რელიგიური გაერთიანების საქმიანობის ყველა სფეროს, თუმცა, უდავოდ წარმოადგენს მათგან უმთავრესსა და უმიშვნელოვანესს. აქვე, აუცილებელია განისაზღვროს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, კერძოდ, კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს, რომ ერთი და იგივე რელიგიური თემიდან საჯარო სამართლის იურიდიულ პირად კანონით აღიარებულ ან კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებული შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი რელიგიური გაერთიანება. ამით, სახელმწიფო შექმნის რელიგიური თემის თვითნებური დაყოფისგან დაცვის მყარ სამართლებრივ გარანტიას. თავის მხრივ, სახელმწიფო არც უნდა ჩაერიოს რელიგიური თემის დაყოფაში, თუკი ასეთი გარემოებები იქმნება და არგუმენტირებული განმარტების შემთხვევაში არ უნდა დააბრკოლოს ერთი რელიგიური თემიდან გამოყოფილი ჯგუფის უფლება მიიღოს დამოუკიდებელი იურიდიული პირის სტატუსი. ამ მიმართულებით, კანონმდებლობით გათვალისწინებული თავისუფლება, რომ ერთი და იგივე რელიგიური თემი არ არის შეზღუდული დაარსოს დამოუკიდებელი რელიგიური გაერთიანებები არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფორმით, თავისთავად წარმოადგენს გარანტიას, რომ ნებისმიერი სახის გამიჯვნის და დამოუკიდებელი განვითარების უფლება რელიგიური თემის შიგნით დაცულია.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი, როგორც მაღალი სამართლებრივი და საზოგადოებრივი სტატუსი რელიგიურ გაერთიანებებს შეიძლება ანიჭებდეს, მხოლოდ ისეთ განსხვავებულ უფლებებს, რომელთა ფლობაც არ ზღუდავს უფრო დაბალი იურიდიული სტატუსის მქონე სუბიექტების უფლებებს და არ ქმნის დისკრიმინაციულ ან ისეთ გარემოს სადაც თავისუფალი განვითარების შესაძლებლობები საკანონმდებლო დონეზე არ არის

თანასწორად დაცული. როგორც წესი, მაღალი სამართლებრივი სტატუსის მქონე რელიგიური გაერთიანებების დამატებითი უფლებები არ სცდება ისეთ სფეროებს, როგორცაა ფინანსური შეღავათები, განათება და რელიგიური წარმომადგენლობა საჯარო ინსტიტუტებში.

აღნიშნული, ქართულმა კანონმდებლობამ შესაძლოა ამგვარად ასახოს:

მხოლოდ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად კანონით აღიარებულ ან კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ რელიგიურ გაერთიანებებს აქვთ უფლება:

1. *შესაბამის სტრუქტურებში ყავდეთ რელიგიური წარმომადგენელი - კაპელანი, რომლის შრომის ანაზღაურებასაც უზრუნველყოფს შესაბამისი სტრუქტურა;*
2. *უმაღლესი რელიგიური სასწავლებლის მიერ გაცემული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები - დიპლომები აღიარებული სახელმწიფოს მიერ და უთანაბრდება სახელმწიფოს მიერ გაცემულ უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტებს - დიპლომებს;*
3. *ისარგებლონ სახელმწიფოს მიერ დადგენილი ფინანსური, საგადასახადო და ქონებრივი შეღავათებითა და დახმარებით.*

კიდევ ერთხელ, მსგავსი უფლებრივი დიფერენცირება არ ჩაითვლება დისკრიმინაციულად თუკი დაცული იქნება თანასწორობა მსგავს სუბიექტებს შორის და უზრუნველყოფილი იქნება განვითარების თავისუფლება უფრო დაბალი სტატუსის რელიგიური გაერთიანებებისთვის. განსხვავებული მოპყრობა ყველა შემთხვევაში დისკრიმინაციასა და კანონის წინაშე თანასწორობის დარღვევას არ გულისხმობს. როდესაც არსებობს გონივრული და ობიექტური განსხვავებები, მათი გაუთვალისწინებლობა სამართლიანი მოპყრობის პრინციპის ისეთივე დარღვევაა, როგორც მსგავსი მიმართ განსხვავებული მოპყრობა. აქედან გამომდინარე, რელიგიის თავისუფლებით გათვალისწინებული უფლებებით დაუბრკოლებლად და სრულფასოვნად სარგებლობა, შესაძლოა, გულისხმობდეს ეროვნული კანონმდებლობის იმგვარად ფორმირებას, რომ მასში სხვადასხვა სუბიექტს ჰქონდეს განსხვავებული, მაგრამ ლეგიტიმურ მიზანთან მიმართებით პროპორციული უფლება-მოვალეობები.

4.3. სპეციალური კანონი, როგორც სისტემური რეგულირების მექანიზმი

სპეციალური კანონის მიზანშეწონილობაზე მსჯელობა, სასურველია, პრობლემის უფრო ზოგად ასპექტზე შეთანხმებით დავიწყოთ, კერძოდ, პასუხი გავცეთ კითხვას: ზოგადად საჭიროა თუ არა რელიგიისა და რწმენის თავისუფლებასთან, ასევე, რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის არსებობა? ამ საკითხთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა მოვიშველიოთ გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული დეკლარაცია „რელიგიის ან რწმენის საფუძველზე შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (1981)“, კერძოდ კი, მისი მე-7 მუხლი:

„ამ დეკლარაციით გადმოცემული უფლებები და თავისუფლებები იმგვარად უნდა აისახოს ეროვნულ კანონმდებლობაში, რომ ყველას შეეძლოს ამ უფლებებითა და თავისუფლებებით პრაქტიკაში სარგებლობა“ (გაეროს, ევროსაბჭოს, ეუთოს, ვენეციის კომისიისა და ოსლოს კოალიციის დოკუმენტები რელიგიის თავისუფლების შესახებ. 2015. გვ: 8-11).

აღნიშნულის გათვალისწინებით, შეგვიძლია მკაფიოდ და ცალსახად დავასკვნათ, რომ ეროვნული კანონმდებლობა აუცილებლად უნდა მოიცავდეს რეგულაციებს, რომლებიც რელიგიის თავისუფლების გარანტი და რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი მდგომარეობის განმსაზღვრელი იქნება. თუმცა ეს დასკვნა მხოლოდ დეკლარაციული შინაარსით რომ არ ამოიწუროს, აუცილებელია, გავანალიზოთ მისგან გამომდინარე საკითხის შემდეგი და უფრო კონკრეტული ასპექტი: ეს რეგულაციები გაერთიანებული უნდა იყოს სპეციალურ კანონში თუ საკმარისია მათი არსებობა ეროვნული კანონმდებლობის სხვადასხვა ძირითად აქტებში? ამის შესახებ ეუთოს რიგით პირველ (და ეს რიგითობა დასმული საკითხის ფუძემდებლურ მნიშვნელობას უსვამს ხაზს) რეკომენდაციაში ვკითხულობთ:

„მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ სპეციალური კანონმდებლობა შეიძლება არ იყოს აუცილებელი მრავალ ისეთ საკითხთან მიმართებით, რომლებთან დაკავშირებითაც სახელმწიფო შეიძლება განიხილავდეს კანონების მიღებას. ზოგ

შემთხვევაში, რელიგიასთან დაკავშირებული საკითხების მომწესრიგებელი კანონმდებლობა შემოთავაზებულია იმ მოვლენის საპასუხოდ, რომელიც საზოგადოებრივი აზრის ვნებათაღელვას იწვევს, თუმცა კი, რეალურად უკეთესი იქნებოდა მისი გადაჭრა ჩვეულებრივი სისხლის სამართლებრივი ან ადმინისტრაციული მექანიზმებით. მაგალითად, თუ რომელიმე რელიგიური ჯგუფი ჩართულია თაღლითობაში ან ძალადობაში, უცილობლად საუკეთესო რეაგირება არ იქნება რელიგიის შესახებ ახალი კანონის მიღება. შესაბამისად, აუცილებელია იმის განსაზღვრა, არის თუ არა თაღლითობისა და ძალადობის შესახებ არსებული კანონმდებლობა მოცემული პრობლემის გადასაჭრელად საკმარისი ისე, რომ არ იქნას მიღებული ახალი კანონი, რომელიც მოიცავდა ამ დანაშაულებს, ჩადენილს რელიგიურ საქმიანობასთან კავშირში.“ (გაეროს, ევროსაბჭოს, ეუთოს, ვენეციის კომისიისა და ოსლოს კოალიციის დოკუმენტები რელიგიის თავისუფლების შესახებ. 2015. გვ: 45-93).

ამდენად, ცხადი ხდება ორი უმთავრესი პრინციპი: 1. ეროვნულ კანონმდებლობაში აუცილებლად უნდა არსებობდეს ნორმები, რომლებიც რელიგიასთან დაკავშირებულ საკითხებს მოაწესრიგებს; 2. არსებითი მნიშვნელობა აქვს არა იმას, ეს ნორმები გაერთიანებული იქნება სპეციალურ კანონში თუ განაწილებული სხვადასხვა საკანონმდებლო აქტში, არამედ მათ ქმედითობას.

თავისთავად, მეორე პრინციპით შემოთავაზებული საკითხის გააზრების ფორმა, შესაძლოა, საფუძვლიანი კრიტიკის ობიექტი გახდეს. დებულება, რომ არსებითი მნიშვნელობა არ აქვს ნორმების განლაგებას, არამედ მათ რეალურ ქმედითობას, თითქოს ცალსახად გასაგები და მისაღებია, თუმცა, ამ დებულებით ერთმანეთისგან გამიჯნული ორი სამართლებრივი კატეგორია: ნორმების განლაგება და ნორმების ქმედითობა, შესაძლოა, ერთმანეთთან საკმაოდ მჭიდრო და არსებითი შემხებლობის მატარებლები იყვნენ. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, შესაძლოა, კონკრეტული ნორმა მხოლოდ კონკრეტული განლაგების პირობებში იყოს მაქსიმალურად ქმედითი და, პირიქით, სხვაგვარი განლაგების შემთხვევაში, ის იყოს არაქმედითი ან შეზღუდულად აღწევდეს შედეგს. ამის მკაფიო მაგალითია ქართული კანონმდებლობა, რომელიც „რელიგიური ორგანიზაციის“ ცნებას მხოლოდ საგადასახადო

კოდექსის ნორმებით (მუხლი 33) განმარტავს, და მიუთითებს, რომ რელიგიურ ორგანიზაციად ითვლება ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია რელიგიური საქმიანობის განსახორციელებლად და ასეთად რეგისტრირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ამ ნორმის მიხედვით, რელიგიური ორგანიზაცია განმარტებულია, როგორც დადგენილი წესით რეგისტრირებული და რელიგიური საქმიანობის განმახორციელებელი ორგანიზაცია. რაც შეეხება რელიგიურ საქმიანობას, მის განმარტებასაც ისევ საქართველოს საგადასახადო კოდექსი (მუხლი 11) გვთავაზობს, რომლის თანახმადაც, რელიგიურ საქმიანობად ითვლება დადგენილი წესით რეგისტრირებული რელიგიური ორგანიზაციის (გაერთიანების) საქმიანობა, რომლის მიზანია აღმსარებლობისა და სარწმუნოების გავრცელება, მათ შორის, ისეთი გზით, როგორცაა: ა) რელიგიური წეს-ჩვეულებების, ცერემონიების, ლოცვების, სხვა საკულტო მოქმედებათა ორგანიზება და ჩატარება; ბ) მორწმუნეთათვის შესაძლებლობის მიცემა, ჰქონდეთ ან გამოიყენონ სამლოცველო შენობები და სარიტუალო ნაგებობები რელიგიურ მოთხოვნათა როგორც ერთობლივად, ისე ინდივიდუალურად დასაკმაყოფილებლად; გ) რელიგიური დელეგაციების, მომლოცველების, სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლების მიღებისა და გამგზავრების ორგანიზება, ეროვნული და საერთაშორისო რელიგიური თათბირების, ყრილობების, სემინარების ორგანიზება, ამ ღონისძიებათა ჩატარების პერიოდში მათი მონაწილეების სასტუმროებით (სხვა საცხოვრებლით), ტრანსპორტით, კვებითა და კულტურული მომსახურებით უზრუნველყოფა; დ) მონასტრების, სამონასტრო ეკლესიების, სასულიერო-სასწავლო დაწესებულებების შენახვა, ამ სასულიერო-სასწავლო დაწესებულებების მოსწავლეთა და მსმენელთა სწავლება, საქველმოქმედო ორგანიზაციების (საავადმყოფოები, თავშესაფრები, მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლები) შენახვა, აგრეთვე, კანონიკური წესებით განპირობებული სხვა ანალოგიური საწესდებო საქმიანობა.

ასევე, რელიგიურ საქმიანობას უთანაბრდება იმ რელიგიური ორგანიზაციების (გაერთიანებების) საწარმოთა საქმიანობა, რომლებიც გამოსცემენ რელიგიურ (საღვთისმსახურო) ლიტერატურას ან აწარმოებენ რელიგიური დანიშნულების საგნებს; ამ ორგანიზაციების (გაერთიანებების) ან მათი საწარმოების საქმიანობა, რომელიც

დაკავშირებულია რელიგიური (საღვთისმსახურო) ლიტერატურის ან რელიგიური დანიშნულების საგნების რეალიზაციასთან (გავრცელებასთან); აგრეთვე ასეთი საქმიანობით მიღებული ფულადი სახსრების გამოყენება რელიგიური საქმიანობის განსახორციელებლად.

მოცემული ნორმა განსაკუთრებული დაკვირვების გარეშე ცხადად წარმოაჩენს, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსი რელიგიური ორგანიზაციის რელიგიურ საქმიანობას ფინანსებთან და ქონებასთან დაკავშირებული საკითხებით ამოწურავს. ეს აბსოლუტურად კანონზომიერია, რადგან საგადასახადო კოდექსი არც ერთ ნაწილში არ შეიძლება სცდებოდეს საკუთარი რეგულირების სფეროს, მათ შორის, არც რელიგიური ორგანიზაციის ან რელიგიური საქმიანობის განმარტებისას. აქედან გამომდინარე, კოდექსში მოცემული დეფინიციები, არსებითად, სადაგასახადო მიზნების გათვალისწინებით არის ჩამოყალიბებული და მისი განზოგადება შეუძლებელია.

ამ მაგალითის საფუძველზე, შეგვიძლია დარწმუნებით დავასკვნათ, რომ ნორმის შინაარსი და, შესაბამისად, უფლებებისა და ურთიერთობების სფერო, რომლებსაც ის მოიცავს, არსებითად გამომდინარეობს ერთიან კანონმდებლობაში მისი ადგილიდან. ამდენად, ერთიან სპეციალურ კანონში რელიგიური უფლებებისა და ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმების განლაგება და იმავე ნორმების სხვადასხვა კანონში ქმედითობისა და მათი შინაარსის გაგების თვალსაზრისით გადანაწილება, განსხვავებულ შედეგს იძლევა.

ეს დასკვნა არ უნდა იქნას იმგვარად გაგებული, თითქოს სპეციალური კანონი რელიგიის შესახებ უნდა მოიცავდეს რელიგიურ უფლებებთან და ურთიერთობებთან დაკავშირებულ ყველა სამართლებრივ ინსტიტუტს ან რეგულაციას, მაგალითად, რელიგიასთან დაკავშირებული სამართალდარღვევებისთვის გათვალისწინებულ სისხლის სამართლებრივ ან ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას. ამ გააზრებით, ეუთოს ზემოთ ციტირებული რეკომენდაცია ზედმიწევნით მართებულია. თუკი ეროვნულ კანონმდებლობაში სისხლის სამართლის კანონი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას რელიგიური ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაულის ან არაკანონიერი რელიგიური საქმიანობისთვის, აუცილებელი არ არის ამ ნორმების დუბლირება რელიგიის შესახებ არსებულ სპეციალურ კანონში. თუმცა, რას ნიშნავს რელიგიური ჯგუფი ან რელიგიური საქმიანობა, ამის განსაზღვრას სისხლის

სამართლის კანონი ვერ შეძლებს, ან, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მსგავსად, მხოლოდ საკუთარი მიზნებით განმარტავს. შედეგად, კანონმდებლობაში გვექნება რელიგიური გაერთიანებისა და რელიგიური საქმიანობის შესახებ ორი სახის განმარტება: ერთი - საგადასახადო კოდექსით, მეორე - სისხლის სამართლის კოდექსით, თუმცა, ორივე მათგანი ვიწრო სამართლებრივი შინაარსის მატარებელი იქნება და ამ ცნებათა ზოგადი გაგება მაინც კანონის მიღმა დარჩება. ამდენად, განსხვავებული და კონკრეტული მიზნებიდან გამომდინარე, მაგალითად, სამოქალაქო კოდექსი მოითხოვს განმარტებას რელიგიური გაერთიანების რეგისტრაციის პროცედურის ჩამოსაყალიბებლად, შრომის კოდექსი კიდევ სხვას - რელიგიური გაერთიანებების წევრთა შრომითი პირობების განსაზღვრის მიზნით და ა.შ.

მსგავსი მიდგომით ეროვნული კანონმდებლობა უკიდურესად გადაიტვირთება და, მრავალი განმარტების მიუხედავად, მაინც დარჩება რიგი სამართლებრივი სფეროები, რომლებთან დაკავშირებითაც რელიგიური უფლებებისა და ურთერთობების არსებული დეფინიციები რელევანტური არ იქნება. ზოგადი სახის განსაზღვრებები, შესაძლოა აისახოს ქვეყნის კონსტიტუციაში, მაგრამ კონსტიტუცია, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ვერ იქნება ცნებათა დეტალური განმარტებელი. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუცია (მუხლი 19) ადგენს აღმსარებლობის (რელიგიის) და რწმენის თავისუფლებას:

„1. ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება.“

ზოგადად, რელიგიის თავისუფლება მოიცავს მისიონერობის უფლებასაც, რაც საკუთარი მრწამსის გადაცემასა და გავრცელებას გულისხმობს, თუმცა ეს უფლება გარკვეულ პირობებში შეიძლება შეიზღუდოს, მაგალითად, უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიმართ ან საერთოდ აიკრძალოს, როგორც „პროზელიტიზმი“ (ან „არაკეთილსინდისიერი პროზელიტიზმი“), რომელიც სხვადასხვა ფორმით წარმოადგენს არაერთი ქვეყნის საკანონმდებლო პრაქტიკას. ცხადია, კონსტიტუციურ ნორმას ასეთი კონკრეტული შინაარსი ვერ ექნება. ამ შემთხვევაში ასევე არასწორი იქნება ეროვნულ კანონმდებლობაში საერთაშორისო სამართლებრივი აქტების პირდაპირი იმპლემენტაცია ან, მით უმეტეს, სასამართლო პრაქტიკაში მათი უშუალო ჩართვა, რადგან ამ აქტების უმეტესობა, ზოგადი

პრინციპის მიხედვით, ეროვნულ კანონმდებლობას უტოვებს მსგავსი სამართლებრივი კატეგორიების დეტალური განმარტების დისკრეციულ უფლებას და თავად, კონსტიტუციური ნორმის მსგავსად, უფრო ზოგად დეფინიციას აყალიბებს.

ამ ფაქტორების გათვალისწინებით, სპეციალური კანონი უნდა მოიცავდეს ზოგადი შინაარსის ცნებებსა და კატეგორიებს, რომლებიც იმგვარად იქნება ჩამოყალიბებული, რომ მათი განვრცობა შესაძლებელი იყოს მაქსიმალურად ბევრ სამართლებრივ ურთიერთობასა და უფლებაზე. ეს გულისხმობს კანონის ნორმათა იმგვარ ფორმირებას, რომ ბლანკეტური ნორმების სხვადასხვა კანონის ნორმებთან დაკავშირებისას, თავად ამ კანონებში იმავე ნორმების დუბლირების აუცილებლობა გამოირიცხოს. (Evans, Eyster, Levidom & Manzer, 2015)

ტექნიკური დატვირთვის გარდა, სპეციალურ კანონს იდეური მნიშვნელობაც აქვს. სპეციალურ კანონს შეუძლია არა მხოლოდ ცნებების ზოგადი შინაარსის განსაზღვრა, არამედ რელიგიის სფეროში ერთიანი პოლიტიკის დადგენა და შესაბამისი პრინციპების გადმოცემა.

ჰიპოთეტური მაგალითის მოშველიებით, ჩვენი მიდგომა ასე შეიძლება წარმოვაჩინოთ: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს პასუხისმგებლობას „რელიგიური ექსტრემიზმის“ წინააღმდეგ, ანუ რელიგიური ექსტრემიზმი ითვლება დანაშაულად. ამ დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის ფორმა და ზომა გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსით, ხოლო თვითონ „რელიგიური ექსტრემიზმი“ განმარტებულია სპეციალურ კანონში რელიგიის შესახებ. ამასთან, სპეციალური კანონი, მოცემული სამართლებრივი კატეგორიის გააზრებას რელიგიის თავისუფლებისა და რელიგიური ურთიერთობების ზოგად კონტექსტში გვთავაზობს, რომელიც გაცილებით უფრო გასაგებს ხდის, როგორც კონკრეტულად მის შინაარსს, ასევე სახელმწიფოს დამოკიდებულებას.

ამდენად, სპეციალური კანონი, ზოგადად, რელიგიის სფეროს უკეთესად რეგულირების შესაძლებლობას იძლევა, ზოგიერთ საკითხთან მიმართებით კი შეიძლება პრობლემების გადაჭრის ერთადერთი გზაც კი იყოს. თვითონ რელიგიის სფერო კი, თავისი ზოგადი მნიშვნელობით და ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით, უდავოდ ითხოვს განსაკუთრებულ დამოკიდებულებას. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული თავისებურებები, როგორც მოცემულობა, არა მარტო სპეციალური კანონის მიღების

საფუძველი, არამედ ამ კანონის შინაარსის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ძირითადი პრინციპიცაა.

სპეციალური კანონი რელიგიის შესახებ უნდა შედგებოდეს ორი ძირითადი ნაწილისგან: 1. ადამიანის რელიგიური უფლებები ანუ რელიგიის თავისუფლების ინდივიდუალური ნაწილი; და 2. რელიგიური გაერთიანებების საქმიანობის წესი ანუ რელიგიის თავისუფლების კოლექტიური ნაწილი. ხოლო, კანონის სახელწოდება სასურველია განისაზღვროს შემდეგნაირად: საქართველოს კანონი „რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შესახებ“.

კანონი პრეამბულურ დონეზე უნდა განსაზღვრავდეს სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთდამოკიდებულების პრინციპებს - საეროობასა (სეკულარიზმი) და ურთიერთგამიჯნულობას. ასევე, მკაფიოდ აყალიბებდეს ისტორიულ გამოცდილებას საქართველოში ისტორიულად ტოლერანტული, მრავალრელიგიური და მშვიდობიანი გარემოს შესახებ, როგორც საფუძველს სახელმწიფოსა და რელიგიის დასაშვები თანამშრომლობის მიმართულებით. ამასთან, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული ისტორიული ღვაწლის მკაფიო ხაზგასმის გარდა, შესაბამისი განსხვავებით უნდა აღინიშნოს ასევე, მუსლიმური, კათოლიკური, სომხური სამოციქულო და იუდაური რელიგიების დადებითი როლი საქართველოს ისტორიაში და საზოგადოებრივი ფასეულობების ფორმირებაში.

კანონის პირველი ნაწილი - ადამიანის რელიგიური უფლებები, უნდა იყოს მაქსიმალურად დატვირთული უფლებრივი შინაარსით და უნდა ემყარებოდეს კონსტიტუციურ გარანტიას, რომ რელიგიის ან რწმენის ნიშნით ადამიანის განსხვავება, დისკრიმინაცია და დევნა დაუშვებელია და რომ კანონის წინაშე ყველა თანასწორია. შესაბამისად, ეს ნაწილი დაარეგულირებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა:

- რელიგიისა და რწმენის ნიშნით ადამიანთა თანასწორობა და რელიგიის თავისუფლებით დაცული ინდივიდუალური უფლებების სრული გარანტირებულობა;
- რელიგიური განათლების უფლება;

- ინდივიდუალურ ნაწილში მისიონერობისა და პროზელიტიზმის საკითხები;
- ინდივიდუალურ ნაწილში რელიგიური ექსტრემიზმისა და რელიგიური შუღლის გაღვივების საკითხები;
- რელიგიის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლები.

კანონის მეორე ნაწილი - რელიგიური გაერთიანებების საქმიანობის წესი, უნდა მოიცავდეს მკაფიო და დაბალანსებულ რეგულაციებს რელიგიური გაერთიანების შექმნიდან დაწყებული მისი საქმიანობის ყველა მიმართულების გათვალისწინებით და უნდა არეგულირებდეს ისეთ საკითხებს, როგორცაა:

- რელიგიური ნიშნით გაერთიანებისა და რელიგიური ორგანიზაციის შექმნის თავისუფლება;
- რელიგიური გაერთიანების რეგისტრაციის წესი;
- რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი სტატუსები;
- რელიგიური გაერთიანებების სტრუქტურა;
- რელიგიური გაერთიანებების ფინანსური და ქონებრივი საკითხები;
- რელიგიური გაერთიანების სასულიერო ლიდერის მიმართ გარკვეული მოთხოვნები: საქართველოს მოქალაქეობა, სახელმწიფო ენის ფლობა, საქართველოში ცხოვრების ხანგრძლივობა და სხვ.;
- რელიგიური გაერთიანებების საკულტო-რელიგიური დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობისა და ფლობის საკითხები;
- რელიგიური გაერთიანებების საგანმანათლებლო დაწესებულებების შექმნისა და საქმიანობის წესი (ავტორიზაცია, აკრედიტაცია და განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების აღიარება-გათანაბრება);
- რელიგიური გაერთიანებების მხრიდან მისიონერობისა და პროზელიტიზმის საკითხები;

- რელიგიური გაერთიანებების მხრიდან რელიგიური ექსტრემიზმისა და რელიგიური შუღლის გაღვივების საკითხები;
- რელიგიური გაერთიანებების რელიგიური წარმომადგენლობის - „კაპელანის ინსტიტუტის“ საკითხები;
- რელიგიური გაერთიანებების საქმიანობის შეზღუდვისა და აკრძალვის საფუძვლები;
- საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის (როგორც ძირითადი რელიგიის) სტატუსი და სპეციალური კანონის მიმართება კონსტიტუციურ შეთანხმებასთან;
- სპეციალური კანონით აღიარებული რელიგიების ნუსხა.

კანონის ცალკე თავი უნდა არეგულირებდეს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს უფლებამოსილებასა და ფუნქციებს, რაც არ იქნება არსებითად განსხვავებული საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 თებერვლის N177 დადგენილებით დამტკიცებული დებულებისგან, თუმცა, დააზუსტებს გარკვეულ საკითხებს, რიგ შემთხვევებში გაზრდის სააგენტოს ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს და კანონის ძალით გაამყარებს სააგენტოს სტატუსს. მნიშვნელოვანია, რომ ცვლილება შევიდეს საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლში და რელიგიური გაერთიანებების საქმიანობის საფუძვლად განისაზღვროს „*საქართველოს კანონი*“.

გამოყენებული ლიტერატურა

რელიგიური დისკრიმინაციისა და კონსტიტუციური სეკულარიზმის კვლევა საქართველოში, (2014). ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი. თბილისი: შპს „უნივერსალი“;

სეკულარიზმის კრიზისი და ლოიალობა დომინანტი ჯგუფის მიმართ, (2013). ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი. თბილისი: „საუნჯე“.

მეტრეველი, ა. (2015). რელიგიის სამართლის საკითხები. თბილისი: იურისტების სამყარო;

ზურაბიშვილი, თ. (2006) თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის. თბილისი;

რელიგიის თავისუფლების სფეროში სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა. *მეტრეველი, ა. (2015). რელიგიის სამართლის საკითხები.* თბილისი: იურისტების სამყარო, 74-103;

ვაშაყმაძე, ზ. (რედ.) (2015). გაეროს, ევროსაბჭოს, ეუთოს, ვენეციის კომისიისა და ოსლოს კოალიციის დოკუმენტები რელიგიის თავისუფლების შესახებ. სერია - რელიგია და სამართალი, წიგნი II, თბილისი.

აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება. გაეროს ადამიანის უფლებების კომიტეტის 22-ე ზოგადი კომენტარი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-18 მუხლზე. 1993. *ვაშაყმაძე, ზ. (რედ.) (2015). გაეროს, ევროსაბჭოს, ეუთოს, ვენეციის კომისიისა და ოსლოს კოალიციის დოკუმენტები რელიგიის თავისუფლების შესახებ. სერია - რელიგია და სამართალი, წიგნი II, 35-38;*

სახელმძღვანელო პრინციპები რელიგიური და რწმენის თემების სამართლებრივი ფორმის შესახებ, 2014. *ვაშაყმაძე, ზ. (რედ.) (2015). გაეროს, ევროსაბჭოს, ეუთოს, ვენეციის კომისიისა და ოსლოს კოალიციის დოკუმენტები რელიგიის თავისუფლების შესახებ. სერია - რელიგია და სამართალი, წიგნი II, 94-131;*

რელიგიასთან თუ რწმენასთან დაკავშირებული კანონმდებლობის შემოწმების ინსტრუქცია, 2004. *ვაშაყმაძე, ზ. (რედ.) (2015). გაეროს, ევროსაბჭოს, ეუთოს, ვენეციის კომისიისა და ოსლოს კოალიციის დოკუმენტები რელიგიის თავისუფლების შესახებ. სერია - რელიგია და სამართალი, წიგნი II, 45-93;*

რელიგიის თავისუფლება, (2004). თავისუფლების ინსტიტუტი. თბილისი;

ტორიაშვილი, ნ. (2013). რელიგიის თავისუფლება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში. <http://myadvokat.ge>;

რელიგიურ ურთიერთობათა რეგულირების ზოგიერთი ასპექტი (სექტა), (2002). კავშირი „ჰუმანური საზოგადოებისთვის“ / ფრიდრის ებერტის ფონდი. თბილისი;

გოცირიძე, ე. (2008). გამოხატვის თავისუფლება ღირებულებათა კონფლიქტში. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სტრასბურგის სასამართლოს იურისპრუდენციის მიხედვით. თბილისი: ჯისიაი;

აღმსარებლობის თავისუფლება ეუთოს წევრ ქვეყნებში. სამართლებრივი მიმოხილვა. (2002). თბილისი: თავისუფლების ინსტიტუტი;

ხეცურიანი, ჯ. (2013). სახელმწიფო და ეკლესია. ურთიერთობის სამართლებრივი ასპექტები. თბილისი;

რობერსი, გ., (რედ.) (2011). სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. მეორე გამოცემა. თბილისი. შპს „სარეკლამო ჯგუფი“ 2010;

ტორფსი, რ., (2011). სახელმწიფო და ეკლესია ბელგიაში. *სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში*, 11-39;

ტრეტერა, ი. რ., (2011). სახელმწიფო და ეკლესია ჩეხეთის რესპუბლიკაში. *სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში*, 40-62;

დუბევი, ი., (2011). სახელმწიფო და ეკლესია დანიაში. *სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში*, 63-88;

რობერსი, გ., (2011). სახელმწიფო და ეკლესია გერმანიაში. *სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში*, 89-108;

კვიორგი, მ., (2011). სახელმწიფო და ეკლესია ესტონეთში. *სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში*, 109-131;

პაპასტატისი, კ., (2011). სახელმწიფო და ეკლესია საბერძნეთში. *სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში*, 132-158;

იბანი, ი. ს., (2011). სახელმწიფო და ეკლესია ესპანეთში. *სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში*, 159-177;

ბასდევა-გოდემე, ბ., (2011). სახელმწიფო და ეკლესია საფრანგეთში. *სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში*, 178-214;

ფერარი, ს., (2011). სახელმწიფო და ეკლესია იტალიაში. *სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში*, 242-267;

ბალოდისი, რ., (2011). სახელმწიფო და ეკლესია ლატვიაში. *სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში*, 294-324;

კუზნეკონიევე, ი., (2011). სახელმწიფო და ეკლესია ლატვიაში. *სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში*, 325-349;

შანდა, ბ., (2011). სახელმწიფო და ეკლესია უნგრეთში. კრებული: *სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში*, 369-395;

პოტზი, რ., (2011). სახელმწიფო და ეკლესია ავსტრიაში. *სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში*, 448-479;

- მორავციკოვა, მ., (2011). სახელმწიფო და ეკლესია სლოვაკეთის რესპუბლიკაში.
სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, 565-595;
- ჰაიკილა, მ., კნუტილა, ი., & შაინინი, მ., (2011). სახელმწიფო და ეკლესია ფინეთში.
სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, 596-617;
- საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე. 2013. თბილისი, შპს. „პეტიტ“;
- Aydingun, A. (2013). The ethnification and nationalization of religion in the post-Soviet Georgian nation-state building process: a source of discrimination and minority rights violations? *The International Journal of Human Rights*, Vol. 17, Nos. 7–8, 810–828;
- Classen, C. D. (2006). Religionsrecht. *Mohr Siebeck Tubingen*;
- Davis D. H. (2002). The evolution of religious freedom as a universal human right: examining the role of the 1981 United Nations Declaration on the Elimination of All Forms of Intolerance and of Discrimination Based on Religion or Belief. *Brigham young university law review*, 217:236;
- Dinstein, Y. (1990). Freedom of religion and religious minorities. *Israel yearbook on human rights*. 20. 155-179;
- Domingo, R. (2015). Restoring freedom of conscience. *Journal of Law and Religion*, Vol. 30, 176 – 193;
- Engineer, I. (1995). Religion, state and secularism. *Economic and Political Weekly*, Vol. 30, No. 43, 2726-2728;
- Evans, W. M., Eyster, Z. C., Levidow, N. L. & and Manzer, C. J. (2015). The Law of organized religions: between establishment and secularism. *Journal of Law and Religion*, Vol. 30, 350-351;
- Fox, J. & Flores, D. (2009). Religions, constitutions, and the state: A Cross-National study. *The Journal of Politics*, Vol. 71, No. 4, 1499-1513;

- Fox, J. & Sandler, S. (2005) Separation of religion and state in the twenty-first century: Comparing the Middle East and western democracies. *Comparative Politics*, Vol. 37, No. 3, 317-335;
- Grimm, D. (2009). Conflicts between General Laws and religious norms. *Cardozo Law Review*, Vol. 30:6, 2369-2382;
- Hofhansel, C. (2015). Recognition regimes for religious minorities in Europe: institutional change and reproduction. *Journal of Church and State*, Vol. 57, 90-118;
- Katz, W. G. (1953). Freedom of religion and state neutrality. *The University of Chicago Law Review*, Vol. 20, No. 3, 426-440;
- Krishnaswami, A. (1960). Study of discrimination in the matter of religious rights and practices. Special Rapporteur of the Sub-Commission on Prevention of Discrimination and Protection of Minorities. *E/CN.4/Sub.2/200/Rev. 1*.
- Moltmann, J. (1986). Religion and state in Germany west and east. *Annals of the American Academy of Political and Social Science*, Vol. 483, 110-117;
- North, C. M. & Gwin, C. R. (2004). Religious freedom and the unintended consequences of state religion. *Southern Economic Journal*, Vol. 71, No. 1, 103-117;
- Pradhan, A. (2004). Religion and state: Case for Synergy. *Economic and Political Weekly*, Vol. 39, No. 8, 855-856;
- Shedd, C. P. (1959). Open doors for religion in the state university. *The Journal of Higher Education*, Vol. 30, No. 4, 222-228;
- Stopler, G. (2014). The challenge of strong religion in the liberal state. *Boston University International Law Journal*, Vol. 32, 411-447;

Tarr, G. A. (1988). Religion under state constitutions. *Annals of the American Academy of Political and Social Science*, Vol. 496, 65-75;

Tulkens, F. (2009). The European Convention on Human Rights and church-state relations: pluralism vs. pluralism. *Cardozo Law Review*, Vol. 30:6, 2575-2591;

Wolfe, C. (2000). Public Morality and the Modern Supreme Court. *American Journal of Jurisprudence*, Vol. 45, 65-92;

გამოყენებული ნორმატიული მასალა

საქართველოს კონსტიტუცია (1995);

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის დადგენილება N117;

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 თებერვლის დადგენილება N177;

ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაცია (1948);

საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (1966);

საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ (1996);

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია (1950);

კონვენცია განათლების სფეროში დისკრიმინაციის წინააღმდეგ (1960);

დეკლარაცია რელიგიის ან რწმენის საფუძველზე შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ. გაერო. 1981 წელი;

Otto-Preminger-Institute v. Austria. Case N13470/87 20.09.1994.

Treaty of Amsterdam amending the Treaty of the European Union, the Treaties establishing the European Communities and certain related acts. 1997/1999.

რეკომენდაცია 1720 - რელიგია და განათლება. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა. 2005 წელი;

რეზოლუცია 1928 - რელიგიასა და რწმენასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებებისა და რელიგიური თემების ძალადობისაგან დაცვის შესახებ. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა. 2013 წელი;

რეზოლუცია 1510 - გამოხატვის თავისუფლებისა და რელიგიური რწმენის პატივისცემის შესახებ. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა. 2006 წელი;

რეზოლუცია 1743 - ევროპაში ისლამის, ისლამიზმისა და ისლამოფობიის შესახებ. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა. 2010 წელი;

რეზოლუცია 1605 - ექსტრემიზმის პრობლემის წინაშე მყოფი ევროპელი მუსლიმი თემების შესახებ. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა. 2008 წელი;

რეზოლუცია 1846 - რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის ყველა ფორმასთან ბრძოლის შესახებ. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა. 2011 წელი;

რეზოლუცია 1992 - არასრულწლოვანთა დაცვა სექტების უკიდურესი ქმედებებისგან. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა. 2010 წელი;

რეზოლუცია 787 - რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის ყველა ფორმასთან ბრძოლის შესახებ. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა. 1982 წელი;

რეკომენდაცია 1804 - სახელმწიფო, რელიგია, სეკულარობა და ადამიანის უფლებები. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა. 2007 წელი;

რეკომენდაცია 1720 - რელიგია და განათლება. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა. 2005 წელი;

რეკომენდაცია 1396 - რელიგია და დემოკრატია. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა. 1999 წელი;

რეკომენდაცია 1412 - სექტების არალეგალური საქმიანობის შესახებ. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა. 1999 წელი;

რეკომენდაცია 1178 - სექტები და ახალი რელიგიური მოძრაობების შესახებ. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა. 1992 წელი;

რეკომენდაცია 1202 - დემოკრატიულ საზოგადოებაში რელიგიური შემწყნარებლობის შესახებ. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა. 1993 წელი;

რეკომენდაცია 1927 - ევროპაში ისლამის, ისლამიზმისა და ისლამოფობიის შესახებ. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა. 2010 წელი;

რეკომენდაცია 1831 - ექსტრემიზმის პრობლემის წინაშე მყოფი ევროპელი მუსლიმი თემების შესახებ. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა. 2008 წელი;

რეკომენდაცია 1987 - რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის ყველა ფორმასთან ბრძოლის შესახებ. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა. 2011 წელი;

რეკომენდაცია 1518 - სამხედრო სამსახურზე კეთილსინდისიერი უარის უფლებით სარგებლობა ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა. 2001 წელი;

საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (1965);

ლატვიის რესპუბლიკის კანონი რელიგიური ორგანიზაციების შესახებ. 26.09.1995;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, 2011 წლის 22 დეკემბერი, N1/1/477. II.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი (2010);

კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს
სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის (2002);

საქართველოს პარლამენტის 2002 წლის 22 ოქტომბრის დადგენილება N1697-ის;

საქართველოს კანონი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ (2008);

საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ (2004);

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 23 აგვისტოს
ბრძანება N115/ნ;

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (1997);

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი (1984);

საქართველოს კანონი საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ (1999);